ადასტურებს, რომ ჩვენში ქათმის ბევრი ადგილობრივი ჯიში არსებობს, მაგალითად: შავი ქათამი, ნაცარი ქათამი, ჩალისფერი ქათამი, მეგრულა ქათამი, ყელტიტველა ქათამი და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ პროდუქტიულობით შესაძლოა ჩამოუვარდებოდნენ თანამედროვე საზღვარგარეთულ ჯიშებს, ხორცისა და კვერცხის გემოვნური თვისებების გამო, დღესაც დიდადაა ისინი მოსახლეობაში გავრცელებული. ვინაიდან წინამდებარე სტატია ხორცის წარმოების პრობლემებს ეძღვნება, ამიტომ ჩვენი ყურადღების კონცენტრირებას სწორედ ამ მიმართულებით მოვახდენთ და მოცემულ სტატიაში არ შევხებით მეკვერცხული მიმართულების მეფრინველეობას.

მეხორცული მიმართულების ქათმების ჯიშებს ერთი ტერმინით, ბროილერით აერთიანებენ. მათგან ჩვენში უკვე კარგადაა ცნობილი ისეთი ჯიშები, როგორცაა პლიმუტ როკი, კორნში, ბრამა და ა.შ. იმისთვის, რომ საქართველომ ადგილობრივი წარმოების ფრინველის ხორციტ დაიკმაყოფილოს მოთხოვნილება საჭიროა სამამულე მეფრინველეობის დარგი ეფექტიანობის იმ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდეს, რაც თანამედროვე მსოფლიოშია სადღესოდ მიღწეული.

უმთავრესი მაჩვენებელი მეფრინველეობის დარგის ეფექტიანობისა ერთ კგ წონამატზე დახარჯული საკვებია. ქათმის, ინდაურის, იხვის რაციონი ძირითად მარცვლეულით ივსება. ფრინველებში გამონაკლისი ბატია, რომელსაც მწვანე და წვნიანი საკვებიც სჭირდება დიდი ოდენობით. საბროილერე ქათმის ერთი კგ წონამატის მისაღებად იხარჯება 1.6-1.7 კგ საკვები ერთეული ძირითადად მარცვლის სახით, ინდაურის 1 კილოგრამი წონამატის მისაღებად 2.9-3.3 კგ საკვები ერთეული, ხოლო იხვის 1 კილოგრამი წონამატის მისაღებად - 2.7-2.9 კგ საკვები ერთეული.(5) როგორც აღვნიშნეთ ბატის რაციონში მწვანე და უხეში საკვებიც დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი. შესაბამისად, ნაკლებია მარცვლეულის წილი. აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ „წონამატში“ ამ შემთხვევაში იგულისხმება ფრინველის ცოცხალი წონა და კარგადაა ცნობილი, რომ დაკვლის შედეგად მიიღება ცოცხალი წონის 75% სუფთა პროდუქტი, ანუ ის, რის შემენასაც ახდენს მომხმარებელი, ამიტომ, როდესაც კვების ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისი ხორცის წარმოებისთვის საჭირო მარცვლეულის რაოდენობაზე ვიმსჯელებთ, ზემოაღნიშნული მონაცემიც უნდა იქნას გაანგარიშებებში გათვალისწინებული.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, 1 კგ. სასურსათე ქათმის ხორცის წარმოებისთვის საჭიროა 2.0-2.1 კგ მარცვლეული. ვინაიდან ბატის, იხვისა და ინდაურის ხორცის წარმოება ქათმის ხორცის წარმოების უმცირეს ნაწილს შეადგენს, ეკონომიკური გათვლებისთვის არ იქნება მნიშვნელოვანი გადაცდომა თუ ამ ფრინველებისთვის საჭირო მარცვლეულის რაციონს ერთობლივად დავანგარიშებთ და შესაბამისად 1 კგ სასურსათე ბატის, იხვისა თუ ინდაურის ხორცის წარმოებისთვის საჭირო მაჩვენებელს მაქსიმუმ 4 კგ საკვები ერთეულის შესაბამისი მარცვლით შევაფასებთ.

საქართველოში ფრინველის ხორცის მთლიან წარმოებაში ლომის წილი მოდის ქათმის ხორცზე. სამწუხაროდ, ამ მხრივ დეტალური სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს, თუმცა, რთული წარმოსადგენია ფრინველის ხორცის მთლიან წარმოებაში ქათმის ხორცზე 90%-ზე ნაკლები მოდიოდეს. ჩვენი აზრით, ასეთი პროპორცია სავსებით დასაშვებია პერსპექტიული გაანგარიშებისთვის, ანუ იმ ნიშნულისთვის, როდესაც საქართველოში ხორცისა და მისი პროდუქტების წარმოება კვების ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს მიუახლოვ-

დება. გამომდინარე აქედან, პერსპექტივაში საქართველოში უნდა იწარმოოს 108 ათასი ტონა ქათმისა და 12 ათასი ტონა დანარჩენი სახეობის ფრინველის ხორცი. ქათმის ხორცის წარმოებისთვის საჭირო იქნება დაახლოებით 225 ათასი, ხოლო დანარჩენი სახეობის ფრინველის ხორცის წარმოებისთვის - მაქსიმუმ 50 ათასი ტონა მარცვლეული.

2022 წელს საქართველოში დაახლოებით 21 ათასი ტონა ღორის ხორცი აწარმოეს. კვების ფიზიოლოგიური ნორმების მიხედვით კი, ამ პროდუქტზე მოთხოვნილება 45.6 ათას ტონას უტოლდება. საშუალოდ 1 კგ ღორის ცოცხალი წონამატის მისაღებად საჭიროა 4 კგ საკვები ერთეული, აქედან დიდი წილი დაახლოებით  $\frac{3}{4}$  მოდის კონცენტრირებულ საკვებზე, რაც თავის მხრივ ძირითადად მარცვლეული და პარკოსანი კულტურებისგან მზადდება. საქართველოში ღორის რაციონში შემავალი კარტოფილის თუ სხვა ძირხველების წარმოება არ არის პრობლემა. ძირითადი გადასაწყვეტი საკითხი მეღორეობის სათანადო რაოდენობის მარცვლეულით უზრუნველყოფაა.

საუკეთესო შემთხვევაში, ღორის ცოცხალი წონიდან ხორცისა და სუბპროდუქტების გამოსავლიანობა შეადგენს 80%-ს, შესაბამისად 45.6 ათასი ტონა სასურსათე ღორის ხორცის საწარმოებლად საჭიროა 57.0 ათასი ტონა ღორის ცოცხალი წონით წარმოება. რასაც 228 ათასი ტონა საკვები ერთეული სჭირდება, საიდანაც დაახლოებით 168 ათასი ტონა მოდის კონცენტრირებულ საკვებზე, რაშიც ძირითადი ინგრედიენტი მარცვლეულია.

საქართველოში 2022 წელს 24 ათასი ტონა საქონლის ხორცი აწარმოეს, თუ ეს რაოდენობა გაორმაგდება, თითქმის დაკმაყოფილებული იქნება კვების ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნა. ჩვენი აზრით, საქართველო მსხვილფეხა რქოსანი მეცხოველეობის და მეცხვარეობის განვითარების უდიდეს რეზერვს ფლობს ბუნებრივი სათიბ-სამოვრების სახით. ქვემოთ რაოდენობრივად შევაფასებთ, თუ რა პოტენციალი არსებობს ჩვენს ქვეყანაში ამ მხრივ.

2003 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, საქართველოში ჯამურად 3023,5 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა იყო დაფიქსირებული. რეგიონების მიხედვით ყველაზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწა კახეთშია, შემდეგ მოდის ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი. კატეგორიების მიხედვით, კი, მთლიანი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან სამოვარს ეკავა 59.4% ანუ თითქმის 1,800 ათასი ჰა; სახნავს - 26.4% (დაახლოებით 792 ათასი ჰა-ა); მრავალწლიან ნარგავებს - 8.8% (284 ათასი ჰა); სათიბს - 4.7% (დაახლოებით 141 ათასი ჰა) და საცხოვრებელ, სამეურნეო შენობებსა და ეზოებს (საკარმიდამო) 0.7% ამავე მონაცემების მიხედვით ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით კი საქართველოში სულ 2748,3 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწაა.(6)

ზემოთ მოტანილი მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოში სამოვრული მეცხოველეობის განვითარებისთვის საუკეთესო ბაზა არსებობს 1,941 ათასი ჰა სამოვრებისა და სათიბების სახით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათი ამჟამინდელი მდგომარეობა არ არის სახარბიელო, რაც განსაკუთრებით სამოვრების პროდუქტიულობას ამცირებს. მაგალითად, მაღალმთიან სათიბ-სამოვრებზე სარეველა მცენარე მოგვას 100 ათას ჰა-ზე მეტი ფართობი უჭირავს, შხამას - 19 ათასი ჰა, ხოლო მარმუჭას და ფესვმაგარას - 322 ათასი ჰა, სხვა უხეშდეროიან მცენარეებს (ნარს, ღოღოს და მათ მაგვარს უკავია 37 ათასი ჰექტარი და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის 25 წლის წინანდელი მონაცემები და ამჟამად მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარე-

სებულია.(7) ასეთი სავალალო მდგომარეობაა სარეველების ჭარბი გავრცელების მხრივ, თუმცა მხოლოდ ეს არ ამცირებს საქართველოს სათიბ-სამოვრების პროდუქტიულობას.

საქართველოს სათიბ-სამოვრების პროდუქტიულობის გასადიდებლად უნდა გატარდეს ისეთი ღონისძიებები როგორცაა: მათი ზედაპირული გაუმჯობესების ღონისძიებები, ქვებისგან, ხეების, ბუჩქნარებისგან, მკვდარი საფარისგან გაწმენდა, კოლხოების მოსპობა, წყლის რეჟიმის მოწესრიგება, დაშრობა, მორწყვა, სათიბ-სამოვრების განოციერება ორგანული და მინერალური სასუქების შეტანის გზით, მათი მოკირიანება, სარეველა და მავნე ბალახების მოსპობა და რა თქმა უნდა ბალახების შეთესვა და დაფარცხვა.(7) აღნიშნული ღონისძიებების გატარების შედეგად შესაძლებელია საქართველოს სათიბ-სამოვრების ნაყოფიერების მკვეთრი ამაღლება. ბუნებრივი სათიბების საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე შეადგენს 1,2-1,4 ტონა თივას, პროდუქტიულობა - 540-680 საკვებ ერთეულს, ზაფხულის სამოვრების პროდუქტიულობა- 490-550 საკვებ ერთეულს (ზამთრის სამოვრების - 230-260 საკვ. ერთ.) შეადგენს. ბუნებრივი სათიბებიდან და სამოვრებიდან, გაუმჯობესებისა და სწორი გამოყენების სათანადო ღონისძიებების ფონზე, შესაძლებელია მივიღოთ ერთი ჰექტარი ბუნებრივი სათიბიდან 3,5-4,5 ტონა თივა, ხოლო სამოვრიდან - 2,5-3,5 ათასი საკვები ერთეული. აღსანიშნავია, რომ გაუმჯობესებისა და გამოყენების რაციონალური სისტემის პირობებში წარმოებული ბუნებრივი ბალახნარი მოსავლის მატებასთან ერთად ხასიათდება მაღალი ყუათიანობით, სრულფასოვნებით და რაც მთავარია, დაბალი თვითღირებულებით(7).

ასეთი გაუმჯობესების შემთხვევაში, რაც ზემოთაა აღწერილი, საქართველოს სათიბ-სამოვრებზე შესაძლებელი იქნება დაახლოებით 5.5 მლრდ საკვები ერთეულის შესაბამისი მწვანე ბალახისა და თივის წარმოება. ცნობილია, რომ 1 კგ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ცოცხალი წონის მატებისთვის საჭიროა დაახლოებით 5 საკვები ერთეული, ხოლო რადგან ნაკლავიდან ხორცისა და სუბპროდუქტების გამოსავლიანობა დაახლოებით 50%-ია, აღნიშნული მაჩვენებლებზე დაყრდნობით ჩატარებული გაანგარიშების შედეგად მივიღებთ, რომ თუ საქართველოს სათიბებსა და სამოვრებს მხოლოდ მეხორცეული მიმართულების პირუტყვის გამოსაკვებად გამოვიყენებთ, მაგრამ ამავე დროს მაქსიმალურად ავამაღლებთ მათ პოტენციალს საქართველოში შესაძლებელია წარმოებულ იქნას დაახლოებით 550 ათასი ტონა სასურსათო საქონლის ხორცი. ეს, კი, დაახლოებით 9.2-ჯერ აღემატება კვების ფიზიოლოგიური ნორმით გათვალისწინებულ მაჩვენებელს.

განვიხილოთ ხორცის წარმოების მეორე სცენარი, როდესაც ამოსავალ წერტილად არა საკვებ ბაზას, არამედ ქვეყნის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭირო ხორცის რაოდენობას ავიღებთ. როგორც ზემოთ მივუთითეთ, კვების ფიზიოლოგიური ნორმებიდან გამომდინარე საქართველოს წელიწადში ესაჭიროება 60 ათასი ტონა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი, ამავე დროს ვინაიდან ცხვრის ძირითადი საკვები ბაზაც სამოვარია, ჩვენი აზრით დასაშვები იქნება თუ ცხვრის ხორცის წარმოებასაც საქართველოს სათიბ სამოვრების პოტენციალს დავუკავშირებთ. ეს მით უმეტეს გამართლებულია თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ ცხვრის ცოცხალი მასის 1 კგ წონამატის მისაღებად მაქსიმუმ 5 საკვები ერთეულია საჭირო და ცოცხალი მასიდან ნაკლავის გამოსავლიანობის მაჩვენებელი ასევე დაახლოებით 50%-ია. გამომდინარე ზემოთქმულიდან, 60 ათასი ტონა საქონლისა და 14.4 ათასი ტონა ცხვრის სასურსათო ხორცის საწარმოებლად საჭირო იქნება 744

მლნ საკვები ერთეული, ანუ საქართველოს სათიბ-სამძვრების ჩვენს მიერ დაანგარიშებული პოტენციალის მხოლოდ 13.6% დანარჩენი 4.756 მლრდ საკვები ერთეული კი, სავსებით საკმარისი იქნება დაახლოებით 4.4 მლრდ ლიტრი რძის საწარმოებლად.

ჩვენი გაანგარიშებიდან აშკარად ჩანს, რომ საქართველოს სათიბ-სამძვრების პოტენციალის ოპტიმალურად გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია იმაზე გაცილებით მეტი მსხვილფეხა საქონლის ხორცისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება, რაც კვების ფიზიოლოგიური ნორმებითაა გათვალისწინებული. მაგალითად, დაახლოებით 1.9 მლრდ ენერგეტიკული საკვები ერთეული საკმარისია იმდენი საქონლისა და ცხვრის ხორცის საწარმოებლად რაც საკმარისია საქართველოს ამჟამინდელი მოსახლეობის გასამმაგებელი რაოდენობისთვის, ანუ 11 მილიონი მოსახლეობისათვის. დანარჩენი 3.6 მლრდ ენერგეტიკული საკვები ერთეული შეიძლება საფუძვლად დაედოს რძისა და რძის პროდუქტების წარმოებას. თანამედროვე კვების ფიზიოლოგიური ნორმების მიხედვით ერთ საშუალო სტატისტიკურ ადამიანს წელიწადში ესაჭიროება რძისა და რძის პროდუქტები საღ რძეზე გადაანგარიშებული 360-365 ლიტრის ოდენობით. გამომდინარე აქედან, დაახლოებით 4.0 მლრდ საკვები ერთეული სავსებით საკმარისია რძისა და მისი პროდუქტების იმ მოცულობით საწარმოებლად რაც საქართველოს ამჟამინდელი მოსახლეობის გასამმაგებულ რაოდენობას ეყოფა.

საქართველო ტყით მდიდარი ქვეყანაა. ტყის ფონდის საერთო ფართობი 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 3007.6 ათას ჰა-ს, ანუ ქვეყნის ტერიტორიის (6949.4 ათასი ჰა) - 43.2%-ს. ტყის ფონდის საერთო ფართობიდან საკუთრივ ტყეს (ტყით დაფარულ მიწებს) უკავია 2822.4 ათასი ჰა, ანუ ქვეყნის ტერიტორიის 40.6% (ტყიანობის პროცენტი). მსოფლიოსთვის ეს მაჩვენებელი 27%-ია.(7) როდესაც ქვეყანა ასეთ რესურსს ფლობს, დანაშაულია, თუ ის არ იქნება გამოყენებული ეკონომიკური თვალსაზრისით. საქართველოს ტყეებს ნიადაგის დამცავი და სხვა ეკოლოგიური ფუნქციები აკისრია და სამეურნეო მიზნით ტყის გამოყენებაში ყველაზე ნაკლებად იგულისხმება მერქნის დამზადება, თუმცა ის სხვა სახის დოვლათის საფუძველი შეიძლება გახდეს.

ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მიმართულება საქართველოს ტყეების გამოყენების თვალსაზრისით სატყეო მეცხოველეობის განვითარებაა. ეს განსაკუთრებით ეხება მეღორეობასა და მეთხეობას. რადგან საქართველოს ტყეებში უხვად მოიპოვება საკვები ამ ორი შინაური ცხოველისთვის. ასე მაგალითად, საქართველოს ტყეების საერთო ფართობის 42.6% მოდის წიფელზე, აღსანიშნავია, რომ ამ მცენარის ნაყოფი წიწიბო, მაღალი კვებითი ღირებულებით ხასიათდება და არა მარტო ცხოველის საკვებად გამოიყენება, არამედ სასურსათე დანიშნულებაც აქვს. საქართველოს ტყეების 10.3% მუხას უკავია. მგონი ზედმეტია იმის მტკიცება თუ რა დანიშნულება აქვს რკოს ღორის რაციონში. რცხილას და თხმელას ერთობლივად საქართველოს ტყეების 17.5%, წიწვოვან ტყეს კი 16.4%-ი უჭირავს. ერთ-ერთი ძვირფასი ხის წაბლის კორომებს კი, 3.8% უკავია.(8) საქართველოს ტყეებში მრავლადაა კენკრა შვინდი, მაჟალო, პანტა და სხვა ისეთი მცენარეები, რაც ღორისა და თხის საკვებად გამოდგება. გამომდინარე აქედან, ტყე სულ უფრო მზარდ როლს შეასრულებს მეცხოველეობის განვითარების თვალსაზრისით, რაც მაღალხარისხოვანი ხორცისა და მისი პროდუქტების დამატებითი წყარო იქნება.



ბოცვრის ხორცი სხვა ცხოველების ხორცისგან განსხვავებით დიეტურ უვნებელ, ანტიალერგიულ და სასარგებლო პროდუქტად მიიჩნევა. ადამიანის ორგანიზმში საქონლის ხორცის მხოლოდ 60%-ს ითვისებს, ბოცვრის შემთხვევაში კი, ეს მაჩვენებელი 90%-მდე იზრდება.(4) მეზოცვრეობის განვითარებას სხვა ბევრი დადებითი მომენტებიც ახასიათებს, ამიტომ ბოცვრის ხორცის წარმოება მკვეთრად უნდა გაიზარდოს საქართველოში, რაც გამოიწვევს მისი ხვედრითი წილის გაზრდასაც მოხმარებულ მთელ ხორცეულში.

### დასკვნა

წინამდებარე გამოკვლევის შედეგად მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთება გახდა შესაძლებელი. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს აქვს პოტენციური კვების ფიზიოლოგიური ნორმების მიხედვით დააკმაყოფილოს საკუთარი მოსახლეობა ხორციითა და მისი გადამუშავების პროდუქტით. მსხვილფეხა მეცხოველეობისა და მეცხვარეობის განვითარება შესაძლებელია საქართველოს სათიბ-საძოვრებზე და როგორც ჩვენმა გაანგარიშებებმა აჩვენა, ამ მხრივ არსებული პოტენციური სავსებით საკმარისია საქართველოს თანამედროვე მოსახლეობის გასამმაგებელი რაოდენობის დასაკმაყოფილებლად არამარტო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხვრის ხორცით, არამედ რძითა და რძის პროდუქტებითაც.

მეფრინველეობის მეხორცეული მიმართულებისა და მეღორეობის გასავითარებლად საქართველოში არ იწარმოება საკმარისი რაოდენობით მარცვლეული, რაზედაც ამ მიმართულებით მოთხოვნილება დაახლოებით 485-500 ათასი ტონას შეადგენს. მიუხედავად აღნიშნულისა, უმჯობესია ხორცის წარმოება საქართველოშივე განხორციელდეს, თუნდაც ამისთვის მარცვლეულის იმპორტირება გახდეს საჭირო.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Paata Koguashvili, Badri Ramishvili - Optimization of Meat Consumption in Georgia in the Context of Worldwide Trends, მოამბე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია 2020 წ. ტ. 14 N3
2. პაატა კოლუაშვილი, ბადრი რამიშვილი - საქართველოში ხორცის მოხმარების ოპტიმალური მოცულობისა და სტრუქტურის შეფასება ჟურნ. “ეკონომისტი” 2020 N 2
3. P.Koguashvili, B. Ramishvili “The capacity of rural territories in Georgia” Annals of Agrarian Science 14 2016
4. [https://bm.ge/news/saqartveloshi-frinvelis-saqonlis-ghoris-khortsis-tsarmoeba-gaizarda-tumtsa-seqtori-kvlav-importdamokidebulia-galt?fbclid=IwY2xjawERksRleHRuA2FlbQIxMAABHbwmXEOIVyyO2L41vfZvzjPxbayXybI2uU4uSz6dQwqzrv0ivlVZ6bVoNQ\\_aem\\_agjsjPYYKtNOIC0Kt\\_izfg](https://bm.ge/news/saqartveloshi-frinvelis-saqonlis-ghoris-khortsis-tsarmoeba-gaizarda-tumtsa-seqtori-kvlav-importdamokidebulia-galt?fbclid=IwY2xjawERksRleHRuA2FlbQIxMAABHbwmXEOIVyyO2L41vfZvzjPxbayXybI2uU4uSz6dQwqzrv0ivlVZ6bVoNQ_aem_agjsjPYYKtNOIC0Kt_izfg)
5. საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, ფონდი კონსტანტა - მეცხოველეობა-მეფრინველეობის წარმოების ტექნოლოგია თბილისი 2018 წ.
6. ივანე ჩხაიძე, რამაზ გერლიანი, ირაკლი მაკალათია, მათე გარდავა, ნოდარ სირბილაძე, ოთარ ფანცულაია, ქეთევან კრიალაშვილი - სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივები (კვლევა) - გამოცემა მომზადდა “ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის თავისუფლებისათვის” ფინანსური მხარდაჭერით, თბილისი 2021 წელი

7. იოსებ სარჯველაძე, ელდარ გუგავა - ბუნებრივი სათიბ-საძოვრების გაუმჯობესება (რეკომენდაციები), საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი 2016
8. საქართველოს ტყე
9. დ. ბახტაძე, პ. კოლუაშვილი-ქართველთა კვების კულტურა. გამომცემლობა „ინოვაცია“ თბ. 2013  
[https://forestry.gov.ge/Ge/Page/GeorgianForests?fbclid=IwY2xjawES57ZleHRuA2FlbQIxMAABHUmbMA1qAGWrIS8i9ZXlnZNQR7dCnhJbhnKHZUr5JrjVmkpuH8iaKitwvA\\_aem\\_0BDbLNmxDAOQ75GeX1VZGg](https://forestry.gov.ge/Ge/Page/GeorgianForests?fbclid=IwY2xjawES57ZleHRuA2FlbQIxMAABHUmbMA1qAGWrIS8i9ZXlnZNQR7dCnhJbhnKHZUr5JrjVmkpuH8iaKitwvA_aem_0BDbLNmxDAOQ75GeX1VZGg)

***Paata Koghuashvili***

*Professor at Georgian Technical University;*

***Badri Ramishvili***

*Associate Professor at Iv.Javakhishvili Tbilisi State University*

## PROSPECTS OF MEAT PRODUCTION IN GEORGIA

### Expanded Summary

The rate of meat consumption can be used to judge the economic development of this or that country. World practice confirms that the meat consumption indicator is one of the most important indicators of human well-being. If the population of a particular country is not vegetarian due to food traditions and the rate of meat consumption there is low, then it can be said unequivocally that this country cannot boast of the level of economic development, and on the contrary, a high rate of meat consumption indicates a good state of socio-economic development.

An essential condition for the growth of meat production is that, depending on the food culture of the country's population, this product should be significantly present in its diet. However, this is not enough. It is also necessary that the country has sufficient resources for the development of animal husbandry. If these two conditions exist, then it will be an economic failure if animal husbandry is not well developed in such a state. In the research presented below, we will try to demonstrate the extent to which Georgia has the potential for meat production and whether it can meet the demand based on the physiological norms of nutrition of the local population with its resources.

In the current period, special importance is attached to achieving the appropriate level of physiological norms of meat consumption in Georgia, which is 65 kg per head of the population. In our opinion, the proportions established as a result of the influence of market forces in the consumption of different types of meat should not change significantly, although some adjustments are permissible. The authors provide the optimal structure of meat consumption for the average citizen of Georgia, which is expressed as follows: 50% of consumption should come from poultry meat, 19% from pork meat, 25% from cattle meat, and the remaining 6% from sheep, goat and goat meat. It should also be taken into account that the consumption of meat in Georgia should increase by

approximately 25 kilograms per head of the population (as of the actual situation of 2022), which makes the fulfillment of the physiological norm of nutrition a reality.

The fact that 50% of the meat consumed in Georgia comes from poultry meat has several important justifications. First of all, this is a historical tradition and food culture of Georgians, in addition, it is worth noting that poultry meat is one of the most dietary, at the same time, the production of 1 kg of this product, a relatively small amount of feed is needed, and the development of poultry farming in our country can be based on imported grains. Therefore, the fact that when the consumption of meat per capita in Georgia reaches 65 kg, 32.5 kg of it will be a completely optimal indicator. It should come from poultry meat.

30% of the total annual actual consumption of pork comes from the meat ration of a modern statistical average Georgian (19% should be considered optimal, which is about 12.35 kg in absolute terms). Beef is 20% of the actual annual meat consumption (the optimal consumption should be 16.25 kilograms). As for the annual target amount of consumption of goat, sheep, and goat meat according to the physiological norms of nutrition, it should be about 4 kilograms (3.9 kg).

We used a simple method to calculate the optimal annual volume of meat production in Georgia. We multiplied the number of the existing population of Georgia by the physiological norms of nutrition. According to the data of the National Statistical Service of Georgia on January 1, 2024, approximately 3,695 thousand people were living in Georgia. Accordingly, for Georgia to fully meet its demand for meat and meat products with products of local origin, it should produce: poultry meat of about 120 thousand tons, pork meat of 45.6 thousand tons, beef meat of 60.0 thousand tons, sheep, goat, and goat meat together 14.4 thousand tons. That is, altogether - 240 thousand tons of meat.

As a result of the present research, it was possible to make important conclusions. First of all, it should be noted that Georgia has the potential to satisfy its population with meat and its processing products according to the physiological norms of nutrition. The development of cattle breeding and sheep breeding is possible in the grasslands of Georgia, and as our calculations have shown, the existing potential in this regard is quite sufficient to satisfy the tripled number of the modern population of Georgia not only with cattle and sheep meat but also with milk and dairy products.

To develop the meat sector of poultry farming and pig farming, not enough grain is produced in Georgia, for which the demand in this direction is about 485-500 thousand tons. Regardless of the above, it is better to produce meat in Georgia, even if it is necessary to import grain.

**Keywords:** meat consumption, physiological norms, grain, food supply, pastures.

ლურჯი ეკონომიკა – BLUE ECONOMY

თეა ლაზარაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, კსუ ასოცირებული პროფესორი;

ირინე მამალაძე

სტუ პროფესორი

საერთაშორისო ინიციატივები „ლურჯ ეკონომიკაში“

**ანოტაცია.** „ლურჯი ეკონომიკა“ მიმართულია იმ დარგების მდგრადი განვითარებისკენ, რომლებიც მსოფლიო ოკეანეების და ზღვების რესურსების გამოყენებასთანაა დაკავშირებული და გულისხმობს მსოფლიოს მისწრაფებას მიღწეულ იქნას ბალანსი შემდგომ ეკონომიკურ ზრდას, დედამიწის მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფას და ეკოლოგიურ უსაფრთხოებას შორის.

საარსებო გარემოს არარაციონალური გამოყენება ყოველთვის იწვევს სხვა „მომსახურებისა“ თუ ძვირფასი რესურსების განადგურებას. სანაპირო და საზღვაო რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ეკოსისტემებს, ეკონომიკურ აქტივობებს, კლიმატის ცვლილების პროცესებს შორის ურთიერთკავშირის დადგენა და გაანალიზება. სწორედ ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობის პროცესში და განვითარების ეროვნული სტრატეგიის ფორმირებისას, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს „ლურჯი ეკონომიკის“ განვითარების საკითხი, რომლის განხორციელებაც შეუძლებელია ამ სფეროში საერთაშორისო ინიციატივების გარეშე.

**საკვანძო სიტყვები:** „ლურჯი ეკონომიკა“, საერთაშორისო ინიციატივები, მდგრადი განვითარება.

შესავალი

ოკეანეები დიდ შესაძლებლობებს სთავაზობენ ადამიანებს რესურსების ასათვისებლად, რადგან ოკეანის განახლებადი ენერგეტიკა, რომელსაც მიეკუთვნება ტალღების, მოქცევის, ოფშორული ქარის ენერჯია და სხვ. უზარამაზარი პოტენციალის მატარებელია.

საზღვაო და სანაპირო ეკოსისტემები საკმაოდ ფართო სპექტრით გამოირჩევა სასარგებლო თვისებების გამო, რომლებსაც შეიძლება მივაკუთვნოთ:

- რესურსები აკვაკულტურისთვის;
- შესაძლებლობები ტურიზმისა და დასვენებისათვის;
- ძვირფასი საზღვაო ორგანიზმების საარსებო გარემო;
- სანაპირო ზოლების სტაბილიზაცია და ბუნებრივი მოვლენებისაგან დაცვა;
- რესურსები ადგილობრივი წარმოებისათვის და გლობალური მიწოდების ჯაჭვისათვის და ა.შ.

თანამედროვე გამოწვევებმა დღის წესრიგში დააყენა მისი მართვისადმი საერთაშორისო მიდგომების ფორმირების აუცილებლობა, რის შედეგადაც „ლურჯი ეკონომიკის“ სფეროში იქმნება საერთაშორისო თანამშრომლობის ახალი ფორმები, ფორმირდება ოკეანის რესურსების ასათვისებლად საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა, ყალიბდება ახალი მექანიზმები „ლურჯი ეკონომიკის“ პროექტების ფინანსირების, სოციალური და ეკოლოგიური მდგრადობის გაზრდაში; „ლურჯი ეკონომი-

კის“ დარგების პროგრესის შესაფასებლად ხდება ახალი ინდიკატორების შემუშავება და ა.შ.

მუდმივად იზრდება იმ პროექტებისა და საერთაშორისო ინიციატივების რიცხვი, რომლებიც „ლურჯი ეკონომიკის“ განვითარების პრაქტიკულ რეალიზაციასთანაა დაკავშირებული. მათგან აღსანიშნავია ბიოვაჭრობის პრინციპები და კრიტერიუმები, დამატებითი რეკომენდაციები მთავრობებისთვის და კომპანებისთვის ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებაზე დაფუძნებული საქონლისა და მომსახურების შეგროვების, წარმოების და კომერციალიზაციის მდგრადი საქმიანობის ორგანიზაციისათვის. 2020 წლისათვის პრინციპები განახლდა, გაფართოვდა მათი გამოყენების სფერო საზღვაო საქონლისა და მომსახურების კუთხით. გაეროს ინფორმაციით ეს პრინციპები 70-ზე მეტ ქვეყანაშია დანერგილი. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში მიმდინარეობს მოლაპარაკებები მავნე თევჭერის სუბსიდირების შეწყვეტის შესახებ [1].

„საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის სტრატეგიის სასასაბურე გაზების გამოფრქვევის შემცირების კუთხით“ ფარგლებში 2018 წლიდან საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის წევრები შეთანხმდნენ სასაბურე გაზების გამოფრქვევა შეემცირებინათ მინიმუმ 50%-ით 2050 წლისთვის 2008 წელთან შედარებით. ნაოსნობის საერთაშორისო პალატამ და საზღვაო სამრეწველო დარგების სხვა ასოციაციებმა აღნიშნული ინიციატივის მხარდასაჭერად, შეთავაზეს შეექმნათ სასაბურე გაზების გამოფრქვევის შემცირების მხარდაჭერის კვლევისა და განვითარების ფონდი. ფონდის მუშაობის დაფინანსება შესაძლებელია მოხდეს ნაოსნობაში წიაღისეული საწვავის გამოყენებაზე გადასახადის შემოღების ხარჯზე.

### **საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივები „ლურჯი ეკონომიკის“ განვითარების კუთხით**

მნიშვნელოვანია დაწვრილებით მიმოვიხილოთ საერთაშორისო ორგანიზაციების – ოცეულის ჯგუფის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, არქტიკული საბჭოს, აზიის განვითარების ბანკის, მსოფლიო ბანკის, ევროპის საინვესტიციო ბანკის და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ინიციატივები „ლურჯი ეკონომიკის“ განვითარების კუთხით.

**ოცეულის ჯგუფი** – საზღვაო გარემოს მდგრადი მართვის საკითხები წარმოიშვა გერმანიის წარმომადგენლობის დღის წესრიგში (2017), იაპონიაში (2019), საუდის არაბეთში (2020), იტალიაში (2021). ოცეულის ჯგუფის დღის წესრიგის ჩარჩოებში უპირატესად განიხილება ზღვის პლასტიკურ დაბინძურებასთან და უკანონო არაშეთანხმებულ და დაურეგულირებელ თევზაობასთან ბრძოლის საკითხები.

მაღალი დონის დიალოგი მდგრადი „ლურჯი ეკონომიკის“ შესახებ – 2018 წელს კანადის ინიციატივით შეიქმნა, მაღალი დონის მთავრობათაშორისი დიალოგი მდგრადი „ლურჯი ეკონომიკის“ კუთხით, რომლის შემადგენლობაში შევიდა 14 ქვეყანა. 2020 წლის დეკემბერში მონაწილე ქვეყნების ლიდერებმა მიიღეს ვალდებულება მიადწინონ საზღვაო სფეროს 100%-იან მდგრად მართვას, რათა 2030 წლისთვის ყველა ექსკლუზიური ეკონომიკური ზონა მოექცეს მდგრადი მართვის ქვეშ [2].

„ლურჯი ეკონომიკის“ განვითარების ტრანსფორმაციის გეგმის შესაბამისად, 14 წევრმა ქვეყანამ მიზნად დაისახა 2025 წლისთვის შეიმუშაონ მათ იურისდიქციაში მყოფი ოკეანის რესურსების მდგრადი მართვის გეგმა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია - გაეროს ფარგლებში ფუნქციონირებს მაღალი დონის კონფერენციები ოკეანის შესახებ და მე-14 მიზნის (ოკეანეების, ზღვების და ზღვის რესურსების შენარჩუნება და რაციონალური გამოყენება მდგრადი განვითარების ინტერესებში) მიღწევის ხელშეწყობისთვის, ხდება ნაბაყოფლობითი ვალდებულებების რეესტრის წარმოება ზღვებისა და ოკეანეების მდგრადობისთვის (სულ 164/8 ვალდებულება). ორგანიზაციის ეგიდით მიმდინარეობს საზღვაო გარემოს მდგომარეობის გლობალური შეფასება სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების ჩათვლით. გაეროს გენერალურმა ანსამბლემ დაადგინა 2021-2030 წლებში ჩაატაროს მეცნიერების საერთაშორისო ათწლეული ოკეანის შესახებ მდგრადი განვითარების ინტერესებში.

**ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია** – ამ ორგანიზაციის ფარგლებში 2019 წლიდან ხორციელდება ჰორიზონტალური ინიციატივა „sustainable ocean for all“- მდგრადი ოკეანე ყველასთვის, რომელიც მიმართულია პოლიტიკური ინსტრუმენტების შემუშავებაზე საზღვაო გარემოს მდგრადი გამოყენებისთვის, პლასტიკური დაბინძურების პრობლემის გადასაწყვეტად უკანონო, შეუთანხმებელი და დაურეგულირებადი რეწვისთვის და სანაპირო ინფრასტრუქტურის მდგრადობის გაზრდისთვის.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია აწარმოებს მონაცემთა ბაზას მდგრადი „ლურჯი ეკონომიკის“ სფეროში, შეიმუშავებს ოკეანის ეკონომიკის ინდიკატორებს და ახდენს ინფორმაციის აგრეგირებას საზღვაო გარემოს მდგრადი მართვის საუკეთესო პრაქტიკების შესახებ [2].

**აზია-წყნარი ოკეანეების ეკონომიკური თანამშრომლობა** – 2014 წელს კორეის სახალხო რესპუბლიკაში შედგა აზია-წყნარი ოკეანეების თანამშრომლობის სამინისტრო შეხვედრა ოკეანეების საკითხებზე, რომლის ჩარჩოებში შეთანხმდა 47 ქმედება ოთხ პრიორიტეტულ სფეროში: სანაპირო და ზღვის ეკოსისტემების შენარჩუნება და სტიქიური უბედურებების მიმართ მდგრადობა; ოკეანის როლი სასურსათო უსაფრთხოებისა და ვაჭრობისათვის; საზღვაო მეცნიერება, ტექნოლოგიები და ინოვაციები; „ლურჯი ეკონომიკის“ განვითარება [2].

2015 წელს ამ პროგრამის ფარგლებში მიღებულ იქნა „ლურჯი ეკონომიკის“ მოქმედების გეგმა, რომელიც მოიცავდა 25 ღონისძიებას, მიმართულს თევზის მარაგის შემცირების საშიშროებისაკენ, მართვის მდგრადი პრაქტიკების წინ წამოწევისაკენ და „ლურჯი ეკონომიკის“ ბაზრებისა და ვაჭრობის განვითარებისაკენ.

2019 წელს შემუშავებული იქნა 2 საგზაო რუქა: უკანონო, შეუთანხმებელი და დაურეგულირებადი რეწვის საწინააღმდეგო და ზღვის დაბინძურებასთან ბრძოლის, რომელსაც აზია-წყნარი ოკეანეების ეკონომიკური თანამშრომლობის ოკეანეებისა და მეთევზეობის სამუშაო ჯგუფი კურირებს.

**არქტიკული საბჭო** – არქტიკული საბჭოს ჩარჩოებში (შედის კანადა, დანია, ფინეთი, ისლანდია, ნორვეგია, რუსეთი, შვეცია და აშშ) 1998 წლიდან მოქმედებს მდგრადი განვითარების სამუშაო ჯგუფი, რომელიც ცდილობს მდგრადი განვითარების წამყვანი ძალა გახდეს არქტიკაში. ისლანდიის ხელმძღვანელობით 2019 წელს მდგრადი განვითარების სამუშაო ჯგუფმა ამოქმედა პროექტი „ლურჯი ბიოეკონომიკა არქტიკის რეგიონში“, რომელიც მიზნად ისახავს ზღვის რესურსების გამოყენების რისკებს და შესაძლებლობების ანალიზს, აგრეთვე რეკომენდაციების შემუშავებას არქტიკის განახლებადი რესურსების უფრო მეტად ეფექტური გამოყენების მიზნით.

ნებისათვის. პროექტის რეალიზება ხდება ისლანდიაში, ნორვეგიაში, ჩრდილოეთ კანადაში და ალიასკაზე (აშშ).

არქტიკის საბჭოს მუშაობის ერთ-ერთი მიმართულება არქტიკაში საზღვაო გადაზიდვების ტრენდის შესწავლა და მონიტორინგი, მ.შ. ჩრდილოეთის ზღვის გზით, საქმიანობა მიმდინარეობს არქტიკული ზღვის გარემოს დაცვის სამუშაო ჯგუფის მიერ.

**აზიის განვითარების ბანკი** – აზიის განვითარების ბანკის 2030 სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტს „ჯანსაღი ოკეანები“ წარმოადგენს. 2019 წელს აზიის განვითარების ბანკმა დაიწყო სამოქმედო გეგმა „ჯანსაღი ოკეანებისა“ და მდგრადი „ლურჯი ეკონომიკის“ კუთხით, რომლის რელიზაცია ფასდება 5 მლრდ აშშ დოლარით. იმედოვნებენ, რომ მოცემული გეგმის ფარგლებში გაიზრდება დაფინანსება და ტექნიკური დახმარება პროექტებისათვის 2019-2024 წლების პერიოდში, პარტნიორების მხრიდან თანადაფინანსების გათვალისწინებით. მოცემული გეგმის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკი იწყებს ოკეანების ფინანსირების ინიციატივას – კერძო სექტორების ხელშეწყობისათვის ინვესტირება მოახდინონ „ლურჯი ეკონომიკის“ დარგების მდგრად პროექტებში. ინიციატივის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკისა და სხვა დონორებისაგან პროექტების ტექნიკური და ფინანსური რისკების შესამცირებლად გაიცემა გრანტები ტექნიკურ დახმარებასა და ფინანსირებაზე. აზიის განვითარების ბანკი გეგმავს გამოიყენოს ისეთი ინსტრუმენტები, როგორცაა „ლურჯი ობლიგაციები“ და საკრედიტო რისკის გრანტები.

2021 წელს აზიის განვითარების ბანკისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ შეიქმნა სუფთა და მდგრადი ოკეანეების პარტნიორობა აზიურ-წყნარი ოკეანის რეგიონში აღნიშნული პროექტების მხარდასაჭერად.

**მსოფლიო ბანკი** – მსოფლიო ბანკის აქტიური პორტფელი „ლურჯი ეკონომიკის“ კუთხით დაახლოებით 5 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. პროექტები ეხება მეთევზეობის მსხვილი რეგიონული პროგრამების განხორციელებას აფრიკასა და წყნარ ოკეანეში, აგრეთვე საზღვაო გარემოს დაბინძურების წყაროებთან ბრძოლას და სანაპირო რაიონების განვითარების მხარდაჭერას მთელს მსოფლიოში.

„ლურჯი ეკონომიკის“ საერთო პროგრამის რეალიზაციის ფარგლებში მსოფლიო ბანკმა 2018 წელს მრავალდონიანი სასტარტო ფონდი Problue შექმნა. ეს ფონდი დაფინანსებას ღებულობს ნორვეგიიდან, შვედეთიდან, ისლანდიიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, კანადიდან, დანიიდან და აშშ-დან. დონორებმა ფონდზე 150 მლდ აშშ დოლარი გამოყვეს 2005 წლიდან მსოფლიო ბანკი ახდენს მდგრადი მეთევზეობის გლობალური პროგრამის ProFish რეალიზაციას. ამ პროგრამის ფარგლებში ხდება საერთაშორისო დახმარების გაწევა ისეთ ინიციატივებზე, როგორცაა მდგრადი თევზჭერის სფეროში და წყლის რესურსების გამოყენებაზე.

**ევროპის საინვესტიციო ბანკი** – ევროპის საინვესტიციო ბანკის და ევროკომისიის ინიციატივა მიმართულია იმ სტარტაპებისა და მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებისაკენ, რომლებიც აქტიურად ფუნქციონირებენ „ლურჯი ეკონომიკის“ დარგებში. 2020 წელს blueInvest Day-ის კონფერენციის ფარგლებში ბრიუსელში შეიქმნა blueInvest-ის ფონდი 75 მლნ ევროს ოდენობით.

2019 წელს ევროპის საინვესტიციო ბანკმა აამუშავა მდგრადი ოკეანეების სტრატეგია (Blue sos), მდგრადი ოკეანეების პროექტების დაფინანსების გაზრდის ვალდებულებებით 2,5 მლრდ ევრომდე 5 წლის განმავლობაში.

ევროპის საინვესტიციო ბანკი ახდენს ინვესტიციების რეალიზებას „მწვანე“ საზღვაო გადაზიდვებში. 10 წლის განმავლობაში ევროპის საინვესტიციო ბანკმა გაიღო 2 მლრდ ევროს ინვესტირება და მხარი დაუჭირა 6 მლრდ ევროს ინვესტიციებს. შექმნა „მწვანე“ საზღვაო გადაზიდვების 2 ინსტრუმენტი: „მწვანე“ საზღვაო გადაზიდვების გარანტირების პროგრამა და „მწვანე“ საზღვაო გადაზიდვებისათვის სესხის მიცემის პროგრამა ატმოსფეროში ნაოსნობისაგან მავნე გამონახობის შემცირების მიზნით.

ევროპის საინვესტიციო ბანკი მონაწილეობს ევროპაში ქარის ოფშორული ენერჯის პროექტების 40%-ის ფინანსირებაში (დაახლოებით 11 მლრდ ევრო). აგრეთვე ბანკი აფინანსებს ფინური სტარტაპის Wave Roller -ის ტექნოლოგიის ფინანსირებას, ტალღის ენერჯის სფეროში, სადაც იგეგმება 10 მლნ ევროს ინვესტირება.

**ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი** – წარმოადგენს რამდენიმე ლურჯი ეკონომიკის ფორმირების პრინციპების მონაწილეს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი აგრძელებს თავის მისიას ხელი შეუწყოს ზღვის ბუნებრივი კაპიტალის მდგრად ლურჯ მომავალს და სამუშაოს მიმართავს წყლის და ზღვის რესურსების დაცვისა და მდგრადი გამოყენებისაკენ.

დღეისათვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პირდაპირი ინვესტიციები „ლურჯი ეკონომიკის“ სექტორებში 7,37, მლრდ. ევროს შეადგენს (პროექტის მთლიანი ღირებულება 20,9 მლრდ ევროა). ძირითადად ეს ეხება წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემებს (დაახლოებით 870 მლნ. ევრო); მყარი ნარჩენების მართვას (დაახლ. 770 მლნ ევრო); და სანაპირო ინვესტიციებს უძრავ ქონებასა და ტურიზმში (დახ. 330 მლნ ევრო).

რაც შეეხება ტექნოლოგიების გადაცემას, ბანკი მხარს უჭერს ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვას უფრო მეტად სუფთა სანაპიროებისა და წყლის სისტემებისათვის ხმელთაშუაზღვის რეგიონში ეკოლოგიური ტექნოლოგიების გადაცემას თავისი პროგრამის ჩარჩოში. ეს პროგრამა ხორციელდება გაეროს გარემო ბუნების დაცვის პროგრამასთან ერთად და ფინანსირდება გლობალურ ეკოლოგიურ ფონდთან ერთობლივად. ის აერთიანებს ინვესტიციებს, რომლებიც მიმართულია ტექნიკური დახმარებისაკენ, პოლიტიკური დიალოგისა და შესაძლებლობების გაფართოების ღონისძიებებისაკენ.

თანამშრომლობა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციებთან გრძელდება მდგრადი საზღვაო ტრანსპორტის ფინანსირების ინიციატივის ფარგლებში. ეს ინიციატივა უზრუნველყოფს რეგულარულ დიალოგს დაინტერესებულ მხარეებს შორის საზღვაო ნაოსნობის სფეროში ფინანსური პრობლემების გადაწყვეტისას, რომლებიც დაკავშირებულია გადაზიდვის სექტორის შედარებით მდგრად და მყარ მომავალზე გადასვლასთან [Sumaila, U.R.,...2020].

ამას გარდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს გააჩნია დიდი გამოცდილება ჩამდინარე წყლების გასუფთავების ეფექტიანი საშუალებების ინვესტირებაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია წყლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის და „ლურჯი ეკონომიკის“ დაცვისთვის. ბოლო წლებში ბანკმა გამოყო 70 მლნ ევრო ინვესტიციებზე ჩამდინარე წყლების გაწმენდის თანამედროვე სისტემებში. ძირითადად ევროკავშირის ფინანსური ინსტრუმენტებთან პარტნიორობით ბულგარეთის, ხორვატიის და რუმინეთის 7 ქალაქში.

„ლურჯი ეკონომიკის“ სფეროში ინიციატივები აგრეთვე ძალზედ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, როგორც შავი ზღვის აუზის ქვეყნებისთვის.



საკვები ნარჩენებით მარალი დაბინძურების გამო, ასევე პლასტმასით და ზღვის ნარჩენებით დანაგვიანების შედეგად მნიშვნელოვნად იკლებს შავი ზღვის გარემოს ხარისხი.

გარემოს დაბინძურების გამოწვევების საპასუხოდ მსოფლიო ბანკი და მისი პარტნიორები აქტიურად ჩაებნენ რეგიონული მიდგომების დაგეგმვაში და გლობალური გარემოს დაცვითი ფონდის დაფინანსებით ჩამოაყალიბეს შავი ზღვის გალურჯების რეგიონული პროექტი.

შავი ზღვის გალურჯების პროექტი საერთო საზღვაო დღის წესრიგის და მისი 7 ხელმოწერი ქვეყნის – ბულგარეთი, მოლდოვა, რუმინეთი, საქართველო, რუსეთის ფედერაცია, უკრაინა და თურქეთი – მხარდასაჭერ ინიციატივას წარმოადგენს. პროექტი მიზნად ისახავს რიგი ქმედებების წამოწყებას ეროვნულ დონეზეც, რაც მოლოდაში, საქართველოში, უკრაინასა და თურქეთში უნდა განხორციელდეს. აღნიშნულ პროექტს კოორდინაციას შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნო უწევს. პროექტი შესაბამისობაში უნდა იყოს მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ პრინციპებთან და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მოთხოვნებთან.

2019 წელს ბუქარესტში, შავი ზღვის „საერთო საზღვაო დღის წესრიგის“ მხარდასაჭერად, გაიმართა ბულგარეთის საქართველოს, მოლდოვას, რუმინეთის, რუსეთის ფედერაციის, თურქეთისა და უკრაინის მინისტრების და ვიცე-მინისტრების შეხვედრა. „საერთო საზღვაო დღის წესრიგი შავი ზღვისთვის“ ევროკომისიის მიერ ინიცირებული პროცესის შედეგია, რომელიც მიზნად ისახავს შავი ზღვის სინერგიას. „საერთო საზღვაო დღის წესრიგის“ მხარდასაჭერად, 2019 წლის მაისში საფუძველი ჩაეყარა აგრეთვე შავი ზღვის სტრატეგიული კვლევისა და ინოვაციების დღის წესრიგს, კვლევებისა და ინოვაციების მხარდასაჭერად, ისეთ სფეროებში, როგორცაა: ბიომრავალფეროვნება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და ახალი ადგილობრივი, ეროვნული და ტრანსსასაზღვრო პოლიტიკური ღონისძიებები [Taylor S. et al. 2017].

„საერთო საზღვაო დღის წესრიგის“ განხორციელებას მხარს უჭერენ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია და შავი ზღვის კომისია. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მიზანია მრავალმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ინიციატივების მეშვეობით ხელი შეუწყოს წევრს ქვეყნებს შორის ჰარმონიულ ურთიერთობებს.

თანამშრომლობის ორგანიზაციას საფუძველი ჩაეყარა როგორც რეგიონული საკუთრების ინიციატივას, მას შემდეგ, როდესაც 1992 წლის 25 ივნისს, სტამბოლში გამართულ შეხვედრაზე ხელმოწერილი იქნა სამიტის დეკლარაცია და ბოსფორის დადგენილება. შავი ზღვის კომისია ჩამოაყალიბდა ბულგარეთის, საქართველოს, რუმინეთის, რუსეთის ფედერაციის და უკრაინის ერთობლივი შეთანხმებით 1992 წელს, ხოლო მოგვიანებით განხორციელდა შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენციის რატიფიკაცია, რომელიც „ბუქარესტის კონვენციის“ სახელითაა ცნობილი. აღნიშნული წარმოადგენს ძირითად ჩარჩო ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს: დაბინძურების სახმელეთო წყაროების კონტროლს; ნარჩენების ზღვაში ჩაყრას და ავარიულ შემთხვევებზე ერთობლივ რეაგირებას.

„საერთო საზღვაო დღის წესრიგის“ მხარდასაჭერად, მსოფლიო ბანკი საფუძველს უყრის შავი ზღვის გალურჯების პროგრამას, რომლის მიზანს შავ ზღვაში ლურჯი ეკონომიკების ინვესტირების პროცესის დაჩქარება წარმოადგენს. შავი

ზღვის გალურჯების პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც საინვესტიციო, ისე ანალიტიკური კომპონენტები და საწყის ეტაპზე აქცენტი კეთდება შავი ზღვის დაბინძურების შემცირებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს, თურქეთის, უკრაინისა და ბულგარეთის ასოციაციებმა შავი ზღვის აუზში ქარის ოფშორული ენერჯის დარგში ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება გააფორმეს. საქართველო ქარის ენერჯის განვითარებით, მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპას, თუმცა პოტენციალი ამ მიმართულებით არსებობს, რომლის ათვისებაც ბაზრის ამოქმედებით და შესაბამისი მხარდაჭერის მექანიზმების გამოყენებით შესაძლებელია.

### დასკვნა

მსოფლიოს დღის წესრიგში საკმაოდ მწვავედ დგას საკითხი ოკეანის ეკოსისტემის სწრაფი დეგრადაციის პირობებში რესურსების არარაეგულირებადი მოპოვების, ზღვის ორგანიზმების საარსებო არეალის განადგურების, კლიმატის ცვლილების, წყლის დაბინძურებისა და მდგრადი მართვის პრაქტიკაზე გადასვლის შესახებ. აღნიშნულ პრობლემებს ეკოლოგიური ხასიათის გარდა დიდი ფინანსური დანაკარგები გააჩნიათ, როგორც კერძო სექტორისთვის, ისე სახელმწიფოსთვის.

სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებით, ოკეანეები და ზღვები უზრუნველყოფენ საკვებით დედამიწის მოსახლეობის 10-12%-ს. კლიმატის დცლილების მთავრობათაშორისი პანელის ჯგუფის შეფასებით, ოკეანეები ადამინის მიერ გამომუშავებული ნახშირორჟანგის 30%-ს შთანთქავენ. უზარმაზარი პოტენციალის მატარებელია ოკეანის განახლებადი ენერჯია. სწორედ ამიტომ, გლობალური აქტუალური ტენდენციის ფონზე, როგორცაა: ეკონომიკური ზრდის ახალი წყაროების ძიება, მდგრად განვითარებაზე გადასვლა, გლობალური და ეროვნული მიზნების მიღება ნახშირორჟანგის გამოფრქვევის შემცირებისათვის, „ლურჯი ეკონომიკის“ განვითარებისადმი ყურადღება მუდმივად იზრდება, ისევე, როგორც იმ პროექტებისა და საერთაშორისო ინიციატივების რიცხვი, რომლებიც მის პრაქტიკულ რეალიზაციასთან არის დაკავშირებული.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. ლაზარაშვილი, ნ. კაკულია. „ლურჯი ეკონომიკის“ პოტენციალი და შესაძლებლობები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი მე-8 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: “გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში”, თბილისი, 2023, 3 ნომერი.
2. Blue growth: unlocking the potential of the oceans (H2020-BG-2014-2015), Blue Growth: demonstrating an ocean of opportunities (H2020-BG-2016-2017), Blue Growth: sustainably harvest the potential of aquatic and marine resources, while protecting biodiversity and enhancing climate resilience (H2020-BG-2018-2020).
3. Sumaila, U.R., Walsh, M., Hoareau, K. et al. Financing a sustainable ocean economy. Nat Commun 12, 3259 (2021). <https://doi.org/10.1038/s41467-021-23168-y>
4. P. Ramirez-Monsalve, J Van Tatenhove ‘Mechanisms of power in maritime spatial planning processes in Denmark, Ocean & Coastal Management’ (2020).

5. Taylor S. et al. (2017). Eunomia. Green Jobs in the Blue Economy – A Bottom-up Approach. No 11.066100/2015/716324/SFRA/ENV.C2 . Final Report to DG Environment of the European Commission.
6. The EU Blue Economy Report 2022. European Union, 2022.
7. <http://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=&cat=pers&leng=ge&adgi=1528&title>  
ნესტან ვარშანიძე ოლურჯი ეკონომიკის განვითარების მიმდინარე ტენდენციები და გამოწვევები
8. <https://oceanfdn.org/ka> მდგრადი ლურჯი ეკონომიკა.

***Tea Lazarashvili***

*Doctor of Economics, CIU Associate Professor;*

***Irine Mamaladze***

*GTU professor*

## INTERNATIONAL INITIATIVES IN THE "BLUE ECONOMY"

### Expanded Summary

"Blue economy" is aimed at the sustainable development of sectors related to the use of the resources of the world's oceans and seas, and implies the world's aspiration to achieve a balance between further economic growth, ensuring the social well-being of the Earth's population, and ecological security.

Irrational use of the living environment always leads to the destruction of other "services" or valuable resources. In order to ensure the sustainable use of coastal and marine resources, it is important to determine and analyze the relationship between ecosystems, economic activities, and climate change processes. That is why in the process of work of international organizations and the formation of the national development strategy, the issue of the development of the "blue economy" occupies an important place, which cannot be implemented without international initiatives in this field.

Oceans offer great opportunities for humans to exploit resources because the ocean's renewable energy, which includes wave, tidal, offshore wind, etc. It has a huge potential.

Marine and coastal ecosystems are characterized by a wide range of useful properties, which can be attributed to:

- resources for aquaculture;
- opportunities for tourism and recreation;
- living environment of valuable marine organisms;
- stabilization of coastal lines and protection from natural events;
- Resources for local production and global supply chain, etc.

Modern challenges put on the agenda the necessity of forming international approaches to its management, as a result of which new forms of international cooperation are created in the field of "blue economy", an international legal framework is formed for the utilization

of ocean resources, new mechanisms are formed for financing "blue economy" projects, increasing social and ecological sustainability; In order to evaluate the progress of the "blue economy" sectors, new indicators are being developed, etc.

The number of projects and international initiatives related to the practical realization of the development of the "blue economy" is constantly increasing. Notable among them are the principles and criteria of biotrade, additional recommendations for governments and companies for the organization of sustainable activities for the collection, production and commercialization of goods and services based on local biodiversity. By 2020, the principles were updated, their scope of application was expanded in terms of maritime goods and services. According to the UN, these principles have been implemented in more than 70 countries. Negotiations are underway within the World Trade Organization to stop subsidizing harmful fishing.

As part of the "International Maritime Organization Strategy for Reducing Greenhouse Gas Emissions", since 2018, members of the International Maritime Organization have agreed to reduce greenhouse gas emissions by at least 50% by 2050 compared to 2008. The International Chamber of Shipping and other maritime industry associations have proposed to create a research and development fund to support the reduction of greenhouse gas emissions in support of this initiative. The work of the fund can be financed by introducing a tax on the use of fossil fuels in shipping.

The issue of unregulated extraction of resources, destruction of the living area of marine organisms, climate change, water pollution and transition to sustainable management practices is quite hot on the world agenda. In addition to the environmental nature, the mentioned problems have large financial losses, both for the private sector and the state.

The Food and Agriculture Organization of the United Nations estimates that the oceans and seas provide food for 10-12% of the world's population. The Intergovernmental Panel on Climate Change estimates that the oceans absorb 30% of human-produced carbon dioxide. The renewable energy of the ocean carries enormous potential. That is why, against the background of the current global trend, such as: the search for new sources of economic growth, the transition to sustainable development, the adoption of global and national goals for the reduction of carbon dioxide emissions, the attention to the development of the "blue economy" is constantly increasing, as well as the number of projects and international initiatives that support it. It is related to practical implementation.

ՅՆՔՕՅՑՈ – TOURISM

*Ахундова Айтакин Гасан кызы*  
доктор философии по экономике,  
преподаватель кафедры «Мировая экономика»,  
Бакинский Государственный Университет

**SWOT-АНАЛИЗ РАЗВИТИЯ СОБЫТИЙНОГО ТУРИЗМА В РЕСПУБЛИКЕ  
АЗЕРБАЙДЖАН**

***Аннотация.** В статье проведено исследование и представлен SWOT-анализ развития событийного туризма в Азербайджане, включающий оценку сильных и слабых сторон, а также возможностей и угроз для данной отрасли. Этот анализ позволяет разработать эффективные стратегии для привлечения туристов и укрепления позиций региональных мероприятий. Азербайджан обладает значительным потенциалом для развития событийного туризма благодаря своему культурно-историческому наследию, выгодному географическому положению, уникальным традициям и государственной поддержке. В последние годы страна успешно организывает мероприятия как международного, так и локального масштаба. Однако развитие ограничивается недостаточно развитой инфраструктурой, нехваткой маркетинговых исследований, слабым взаимодействием между государственными, коммерческими и некоммерческими организациями, а также дефицитом квалифицированных кадров. Возможности заключаются в привлечении международных событий, активном продвижении страны на мировой арене, развитии новых туристических направлений и внедрении современных технологий. В то же время, основные угрозы включают геополитическую нестабильность, эпидемиологические риски, экономическую неопределенность и конкуренцию на глобальном уровне. В статье подчеркивается необходимость комплексного подхода для устойчивого развития событийного туризма в стране.*

***Ключевые слова:** событийный туризм, SWOT-анализ, развитие, Азербайджан, разработка мероприятий, стратегия, экономический рост.*

**Введение**

Туризм сегодня является важнейшим элементом мировой экономики, оказывая значительное влияние на развитие стран и регионов. Эта отрасль не только стимулирует экономический рост, создавая рабочие места и привлекая инвестиции, но и содействует развитию культурных и социальных связей между народами. За последние десятилетия туризм превратился в массовое явление, охватывающее все уголки планеты, наблюдается как значительное увеличение числа международных поездок, так и формирование новых тенденций в развитии этой сферы.

Данные статистики подтверждают устойчивый рост туризма, подчеркивая его важную роль в глобальном экономическом развитии. Сравнительно с 1950 г. люди на сегодняшний день стали путешествовать в 52 раза больше. И это стало возможным благодаря быстрому экономическому развитию, общему росту доходов, увеличению свободного времени, расширению авиасообщения и упрощению визовых процедур.

In the Q-Stat and Prob columns, the Ljung-Box Q-statistic value and the p-value for this statistic are provided. The Ljung-Box Q-statistic tests the null hypothesis of no autocorrelation for up to the k-th order or less (i.e., autocorrelation coefficients are equal). The k-th order Ljung-Box Q-statistic is calculated using the following formula:

$$Q = T(T+2) \sum_{k=1}^m \frac{r_k^2}{(T-k)}$$

T = number of observations

Rk= k-th order autocorrelation

m = number of lags tested

Since the p-value is greater than zero and less than 0.05, the null hypothesis of no autocorrelation among the levels of the time series cannot be rejected at a 99% confidence level, indicating the presence of autocorrelation.

Additionally, the Durbin-Watson statistic can be used to detect autocorrelation between levels of time series. For the multivariate regression models we constructed, the presence of autocorrelation between the levels of the time series was examined using the Durbin-Watson criterion.

To accomplish this, we first determined the critical bounds for the Durbin-Watson statistic based on the number of observations in the model (14 observations). According to the critical bounds table for the Durbin-Watson statistic, the segment [0.4] was divided into five parts, with the bounds set as  $d_L=1.05$ ,  $d_U=1.35$ ,  $d_L=1.05$  and  $d_U=1.35$ .

Table 6 shows that the observed value for the Durbin-Watson statistic is  $d_{obs}=1.004$ . Since  $0 < d_{obs}=1.004 < 1.05 < d_U=1.35 < 1.05 < d_{obs}=1.004 < 1.05$ , this indicates the presence of positive autocorrelation in the residuals.

**Table 6.**

**Mechanism for Testing the Durbin-Watson Statistic**

Positive auto-correlation of residuals exists.	Uncertainty zone	The absence of autocorrelation in residuals (desired condition).	Uncertainty Zone	Negative Auto-correlation in Residuals
	0      1.05	1.35	4-1.35=2.65	4-1.05=2.95

**Conclusion**

The analysis conducted reveals that modern econometric methods can be effectively applied to the study of processes occurring within the Azerbaijani economy. The macroeconomic indicators used in this research cover annual data from 2009 to 2022. The econometric model was constructed and analyzed using the EViews8 software package. Based on the results from the multivariate regression model analysis, it is evident that both investments and the influx of tourists have an impact on the GDP.

Unfortunately, despite Azerbaijan's diverse tourism potential, it has not yet fully transformed into a major tourism hub in the region. To meet the high demands of incoming tourists, it is necessary to conduct further research in the tourism sector and leverage the experiences of developed countries. Considering the strong competition in the tourism sector, entrepreneurs must ensure the continuous development and renewal of their services. This will enable them to align their offerings with the ever-increasing demands of tourists.

Econometric analysis has identified a strong dependency between the volume of investments in tourism-specific sectors and the number of tourists arriving in the country. To remain competitive in the coming years, special attention should be given to investments in hotels and restaurants.

**References**

1. Johansen, S. Statistical Analysis of Cointegration Vector //Journal of Economic Dynamics and Control, 1988, 12, p. 231—254.
2. Johansen, S., Juselius, K. Maximum Likelihood Estimation and Inference on Cointegration with Applications to the Demand for Money //Oxford Bulletin of Economics and Statistics, 1990, 52, p. 169—210.
3. Granger, C.W. Investigation Causal Relations Econometrics Models and Cross-Spectral Methods //Econometrica, 1969, 37, p. 424—439.



4. <https://www.stat.gov.az/>

5. Stephen J. Page. Tourism Management: An Introduction. 4-th edition Published by Elsevier. 2001

6. Technical Assistance for the Development of Tourism Strategy in Azerbaijan. Caspian Consulting Baku, 2006

*მირზაევა აიან იბრაჰიმი*

*„მსოფლიო ეკონომიკის“ კათედრის ლექტორი*

*ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*დოქტორანტი "საკონტროლო სისტემების ინსტიტუტში"*

**აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტურიზმის სექტორის ძირითადი ეკონომიკური  
მაჩვენებლების ეკონომეტრიული ანალიზი**

### **რეზიუმე**

ამ კვლევაში ანალიზდება აზერბაიჯანის ეკონომიკის მომსახურების სექტორებში დამატებული ღირებულების წილის ( $Y$ ) და ტურიზმთან დაკავშირებულ სექტორებში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის ( $X1$ ), სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში განთავსებული უცხოელებისა და მოქალაქეების არმქონე პირების რაოდენობის ( $X2$ ) და ამ დაწესებულებებში მათი დამისთვეების რაოდენობის ( $X3$ ) ურთიერთკავშირი. Eviews8 აპლიკაციური პროგრამული პაკეტის გამოყენებით, აშენდა რეგრესიის მოდელი, ანალიზდა გრაფიკული გამოსახულებები, გაანგარიშდა კორელაციის კოეფიციენტი და აღწერილი სტატისტიკა, და დაკვირდა დიკი-ფულერის ტესტის საშუალებით სადგურარობის არსებობა. დამატებით, განიხილებოდა დროის რიგების დონეებს შორის ავტოკორელაციის არსებობა. თეთრის ტესტის გამოყენებით გამოკვლეული იყო აგებული მოდელის ჰეტეროსკედასტიურობის არსებობა.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომეტრიული მოდელი, რეგრესიის განტოლება, ფიშერის  $F$  კრიტერიუმი, სტუდენტის  $T$  კრიტერიუმი, კორელაციის კოეფიციენტი, ჰეტეროსკედასტიურობა, სადგურარობა, დიკი-ფულერის ტესტი.

*თენგიზ ვერულავა*

*მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
ჯანდაცვის პოლიტიკის ინსტიტუტი, ბიზნესის სკოლა, კავკასიის  
უნივერსიტეტი*

**ინფორმაციის როლი ადამიანის ქცევის ჩამოყალიბებაში**

**ანოტაცია.** ინფორმაციით სავსე სამყაროში მნიშვნელოვანია ინფორმაციის ცვალებადი გავლენის შესწავლა ადამიანის ქცევაზე და გადაწყვეტილების მიღებაზე. ადამიანის ცხოვრება რიცხვების, გრაფიკების და ცვლადების რთულ ლაბირინთშია მოქცეული. ინფორმაციას შეუძლია წარმართოს ჩვენი არჩევანი, გავლენა მოახდინოს ჩვენს გადაწყვეტილებებზე. თუმცა, ინფორმაციის გავლენა ყოველთვის არ არის სარგებლიანი. ზოგჯერ ინფორმაციას შეცდომაში შეჰყავს ადამიანი, ამახინჯებს ჩვენს აღქმას რეალურ სამყაროს შესახებ და გვაქცევს გარკვეული იდეოლოგიურ ჩარჩოებში. ინფორმაციამ შეიძლება მიგვიყვანოს იმ გადაწყვეტილებამდე, რომელსაც შესაძლოა ნებაყოფლობით არ ვირჩევთ.

სტატიის მიზანია იმ კრიტიკული როლის შესწავლა, რომელსაც ინფორმაცია ასრულებს ადამიანის ქცევის ჩამოყალიბებაში. ხელმისაწვდომი და შესაბამისი ინფორმაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქცევის ცვლილებაზე. საჭიროა ეფექტური საინფორმაციო სტრატეგიების ჩამოყალიბება საზოგადოებაში ნდობისა და მაღალი ჩართულობის გარემოს შესაქმნელად.

**საკვანძო სიტყვები:** ინფორმაცია, ადამიანის ქცევა, ინფორმაციული მართვა, ყალბი ამბები.

**ადამიანის ქცევა და მასზე მოქმედი ფაქტორები**

ადამიანის ქცევა რთული და მრავალმხრივი ფენომენია, რომელზეც გავლენას ახდენენ ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორები. ქცევის გასაგებად საჭიროა ჰოლისტიკური მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს გენეტიკის, პიროვნული თვისებების, სოციალური ურთიერთობების, კულტურული ფონის, გარემო პირობებისა და ტექნოლოგიური ზემოქმედების ფაქტორებს. თითოეული ეს ფაქტორი ხელს უწყობს ადამიანის ქცევის მრავალფეროვნებასა და სირთულეს. ეს მრავალფაქტორული გაგება ხელს უწყობს არა მხოლოდ ადამიანის ქმედებების გააზრებას, არამედ ხელს უწყობს პოზიტიური ქცევის ცვლილებას. ქცევაზე მრავალფეროვანი გავლენის შესწავლით, ჩვენ შეგვიძლია შევიმუშაოთ უფრო ეფექტური სტრატეგიები კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად და ჯანსაღი საზოგადოების ხელშეწყობისთვის.

ქცევა არის ინდივიდის გენეტიკურ ინფორმაციასა და მის გამოცდილებას შორის რთული ურთიერთქმედების შედეგი. ბიოლოგიური ფაქტორების გავლენა მოიცავს გენეტიკურ მიდრეკილებებს, ჰორმონალურ ცვლილებებს, რაც მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ადამიანის აზროვნებაზე, გრძნობებზე და მოქმედებებზე. მაგალითად, ნეიროტრანსმიტერების დისბალანსი დაკავშირებულია განწყობის დარღვევებთან, როგორცაა დეპრესია და შფოთვა, რამაც თავის მხრივ შეიძლება გავლენა იქონიოს ისეთ ქცევაზე, როგორცაა სოციალური აგრესია.

ქვეყნის ჩამოყალიბებაში გავლენას ახდენენ ფსიქოლოგიური ფაქტორები, როგორებიცაა კოგნიტური დისონანსი და სოციალური იდენტობა. კოგნიტური დისონანსის თეორიის მიხედვით, ადამიანების მიერ თავიანთი გარემოს აღქმა პირდაპირ გავლენას ახდენს მათ რეაქციებსა და ურთიერთქმედებებზე. ემოციებმა, რომლებიც ხშირად განპირობებულია წარსული გამოცდილებით და ამჟამინდელი გარემოებებით, შეიძლება გამოიწვიონ სხვადასხვა სახის ქცევები. პიროვნული თვისებები, რომლებიც დროთა განმავლობაში შეიძლება იყოს შედარებით სტაბილური, აყალიბებენ ადამიანის ქცევას სხვადასხვა სიტუაციაზე რეაგირებისთვის. გარდა ამისა, განვითარების სტადია გავლენას ახდენს ქცევაზე, რადგან ადამიანები სხვადასხვა ასაკში ავლენენ ემოციური რეგულაციის, შემეცნებითი შესაძლებლობებისა და სოციალური უნარების სხვადასხვა დონეს (Silvers და სხვ., 2012).

სოციალური გავლენა ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყნის ფორმირებისთვის. ოჯახი, თანატოლები, კულტურა და სოციალური ნორმები ხელს უწყობს ქვეყნის განვითარებას. მცირე ასაკიდანვე ოჯახური გარემო და აღზრდის სტილი გადამწყვეტ როლს თამაშობს ბავშვის ქცევის ჩამოყალიბებაზე. მაგალითად, აღზრდა, რომელსაც ახასიათებს სითბო და სიყვარული, ხშირად ასოცირდება პოზიტიური ქცევის შედეგებთან, როგორებიცაა მაღალი თვითშეფასება და უკეთესი სოციალური უნარები. თანატოლების გავლენა უფრო გამოხატული ხდება მოზარდობის პერიოდში, როდესაც ინდივიდები შეიძლება შეესაბამებოდნენ საზოგადოების ნორმებს, რათა დათანხმდნენ ან უარი თქვან მათ გარშემო ჩამოყალიბებულ ქცევაზე.

კულტურული ფონი უზრუნველყოფს ღირებულებების, რწმენისა და პრაქტიკის ჩარჩოს, რომელიც წარმართავს ქცევას, ხშირად კარნახობს რა არის მიჩნეული მიზანშეწონილად ან შეუსაბამოდ მოცემულ კონტექსტში. სოციალურ ნორმებს, რომლებიც საზოგადოებაში ქცევის დაუწერელ წესებს წარმოადგენენ, შეუძლიათ ძლიერი გავლენის მოხდენა ინდივიდებზე. ამ ნორმებიდან გადახვევამ შეიძლება გამოიწვიოს სოციალური სანქციები, რაც კიდევ უფრო აძლიერებს შესაბამის ქცევებს.

### **გარემო პირობების გავლენა ქცევაზე**

გარემო ფაქტორები ასევე თამაშობს გადამწყვეტ როლს ქცევაზე. ფიზიკური გარემო, მათ შორის საცხოვრებელი პირობები, რესურსების ხელმისაწვდომობა და გარემოს ზემოქმედება მნიშვნელოვნად მოქმედებს ქცევაზე. მაგალითად, ადამიანებმა, რომელთა ცხოვრების პირობები არაადაპტაციური ფიზიკურია, ხოლო განათლებისა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა დაბალია, შეიძლება გამოავლინონ ქცევები, სადაც უფრო მეტად გამოხატულია სტრესი და გადარჩენის ინსტინქტი.

მწვანე სივრცეებისა და რეკრეაციული ობიექტების არსებობამ შეიძლება ხელი შეუწყოს ფიზიკურ აქტივობას და სოციალურ ინტერაქციას, ხოლო გადატვირთულობა ან სახიფათო გარემომ შეიძლება გამოიწვიოს აგრესიის გაზრდა და ანტისოციალური ქცევა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანმა ცხოვრებისეულმა მოვლენებმა, როგორცაა ტრავმა, შეიძლება ღრმა გავლენა მოახდინოს ქცევაზე.

ტექნოლოგიურმა მიღწევებმა ადამიანის ქცევის ახალ განზომილებებში შედეგის საშუალება მოგვცა. ინტერნეტისა და სოციალური მედიის ზრდამ შეცვალა ადამიანების კომუნიკაცია და ურთიერთქმედება, რაც ხშირად იწვევს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ქცევის შედეგებს. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიას შეუძლია ხელი შეუწყოს კავშირებს და უზრუნველყოს ინფორმაციის წვდომა, მას ასევე შეუძლია ხელი შეუწყოს კიბერბულინგს და სოციალურ იზოლაციას. ონ-

ლან ინტერაქციის ანონიმურობამ შეიძლება გამოიწვიოს დეზინფორმაციის გავრცელება და ინდივიდებს მცდარი გადაწყვეტილებებისკენ უბიძგოს. გარდა ამისა, ინფორმაციის მუდმივმა მიწოდებამ და შედარებამ სოციალურ მედიაში შეიძლება გავლენა იქონიოს თვითშეფასებასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

ქვევზე ასევე გავლენას ახდენს სიტუაციური ფაქტორები და უშუალო კონტექსტი. ავტორიტეტული ფიგურების არსებობა და სიტუაციური მინიშნებები შეიძლება გახდეს მოცემულ მომენტში ინდივიდების ქცევის მიზეზი.

გარდა ამისა, სწავლისა და წარსული გამოცდილების როლი არ შეიძლება შეუმჩნეველი იყოს. ქცევითი თეორიები ამტკიცებენ, თუ როგორ სწავლობენ ქცევას ასოციაციებით და გრძნობების გაძლიერებით. კლასიკური კონდიცირება ქცევითი თეორიაა, რომელიც გულისხმობს სწავლას ასოციაციის გზით, რომლითაც ნეიტრალური სტიმული ასოცირდება მნიშვნელოვან მოვლენასთან, რაც გავლენას ახდენს მომავალ ქცევაზე. მეორე მხრივ, ოპერაციული კონდიცირება ქცევითი თეორიაა, რომელიც გულისხმობს სწავლას შედეგებით, როდესაც ქცევის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს წამახალისებელი სტიმულები ან დასჯა. ეს სასწავლო პროცესები ფუნდამენტურია იმის გასაგებად, თუ როგორ ყალიბდება ქცევა.

### **ქცევის თეორიები**

ინფორმაციის როლის გააზრება ქცევის ჩამოყალიბებაში თეორიულ საფუძველს მოითხოვს. არსებობს ორი პოპულარული თეორია: დაგეგმილი ქცევის თეორია და სოციალური შემეცნებითი თეორია.

დაგეგმილი ქცევის თეორია ამტკიცებს, რომ ქცევას განაპირობებენ ზრახვები, რომლებიც გავლენას ახდენს დამოკიდებულებებზე, სუბიექტურ ნორმებსა და აღქმული ქცევის კონტროლზე. ამ ფაქტორებზე დამოკიდებულების ჩამოყალიბებით და ქმედებებზე კონტროლის გაზრდით, შეიძლება ინფორმაციამ მოახდინოს გავლენა (Bosnjak და სხვ., 2020).

დაგეგმილი ქცევის თეორია არის ფსიქოლოგიური თეორია, რომელიც განმარტავს, თუ როგორ იღებენ ადამიანები გადაწყვეტილებებს კონკრეტულ ქცევებში ჩართვისთვის. ამ თეორიის მიხედვით, არსებობს სამი ძირითადი ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანის განზრახვაზე განახორციელონ ქცევა, რაც თავის მხრივ, გავლენას ახდენს რეალურ მოქმედებაზე.

პირველი ფაქტორია დამოკიდებულება ქცევის მიმართ. ეს ეხება იმას, აქვს თუ არა ადამიანს ქცევის დადებითი ან უარყოფითი შეფასება. თუ ის თვლის, რომ ქცევა კარგი და სასარგებლოა, უფრო სავარაუდოა, რომ დააპირებს ამის გაკეთებას. მეორეც, არის სუბიექტური ნორმა, რაც გულისხმობს სოციალურ ზეწოლას ან სხვების გავლენას. თუ პიროვნების გარშემო მყოფი ადამიანები, როგორც არიან ოჯახი, მეგობრები ან კოლეგები, თვლიან, რომ ქცევა უნდა შესრულდეს, უფრო სავარაუდოა, რომ ადამიანი ამას გააკეთებს. მესამე, არის აღქმული ქცევის კონტროლი. ეს ეხება ადამიანის რწმენას თუ რამდენად ადვილი ან რთულია ქცევა. თუ ის დარწმუნებულია, რომ შეუძლია ამის გაკეთება და აკონტროლებს ქცევას, უფრო სავარაუდოა, რომ მან ეს გააკეთოს.

ეს სამი ფაქტორი - დამოკიდებულება, სუბიექტური ნორმა და აღქმული ქცევის კონტროლი - აყალიბებს პიროვნების განზრახვას. თუ განზრახვა ძლიერია, ადამიანი უფრო მეტად მოიქცევა ასე. მაგალითად, თუ ვინმეს სჯერა, რომ ვარჯიში კარგია მისი ჯანმრთელობისთვის (პოზიტიური დამოკიდებულება), მისი მეგობრები და ოჯახი მოუწოდებენ მას ვარჯიშისკენ (პოზიტიური სუბიექტური ნორმა) და

მათ სჯერათ, რომ შეუძლიათ ვარჯიში (მაღალი აღქმული ქცევის კონტროლი), უფრო სავარაუდოა, რომ აპირებენ ვარჯიშს და რეალურად აკეთებენ ამას (Hardin-Fanning & Ricks, 2017).

სოციალური შემეცნებითი თეორია, რომელიც შეიმუშავა ფსიქოლოგმა ალბერტ ბანდურამ, გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, ადამიანები თავიანთ სოციალურ გარემოში როგორ სწავლობენ და ვითარდებიან სხვებზე დაკვირვებით (Bandura, 2001). ამ თეორიის თანახმად, ინდივიდები სწავლობენ დაკვირვების გზით პროცესს, რომელიც ცნობილია როგორც მოდელირება, სადაც ისინი აკვირდებიან სხვების ქცევებს, დამოკიდებულებებს და ემოციურ რეაქციებს და შემდეგ ბაძავენ მათ. ამ დაკვირვების შესწავლაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მოდელის მახასიათებლები (მაგ., კომპეტენცია, სტატუსი), დამკვირვებლის მახასიათებლები (მაგ., თვითეფექტურობა, ყურადღება) და დაკვირვებული ქცევის შედეგები (მაგ., განმტკიცება).

ბანდურამ ასევე შემოიტანა თვითეფექტურობის ცნება, რომელიც გულისხმობს ადამიანის რწმენას კონკრეტულ სიტუაციებში წარმატების ან ამოცანების შესრულების უნარის შესახებ. მათი შესაძლებლობების ეს რწმენა გავლენას ახდენს მოტივაციაზე, ძალისხმევასა და ახალი უნარების სწავლის ჟინზე, უფრო მეტიც, სოციალური კოგნიტური თეორია ხაზს უსვამს პიროვნულ ფაქტორებს (აზრები, ემოციები), ქცევებს და გარემოზე გავლენებს შორის ურთიერთქმედებას, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეს ფაქტორები ერთობლივად აყალიბებენ ადამიანის ქცევას. ამრიგად, სოციალური კოგნიტური თეორია გვთავაზობს ყოვლისმომცველ ჩარჩოს იმის გასაგებად, თუ როგორ ურთიერთქმედებენ ყურადღებით სწავლა, საკუთარი თავის რწმენა და სოციალური გავლენები, რათა ჩამოყალიბდეს ქცევა ყოველდღიური ცხოვრების მრავალფეროვან კონტექსტში (Bandura, 1986).

### **ინფორმაციის გავლენა ქცევაზე**

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ინფორმაცია მოქმედებს როგორც სტიმული, რომელსაც ინდივიდები ამუშავებენ აღქმის, ყურადღების და შემეცნების მეშვეობით. კოგნიტური ფსიქოლოგიის ცნობილი თეორიები ხაზს უსვამენ იმას, თუ როგორ ურთიერთქმედებს ინფორმაცია ადამიანის ფსიქიკასთან, რათა გავლენა იქონიოს გაგებასა და ქცევაზე. კოგნიტური დისონანსის კონცეფცია გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება კონფლიქტურმა ინფორმაციამ გამოიწვიოს დისკომფორტი და ასევე ქცევითი ცვლილებები. უფრო მეტიც, სოციალური ფსიქოლოგია გვთავაზობს აზრს იმის შესახებ, თუ როგორ ახდენს სოციალური ნორმები, ჯგუფის დინამიკა და თანატოლების გავლენა ცვლილებას ქცევაზე. დაგეგმილი ქცევის თეორია ხაზს უსვამს რწმენისა და დამოკიდებულების როლს ქცევითი ზრახვების ჩამოყალიბებაში, რაც მოიცავს სოციალური ნორმებისა და მოლოდინების შესახებ ინფორმაციას.

ინფორმაციის გავრცელება მედია და საკომუნიკაციო არხებით აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს, კოლექტიურ იდენტობას და სოციალურ მოძრაობებს. მედია არა მხოლოდ ასახავს საზოგადოების ინტერესებს, არამედ ადგენს დღის წესრიგს გარკვეული საკითხების ხაზგასმით, რითაც გავლენას ახდენს საჯარო დისკუსიასა და პოლიტიკურ დღის წესრიგზე (Gilardi და სხვ., 2021).

სოციოლოგიური თეორიები, როგორიცაა სოციალური კონსტრუქტივიზმი, ხაზს უსვამს, თუ როგორ ხდება სხვადასხვა თემებში ინფორმაცია დამოუკიდებელი, რაც გავლენას ახდენს კოლექტიურ ქცევებზე. საინფორმაციო ქსელის ეფექტები

ასახავს, თუ როგორ ვრცელდება ინფორმაცია სოციალურ ქსელებში, რაც აძლიერებს მის გავლენას ინდივიდუალურ და ჯგუფურ ქცევაზე (Luarn და სხვ., 2014).

მეცნიერება შეისწავლის, თუ როგორ მოქმედებს ინფორმაციის დამუშავება გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე. მაგალითად, ქცევითი ეკონომიკა იკვლევს, თუ როგორ იღებენ ინდივიდები გადაწყვეტილებებს გაურკვევლობისა და არასრულყოფილი ინფორმაციის პირობებში. პერსპექტივის თეორია გვიჩვენებს, თუ რა განსხვავებულად აფასებენ ინდივიდები პოტენციურ დანაკარგებს და მიღწევებს იმის მიხედვით, თუ როგორ არის წარმოდგენილი ინფორმაცია მათ გონებაში.

ემპირიული კვლევის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ კარგად შემუშავებულ ინფორმაციას შეუძლია ცოდნის გაძლიერება, ცოდნის დამოკიდებულებების შეცვლა და მოტივაციის ამაღლება ინდივიდებში. თუმცა, ინფორმაციის ეფექტურობა დამოკიდებულია მის შესაბამისობაზე, სიცხადესა და წყაროს სანდოობაზე.

საინფორმაციო კამპანიები, რომლებიც უზრუნველყოფენ მკაფიო, ქმედით ნაბიჯებს, უფრო ეფექტურია ქცევის ცვლილების ხელშეწყობისთვის, ვიდრე ის, რომელიც მხოლოდ ცნობიერების ამაღლებას უწყობს ხელს (Wakefield და სხვ., 2010). ასევე, უკუკავშირი წარმატებული საინფორმაციო კამპანიის გადაწყვეტი კომპონენტია, რადგან ის ეხმარება ინდივიდებს თავიანთი ქმედებების გაგებაში (Hardavella და სხვ., 2017).

### **ინფორმაციის გავრცელების სტრატეგიები**

ინფორმაციის ეფექტური გავრცელება არის ხიდი ცოდნასა და მოქმედებას შორის, რაც საშუალებას აძლევს ადამიანებს გააკეთონ არჩევანი უფრო ჯანსაღი ქცევის ჩამოყალიბებისთვის. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ძირითადი სტრატეგია, რომლებიც გასათვალისწინებელია:

**ტრადიციული მედია:** გაზეთები, ტელევიზია და რადიო ათწლეულების განმავლობაში გამოიყენება ინფორმაციის გასავრცელებლად. ეს არხები ეფექტურია ფართო აუდიტორიისთვის, მაგრამ შეიძლება არ ჰქონდეს ინტერაქტიულობა. ტრადიციულ მედიას, როგორცაა საჯარო განცხადებები, რეკლამები და დოკუმენტური ფილმები, შეუძლია აამაღლოს ცნობიერება და მიაწოდოს ინფორმაცია რიგი საკითხების შესახებ. თუმცა მათი ცალმხრივი კომუნიკაციის ფორმატი ზღუდავს აუდიტორიის ჩართულობისა და გამოხმაურების შესაძლებლობებს, რაც შესაბამისად ამცირებს გავლენას ინდივიდებზე.

**ციფრული მედია:** სოციალური მედიის პლატფორმები, ვებსაიტები და მობილური აპლიკაციები გვთავაზობენ ინფორმაციის ინტერაქტიულ და მიზანმიმართულ გავრცელებას. ციფრული მედია საშუალებას იძლევა მივიღოთ განახლებული ინფორმაცია და გამოვიყენოთ აუდიტორიასთან ჩართულობა. სოციალური მედიის პლატფორმები, როგორებიცაა Facebook, Twitter და Instagram, საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს გააზიარონ ინფორმაცია, ჩაერთონ აუდიტორიასთან და შექმნან ონლაინ თემები რიგი საკითხების გარშემო. მობილური აპლიკაციებით მომხმარებლებს შეუძლიათ მიიღონ პერსონალიზებული ინფორმაცია და ინსტრუმენტები, რათა თვალყური ადევნონ მათთვის საინტერესო და მათზე მორგებულ ინფორმაციას, რაც კიდევ უფრო ზრდის ინდივიდზე ინფორმაციის ზემოქმედებას.

**ინფლუენსერების როლი:** ინფლუენსერებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ საზოგადოების აღქმისა და ქცევის ჩამოყალიბებაზე. ინფლუენსერებს და სოციალური მედიის წამყვან სახეებს, ასევე, სახელმწიფო ლიდერებს და ექსპერტებს, თავიანთი პლატფორმების საშუალებით, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ

დიდ აუდიტორიაზე, მიაწოდონ სანდო ინფორმაცია და თავიანთ ქსელში მხარი დაუჭირონ სხვადასხვა პრაქტიკას. ვინაიდან და რადგანაც მათი მიმდევრები მიდრეკილნი არიან მათი ქცევისა და მანერების გამეორებისკენ, ეს გზა მეტად ეფექტურია საზოგადოების ქცევის ცვლისა და მდგრადი განვითარების პრაქტიკაში.

### **ყალბი ამბები და მათი გავლენა ქცევაზე**

ყალბი ამბები გახდა თანამედროვე საინფორმაციო ლანდშაფტის ფართოდ გავრცელებული ელემენტი, განსაკუთრებით, სოციალური მედიის პლატფორმების ფართო გამოყენების შემდგომ, რომლებიც ხელს უწყობენ ინფორმაციის სწრაფ გავრცელებას. ეს ფენომენი მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის საზოგადოებას, გაარჩიოს ფაქტობრივი და ყალბი ინფორმაცია, რამაც შეიძლება ღრმა გავლენა იქონიოს ქცევისა და გადაწყვეტილების მიღებაზე. მნიშვნელოვანია გავეცნოთ ყალბი ამბების ბუნებას, მის ფსიქოლოგიურ გავლენას ინდივიდებსა და შემდგომ მათ ქცევაზე.

ყალბი ამბები ეწოდება ცრუ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას, რომელიც წარმოდგენილია როგორც ახალი ამბები. ის შექმნილია მკითხველების მოსატყუებლად და ხშირად ვრცელდება პოლიტიკური, ფინანსური ან სოციალური მიზნებისთვის (Beauvais, 2022). ყალბი ამბები შეიძლება შეგვხვდეს მრავალი ფორმით, მათ შორის შეთითხნილი ისტორიები, შეცვლილი სურათები და შეცდომაში შემყვანი სათაურები. ყალბი ამბების ძირითადი მახასიათებლები მოიცავს:

ყალბი ამბები შექმნილია მკითხველების მოსატყუებლად და ხშირად ვრცელდება პოლიტიკური, ფინანსური ან სოციალური მიზნებისთვის. ყალბი ამბები შეიძლება შეგვხვდეს მრავალი ფორმით, მათ შორის შეთითხნილი ისტორიები, შეცვლილი სურათები და შეცდომაში შემყვანი სათაურები. ყალბი ამბების ძირითადი მახასიათებლებია:

- **განზრახ დაგეგმილი ტყუილი:** დეზინფორმაციისგან განსხვავებით, რომელიც არის არასწორი ინფორმაცია და ვრცელდება შემთხვევით დაგეგმვის გარეშე, ყალბი ამბები შეგნებულად არის შეთხზული, რათა შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება.

- ყალბი ამბები ხშირად შექმნილია სენსაციური და განმაცვიფრებელი ხასიათით, მასში ასევე მრავლადაა ემოციებზე თამაში, რათა სოციალური მედიის პლატფორმებზე მეტი გაზიარება იყოს.

- ყალბი ამბები ხშირად ბაძავს ავტორიტეტული ახალი ამბების წყაროების სტილსა და ფორმატს, რათა გაზარდოს თავისი სანდოობა.

ყალბი ამბების გავრცელების რამდენიმე განსხვავებული მეთოდი არსებობს:

- **მიკერძოება:** ადამიანებს უფრო მეტად სჯერათ და უზიარებენ ინფორმაციას სხვებს, თუ არსებული ინფორმაცია მათ გონებაში დალექილი ინფორმაციის მცირედი ნაწილია. ეს მიკერძოება განსაკუთრებით ხშირია ყალბი ამბების კონტექსტში, რადგან ინდივიდები ხშირად ექვემდებარებიან მსგავსი ტიპის ინფორმაციას.

- **ინფორმაციის ხელმისაწვდომობა:** ადამიანები მიდრეკილნი არიან გადაჭარბებულად შეაფასონ მათთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის მნიშვნელობა. სოციალური მედიის პლატფორმებზე ყალბი ამბების მუდმივმა განახლებამ შეიძლება ყალბი ინფორმაცია უფრო გავრცელებული და სანდო გახადოს. შესაბამისად, ადამიანი რაც უფრო ხშირად იღებს სხვადასხვა ფორმით ცრუ ინფორმაციას, უფრო მაღალია შანსი ის ამ ინფორმაციის მსხვერპლი გახდეს.

• **ილუზორული სიმართლის ეფექტი:** ცრუ ინფორმაციის განმეორებითმა ჩვენებამ შეიძლება გამოიწვიოს აღქმა, რომ ის სიმართლეა. ამ ეფექტს ამჟღავნებს სოციალური მედიის ალგორითმული ბუნება, რომელიც ხშირად იმეორებს ერთი და იმავე შინაარსის ინფორმაციას. ამ შემთხვევაში მოქმედებს ადამიანის გონებაში დაღუპილი ინფორმაცია და ის ხელს უწყობს ადამიანს აფიქრებინოს, რომ ინფორმაცია სანდოა.

ყალბი ამბები ხშირად მოქმედებს ადამიანის განწყობაზე. ის იმგვარადაა შექმნილი, რომ მართავს ემოციებს და აღვიძებს არარაციონალურობას, იყენებს შიშს, ბრახს ან ზიზს ძლიერი რეაქციების გამოსაწვევად (Martel და სხვ., 2020). ემოციურმა აღზნებამ შეიძლება შეაფერხოს კრიტიკული აზროვნება, რაც აიძულებს ადამიანებს უფრო მეტად მიიღონ ცრუ ინფორმაცია შემოწმების გარეშე. მაგალითად, ყალბი ახალი ამბების სიუჟეტებმა ჯანმრთელობის ან პოლიტიკური სკანდალების შესახებ შეიძლება გამოიწვიოს შფოთვა ან შიში, რის შედეგადაც გაიზიარებენ და ირწმუნებენ ყალბ ინფორმაციას.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ყალბი ამბების გავლენა პოლიტიკურ ქცევაზე. ყალბმა ამბებმა შეიძლება გამოიწვიოს პოლიტიკური შეხედულებების პოლარიზაცია, შეამციროს ნდობა ტრადიციული მედიისა და ინსტიტუტების მიმართ და გავლენა მოახდინოს არჩევნების შედეგებზეც კი.

ყალბი ამბები ასევე მოქმედებს ჯანმრთელობაზე. მაგალითად, ვაქცინების შესახებ დეზინფორმაციის გავრცელებამ ხელი შეუწყო ვაქცინაციის ყოყმანს და მის საწინააღმდეგო ქმედებების გავრცელებას (Ngai და სხვ., 2022). ყალბმა ამბებმა შეიძლება შეცვალოს სოციალური ქცევები სოციალური საკითხების შესახებ საზოგადოების აღქმის ფორმირებით. მაგალითად, იმიგრაციის შესახებ დეზინფორმაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს ქსენოფობიას და დისკრიმინაციულ ქცევებს (Conzo და სხვ., 2021). ყალბმა ამბებმა ასევე შეიძლება შეარყიოს სოციალური ერთიანობა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში უნდობლობის გაღვივებით (Ecker, 2022).

განათლების ამაღლება გადამწყვეტი ნაბიჯია ყალბი ამბების გავლენის წინააღმდეგ საბრძოლველად. განათლებას შეუძლია ინდივიდები აღჭურვოს ინფორმაციის კრიტიკულად შეფასების, მიკერძოების ამოცნობისა და წყაროების გადამოწმების უნარ-ჩვევებით. მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება სხვადასხვა დონეზე, როგორც სკოლებში, ასევე უნივერსიტეტებში და ზრდასრულთა სწავლების სხვადასხვა პლატფორმებზე, რათა ხელი შეუწყოს საზოგადოების კრიტიკულ დამოკიდებულებას ინფორმაციის მიმართ.

ორგანიზაციები, რომლებიც იკვლევენ ფაქტებს, სასიცოცხლო როლს თამაშობენ ყალბი ამბების გარკვევაში. პლატფორმები, როგორებიცაა Snopes, FactCheck.org და PolitiFact ამოწმებენ ინფორმაციის მიმართ წაყენებულ პრეტენზიებს და საზოგადოებას აწვდიან ზუსტ ინფორმაციას. სოციალური მედიის კამპანიებს ასევე შეუძლიათ მიიღონ შემოწმების ზომები, როგორებიცაა სადავო შინაარსის მონიშვნა და გადამოწმებული ინფორმაციის ბმულების მიწოდება (Graves, 2018).

სოციალური მედიის პლატფორმებს შეუძლიათ გამოიყენონ ალგორითმები ყალბი ამბების აღმოსაჩენად და გავრცელების შესაზღუდად. ალგორითმებს შეუძლიათ ყალბ ამბებთან დაკავშირებული შაბლონების იდენტიფიცირება, როგორიცაა სენსაციური ენა ან სანდო წყაროების არარსებობა და შეამცირონ მათი ხილვადობა ინტერნეტსივრცეში (Pennycook & Rand, 2019). თუმცა ამ მიდგომამ უნდა დააბა-



ლანსოს სიზუსტის აუცილებლობა ცენზურასა და სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, რათა არ შეიზღუდოს რეალური ინფორმაცია და სიტყვის თავისუფლება.

მიზანმიმართული ინფორმაციის ზემოქმედება მდგრადი ქვეყნის ძლიერი კატალიზატორია (Silberer და სხვ., 2020). სოციალური მედიის გავლენა საკმაოდ დიდია საზოგადოებაზე. სოციალური მედია და ონლაინ პლატფორმებს, როგორც ინფორმაციის პირველად წყაროს აქვთ მკვეთრი უპირატესობა. შემდეგ ადგილზეა საგანმანათლებლო დაწესებულებები, ტრადიციული მედია და სხვა წყაროები. ძირითად წყაროდ სახელდება სოციალური მედიის ისეთი პლატფორმები, როგორებიცაა ფეისბუქი და ინსტაგრამი. დროული და საინტერესო შინაარსის მიწოდების უნარისთვის, ეს პლატფორმები წარმოიჩინდა როგორც საკითხების ეფექტურად გარდაქმნის გასაგები და მიმზიდველი ნარატივი.

ქვეყნის ცვლილებაზე მნიშვნელოვან გავლენას ინფორმაციის წყაროების სანდოობა. ინფორმაციის მორგება კონკრეტულ აუდიტორიასთან რეზონანსისთვის და სანდო მესიჯოქმედების გამოყენება გამოვლინდა, როგორც შეუცვლელი საყრდენი ეფექტური საინფორმაციო კამპანიების განვითარებისთვის. სოციალური მედიის უზარმაზარი ძალის გამოყენებით, ინდივიდუალურ საჭიროებებზე ინფორმაციის მორგებით და სანდო წყაროებით ნდობის გაძლიერებით, ადამიანებს ეძლევათ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების უფლება. აღნიშნული ქმედებები გზას უხსნიან უფრო მდგრადი მომავლის მშენებლობას.

### დასკვნა

ამგვარად, ინფორმაცია დღევანდელ სამყაროში არის ქვეყნის ჩამოყალიბების კრიტიკული მამოძრავებელი. შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა დადებითად მოქმედებს დამოკიდებულებებზე, აღქმულ სოციალურ ნორმებსა და ქვეყნის კონტროლზე, რაც ხელს უწყობს ქვეყნის ჩამოყალიბებას.

ციფრული მედია ეფექტური მექანიზმია არსებული საჭიროებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში. სოციალური მედიის პლატფორმები გამოიყენება, როგორც მძლავრი იარაღები, ისინი ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე ტრადიციული მეთოდები, ასევე შინაარსის მიწოდებისთვის ინტერაქტიული და მიმზიდველია. ამ თანამედროვე მედია საშუალებებს აქვს პოტენციალი მნიშვნელოვნად გაზარდოს ცოდნა და ეფექტურად შეცვალოს ქვეყნა.

მიზნობრივი კამპანიები ბევრად უფრო ეფექტურია კონკრეტულ აუდიტორიაზე წვდომისა და გავლენის თვალსაზრისით. მაგალითად, შეტყობინებები, რომლებიც ეხმოდნენ მოზარდებს, შეიძლება განსხვავდებოდეს იმ შეტყობინებებისგან, რომლებიც მიმართულია ხანდაზმულებზე ან ოჯახებზე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შეტყობინებების მორგება კონკრეტულ დემოგრაფიულ ჯგუფებზე, როგორებიცაა ასაკი, განათლების დონე და გეოგრაფიული მდებარეობა, რათა გაიზარდოს შესაბამისობა და გავლენა. ამ მიზანმიმართულ მიდგომას შეუძლია გაზარდოს საინფორმაციო კამპანიების ეფექტურობა.

სოციალური მედიის პლატფორმები გთავაზობთ უამრავ ინსტრუმენტს მიმზიდველი შინაარსის შესაქმნელად, როგორებიცაა ვიდეო, ინფოგრაფიკა და ინტერაქტიული პოსტები. ორგანიზაციებს შეუძლიათ გამოიყენონ ეს ინსტრუმენტები ინფორმაციის ეფექტურად გასავრცელებლად, დისკუსიების წახალისებისა და მდგრადობის საკითხების ირგვლივ საზოგადოების ჩართულობის გასაძლიერებლად. სოციალური მედიის ინტერაქტიული და მიმზიდველი ბუნების გამოყენებით

ორგანიზაციებს შეუძლიათ შექმნან პლატფორმა ცოდნის გაზიარებისთვის, კითხვებზე პასუხის გასაცემად და მდგრადობისადმი ერთგული საზოგადოების შესაქმნელად.

საზოგადოებისათვის ცნობილ სახეებთან პარტნიორობამ შეიძლება მნიშვნელოვნად გააფართოვოს საინფორმაციო კამპანიები და გააძლიეროს მათი სანდოობა. ინფლუენსერებს შეუძლიათ გაუზიარონ პირადი ისტორიები თავიანთი პრაქტიკის შესახებ, მოუწოდონ თავიანთ მიმდევრებს მოქმედებისკენ და აჩვენონ მდგრადი ქცევების ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩართვის სიმარტივე და ეფექტურობა. თუმცა, აუცილებელია იმის უზრუნველყოფა, რომ ეს პიროვნებები სანდოები იყვნენ მათი მიმდევრებისთვის. ინფლუენსერებს შეუძლიათ გაზარდონ გავლენა და შეცვალონ ქცევითი მოდელი სხვადასხვა კამპანიებით მათ მიერ დამკვიდრებული ნდობისა და გავლენის საფუძველზე.

ინფორმაცია უნდა იყოს ადვილად გასაგები. სხვადასხვა სახის გაიდლაინების და რჩევების მიწოდება საშუალებას აძლევს ადამიანებს განახორციელონ კონკრეტული ქმედებები მდგრადობის მიმართულებით. არ არის სასურველი აუდიტორიის გადატვირთვა ზედმეტი ინფორმაციის ან ტექნიკური ჟარგონის გამოყენებით. ამის ნაცვლად, ყურადღება უნდა გამახვილდეს მკაფიო, პრაქტიკული ნაბიჯების შეთავაზებაზე. ქმედითი ინფორმაციის მიწოდებას შეუძლია გაზარდოს ინფორმაციის როლი ადამიანის ქცევის ჩამოყალიბებაში.

უკუკავშირის მექანიზმებს შეუძლია მოტივაცია გაუწიოს ინდივიდებს შეცვალონ თავიანთი ქცევა. აღიარება და ჯილდოები, როგორებიცაა სერტიფიკატები ან საჯარო აღიარება, კიდევ უფრო აძლიერებს პოზიტიური ქმედებებს. გამოხმაურებისა და უკუკავშირის გაძლიერების გამოყენებამ შეიძლება გაზარდოს მოტივაცია ინდივიდებისთვის, მიიღონ მდგრადი პრაქტიკა.

ამგვარად, ინფორმაცია არის საყრდენი, რომელზედაც აგებულია ადამიანის ქცევა. მკაფიო, რელევანტური და უადრესად სანდო ინფორმაციის გავრცელებით საზოგადოებას აქვს ძალა, ხელი შეუწყოს ყველასთვის უფრო მდგრადი მომავლის მშენებლობას.

სამომავლოდ ძირითადი აქცენტი უნდა იყოს მიმართული ზედმიწევნით მორგებული საინფორმაციო კამპანიების განვითარებაზე. ეს კამპანიები დიდი ყურადღებით უნდა იყოს შემუშავებული, რათა მოერგოს სხვადასხვა აუდიტორიის სპეციფიკურ საჭიროებებსა და მისწრაფებებს. სანდო წყაროების გამოყენება უმნიშვნელოვანესია, რადგან ეს ხელს უწყობს ნდობისა და მაღალი ჩართულობის გარემოს. ინფორმაციის ეფექტური სტრატეგიები წარმოადგენს უფრო მდგრადი სამყაროსკენ ადამიანის ქცევის მნიშვნელოვანი და გრძელვადიანი ცვლილებების კატალიზატორს.

### გამოყენებული ლიტერატურა

Bandura, A. (2001). Social cognitive theory: An agentic perspective. *Annual Review of Psychology*, 52, 1–26. <https://doi.org/10.1146/annurev.psych.52.1.1>.

Beauvais C. Fake news: Why do we believe it? *Joint Bone Spine*. 2022 Jul;89(4):105371. doi: 10.1016/j.jbspin.2022.105371.

Bosnjak M, Ajzen I, Schmidt P. The Theory of Planned Behavior: Selected Recent Advances and Applications. *Eur J Psychol*. 2020 Aug 31;16(3):352–356. doi: 10.5964/ejop.v16i3.3107.

Conzo, P., Fuochi, G., Anfossi, L. et al. Negative media portrayals of immigrants increase ingroup favoritism and hostile physiological and emotional reactions. *Sci Rep* 11, 16407 (2021). <https://doi.org/10.1038/s41598-021-95800-2>.

Ecker, U.K.H., Lewandowsky, S., Cook, J. et al. The psychological drivers of misinformation belief and its resistance to correction. *Nat Rev Psychol* 1, 13–29 (2022). <https://doi.org/10.1038/s44159-021-00006-y>

Gilardi, F., Gessler, T., Kubli, M., & Müller, S. (2021). Social Media and Political Agenda Setting. *Political Communication*, 39(1), 39–60. <https://doi.org/10.1080/10584609.2021.1910390>

Graves, L. (2018). Boundaries not drawn: Mapping the institutional roots of the global fact-checking movement. *Journalism Studies*, 613–631.

Hardin-Fanning F, Ricks JM. Attitudes, social norms and perceived behavioral control factors influencing participation in a cooking skills program in rural Central Appalachia. *Glob Health Promot*. 2017 Dec;24(4):43-52.

Hardavella G, Aamli-Gagnat A, Saad N, Rousalova I, Sreter KB. How to give and receive feedback effectively. *Breathe (Sheff)*. 2017 Dec;13(4):327-333. doi: 10.1183/20734735.009917.

Martel C, Pennycook G, Rand DG. Reliance on emotion promotes belief in fake news. *Cogn Res Princ Implic*. 2020 Oct 7;5(1):47. doi: 10.1186/s41235-020-00252-3.

Pennycook, G., & Rand, D. G. (2019). Fighting misinformation on social media using crowdsourced judgments of news source quality. *Proceedings of the National Academy of Sciences*, 116(7), 2521–2526.

Pin Luarn, Jen-Chieh Yang, Yu-Ping Chiu (2014). The network effect on information dissemination on social network sites, *Computers in Human Behavior*, 37:1-8. <https://doi.org/10.1016/j.chb.2014.04.019>.

Silberer J, Müller P, Bäumer T, Huber S. Target-Oriented Promotion of the Intention for Sustainable Behavior with Social Norms. *Sustainability*. 2020; 12(15):6193. <https://doi.org/10.3390/su12156193>

Silvers JA, McRae K, Gabrieli JD, Gross JJ, Remy KA, Ochsner KN. Age-related differences in emotional reactivity, regulation, and rejection sensitivity in adolescence. *Emotion*. 2012 Dec;12(6):1235-47. doi: 10.1037/a0028297.

Wakefield MA, Loken B, Hornik RC. Use of mass media campaigns to change health

***Tengiz Verulava***

*Doctor of Medicine, Professor*

*Health Policy Institute, School of Business, Caucasus University*

## THE ROLE OF INFORMATION IN SHAPING HUMAN BEHAVIOR

### Expanded Summary

In a world full of information, it is important to study the changing influence of information on human behavior and decision making. Human life is a complex maze of numbers, graphs and variables. Information can guide our choices, influence our decisions. However, the influence of information is not always beneficial. Sometimes information

misleads people, distorts our perception of the real world, and puts us in certain ideological frameworks. Information can lead us to decisions that we may not choose voluntarily.

The purpose of the article is to explore the critical role that information plays in shaping human behavior. Accessible and relevant information has a significant impact on behavior change. There is a need to develop effective information strategies to create an environment of trust and high involvement in the community.

Information is a critical driver of behavior in the world. Access to relevant information positively affects attitudes, perceived social norms, and behavioral control, which help shape behavior.

Fake news is false or misleading information presented as news. It is designed to deceive readers and is often disseminated for political, financial or social purposes (Beauvais, 2022). Fake news can come in many forms, including fabricated stories, altered images, and misleading headlines.

Fake news also affects health. For example, the spread of misinformation about vaccines has contributed to hesitancy and anti-vaccination (Ngai et al., 2022). Fake news can change social behaviors by shaping public perceptions of social issues. For example, misinformation about immigration can contribute to xenophobia and discriminatory behaviors (Conzo et al., 2021). Fake news can also undermine social cohesion by instilling distrust among different social groups (Ecker, 2022).

Increasing education is a crucial step in combating the influence of fake news. Education can equip individuals with the skills to critically evaluate information, recognize bias, and verify sources. It is advisable to implement educational programs at different levels, both in schools and universities and on different platforms of adult education, to promote a critical attitude of society towards information.

Social media platforms can use algorithms to detect and limit the spread of fake news. Algorithms can identify patterns associated with fake news, such as sensationalist language or lack of credible sources, and reduce their visibility online (Pennycook & Rand, 2019). However, this approach must balance the need for precision concerning censorship and freedom of speech, so as not to limit real information and freedom of speech.

Digital media is an effective mechanism for disseminating information about current needs. Social media platforms are used as powerful tools, they are much more effective than traditional methods, and they are interactive and engaging for content delivery. These modern media have the potential to significantly increase knowledge and effectively change behavior.

Targeted campaigns are much more effective in reaching and influencing a specific audience. For example, messages that resonate with teenagers may differ from messages that target seniors or families. Therefore, it is important to tailor messages to specific demographic groups such as age, education level, and geographic location to increase relevance and impact. This targeted approach can increase the effectiveness of information campaigns.

Social media platforms offer many tools for creating engaging content, such as videos, infographics, and interactive posts. Organizations can use these tools to effectively disseminate information, encourage discussions, and strengthen public engagement around sustainability issues. By leveraging the interactive and engaging nature of social media, or-

ganizations can create a platform to share knowledge, answer questions, and build a community committed to sustainability.

Partnerships with public figures can significantly expand information campaigns and strengthen their credibility. Influencers can share personal stories about their practices, call their followers to action, and demonstrate the ease and effectiveness of incorporating sustainable behaviors into everyday life. However, it is necessary to ensure that these personalities are credible to their followers. Influencers can increase influence and change behavioral patterns with different campaigns based on the trust and influence they have established.

Information should be easy to understand. Providing different types of guidelines and advice enables people to take specific actions towards sustainability. It is not desirable to overwhelm the audience with too much information or technical jargon. Instead, the focus should be on offering clear, practical steps. Providing actionable information can increase the role of information in shaping human behavior.

Feedback mechanisms can motivate individuals to change their behavior. Recognition and rewards, such as certificates or public recognition, further reinforce positive actions. The use of feedback and feedback reinforcement can increase motivation for individuals to adopt sustainable practices.

Thus, information is the foundation upon which human behavior is built. By disseminating clear, relevant and highly reliable information, society has the power to help build a more sustainable future for all.

In the future, the main focus should be on the development of carefully tailored information campaigns. These campaigns must be carefully designed to suit the specific needs and aspirations of different audiences. Using trusted sources is critical because it fosters an environment of trust and high engagement. Effective information strategies are catalysts for significant and lasting changes in human behavior toward a more sustainable world.

**Keywords:** information, human behavior, information management, fake news.

**შრომის ბაზრის ეკონომიკა – LABOR MARKET ECONOMICS**

**მზია შელია**

ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის  
სახლობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
მკვლევარი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ნათია ჭელიძე**

ასოცირებული პროფესორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი  
მკვლევარი, თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრი

**მოსახლეობის აღრიცხვის სრულყოფის შესახებ**

**ანოტაცია.** მოსახლეობის აღრიცხვის აუცილებლობის მოთხოვნის გაჩენიდან დღემდე მუდმივად იხვეწებოდა მოსახლეობის აღრიცხვის პროგრამები, მათ შორის, საქართველოშიც. ეს საკითხი ამჟამადაც აქტუალურია ჩვენი ქვეყნისათვის. კერძოდ, პოსტსაბჭოთა პერიოდის აღწერებისას მიღებული შედეგები, განსაკუთრებით, მოსახლეობის მიგრაციაზე მიღებული ინფორმაცია მუდმივი კრიტიკის ობიექტი გახდა.

ნაშრომში განხილულია ისტორიულად რა პროგრამით აღრიცხავდნენ მოსახლეობას საქართველოში, როგორ ხდებოდა ამ პროგრამების სრულყოფა პოსტსაბჭოთა პერიოდში. გაანალიზებულია ის ხარვეზებიც, რაც ახასიათებდა ბოლო, საქართველოს 2014 წლის აღწერას და დღევანდელ მოსახლეობის მიმდინარე აღრიცხვას. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მიუხედავად იმ ნაკლისა, რაც ახასიათებდა ემიგრაციის აღრიცხვას, ფინანსური და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, მიზანშეუწონელია მისი აღურიცხაობა მოსახლეობის 2024 წლის აღწერისას, მისი ამოღება მოსახლეობის აღწერის პროგრამიდან; დადგენილია, რომ, მოსახლეობის დათვლა მხოლოდ ერთი კატეგორიის, მუდმივი მოსახლეობის მიხედვით არ უნდა მოხდეს. გარდა ამისა ქვეყნის კრიტიკული დემოგრაფიული ვითარებიდან გამომდინარე, დემოგრაფიული უსაფრთხოების მიზნით, უნდა აღდგეს მიმდინარე აღრიცხვისას დაზარებულთა ეროვნულ ჯრილში აღრიცხვა, მოსახლეობის შესახებ სრული და ზუსტი ინფორმაციის მიღებისათვის კი საჭიროა საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებდეს ისეთ სამართლებრივ ნორმებს, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს აღურიცხავი მოსახლეობის რიცხვს.

**საკვანძო სიტყვები:** მოსახლეობის აღწერა, მოსახლეობის მიმდინარე აღრიცხვა, დემოგრაფია, მიგრაცია

**შესავალი**

მოსახლეობის აღრიცხვა ახალი მოვლენა არ არის. ის ცივილიზებულ სამყაროში პერიოდულად ტარდებოდა სამხედრო თუ სამეურნეო მიზნით. საყოველთაო აღწერები კი მე-18 საუკუნიდან იღებენ სათავეს. დროთა განმავლობაში იხვეწებოდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროგრამებიც წინა აღწერის დროს დაშვებული შეცდომების გათვალისწინებით დროის მოთხოვნის შესაბამისად. ეს ცვლილებები დამახასიათებელი იყო საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო

აღწერებისათვისაც. მაგალითად, 1990-იან წლებში მკვეთრად გაუარესებული დემოგრაფიული ვითარების გათვალისწინებით 2002 წლის აღწერის კითხვარში შეიტანეს კითხვა „მოსალოდნელ ბავშვთა რაოდენობის“ შესახებ, „რელიგიური კუთვნილების შესახებ“. 2014 წლის აღწერისას - „ჯანმრთელობის შესახებ“. ამავე დროს, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოთხოვნიდან გამომდინარე იგივე წელს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პარალელურად ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო აღწერაც. იგივე ღონისძიება დაგეგმილი 2024 წლის საყოველთაო აღწერის დროსაც.

პოსტსაბჭოთა პერიოდში მოსახლეობის სტატისტიკის სრულყოფის ღონისძიებათა მიუხედავად, ჯერჯერობით, მაინც რჩება ზოგიერთი ნაკლოვანება, რისი დანახვა და დროული აღმოფხვის ღონისძიებათა განსაზღვრა გახდა ამ სტატისტიკის მიზანი.

### კვლევის შედეგი

საქართველოში მოსახლეობის საყოველთაო აღწერები 1897 წლიდან იწყება. თუმცა ივანე ჯავახიშვილი ნაშრომში „ხალხის აღწერის და შემოსავლის დავთრები საქართველოში“, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ასაბუთებს საქართველოში პერიოდული, 7 წელიწადში ერთხელ, მოსახლეობის აღწერის ტრადიციის არსებობას, მიუთითებს მოსახლეობის აღწერის არსებულ მიზნებზე (ფინანსური და სამხედრო), აღწერის პროგრამის არსებობაზე, აღწერის ფინანსური უზრუნველყოფის წყაროებზე. კერძოდ, მოსახლეობა აღიწერებოდა არა მარტო ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით, არამედ ოჯახური მდგომარეობის, სოციალური სტატუსის (წოდების), კუთვნილების (რომელ ფეოდალს ეკუთვნოდა), ხელობის (პროფესიის), ტერიტორიული მოძრაობის მიხედვითაც კი, მაგალითად, რამდენი ხიზანი<sup>1</sup> ან აყრილი<sup>2</sup> იყო ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში. მოსახლეობა აღირიცხებოდა ქალაქისა და სოფლის ჭრილშიც [ჯავახიშვილი, 1901].

იმ დროში გადასახადების აკრეფის მიზნით ჩატარებული აღწერა არ ითვალისწინებდა ე.წ. „შეუძლებელის“ (ბავშვების, ქალების, მოხუცების და ღარიბ დატაკთა) აღწერას. თუმცა „ზემოაღნიშნული დებულების მიუხედავად, დავთრებში ყველგან ობლები, ე.ი. უჰასაკონი, შეტანილნი არიან, ზოგან შეუძლებელიც აქა-იქ იხსენიება. ამას გარდა აყრილის და ამოვარდნილი საკომლოების შესახებაც მოიპოვება ცნობები. ობლებს იმიტომ იხსენიებდნენ, რომ საკომლოს წარმომადგენელნი არიან, დანარჩენი კი უჰასაკონი, აღნიშნულნი არ არიან. აყრილთა და ამოვარდნილთა აღწერაც საკომლოების აღრიცხვის მიზნით არის ნაკარნახევი. შეუძლებელთა შესახებ ცნობები ყველა დავთარში არ მოიპოვება, იქაც სადაც ცნობები გვხვდება, მაინც იშვითათ გამონაკლისს წარმოადგენს“ [ჯავახიშვილი, 1901].

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს იმასაც, რომ მე-19 საუკუნეში, 1801-1802 წლებში რუსეთის მიერ ჩატარებული კამერალური აღწერის პროგრამად ქართული დედანი აუღიათ, გადაურუსულებიან და „მოსახლეობა აღურიცხავთ ქართული სახელმწიფოებრიობის იმ დროისათვის ჯერ კიდევ გადარჩენილი აპარატის საშუალებით“. მე-17-18 საუკუნის აღწერის დავთრების მიმოხილვის საფუძველზე ივანე ჯავახიშვილი ასკვნის, რომ „ქართულ სახელმწიფოებრიობას თავის მოთხოვნილ-

<sup>1</sup> ხიზანი -გადმოსახლებული გლეხი, რომელსაც მიწა არ ჰქონდა და იჯარით აღებული მიწის დამუშავებით ირჩენდა თავს.

<sup>2</sup> აყრილი - გადასახლებული, წასული ბინადარი

ბათა შესაფერისად დემოგრაფია წესიერად ჰქონია მოწყობილი“ (ჯავახიშვილი, 1930:43). საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ საქართველოში მოსახლეობის არასწორი აღრიცხვა კანონმდებლობით ისჯებოდა. კერძოდ, თუ რომელიმე ფეოდალი ყმა ან კომლს დამალავდა, დაფარული ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში ფეოდალს ერთმეოდა ეს ყმა და ან სხვა ფეოდალის საკუთრება ხდებოდა, ან სახელმწიფო საკუთრებაში რჩებოდა. „მთავრობის ასეთი სიფხიზლე და სიმკაცრე ამგვარი დანაშაულებებისადმი ხალხის აღწერის დავთრების შედგენის დროს უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დავთრების ცნობათა ამ თვისების ნაკლი ნორმაზე საგრძნობლად მოჭარბებული არ უნდა ყოფილიყო“ [ჯავახიშვილი, 1930:48].

მაშასადამე, ჩვენს წინაპრებს სრულფასოვანი ინფორმაციის მისაღებად შესაბამისი მექანიზმიც ჰქონდათ შემუშავებული სამართლებრივი ნორმის სახით.

მოსახლეობის საყოველთაო აღწერისას ზუსტი ინფორმაციის მიღება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, რამდენად გაცნობიერებული აქვს მოსახლეობას საყოველთაო აღწერის მნიშვნელობა. თუ ის კეთილგანწყობილია აღწერის პროცესის მიმართ, მაშინ აქტიურად თანამშრომლობს და მონაცემთა ხარისხიც მაღალია. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი აქვს დიდ ცდომილებებს. მაგალითად, 5%-იანი ცდომილების შემთხვევაში ცუდი შედეგი გვაქვს (საქართველოსათვის ეს 185 000 კაცის აღურიცხაობას ნიშნავს), ხოლო 10% და მეტის შემთხვევაში სრულ კრახთან გვაქვს საქმე.

სხვადასხვა ქვეყნებში აღწერაში მონაწილეობის მიუღებლობა ან ცრუ ინფორმაციის მიწოდება სამართლებრივად ისჯება. მაგალითად, კანადაში ასეთი ადამიანი 500 დოლარით ჯარიმდება, ან სამთვიანი პატიმრობა ემუქრება ან კიდევ ორივე ერთად. აღწერის შემდეგ დგება იმ ადამიანთა სიები, ვინც არ მიიღო მონაწილეობა აღწერაში და გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს; ავსტრალიაში სააღწერო ფურცლის მიწოდების დაგვიანების შემთხვევაში ყოველ დაგვიანებულ დღეზე 100 დოლარია ჯარიმა; თურქეთში სანამ ამ ქვეყნის ბინადარი სააღწერო ფურცელს არ შეავსებს, ეკრძალება სახლიდან თუ სასტუმროდან გასვლა და ა.შ. [Проблема полноты учета населения при проведении переписи.: <https://istoriirossii.ru/rf/102-problema-polnoty-ucheta-naseleniya-pri-provedenii-perepisi.html>]

ჩვენი კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ ავალდებულებს საქართველოს ყველა მოქალაქესა თუ ბინადარს მოსახლეობის აღწერაში მონაწილეობის მიღებას და უტყუარი ინფორმაციის მიწოდებას, თუმცა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში არ აწესებს არანაირ სამართლებრივ სასჯელს.

თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის სრულფასოვანი საყოველთაო აღრიცხვის დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას, ბუნებრივია, ამ საგანზე უნდა ვიფიქროთ, მითუმეტეს, რომ ამის ისტორიული გამოცდილებაც გვაქვს. მითუმეტეს ყოველ აღწერის ჩატარების შემდეგ სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მხრიდან ისმის შენიშვნები ამა თუ იმ კატეგორიის მოსახლეობის აღრიცხვაში არსებული ნაკლოვანებების შესახებ. ჩვენ განსაკუთრებით გამოვყოფდით მიგრაციის აღრიცხვას, კერძოდ, გარე მიგრაციის აღრიცხვას, რადგან 1990-იანი წლების დასაწყისიდან ემიგრაცია საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა. მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ ქვეყნებს შორის მიმოსვლის ლიბერალიზაციის პირობებში, გააიოლა ქვეყნის დატოვება. ბუნებრივია, საერთაშორისო მიგრაციის აღრიცხვაც კიდევ უფრო საჭირო გახდა. საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით შემუშავდა მიგრანტ-



თა აღრიცხვის მეთოდოლოგია და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა დაიწყო ინფორმაციის დამუშავება მიგრაციის სალდოს ყოველწლიური მაჩვენებლისა; თუმცა ეს ხდებოდა მხოლოდ მთელი ქვეყნის მასშტაბით. სამწუხაროდ, დღემდე ვერ ხერხდება ინფორმაციის მოპოვება მუნიციპალიტეტის დონეზე, რაც საშუალებას მოგვცემდა თვალი მიგვედევნებინა ტერიტორიული განსახლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებისათვის და შეგვეფასებინა აღწერათაშორის პერიოდში ცალკეული მხარის და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცვლილების დინამიკა. ეს თავის მხრივ, საშუალებას მისცემდა ქვეყანას, უფრო ეფექტური რეგიონული პოლიტიკა შეემუშავებინა. ამავე დროს პოსტსაბჭოთა პერიოდის (2002, 2014 წლების) აღწერების პროგრამებში ჩაიდო ცალკე სააღწერო ფურცელი მიგრანტთა აღრიცხვისათვის. მიღებული შედეგები მკვლევართა კრიტიკის საგანი გახდა [წულაძე, 2007; მელაძე, 2018; სულაბერიძე, 2017; ტუხაშვილი, 2016 და ა. შ.]. აღმოჩნდა, რომ აღწერათაშორის პერიოდში მოსახლეობის კლება იმაზე ბევრად მეტი იყო, ვიდრე აღწერით აღრიცხული ემიგრანტთა მაჩვენებელი. მაგალითად, 1989-2002 წლების აღწერათაშორის პერიოდში მოსახლეობა შემცირდა 1 409 000 კაცით, 2002 წლის აღწერამ მხოლოდ 110 ათასი ემიგრანტი დააფიქსირა, 2002-2014 წლების აღწერათაშორის პერიოდში მოსახლეობა შემცირდა 587 000 კაცით, 2014 წლის აღწერამ მხოლოდ 88000 ემიგრანტი დააფიქსირა [2002 და 2014 წლის მოსახლეობის აღწერები]. როგორც ჩანს სხვა მიზეზებთან ერთად მოსახლეობამაც ნაკლებად ითანამშრომლა და აღმწერს არ მიაწოდა ინფორმაცია ოჯახიდან ემიგრაციაში წასულ წევრზე, რომ აღარაფერი ვთქვათ მთელი ოჯახის ემიგრაციაზე და მის აღურიცხობაზე.

რამდენადაც ემიგრანტთა რიცხვი რეალურად ვერ დგინდებოდა, ლოგიკურად გაჩნდა მოსაზრება, აღწერის პროგრამიდან ემიგრანტთა აღრიცხვის ამოღებაზე, ამ საკითხის ცალკე შერჩევითი კვლევის საგნად გახდომაზე.

მაგრამ ამ მოსაზრებამ ჩვენში ასეთი კითხვები გააჩინა: რამდენად იაფი იქნება ემიგრაციის ცალკე შერჩევითი კვლევით გამოკვლევა, ვიდრე მოსახლეობის აღწერის ფორმატში მისი აღრიცხვაა? რა პერიოდულობით ჩატარდება ის, 10 წელიწადში ერთხელ თუ ყოველწლიურად? შერჩევითი კვლევისას უფრო მეტად ითანამშრომლებს მოსახლეობა აღმწერთან, ვიდრე მოსახლეობის აღწერისას? რამდენად იქნება შესაძარისი აღწერის შემდეგ ჩატარებული შერჩევითი კვლევის მონაცემები მიგრაციის შესახებ?

ბოლო აღწერებით, მართალია ვერ ვადგენდით მიგრანტთა ზუსტ რიცხვს, მაგრამ სრულ და ბევრად სანდო ინფორმაციას ვიღებდით მათ სტრუქტურაზე, მოტივაციაზე და ა.შ.. 88000 კაცის შესახებ მიღებული ინფორმაცია ბევრად რეპრეზენტატიულია 10000 კაცის შესახებ მიღებულ ინფორმაციაზე. გარდა ამისა, სააღწერო პროგრამიდან მისი ამოღება მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ხარჯს არ ამცირებს, დამატებით ამ საკითხის კვლევა კი უფრო ამვირებს მას, ინფორმაციის სანდოობა კი არც შერჩევითი კვლევის დროსაა გარანტირებული. გარდა ამისა აღწერის დროს მიღებული მონაცემები უფრო შესაძარისი იქნება, ვიდრე აღწერის შემდგომ. ერთი ან ორი წლის მერე ჩატარებული კვლევის მასალა, რაც მის მნიშვნელობას შეამცირებს.

ბოლო დროს მოსახლეობის აღრიცხვის პრაქტიკაში სხვადასხვა ქვეყნები სულ უფრო მეტად ეძებენ მოსახლეობის აღრიცხვის ალტერნატიულ გზებს, რომელიც გააიაფებს ინფორმაციას მოსახლეობის შესახებ. მაგალითად, ჩრდილოეთ ევროპის

ქვეყნები ფართოდ იყენებენ ელექტრონულ რეგისტრებს, თუმცა პრაქტიკამ აჩვენა, რომ თუ ინფორმაცია მკაცრი იურიდიული კონტროლის ქვეშ არაა, ინფორმაციის სიზუსტე საეჭვო ხდება. ამიტომ დამატებით შერჩევით კვლევას ატარებენ. ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კლასიკური წესით, აღწერით მიღებული ინფორმაცია მოწმდება ყოველწლიურად ჩატარებული შერჩევითი კვლევებით. ისინი მდიდარი ქვეყნებია და ამის ფუფუნების უფლებაც აქვთ. საფრანგეთში 2004 წლიდან უარი თქვეს აღწერის ტრადიციულ ფორმატზე და მოსახლეობის აღრიცხვას ე.წ. გამჭოლი, მონაცვლეობითი მეთოდით აწარმოებენ და ა.შ. [Валенте, 2012]. მაგრამ რამდენად აქვს უფლება გაამვიროს მოსახლეობის შესახებ ინფორმაცია ქვეყანას, სადაც ერთ სულზე შემოსავალი რამდენჯერმე ჩამორჩება ზემოაღნიშნულ ქვეყნებში იგივე მაჩვენებელს, მითუმეტეს იმ პირობებში, როცა ცრუ ინფორმაციისგან დაცვის სამართლებრივი ნორმებიც არ გვაქვს შემუშავებული. ამიტომ, ჩვენი აზრით, სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ და შევქმნათ ისეთი სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, მინიმუმამდე დავიყვანოთ ცდომილებები. თუმცა მარტო ეს საკმარისი არ იქნება. ამასთან ერთად საჭიროა მოსახლეობის საყოველთაო აღწერას წინ უძღვოდეს ეფექტური სარეკლამო საქმიანობა, სააგიტაციო მუშაობა მოსახლეობაში, მისი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შესახებ. ვფიქრობთ, ეს საშუალებას მოგვცემს მოსახლეობის საყოველთაო აღწერით მიღებული ინფორმაციის ხარისხი ავამაღლოთ, ცდომილებები მინიმუმამდე დავიყვანოთ ისე, რომ ინფორმაციის გაძვირება არ მოხდეს.

მაშასადამე, ემიგრანტთა აღრიცხვის ამოღება მოსახლეობის აღწერის პროგრამიდან ფინანსურადაც და მეთოდოლოგიურადაც გაუმართლებლად მიგვაჩნია. ამ მონაცემთა დროულ მიღებას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების მდგრადობა დიდადაა დამოკიდებული ქვეყანაში მიგრაციული პროცესების დინამიკაზე.

შეუძლებელია არ აღვნიშნოთ 2014 წლის აღწერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლიც. ამ დროს აღიწერა მხოლოდ საქართველოს მუდმივი მოსახლეობა. არ აღიწერა ე.წ. „სახეზე მყოფი მოსახლეობა“.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სახეზე მყოფი მოსახლეობის კატეგორია ხმარებაში შემოიტანა ბელგიელმა დემოგრაფმა და სტატისტიკოსმა ა. კეტლემ 1846 წელს ბელგიაში ჩატარებული აღწერისას. ესაა აღწერის დროს ქვეყანაში არსებული ფაქტიური მოსახლეობა. ის მუდმივ მოსახლეობასთან ერთად მოიცავს იმ პირთ, ვინც დროებით იმყოფება მოცემულ ტერიტორიაზე აღწერის დროს. ესენი შეიძლება იყვნენ ტურისტები, საქმიანი ვიზიტით ჩამოსულნი, სტუმრები, ტრანზიტით მყოფნი, სეზონურ სამუშაოზე ჩამოსულნი და ა.შ.

სახეზე მყოფ ანუ ფაქტიური მოსახლეობის აღწერას ითვალისწინებს ჩვენი კანონმდებლობაც და გაეროს რეკომენდაციებიც. რატომ ვერ მოხერხდა მისი დათვლა ჩვენთვის გაუგებარია. თუმცა შევნიშნავთ იმას, რომ მისი განსაზღვრის აუცილებლობა მომდინარეობს შემდეგი გარემოებიდან: ფაქტიური მოსახლეობის რიგ-ხოვნობით განისაზღვრება მომსახურებისა და ტრანსპორტის განვითარების ტენდენციები. იმ შემთხვევაში, როცა ფაქტობრივ და მუდმივ მოსახლეობას შორის განსხვავება დიდია, მას შეუძლია სირთულეების გამოწვევა სატრანსპორტო მომსახურებაში, საზოგადოების მომსახურების სხვადასხვა სფეროში, ეს იქნება სასტუმროთა მომსახურება, სწრაფი საზოგადოებრივი კვების ობიექტები თუ კულტურულ-

გასართობი ცენტრები. იმ ქვეყნებში, სადაც მუდმივ და ფაქტობრივ მოსახლეობას შორის დიდი განსხვავება არაა, მითუმეტეს თუ ეს მრავალრიცხოვანი ქვეყნები არიან, შესაძლებელია ფაქტობრივი მოსახლეობა არც განსაზღვრონ. მაგრამ ჩვენი ქვეყანა ერთი, რომ მცირერიცხოვანია, მეორე რომ სატრანზიტო და მესამე, ტურისტული ნაკადებითაც მზარდი ქვეყანაა, ამიტომ ვფიქრობთ, მისი დათვლა აუცილებელია, რაც უნდა გავითვალისწინოთ 2024 წლის მოსახლეობის აღწერისას.

ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი სასიკეთო ცვლილებები განხორციელდა მოსახლეობის მიმდინარე სტატისტიკის აღრიცხვის სფეროში. მეტნაკლებად მოწესრიგდა დაბადებულთა და გარდაცვალებულთა აღრიცხვა. შეგვიძლია მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის დინამიკა შევაფასოთ, თვალი მივადევნოთ მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებლებს. თუმცა არ შეგვიძლია თვალყურის დევნება აბორიგენი მოსახლეობის, ქართველთა ბუნებრივ მოძრაობაზე.

საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა. ცალკეული ეროვნებების მიხედვით მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებელთა განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს, მითუმეტეს მაშინ, როცა ყველა კვლევით ქართველთა რეპროდუქციული ქვეყა მოსახლეობის მარტივ აღწარმოებასაც კი ვერ უზრუნველყოფს, ქვეყნის დემოგრაფიული ვითარება საგანგაშოა და დემოგრაფიული უსაფრთხოების საკითხი მეტად მწვავედ დგას. პასპორტში ეროვნების დაუფიქსირებლობა არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყნის ეროვნული სტრუქტურის ცვლილებას თვალი არ ვადევნოთ. ამის საშუალებას კი მხოლოდ მოსახლეობის აღწერა იძლევა, რომელიც 10 წელიწადში ერთხელ ტარდება. ეს საკმაოდ დიდი პერიოდია იმისათვის, რომ დემოგრაფიული პროცესების რეგულირებისათვის რაიმე ხელშესახები ღონისძიება დროულად განხორციელდეს. ეროვნების მიხედვით დაბადებათა აღრიცხვაში შეიძლება მისაღები იყოს ისტორიულად იმიგრაციული ქვეყნებისათვის, მრავალრიცხოვანი ქვეყნებისათვის, მაგრამ არამც და არამც მცირერიცხოვანი ემიგრაციული ქვეყნისათვის, რომელიც მძიმე დემოგრაფიულ მდგომარეობაშია. ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მიმდინარე აღრიცხვისას დაითვალოს ცალკეული ეროვნების ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებელი. ეს ხელს შეუწყობს ქვეყნის დემოგრაფიული უსაფრთხოების მართვას. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ერთ-ერთი აღწერის მონაცემებით აბორიგენი მოსახლეობა ამ ქვეყნის ეთნიკურ უმცირესობად იქცეს. ამის რეალური საშიშროება არსებობს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ეროვნების გრაფა დაემატოს ჯანდაცვისა და სამოქალაქო რეესტრში არსებულ ბაზებს, რათა სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს საშუალება მიეცეს დათვალოს ეს მაჩვენებელი, ქვეყანას კი - გაატაროს ეფექტური დემოგრაფიული პოლიტიკა.

### დასკვნა

ემიგრაციული პროცესების სრულყოფილი აღრიცხვა თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. მისი გადაწყვეტა მსოფლიოს ყველა ქვეყნის დღის წესრიგშია. საქართველოს კრიტიკულმა დემოგრაფიულმა ვითარებამ კი განსაკუთრებით გაამწვავა მოსახლეობის აღრიცხვის სრულყოფის საკითხი. ქვეყნის ეკონომიკურმა ტრანსფორმაციამ შეცვალა განსახლების სისტემა, რამაც ცალკეული მხარისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დინამიკაზე პერმანენტული დაკვირვება მოითხოვა. ეს ემიგრაციის სრულყოფილი აღრიცხვის გარეშე შეუძლებელია. მოსახლეობის აღწერა კი ამის ყველაზე უკეთეს საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, ტურისტული ქვეყნის სტატუსი მოითხოვს სახეზე მყოფი მოსახლეობის დათვლას. ქვეყნის

დემოგრაფიული და ეროვნული უსაფრთხოება კი დაბადებულთა ეროვნულ ჭრილში აღრიცხვას. გარდა ამისა მიგვაჩნია, რომ მოსახლეობის სრულყოფილი აღრიცხვისათვის საჭიროა იმ სამართლებრივი ნორმების დადგენა, რომელიც გააძლიერებს მოსახლეობის თანამშრომლობას მოსახლეობის აღმწერებთან და უზრუნველყოფს მოსახლეობის შესახებ სრული და ზუსტი ინფორმაციის მიღებას.

### გამოყენებული ლიტერატურა

მელაძე გ., 2018, გარე მიგრაციის სტატისტიკური აღრიცხვის პრობლემები საქართველოში. ჟ. „მიგრაცია“ #9. თბილისი. გვ.29-48.

მოსახლეობის 2002 და 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები. Geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური., 2024, საქართველოს მოსახლეობის 2024 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამა. Geostat.ge

საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“, 2023, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5814124?publication=0>

სულაბერიძე ა., 2017, მიგრაციის სტატისტიკური აღრიცხვის მეთოდოლოგიური პრობლემები და მისი შედეგი საქართველოში. ჟ. „მიგრაცია“ . # 8. თბილისი. გვ 70-78

ტუხაშვილი მ., 2016, საქართველოს მოსახლეობის ტერიტორიული მობილობის კვლევის სტრატეგიის შესახებ. ჟ. „მიგრაცია“ . #7. თბილისი. გვ.127-145.

წულაძე გ., 2007, მონაცემები გარე მიგრაციის შესახებ 2004-2005წწ: რეალობა თუ ნონსენსი. ჟ. „მიგრაცია“ #1. თბილისი. გვ.76-81.

ჭელიძე ზ., 2022, მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული ინდიკატორები და საქართველოს მოსახლეობის აღწერა 2024. UNFPA საქართველოს ოფისი. თბილისი.

ჯავახიშვილი ივ., 1901, ხალხის აღწერის და შემოსავლის დავთრები საქართველოში. ჟ. *მოამბე*. #4. განყ. II. გვ.1-17. [https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/disertaciebi/\\_javaxishvili\\_xalxis\\_agweris\\_da\\_shemosavlis\\_davtari\\_saqartveloshi.pdf](https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/disertaciebi/_javaxishvili_xalxis_agweris_da_shemosavlis_davtari_saqartveloshi.pdf)

ჯავახიშვილი ივ., 1930, *საქართველოს ეკონომიკური ისტორია*. წიგნი პირველი. „ქართული წიგნი“. ტფილისი.

Валенте П.(2012). Как переписывают население в европейских странах в 2010 год [https:// www.demoscope.ru/ we.ekly/2012/ 0531/analit03.php](https://www.demoscope.ru/we.ekly/2012/0531/analit03.php).

*Методологическое руководство по использованию данных мобильных телефонов: Статистика Миграции.*, 2019, Глобальная рабочая группа ООН по использованию

больших данных для целей официальной статистики.  
[https://unstats.un.org/bigdata/task-teams/mobile-phone/MPD\\_Handbook\\_RUS.pdf](https://unstats.un.org/bigdata/task-teams/mobile-phone/MPD_Handbook_RUS.pdf)

Организация Объединенных Наций.. 2022. *Руководство по измерению международной миграции с помощью переписей населения*. Нью Йорк

Организация Объединенных Наций.(2021). *Руководство по подготовке и проведению переписей населения и жилищного фонда*. Второе пересмотренное издание. Нью-Йорк.

**Проблема полноты учета населения при проведении переписи.(2010)**  
**<https://istoriirossii.ru/rf/102-problema-polnoty-ucheta-naseleniva-pri-provedenii-perepisi.html>**

Пьянкова А., И., 2014, *Традиционный и альтернативные методы проведения переписей населения*. Диссертация на соискание ученой степени кандидата социологических наук. Москва

Рывкина О.Л., Османова Э.У., 2021. Перепись населения: зарубежный опыт и современные тенденции.*Экономика строительства и природопользования № 1 (78)*.DOI 10.37279/2519-4453-2021-1-83-94

***Mzia Shelia***

Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Researcher, Institute of Demography and Sociology, Ilia State University

***Natia Chelidze***

Associate Professor, Sulkhani-Saba Orbeliani University  
Researcher, TSU Migration Research Center

## ON THE IMPROVEMENT OF THE POPULATION CENSUS Expanded Summary

The programs of the general population census need to be amended appropriately, taking into account the mistakes made during the previous censuses, which more or less always occurred in the population census programs conducted in Georgia. Taking into consideration the demographic situation that deteriorated dramatically in the 1990s, the questions "about the expected number of children" and "about religious affiliation" were included in the questionnaire of the 2002 census, and "about health" in the questionnaire of the 2014 census. At the same time, based on the demand for socio-economic development of the country, in the same year, an agricultural census was conducted in parallel with the general population census that qualitatively worsened the information about the population. The same activity is planned to be carried out for the 2024 census.

It is known that in ancient times (historically) population censuses were conducted in Georgia once every seven years. It is a significant fact that the incorrect registration of the population was subject to punishment by law. In particular, if a feudal lord hid a serf or a household, in case of disclosure of the hidden information, the feudal lord would be de-

prived of this serf or would become the property of another feudal lord or remained in the state's property.

Currently, our law "On Official Statistics" imposes an obligation on all citizens and residents of Georgia to participate in the population census and provide accurate information (Article 18 of the law), however, in case of non-fulfillment of the obligation, it does not impose any legal punishment. Based on our historical experience, it is necessary for the legislation to provide such a legal norm that would minimize the unregistered population.

We have significant deficiencies in registering external migration, which often becomes the subject of criticism. Only during the population census we are able to record internal migration. Therefore, in the inter-census period, it becomes impossible to fully assess the changes occurring in the settlement system, the dynamics of the population of individual areas and the municipalities. The correction of this deficiency would allow the country to elaborate a more effective regional policy. For this purpose, we consider it necessary to improve the methodology of registration of migration. Taking into account external migration should not be excluded from the population census program, which we consider unjustified both financially and methodologically. It is completely unacceptable not to take into consideration the census program for the actual, „currently present“ population. Determining the population of this category is of great importance for a tourist country. Along with this, based on the specifics of the demographic development of our country, we consider that it is necessary to count the rate of natural movement of individual nationalities during the ongoing population census. For this purpose, it is required to add the column "Nationality" to the databases in the health and civil registers. This will considerably help the implementation of an effective demographic policy in the country.

ალექსანდრე შარაშენიძე

ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ასისტენტ პროფესორი

**მოთხოვნა ჯანდაცვის სერვისებზე და სამედიცინო დაწესებულებების  
ეფექტიანობის ზრდის შესაძლებლობები  
(საქართველოს მაგალითზე)**

**ანოტაცია.** სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს ჯანდაცვის სისტემა, შეფასებულია საავადმყოფოს დატვირთვის სტანდარტები, გამოკვეთილია რამდენიმე კრიტიკული ფაქტორი (მოსახლეობის განაწილება, ჯანდაცვის ინფრასტრუქტურა და სამედიცინო პროფესიონალების ხელმისაწვდომობა), რომელიც გავლენას ახდენს ჯანდაცვის სერვისების მიწოდებაზე.

ნაშრომში დასაბუთებულია ჯანდაცვის სერვისებზე მოთხოვნის შესწავლისა და სამედიცინო დაწესებულებების ეფექტიანობის ზრდის შესაძლებლობების დადგენის მნიშვნელობა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოში ჯანდაცვის სერვისებზე მოთხოვნა ზრდადია. სტატიაში გაანალიზებულია ჯანდაცვის სერვისებზე მოთხოვნის ზრდის გამომწვევი ფაქტორები: 1. მოსახლეობის ზრდა და ხანდაზმულობა; 2. ჯანდაცვის სფეროში გატარებული რეფორმები; 3. ჯანდაცვის გამოწვევები სასოფლო დასახლებებში; 4. საჯარო ჯანმრთელობის ინიციატივები - ვაქცინაცია და ჯანმრთელობის განათლება; 5 კერძო სექტორის ზრდა.

მონაცემებისა და ჩატარებული კვლევების შეფასებით გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველოს ჯანდაცვის სექტორი ხასიათდება საავადმყოფოების საწოლების სიჭარბით, დაბალი საწოლების დატვირთულობის მაჩვენებლებით და პირველადი ჯანდაცვის სერვისების არასაკმარისი გამოყენებით. ასევე, დასაბუთებულია, რომ სექტორი კვლავ ფრაგმენტულია, რაც ხელს უშლის ოპერაციული და ფინანსური ეფექტიანობის მიღწევას.

ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ გზად მიჩნეულია შედარებით მცირე მოთამაშეების შერწყმა. ამასთან, შერწყმა განხილულია, როგორც სექტორში ეფექტიანობის გაზრდის სტრატეგია.

საავადმყოფოს საწოლების დატვირთვის მაჩვენებელი განხილულია როგორც საავადმყოფოს მუშაობის ან რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შეფასების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

ნაშრომში მოცემულია დასკვნები და შემუშავებულია რეკომენდაციები საქართველოში ჯანდაცვის სერვისების მაჩვენებლების გაუმჯობესების გზებსა და სამედიცინო დაწესებულებების ეფექტიანობის ზრდის შესაძლებლობებზე.

**საკვანძო სიტყვები:** ჯანდაცვის სერვისები, მოთხოვნა, სამედიცინო დაწესებულებები, ეფექტიანობის ზრდა, შესაძლებლობები.

**შესავალი**

საქართველოს ჯანდაცვის სექტორი დიდწილად და მოკიდებული სახელმწიფო დაფინანსებაზე. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მიხედვით, ყოველი

მოქალაქე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამედიცინო მომსახურებაზე წვდომით. საქართველოს, როგორც პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს, ისტორიული კონტექსტი კიდევ უფრო აძლიერებს ამ დამოკიდებულებას. მთავრობის მნიშვნელოვანი როლი ფინანსური დაცვის უზრუნველყოფასა და ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის შენარჩუნებაში ასახავს საბჭოთა ეპოქიდან მემკვიდრეობით მიღებულ ძირითად სერვისებში სახელმწიფოს ჩართულობის აუცილებლობას.

საქართველოს ჯანდაცვის სექტორის დაფინანსების შედეგად ხდება, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ხარჯების დაფარვა. პირდაპირი დანახარჯები მოიცავს სამედიცინო სერვისებზე, საავადმყოფოების ოპერაციებსა და პერსონალის ხელფასებზე დახარჯულ თანხებს. არაპირდაპირ ხარჯები მოიცავს უფრო ფართო ფინანსურ მხარდაჭერას, როგორცაა ინფრასტრუქტურის განვითარება და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამები. ასეთი კომპლექსური სახელმწიფო დაფინანსება უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, აუცილებელი ჯანდაცვის სერვისების მიწოდებას, მეორე მხრივ, ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის შენარჩუნებას. საავადმყოფოს დატვირთვის მაჩვენებელი გადამწყვეტი ფაქტორია, როგორც პირდაპირი, ასევე, არაპირდაპირი დაანახარჯების დაფინანსებაში ჯანდაცვის სექტორში. ამ დანახარჯების სტანდარტის დადგენისას აუცილებელია განისაზღვროს შესაბამისი მაჩვენებელი, რომელიც უნდა ჩაითვალოს საავადმყოფოს დატვირთვის სტანდარტად.

ჯანდაცვის სისტემაზე, საავადმყოფოს დატვირთვის სტანდარტების ჩათვლით, გავლენას ახდენს რამდენიმე კრიტიკული ფაქტორი, როგორცაა მოსახლეობის განაწილება, ჯანდაცვის ინფრასტრუქტურა და სამედიცინო პროფესიონალების ხელმისაწვდომობა. ფინანსური შეზღუდვები, დაუზღვეველი პირების მაღალი მაჩვენებლები. სოფლის ამბულატორიების დახურვა კიდევ უფრო ამძაფრებს ზეწოლას დარჩენილ სამედიცინო დაწესებულებებზე. ამერიკის საავადმყოფოების ასოციაციის თანახმად, ეს ელემენტები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს იმ ოპერაციულ გამოწვევებს, რომლებსაც დღეს ჯანდაცვის პროვაიდერები აწყდებიან (American Hospital Association, 2022). ჩამოთვლილი პრობლემები ახლოსაა საქართველოს ჯანდაცვის სექტორში არსებულ ვითარებასთან.

McKinsey&Company-ის მოხსენების თანახმად, ჯანდაცვის სისტემა მთელ მსოფლიოში ისეთი გამოწვევების წინაშე დგას, როგორცაა ფინანსური ზეწოლა, შრომითი რესურსის დეფიციტი და ტექნოლოგიური წინსვლის საჭიროება. საავადმყოფოს დატვირთვის ეფექტიანი მენეჯმენტი პასუხობს ამ გამოწვევებს და უზრუნველყოფს ჯანდაცვის სფეროს მომსახურებების უწყვეტ მიწოდებას (McKinsey&Company, 2020). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ როგორც მსოფლიოში, ასევე, საქართველოში ჯანდაცვის სერვისებზე მოთხოვნა მზარდია.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სერვისებზე მოთხოვნის შესწავლა და სამედიცინო დაწესებულებების ეფექტიანობის ზრდის შესაძლებლობების დადგენა.

**კვლევის მიზანი.** კვლევის მიზანია ჯანდაცვის სერვისებზე მოთხოვნის თავისებურებების გამოვლენა საქართველოში, მოთხოვნაზე მოქმედი ფაქტორების დადგენა და სამედიცინო დაწესებულებების ეფექტიანობის ზრდის შესაძლებლობებზე რეკომენდაციების შემუშავება.

#### **კვლევის მეთოდოლოგია.**

ჩატარებულია პრობლემასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი, შეფასებულია სხვადასხვა ორგანიზაციის ანგარიშები, საქართველოს სა-



მინისტროებისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები. შესწავლილია შესაბამისი მონაცემთა ბაზები. გამოყენებულია შედარების, ანალიზის, სინთეზისა და სხვა მეთოდი.

### **მასალები და ანალიზი**

მოსახლეობის ჯანმრთელობა ნებისმიერი ქვეყნისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა ყველა მოქალაქისთვის (ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა – სტრატეგიული ხედვა 2023). საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის უფლება (საქართველოს კონსტიტუცია, 1955), საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგიის თანახმად კი აუცილებელია საქართველოს მოსახლეობის უზრუნველყოფა ხარისხიანი, საჭიროებებზე მორგებული ჯანდაცვის სერვისებით. არანაკლებ მნიშვნელოვანია ფინანსური რისკების გარეშე მოსახლეობის დაცვა ჯანმრთელობის საფრთხეებისგან. ამასთან, სტრატეგიის ზოგად მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, ჯანდაცვის სერვისებზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის და ფინანსური ტვირთის თანაბარი გადანაწილების გზით (საქართველოს 2022-2030 წლების ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია, 2022). არანაკლებ მნიშვნელოვანია საოპერაციო ხარჯების შემცირება, სერვისების მიწოდების გაზრდა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, განსაკუთრებით სოფლად და მოწყვლად არეალებში (American Hospital Association, 2019).

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დანერგვამ, ჯანდაცვაზე მიმართული სახელმწიფო ხარჯების ზრდასთან ერთად, უდაოდ დადებითი ზეგავლენა მოახდინა სამედიცინო სერვისების მოხმარების ზრდაზე. თუმცა, იმისათვის, რომ შემცირდეს ან მთლიანად აღმოიფხვრას ფინანსური, კულტურული და სტრუქტურული ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობას, პირველ რიგში, ყველაზე მოწყვლადი მოსახლეობისათვის, საჭიროა ამ ბარიერების სისტემატური შესწავლა, განსაკუთრებით აქტუალურია მოსახლეობის საჭიროებებზე დამყარებული ჯანდაცვის სისტემების ანალიზი და დამატებითი კვლევები ამ პრობლემების გადაჭრის გზების მოძებნისათვის (ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, 2023).

საქართველოში ჯანდაცვის სერვისებზე, როგორც აღინიშნა, მოთხოვნა ზრდადია. აღნიშნული გამოწვეულია მთელი რიგი ფაქტორებით, როგორებიცაა: 1. მოსახლეობის ზრდა და ხანდაზმულობა - ხანდაზმულთა რაოდენობის ზრდა და დაავადებების მართვის საჭიროება ზრდის მოთხოვნას; 2. ჯანდაცვის სფეროში გატარებული რეფორმები - მოიცავს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და ხელმისაწვდომობის ზრდას; 3. ჯანდაცვის გამოწვევები სასოფლო დასახლებებში - სოფლად ჯანდაცვის სერვისების მიწოდების გაუმჯობესება; 4. საჯარო ჯანმრთელობის ინიციატივები - ვაქცინაცია და ჯანმრთელობის განათლება; 5 კერძო სექტორის ზრდა - კერძო კლინიკების და საავადმყოფოების გახსნა, რაც დამატებით არჩევანს თავაზობს პაციენტებს.

საქართველოს ჯანდაცვის სექტორის ანალიზი უპირველესად მოითხოვს საავადმყოფოების საწოლფონდის დატვირთვისა და ეფექტიანობის მაჩვენებლების შესწავლას (World Health Organization 2024).

კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებს განსხვავებული მოსაზრება გააჩნიათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კერძო სექტორისათვის რაც შეეძ-

ლება დაბალ მაჩვენებელზე დაფუძნებული საავადმყოფოს დატვირთვის სტანდარტია ხელსაყრელი, ხოლო საჯარო სექტორის ინტერესში სტანდარტის გარკვეულ დონემდე გაზრდაა. სტანდარტის გარკვეულ დონეზე მაღლა გაზრდა შეიცავს რისკებს. საავადმყოფოების დატვირთვა ქვეყანაში ჯანდაცვის ეფექტიანობის კრიტიკული მაჩვენებელია. გლობალური და ადგილობრივი რისკების გათვალისწინებით, საავადმყოფოს 100%-იანი დატვირთვა აშკარად არ არის განხორციელებადი ან მდგრადი განვითარების მიზანი.

გალტის და თავარტის მიერ განხორციელებული კვლევის მიხედვით, საქართველოში საწოლფონდი 17 500-ია, რაც ყოველ 1000 მოსახლეზე 4.5 საწოლს ნიშნავს. დატვირთვის აღნიშნული მაჩვენებელზე დაყრდნობით საწოლების არსებული რაოდენობა მოსახლეობის საჭიროებებს აღემატება, კვლევის თანახმად საწოლების სიჭარბე ძირითადად საშუალო და მცირე საავადმყოფოების მატებამ განაპირობა (Curatio International Foundation, 2021). თავად კერძო სექტორის თვალსაზრისით ამგვარი მდგომარეობა უარყოფითად არის შეფასებული, რადგან ჭარბი საწარმოო სიმძლავრეები ჯანდაცვის სექტორში ნამდვილად ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა, განსაკუთრებით, საქართველოს მსგავსი ქვეყნების მაჩვენებლებს თუ შევადარებთ. კერძოდ, საქართველოში საწოლფონდის დატვირთვის მაჩვენებელი 49%-ს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია ევროპისა (77%) და დსთ-ის (84%) საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით. ეს მიუთითებს, რომ საქართველოს საავადმყოფოები ნაკლებად ეფექტიანდა იყენებენ საწოლფონდს.

ჯანდაცვის სერვისების გამოკვლევა მოითხოვს, ასევე, სექტორის ფრაგმენტულობის საკითხის ანალიზს. საქართველოს ჯანდაცვის სექტორის ანალიზმა გვიჩვენა, მისი მკაფიო ფრაგმენტულობა. კერძოდ, დაწესებულებების 60%-დან მხოლოდ 10,9%-ს გააჩნია ჰოსპიტალიზაციის შესაძლებლობა. ჯანდაცვის სექტორის ტოპ სამ მთამაშეზე მოდის შემოსავლების 27.1% და ჰოსპიტალიზაციის 30.9%. დანარჩენი მთამაშეები ინდივიდუალურად ბაზრის 3%-ზე ნაკლებ წილს იკავებენ, როგორც შემოსავლების, ისე ჰოსპიტალიზაციის მიხედვით.

მონაცემების შესწავლით გამოიკვეთა, რომ საავადმყოფოების უმეტესობა პაციენტთა მცირე რაოდენობით მუშაობს. საქართველოს საავადმყოფოების საშუალო ზომა, საწოლფონდით გაზომილი, დაახლოებით სამჯერ მცირეა OECD ქვეყნების საავადმყოფოების საშუალო ზომასთან შედარებით. ეს კიდევ უფრო უსვამს ხაზს სექტორის არაეფექტიანობას და ფრაგმენტულობას.

ფრაგმენტაციის მაღალ დონეს ადასტურებს ბაზრის წილის მონაცემებიც. ჰოსპიტალიზაციების მიხედვით ბაზრის წილი შემდეგნაირად არის განაწილებული: ევექსი - 16.7%; ავერსი - 6.9%; ჯეო ჰოსპიტალსი - 5.5%; ინგოროყვას კლინიკა - 2.1%; ვივო მედიკალ ჯგუფი - 1.8%; ნიუ ჰოსპიტალსი - 1.7%; ბათუმის სამედიცინო ცენტრი - 1.7%.; დანარჩენი - 63.7%.

შემოსავლების მიხედვით ბაზრის წილი პირველი ხუთეული კლინიკისთვის შემთხვევა ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლის თანმიმდევრობას: ევექსი - 13.4%; ავერსი - 7.5%; ჯეო ჰოსპიტალსი - 3.1%; ვივო მედიკალ ჯგუფი - 2.8%; ნიუ ჰოსპიტალსი - 2.3%; თოდუას კლინიკა - 2.1%; ლუდუშაურის კლინიკა - 1.4%; დანარჩენი - 67.4%.

სავადმყოფოების საწოლების რაოდენობამ 2021 წელს 20.6 ათასს (1000 მოსახლეზე 5.6 საწოლი) მიაღწია. ეს მაჩვენებელი კვლავ მნიშვნელოვნად დაბალია ეუთოს (76%), ევროკავშირისა (77%) და დსთ-ს საშუალო მაჩვენებელთან (83%) შედარებით, რაც მიუთითებს ჯანდაცვის სისტემაში ეფექტიანობის დაბალ დონეზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ჯანდაცვის სექტორი ხასიათდება საავადმყოფოების საწოლების სიჭარბით, დაბალი საწოლების დატვირთულობის მაჩვენებლებით და პირველადი ჯანდაცვის სერვისების არასაკმარისი გამოყენებით. მიუხედავად ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა, სექტორი კვლავ ფრაგმენტულია, რაც ხელს უშლის ოპერაციული და ფინანსური ეფექტიანობის მიღწევას. ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად საჭიროა უკეთესი ინტეგრაციისა და კონსოლიდაციის ძალისხმევა სექტორში. საქართველოს ჯანდაცვის სექტორში არსებული გამოწვევები უპირველესად, უარყოფითად აისახება ფინანსურ მაჩვენებლებზეც.

ოპერაციული და ფინანსური ეფექტიანობის თვალსაზრისით საქართველოს ჯანდაცვის სექტორის ოპერაციული და ფინანსური ეფექტიანობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია შესაბამისი მასშტაბის მიღწევა.

ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ გზად უნდა მივიჩნიოთ შედარებით მცირე მოთამაშეების შერწყმა. ამასთან, შერწყმა განიხილება, როგორც სექტორში ეფექტიანობის გაზრდის სტრატეგია. ჭარბი სიმძლავრე და ფრაგმენტაცია არის მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც ხელს უშლის ოპტიმალურ შესრულებას. შერწყმამ და შესყიდვამ შეიძლება ხელი შეუწყოს ამ საკითხების შერბილებას საოპერაციო ხარჯების შემცირებით, სერვისების მიწოდების გაზრდით და ზრუნვაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით, განსაკუთრებით სოფლად და მოწყვლად არეალებში.

საავადმყოფოს საწოლების დატვირთვის მაჩვენებელი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საავადმყოფოს მუშაობის ან რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შესაფასებლად. მაღალი დატვირთვის დროს, ცხადია, რესურსების გამოყენება გაცილებით ეფექტიანია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში ერთიანი ტარიფები განისაზღვრება და განსაზღვრული კატეგორიების მოქალაქეებისათვის ანაზღაურება ხდება სახელმწიფოს მხრიდან, ანუ ხარჯების დიდი წილი რომ არა აღნიშნული პროგრამა ვერ დაიფარებოდა ვერც მოსახლეობის, ვერც სადაზღვევო კომპანიების მხრიდან. ეს თავისთავად წარმოშობს დამატებით დანახარჯებს. საავადმყოფოს დატვირთვის მაღალ მაჩვენებელს შესაძლოა ახლდეს უარყოფითი მხარეებიც, მაგალითად, ზოგადი გადატვირთულობა, პაციენტის კომფორტის შემცირება, ცვეთის გაზრდა, შეზღუდული მოქნილობა და სხვა. მაღალი დატვირთვის მაჩვენებელმა გადაუდებელი შემთხვევების დროს შესაძლებელია შეამციროს საავადმყოფოს უნარი გაუმკლავდეს პაციენტის მოცულობის სწრაფ ზრდას, ასევე, უარყოფითი გავლენა მოახდინოს მკურნალობის ხარისხზე. მიუხედავად აღნიშნულისა, სწორი მენეჯმენტის პირობებში სახელმწიფო რესურსების მეტად ეფექტიანად გამოსაყენებლად მართებულია საავადმყოფოს დატვირთვის მაჩვენებლის გაზრდა, ეს კი საბოლოო ჯამში სამედიცინო დაწესებულებების ეფექტიანობის ზრდასაც გამოიწვევს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსალოდნელია შემდეგი დადებითი შედეგების მიღება: გაუმჯობესდება რესურსების გამოყენების ეფექტიანობის დონე; ჯანდაცვის დაწესებულებები შეძლებენ თითოეულ პაციენტზე დანახარჯების შემცირებას, რაც გაზრდის მათ ფინანსურ მდგრადობას; გაიზრდება სერვისის გაწევის ინტენსიურობა; გაუმჯობესდება ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა; გაიზრდება დაფინანსების დასაბუთების საფუძველი: კლინიკების დატვირთვის მაჩვენებლის გაზრდა და რესურსების ეფექტიანობის ამაღლება გახდება სახელმწიფო დაფინანსების გაგრძელების ან გაზრდის საფუძველი და სხვა.

ამრიგად, ჯანდაცვის სერვისების მაჩვენებლების გაუმჯობესება მთლიანად გააძლიერებს საქართველოს ჯანდაცვის სექტორს. ქვეყნის შიგნით ეს გამოიწვევს პაციენტების მკურნალობის გაუმჯობესებასა და შესაბამისად მათი კმაყოფილების გაზრდას. საერთაშორისო დონეზე კი, ქართული ჯანდაცვის სექტორის კონკურენტუნარიანობა გაიზრდება, რაც სექტორს უფრო მიმზიდველსა და აღიარებულს გახდის.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა (2023). <https://eprc.ge/wp-content/uploads/2023/10/jandatsvis-servisebze-khelimisacvdomoba-compressed.pdf>.
2. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, მიღების თარიღი: 24/08/1995, სარეგისტრაციო კოდი: 010.010.000.01.001.000.116, კონსოლიდირებული პუბლიკაცია: 29/06/2020. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=3>
3. საქართველოს 2022-2030 წლების ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია, საქართველოს მთავრობის დადგენილება №230, 2 მაისი, 2022, თბილისი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5453716?publication=0>
4. American Hospital Association. (2019, September 4). New research confirms hospital mergers reduce costs, enhance quality of care. Retrieved from <https://www.aha.org/press-releases/2019-09-04-new-research-confirms-hospital-mergers-reduce-costs-enhance-quality-care>.
5. Coombs, N. C., Campbell, D. G., & Caringi, J. (2022). A qualitative study of rural healthcare providers' views of social, cultural, and programmatic barriers to healthcare access. BMC Health Services Research, 22, Article 182. <https://doi.org/10.1186/s12913-022-07829-2>.
6. Curatio International Foundation. (2021). Business Media. Retrieved from <http://curatiofoundation.org/ge/business-media-%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97/>.
7. McKinsey & Company. (n.d.). How healthcare systems can manage hospital capacity during the pandemic and beyond. Retrieved from <https://www.mckinsey.com/industries/healthcare-systems-and-services/our-insights/how-healthcare-systems-can-manage-hospital-capacity-during-the-pandemic-and-beyond>.
8. World Health Organization. (n.d.). Bed occupancy rate, acute care hospitals only. Retrieved from <https://gateway.euro.who.int/en/indicators/hfa-542-6210-bed-occupancy-rate-acute-care-hospitals-only/#id=19637>.

*Alexander Sharashenidze*

*Doctor of Economics, Assistant Professor of  
Technical University of Georgia*

## **DEMAND FOR HEALTHCARE SERVICES AND OPPORTUNITIES FOR ENHANCING THE EFFICIENCY OF MEDICAL INSTITUTIONS: A CASE STUDY OF GEORGIA**

### **Expanded Summary**

This article presents an extensive analysis of Georgia’s healthcare system, with particular emphasis on hospital capacity standards, healthcare delivery, and the associated challenges faced by both public and private healthcare sectors. The research delves into multiple factors that influence healthcare delivery, including population distribution, urban-rural healthcare disparities, the aging demographic, healthcare infrastructure, and the accessibility and availability of medical professionals across the country. These elements are critical in shaping the overall efficiency, equity, and sustainability of Georgia’s healthcare system.

In recent years, Georgia has undergone substantial demographic changes, with a significant increase in its elderly population. This shift, coupled with ongoing healthcare reforms and population growth, has put pressure on the healthcare system to adapt to emerging needs. Specifically, there has been a rising demand for comprehensive healthcare services, ranging from preventive care to long-term management of chronic diseases. This demand is further compounded by a wide geographic distribution of healthcare services, which has created disparities in access to care, particularly between urban centers and more rural or remote areas. Addressing these disparities remains a central challenge in Georgia’s healthcare policy.

The expansion of the private healthcare sector has introduced both opportunities and complexities. On the one hand, private sector growth has increased healthcare options for patients, offering advanced medical technologies and specialist services. On the other hand, the rapid privatization has led to fragmentation, resulting in inefficiencies within the system. Many smaller healthcare providers operate independently, leading to uncoordinated care, underutilization of primary healthcare services, and an excess of hospital beds, particularly in urban areas where healthcare infrastructure may be more concentrated.

The article explores the implications of this fragmentation, particularly how it hinders operational and financial efficiency within the healthcare system. The analysis reveals that Georgia’s healthcare system suffers from low hospital bed occupancy rates, a clear indication of resource underutilization. This metric is crucial, as hospital bed occupancy rates serve as a key indicator of a hospital’s operational efficiency and resource management. Low occupancy rates suggest a misalignment between healthcare capacity and patient needs, particularly when primary care services are underused. The healthcare system is also burdened by high costs associated with maintaining an excess number of hospital beds, further highlighting the need for more efficient allocation of resources.

The article proposes that merging smaller healthcare providers into larger, more cohesive networks could significantly enhance operational efficiency by streamlining services, reducing redundancies, and enabling better coordination of patient care. Furthermore, such consolidation would potentially reduce healthcare costs and improve patient outcomes by fostering more integrated and comprehensive care pathways. The development of integrated healthcare networks is particularly vital for addressing the growing burden of chronic diseases in the aging population, as well as for improving access to care in underserved rural areas.

In addition, the research provides an in-depth discussion on healthcare infrastructure, highlighting the gaps in medical facilities, equipment, and personnel, particularly in rural regions where healthcare delivery is often compromised. Public health initiatives aimed at

strengthening primary care services are examined as critical strategies to relieve the burden on hospitals and ensure more preventive and community-based healthcare delivery. The importance of training and retaining qualified healthcare professionals is also discussed, with recommendations for improving medical education and incentivizing healthcare workers to serve in less developed areas.

To contextualize Georgia's healthcare challenges, the article includes a comparative analysis with healthcare systems in neighboring countries and selected European Union member states. This comparison sheds light on best practices that could be adapted to Georgia's context, especially in terms of hospital management, health financing models, and the optimization of healthcare resources.

Finally, the article offers practical recommendations for improving healthcare service delivery and increasing the efficiency of medical institutions across Georgia. These recommendations focus on strengthening primary healthcare, consolidating hospital services, improving healthcare infrastructure, and addressing the workforce distribution challenges. Additionally, policy suggestions are provided to ensure that future healthcare reforms focus on achieving both quality and accessibility of care, particularly for vulnerable populations.

In conclusion, this comprehensive review of Georgia's healthcare system identifies key areas for improvement and offers strategic insights for future reforms aimed at enhancing the operational, financial, and clinical efficiency of healthcare delivery in the country.

**Keywords:** healthcare services, demand, medical institutions, efficiency improvement, opportunities

განათლების ეკონომიკა - EDUCATION ECONOMY

*ეკატერინე შაინიძე*

*ფინანსების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების საბიუჯეტო პროგრამების  
შედეგიანობა**

**ანოტაცია.** უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა სახელმწიფო საბიუჯეტო ხარჯების განკარგვის თვალსაზრისით. მისი მიზანია განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული განათლების უფლების დაცვა. ამ საზოგადოებრივი სიკეთის რეალიზება ხდება სხვადასხვა დონის ბიუჯეტის შესაბამის პროგრამებში მიზნების, დაფინანსების ოდენობისა და მოსალოდნელი შედეგების ასახვით. კვლევის ფარგლებში განხორციელდა უმაღლესი განათლების დაფინანსების საბიუჯეტო პროგრამების მიზნების მიღწევის შეფასება, რისთვისაც განალიზდა ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში ასახული ინფორმაცია. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში უმაღლესი განათლების დაფინანსების პროგრამის შედეგები ასახულია მხოლოდ რაოდენობრივ მაჩვენებლებში (დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობა) და არ ითვალისწინებს ხარისხობრივი კრიტერიუმით შედეგების შეფასებას, რის გამოც ბუნდოვანია, მიღწეულია თუ არა პროგრამით განსაზღვრული მიზნები.

**საკვანძო სიტყვები:** უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსება, საბიუჯეტო პროგრამები, დაფინანსების შედეგიანობა.

**შესავალი**

სახელმწიფოს მიერ ქვეყნის მოსახლეობისთვის შექმნილ საზოგადოებრივ სიკეთეში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსებას. იგი უზრუნველყოფს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებას - სახელმწიფო დაფინანსებით მიიღოს უმაღლესი განათლება. სახელმწიფოს მიერ უმაღლესი განათლების დაფინანსებაში დახარჯული საბიუჯეტო სახსრები გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა მიმართულებაზე. აღნიშნულ პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაფინანსების მიმართულებების სწორად განსაზღვრასა და შედეგის მიღწევას.

უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების მიმართულებები ასახულია საქართველოს სამივე დონის ბიუჯეტების სხვადასხვა პროგრამებში. ჩვენი კვლევის მიზანია სწორედ ამ პროგრამებში განსაზღვრული მიზნების მიღწევის შეფასება.

**უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების საბიუჯეტო პროგრამების მიზნების მიღწევის შეფასება**

საქართველოში უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების პროგრამები ასახულია როგორც სახელმწიფო ბიუჯეტში, ისე ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტების (ადგილობრივ) ბიუჯეტებში. დაფინანსების მიზნები განსაზღვრულია შესაბამის პროგრამებში, ხოლო მიღწეული შედეგები ასახება ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში.

უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების უდიდესი წილი სახელმწიფო ბიუჯეტზე მოდის. ამდენად, კვლევის ფარგლებში ბიუჯეტის პროგრამებით განსაზღვრული მიზნების მიღწევის შესაფასებლად შევისწავლეთ და გავაანალიზეთ 2013-2022 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში ასახული ინფორმაცია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2013 წლიდან 2022 წლის ჩათვლით სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად იზრდებოდა უმაღლესი განათლების დაფინანსების თანხა, ხოლო ხარჯვითი ნაწილი სრულდებოდა გადაჭარბებით. შესაბამისი ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით (შაინიძე და სხვ., 2023).

**ცხრილი 1**

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში უმაღლესი განათლების დაფინანსების მაჩვენებლები

წლები	გეგმიური ხარჯი (ათასი ლარი)	ფაქტიური ხარჯი (ათასი ლარი)	გეგმის შესრულების მაჩვენებელი
2013	74,740.50	78,827.50	105.47%
2014	82,683.40	87,933.10	106.35%
2015	130,096.80	132,736.70	102.03%
2016	136,131.70	139,155.20	102.22%
2017	147,630.60	140,742.20	95.33%
2018	168,041.50	175,775.80	104.60%
2019	165,052.50	174,087.70	105.47%
2020	129928.7	139057.9	107.03%
2021	141602	155034.8	109.49%
2022	133862.5	146596.5	109.51%

*წყარო:* ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონებისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების (2013-2022 წლები) მონაცემების საფუძველზე.

აღნიშნული წლების განმავლობაში თითქმის უცვლელი იყო სახელმწიფო ბიუჯეტით უმაღლესი განათლების დაფინანსების შესაბამისი პროგრამის (უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამა) მიზნები და იგი მოიცავდა შემდეგ ზოგად ინფორმაციას:

- უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების წარმატებული განხორციელება;



- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელმწიფო გრანტით დაფინანსების უზრუნველყოფა;
- ყველა წარჩინებული სტუდენტის სტიპენდიით უზრუნველყოფა;
- წარმატებული სტუდენტების მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში სწავლისა და ცხოვრების დაფინანსება;
- განსაკუთრებით ნიჭიერი სტუდენტების ხელშეწყობა (შაინიძე და სხვ., 2023).

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამის პროგრამაში ჩამოთვლილ მიზნებს დაემატა შემდეგი ჩანაწერი: პრიორიტეტის ფარგლებში სახელმწიფო განაგრძობს შესაბამისი პროგრამების განხორციელებას, რათა საქართველოს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემები მაქსიმალურად მიუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს, რის შედეგადაც საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ, ღირსეული კონკურენტები იყვნენ დასაქმების მსოფლიო ბაზარზე; ხოლო 2017 წლის ბიუჯეტში კი შემდეგი: დაინერგება უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი, ეფექტიანი მოდელები, რომლებიც ორიენტირებული იქნება იმ მიმართულებებისა და სპეციალობების გაძლიერებაზე, რომლებიც ქვეყნის განვითარების საჭიროებებთან, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეკონომიკის გაძლიერებასთან არის დაკავშირებული და შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე იქნება იდენტიფიცირებული (შაინიძე და სხვ., 2023).

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში უმაღლესი განათლების დაფინანსების პროგრამის შედეგებს, იგი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- 2013 წელს - დაფინანსებით უზრუნველყოფილი ექვსი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლებმაც უზრუნველყვეს ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვა, რომელიც ორიენტირებული იყო სტუდენტთა ცოდნის დონის ამაღლებაზე; 25%-ით გაზრდილია სტიპენდიების მქონე სტუდენტთა რაოდენობა; გაზრდილია სრული ან ნაწილობრივი სასწავლო და სამაგისტრო გრანტით დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა;

- 2014 და 2015 წელს - სტიპენდიების მქონე სტუდენტთა რაოდენობა აღემატება 2 700-ს; სრული ან ნაწილობრივი სასწავლო და სამაგისტრო გრანტით დაფინანსებულია სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა; სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროგრამულ მიმართულებებზე დაფინანსდა 11000-ზე მეტი სტუდენტი; აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სასწავლო და სამაგისტრო გრანტით დაფინანსებულია სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა; მხოლოდ 2014 წლის ანგარიშში კი დამატებით მითითებულია - პროგრამა „ცოდნის კარის“ (მსოფლიოს წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქართველოს მოქალაქეთა სწავლის დაფინანსება) ფარგლებში დაფინანსებულ პირთა რაოდენობამ შეადგინა 175 პირი.

- 2016 წელს - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის პრიორიტეტულ პროგრამულ მიმართულებებზე ჩარიცხულ აქტიურ სტუდენტთა სრული (100%) რაოდენობა უზრუნველყოფილია დაფინანსებით. საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 5 000-მდე სტუდენტით გაიზარდა დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობა; სულ დაფინანსდა 16 500-ზე მეტი სტუდენტი. უმაღლეს საგან-

მანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ გრანტის მფლობელ აქტიურ სტუდენტთა სრული (100%) რაოდენობა უზრუნველყოფილია სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტით; „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სტიპენდიებს იღებს 2700-მდე სტუდენტი;

- 2017 წელს - დაფინანსდა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული 33000-მდე ბაკალავრი. პრიორიტეტულ პროგრამულ მიმართულებებზე დაფინანსდა 18000-მდე სტუდენტი. სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსდა 2000-მდე მაგისტრანტი. „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები 150 ლარის ოდენობით, გამოეყო საქართველოს 10 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 2 700-მდე სტუდენტს;

- 2018 წელს - დაფინანსებულია სასწავლო და სამაგისტრო გრანტები და წარჩინებული სტუდენტების სტიპენდიები; პროგრამის „ცოდნის კარის“ ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების, დოქტორანტურისა და სხვა სასწავლო პროგრამებით სწავლების საფასურით და/ან სტიპენდიით/საყოფაცხოვრებო ხარჯებისათვის საჭირო თანხით უზრუნველყოფილია პროგრამის ბენეფიციარები; საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსებულია სტუდენტები; საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება დაუფინანსდათ სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მქონე სტუდენტებს და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამული მიმართულებების ფარგლებში დაფინანსებულია 19200-ზე მეტი სტუდენტი. სახელმწიფო სასწავლო გრანტებით უზრუნველყოფილია 31300-ზე მეტი სტუდენტი. სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტებით უზრუნველყოფილია 1878-ზე მეტი სტუდენტი. „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები 150 ლარის ოდენობით, გამოეყო საქართველოს 10 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 2700 სტუდენტს;

- 2019 წელს - სახელმწიფო სასწავლო გრანტებით უზრუნველყოფილია 35 000-ზე მეტი სტუდენტი; დაფინანსებულია პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული 14400 -მდე სტუდენტი;

- 2020 წელს - სახელმწიფო სასწავლო გრანტებით უზრუნველყოფილია 33 000-ზე მეტი სტუდენტი, ხოლო პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული 18 000-მდე სტუდენტი;

- 2021 წელს - სახელმწიფო სასწავლო გრანტებით უზრუნველყოფილია 35 000-მდე სტუდენტი, ხოლო პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული 14 000-მდე სტუდენტი;

- 2022 წელს - 2021-2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრი დაუფინანსდა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ 32300-ზე მეტ ბაკალავრო საფეხურის სტუდენტს, 1800-მდე მაგისტრანტს, პრიორიტეტულ პროგრამულ მიმართულებებზე დაფინანსდა 19200-ზე მეტი სტუდენტი, გამოეყო ხაზის მიმდინარე სოფლებში მცხოვრები - 2000-ზე მეტი სტუდენტი და მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში 2021-2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრში სწავლება დაუფინანსდა 937 პირს, ხოლო 2022-2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრი დაუფინანსდა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ 33300-ზე მეტ ბაკალავრს, 1 900-ზე მეტ

მაგისტრანტს, პრიორიტეტულ პროგრამულ მიმართულებებზე დაფინანსდა - 19 800-მდე სტუდენტი, გამოყოფილი ხაზის მიმდინარე სოფლებში მცხოვრები 1 700-მდე სტუდენტი და მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში 2021-2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრში სწავლება დაუფინანსდა 774 პირს. სახელმწიფო სტიპენდია 150 ლარის ოდენობით 2021-2022 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში გამოეყო 2 755 სტუდენტს და 2022-2023 წლის პირველ სემესტრში 2 930 სტუდენტს, ასევე „დიმიტრი გულიას და კოსტა ხეთაგუროვის“ სახელობის სტიპენდიები 2021-2022 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში 300 ლარის ოდენობით გაიცა 5 სტუდენტზე და 2022-2023 სასწავლო წლის პირველ სემესტრში 7 სტუდენტზე. ამასთან, დაწყებულია მუშაობა უმაღლესი განათლების დაფინანსების განახლებული, შესრულებაზე დაფუძნებული მოდელის დანერგვაზე (შაინიძე და სხვ., 2023).

როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში წარმოდგენილი ინფორმაციით ჩანს, უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების პროგრამაში ხარჯვითი ნაწილის გადაჭარბებით შესრულება განპირობებულია სახელმწიფო სასწავლო გრანტით და პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობის ზრდით. ამასთან, აღნიშნულ ნაწილში გეგმის გადაჭარბებით შესრულება ხდებოდა ბიუჯეტის პროგრამის სხვა ქვეპროგრამების (განათლების სფეროში უმაღლესის შემდგომი განათლება, განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსება, განათლების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა) გეგმის არასრულად შესრულების ხარჯზე (შაინიძე და სხვ., 2023).

### დასკვნა

მაშასადამე, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებში უმაღლესი განათლების დაფინანსების პროგრამების მიღწეული შედეგები ასახულია მხოლოდ რაოდენობრივ მაჩვენებლებში (დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობა) და არ ითვალისწინებს ხარისხობრივი კრიტერიუმით შედეგების შეფასებას, ამასთან, წლების მიხედვით ანგარიშებში გადმოცემულია ერთი და იგივე ინფორმაცია განსხვავებული ციფრებით, რაც არ იძლევა ბიუჯეტის პროექტებით განსაზღვრული ზოგადი მიზნების მიღწევის სრულყოფილად შეფასების საშუალებას. ამასთან, მნიშვნელოვანია ბიუჯეტის პროგრამებშიც მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები აისახოს არა ზოგადად, არამედ ხარისხობრივი და რაოდენობრივი (თვლადი) კრიტერიუმების გათვალისწინებით. აღნიშნული მიდგომა კი პროგრამის განმახორციელებელ სტრუქტურას საშუალებას მისცემს, რეალურად შეაფასოს დაგეგმილი მიზნების მიღწევის მდგომარეობა, გააანალიზოს მათი არასრულად განხორციელების შემთხვევაში ხელისშემშლელი ფაქტორები, გამოავლინოს კონკრეტული მიზეზები და მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას გაითვალისწინოს ისინი (შაინიძე და სხვ., 2023).

### გამოყენებული ლიტერატურა

1. შაინიძე ე., მამულაძე ნ., გიორგი ქათამაძე გ., ფოლადაშვილი თ., სურმანიძე ი., გიორგაძე ტ., თურმანიძე თ., დოლობერიძე თ., ბერიძე თ., ვარშანიძე ნ. და აბაშიძე გ., მონოგრაფია „უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების გავლენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე“, 2023.

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები, განთავსებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე;  
[https://www.mof.ge/saxelmwifo\\_biujeti\\_wlebis\\_mixedvit](https://www.mof.ge/saxelmwifo_biujeti_wlebis_mixedvit)
3. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ.  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>
4. საქართველოს კანონი „უმადლეხი განათლების შესახებ“  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=104>
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2023  
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/61/umaghlesi-ganatileba>

*Ekaterine Shainidze*

*Doctor of Finance, Associate Professor,  
Faculty of Economics and Business,  
Batumi Shota Rustaveli State University*

## **EFFECTIVENESS OF HIGHER EDUCATION STATE FINANCING BUDGET PROGRAMS**

### **Expanded Summary**

State financing of higher education occupies an important place in the public good created by the state for the population of the country. It ensures the constitutional right of a person - to receive higher education with state financing. Budgetary funds spent by the state in financing higher education affect various directions of socio-economic development of the country. In the mentioned process, great importance is attached to the correct determination of funding directions and the achievement of results.

State funding programs for higher education in Georgia are reflected both in the state budget and in the republican and municipal (local) budgets of the Autonomous Republic. Funding objectives are defined in the respective programs, and the achieved results are reflected in the budget performance reports.

It is important to note that from 2013 to 2022, the amount of funding for higher education in the state budget increased every year, while the expenditure part was completed in excess.

Exceeding the spending part in the higher education state funding program is due to the state training grant and the increase in the number of students funded on priority educational programs. In addition, in the above mentioned part, the plan was over-executed at the expense of the incomplete implementation of the plan of other sub-programs of the budget program (post-secondary education in the field of education, financing of support services in the field of education, other unclassified activities in the field of education).

Therefore, in the annual reports on the performance of the state budget, the achieved results of the higher education financing programs are reflected only in quantitative indicators (the number of funded students) and do not take into account the evaluation of the results by qualitative criteria, in addition, the same information is presented in different numbers in the reports according to the years, which does not provide the general information determined by the budget projects. allowing for a thorough assessment of the achievement of goals. In addition, it is important to reflect the achievable goals and expected results in the budget programs, not in general, but taking into account qualitative and quantitative (countable) criteria. The mentioned approach will allow the structure implementing the program to really assess the state of achieving the planned goals, analyze the factors hindering their incomplete implementation, identify specific reasons and take them into account when planning the next year's budget.

*ლელა ჯამაგიძე*

*ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი  
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი*

### **სამრეწველო სექტორის განვითარება ევროკავშირსა და წევრობის კანდიდატ ქვეყნებში**

**ანოტაცია.** წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია სამრეწველო სექტორის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი ევროკავშირში და წევრობის კანდიდატ ქვეყნებში და მათი სტრუქტურული დაახლოების პერსპექტივის შესწავლა. ერთი მხრივ, გავაანალიზებთ, მრეწველობის განვითარება კანდიდატ ქვეყნებში რა წვლილს შეიტანს წევრობის ეკონომიკური კრიტერიუმის დაკმაყოფილებაში, კერძოდ, ევროპის კავშირში არსებული კონკურენციისა და საბაზრო ძალების გამკლავების უნარის გაძლიერებაში და, ამავდროულად, ეს როგორ დაეხმარება მათ საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაში. ანალიზი ეყრდნობა სამრეწველო სექტორის დამატებული ღირებულების, შრომის მწარმოებლურობისა და ექსპორტის მაჩვენებლებს. სამრეწველო სექტორების ფუნქციონირების შედარებითი ეფექტიანობა შეფასებულია პანელის ინდექსის მნიშვნელობების მიხედვით, რომელი ავლენს ცალკეული ქვეყნის პოზიციას როგორც სხვა ქვეყნებთან, ისე განსახილველ წლებთან მიმართებით.

**საკვანძო სიტყვები:** მრეწველობა, სამრეწველო სტრატეგია, ევროკავშირი, კანდიდატი ქვეყნები

### **შესავალი**

მრეწველობის გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე მრავალმხრივია. მიუხედავად იმისა, რომ დღეს განვითარებული ქვეყნების დასაქმებასა და მსპ-ში უდიდესი წილი მომსახურებას უჭირავს, თვალსაჩინოა ამ ქვეყნების სტრატეგიისა და ეკონომიკური პოლიტიკის შემობრუნება ინდუსტრიალიზაციისა და სამრეწველო პოლიტიკის საკითხებთან, ერთგვარი შესუსტებული ინტერესის შემდეგ, რომელიც 1980-2000-იანი წლების პერიოდში იყო თვალსაჩინო.

ინდუსტრიალიზაციის საკითხები გლობალურ დღისწესრიგშიც სულ უფრო აქტიურად ჩნდება – კერძოდ, ის ჩართულია მდგრადი განვითარების მიზნებში. მრეწველობა, განსაკუთრებით კი გადამამუშავებელი მრეწველობა, ეკონომიკის სხვა სექტორებთან მჭიდრო კავშირების გამო, ეკონომიკურ ზრდაზე, მწარმოებლურობასა და დასაქმების შესაძლებლობების განვითარებაზე დადებითად მოქმედებს და ეკონომიკური განვითარების პროცესს ასტიმულირებს. მრავალი ინოვაცია და ტექნოლოგიური მიღწევა სწორედ სამრეწველო სექტორში ჩნდება, რომლებიც შემდეგ სხვა, მასთან დაკავშირებულ დარგებში დასაქმებასა და მწარმოებლურობას ამაღლებს, მათ შორის, მომსახურების სფეროშიც. სამრეწველო დარგების განვითარების კიდევ ერთი უპირატესობა ეკონომიკურ დივერსიფიკაციას უკავშირდება, რაც ქვეყნის ეკონომიკას შოკების მიმართ უფრო მდგრადს ხდის.

ევროკავშირში მრეწველობა მისი ეკონომიკის დაახლოებით 20%-ს შეადგენს და 35 მილიონ სამუშაო ადგილს ქმნის<sup>3</sup>. წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია სამრეწველო სექტორის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი ევროკავშირსა და კანდიდატ ქვეყნებში და მათი სტრუქტურული დაახლოების პერსპექტივის შესწავლა. ერთი მხრივ, გავანალიზებთ, მრეწველობის განვითარება კანდიდატ ქვეყნებში რა წვლილს შეიტანს წევრობის ეკონომიკური კრიტერიუმის დაკმაყოფილებაში, კერძოდ, ევროპის კავშირში არსებული კონკურენციისა და საბაზრო ძალების გამკლავების უნარის გაძლიერებაში და, ამავდროულად, ეს როგორ დაეხმარება მათ საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაში.

ინსტიტუციური რეფორმები კანდიდატ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, ქმნის ევროკავშირთან ფორმალური ინტეგრაციის წინაპირობებს, ხოლო ეკონომიკის შესაძლებლობა, დაუახლოვდეს მოწინავე განვითარებულ ქვეყნებს და გაუმკლავდეს გარედან მომდინარე კონკურენციის ძალებს, რეალური ინტეგრაციის საფუძველია. ამის გათვალისწინებით, ნაშრომში ყურადღება ეთმობა სტრუქტურულ დაახლოებას, რაშიც მნიშვნელოვანი როლის შესრულება სამრეწველო სექტორის განვითარებას შეუძლია.

ნაშრომი აგებულია შემდეგნაირად: თავდაპირველად განვიხილავთ ევროკავშირის სამრეწველო სტრატეგიის ძირითად პრიორიტეტებს და მის მნიშვნელობას კანდიდატი ქვეყნების ევროკავშირთან დაახლოების პროცესში. შემდეგ გავანალიზებთ სამრეწველო სექტორის განვითარების არსებულ მდგომარეობას განსახილველ ქვეყნებში. ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნებისა და კანდიდატი ქვეყნების გადამამუშავებელი სამრეწველო საქონლის ექსპორტის პანელური მონაცემების საფუძველზე ავაგებთ პანელური ინდექსის მაჩვენებლებს და განვსაზღვრავთ სამრეწველო სექტორის ფუნქციონირების შედარებით მახასიათებლებს როგორც ქვეყნების, ისე წლების მიხედვით. დასკვნით ნაწილში წარმოვადგენთ მოსაზრებებს კანდიდატ ქვეყნებში ევროკავშირთან ეკონომიკური დაახლოების ღონისძიებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებული შეიძლება იყოს სამრეწველო სექტორის განვითარებასთან.

### **ევროკავშირის სამრეწველო სტრატეგიის ძირითადი მახასიათებლები**

2010 წელს მიღებული ლისაბონის სტრატეგიით ევროკავშირი მიზნად ისახავდა „კონკურენტული და დინამიკური, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის უზრუნველყოფას, რომელსაც შეუძლია მდგრადი ეკონომიკური ზრდა უფრო მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილების შექმნით და სოციალური ინტეგრაციით“<sup>4</sup>. ლისაბონის სტრატეგიიდან გამომდინარე, ინდუსტრიული პოლიტიკის მიმართ მიდგომა ჰორიზონტალური იყო, რაც გულისხმობს საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას შესაფერისი ბიზნესის გარემოს უზრუნველყოფით, კვლევას/განვითარებაში ინვესტიციებით, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერით და სხვა ღონისძიებებით.

სამეცნიერო კვლევისა და ინოვაციების მიმართულებით აუცილებელი მიზნობრივი ღონისძიებები გულისხმობდა 2010 წლისთვის R&D ხარჯების მსკ-ს 3%-მდე გაზრდას, კერძო კვლევითი ინვესტიციებისთვის უკეთესი გარემოს შექმნას, სამეცნიერო-კვლევითი პარტნიორობისა და ტექნოლოგიური სტრატეგიების განვითარებაში.

<sup>3</sup> <https://www.consilium.europa.eu/en/policies/eu-industrial-policy/>

<sup>4</sup> The Lisbon Agenda, [https://www.europarl.europa.eu/summits/lis1\\_en.htm](https://www.europarl.europa.eu/summits/lis1_en.htm)

რებას, ახალი და უახლესი ტექნოლოგიების ათვისებას, კონკრეტულად კი ბიოტექნოლოგიებისა და გარემოს დაცვის ტექნოლოგიების, მაღალკვალიფიციური კვლევითი პერსონალის შენარჩუნებას ევროპის ფარგლებში და სხვა.

ასევე, სამრეწველო დარგების განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენით ხასიათდება გარემოს კუთხით განსაზღვრული მიზნები და პირობები, რომლებსაც ყურადღება ეთმობა ლისაბონის სტრატეგიაში. კერძოდ, ეს გულისხმობდა ელექტროენერჯის 22%-ის განახლებადი წყაროებიდან მიღებას, გარემოს მიმართ მეგობრულ ტრანსპორტსა და ინფრასტრუქტურაში ინვესტირებას, ეკონომიკურ ზრდასა და რესურსების გამოყენებას შორის ბალანსის მიღწევას, სურსათის ხარისხისა და უვნებლობის უზრუნველყოფას ქიმიკატების გამოყენების, ინფექციური დაავადებების და ანტიბიოტიკების მიმართ მდგრადი მიდგომების გამოყენების გათვალისწინებით და სხვა.

**ცხრილი 1**

**ევროკავშირის სამრეწველო სტრატეგიის განსაზღვრული ძირითადი დოკუმენტები**

დოკუმენტი	სამიზნე სფეროები	ინსტრუმენტები
2011 წლის კომუნიკე „სამრეწველო პოლიტიკა: კონკურენტუნარიანობის გაძლიერება“	სტრუქტურული ცვლილება ეკონომიკაში, დარგების ინოვაციურობა, მდგრადობა და რესურსების ეფექტურობა, ბიზნესგარემო, ერთიანი ბაზარი და მცირე და საშუალო საწარმოები	რესურსების ეფექტიანობის ზრდა, ინოვაციური სისტემების ფრაგმენტაციის შემცირება, ბიზნესის ადმინისტრაციული ტვირთის შემცირება, და სხვა.
2012 წლის კომუნიკე „ძლიერი ევროპული ინდუსტრია ზრდისა და ეკონომიკური აღდგენისთვის – სამრეწველო პოლიტიკის კომუნიკაციის განახლება“	ინვესტიციების ხელშეწყობა ინოვაციებში დიდი პოტენციალის მქონე 6 ძირითად სფეროში: უფრო სუფთა წარმოების მოწინავე ტექნოლოგიები; ძირითადი ხელსაყრელი ტექნოლოგიები; ბიოლოგიური პროდუქტები; მდგრადი სამრეწველო და სამშენებლო პოლიტიკა და ნედლეული; ეკოლოგიურად სუფთა სატრანსპორტო საშუალებები და გემთმშენებლობა, ჰკვიანი ქსელები.	უკეთესი საბაზრო პირობების შექმნა, ფინანსებთან და კაპიტალთან ხელმისაწვდომობის გაზრდა, ადამიანურ კაპიტალისა და უნარ-ჩვევების, როგორც სამრეწველო კონკურენციის ხელშეწყობის საშუალებების განვითარება
2014 წლის კომუნიკე „ევროპის სამრეწველო რენესანსისთვის“	საინფორმაციო ქსელები, ენერჯია და ტრანსპორტი, ღია და ინტეგრირებული შიდა ბაზარი, ინვესტიციები ახალ ტექნოლოგიებში 2012 წლის კომუნიკეით განსაზღვრულ ექვს სფეროში	უკეთესი საბაზრო პირობების შექმნა, ფინანსებთან და კაპიტალთან ხელმისაწვდომობის გაზრდა, ადამიანურ კაპიტალისა და უნარ-ჩვევების, როგორც სამრეწველო კონკურენციის ხელშეწყობის საშუალებების განვითარება, ევროკავშირის ფირმების ინტერნაციონალიზაცია

<p>2016 წლის კომუნიკე „ევროპული მრეწველობის დიגיტალიზაცია – ციფრული ერთიანი ბაზრის სრული სარგებლის მიღება“</p>	<p>ციფრული ტრანსფორმაცია; ICT სტანდარტიზაცია, დიდი რაოდენობის მონაცემები</p>	<p>კერძო ინვესტიციების წახალისება ინოვაციებში ყველა სამრეწველო სექტორში; ჰორიზონტი 2020-ის ფრაგლებში ციფრული ინოვაციური ჰაბების დაფინანსება; უკეთესი მარეგულირებელი გარემოს შექმნა REFIT პროგრამის ფარგლებში</p>
<p>2017 წლის კომუნიკე „ინვესტირება ჭკვიან, ინოვაციურ და მდგრად მრეწველობაში“</p>	<p>ერთიანი ციფრული ბაზრის გაღრმავება, ვაჭრობა, მდგრადი მრეწველობა, სახელმწიფო შესყიდვები</p>	<p>ცალკეული სექტორის მხარდაჭერის უფრო ტრადიციული მეთოდების გამოყენება</p>
<p>2018 წლის კომუნიკე „ხელოვნური ინტელექტი ევროპისთვის“</p>	<p>ხელოვნური ინტელექტის სამრეწველო შესაძლებლობების ზრდისთვის გამოყენება და შესაბამისი სოციოეკონომიკური ცვლილებებისთვის მომზადება</p>	<p>ინვესტიციები, მონაცემებზე გაზრდილი წვდომა, კოორდინაცია წევრ ქვეყნებს შორის, სათანადო ეთიკური და სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება</p>

**წყარო:** ევროკავშირის ოფიციალური ვებ გვერდი EUR-LEX <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/>.

2020 წელს ევროკავშირმა ახალი სამრეწველო სტრატეგია შეიმუშავა, რომელიც მიზნად ისახავს მწვანე და ციფრულ ეკონომიკაზე გადასვლას, ამავდროულად, ევროკავშირის მრეწველობის გლობალური კონკურენტუნარიანობის გაზრდას და ევროპის სტრატეგიული ავტონომიის გაძლიერებას. 2021 წელს კოვიდ პანდემიის შედეგებიდან გამომდინარე, მის მიზნებში ცვლილებები შევიდა, რათა სამრეწველო სტრატეგიას სრულად გაეთვალისწინებინა უფრო მდგრადი, სიცოცხლისუნარიანი, მწვანე და გლობალურად კონკურენტუნარიანი ეკონომიკის მისაღწევად საჭირო ღონისძიებები. კერძოდ, ის ითვალისწინებს:

- ერთიანი ბაზრის მედეგობის გაძლიერებას;
- ევროპის ღია სტრატეგიული ავტონომიის გაძლიერებას;
- ბიზნესის მხარდაჭერას ერთდროულად მწვანე და ციფრული მიმართულებებით ორმაგი გარდაქმნისთვის (twin transition);

ღია ეკონომიკური კავშირები ვაჭრობისა და ინვესტიციების გზით კვლავ პრიორიტეტული მიმართულებაა ევროკავშირისთვის, თუმცა მთელ რიგ სფეროებში, რომლებიც ევროპის ინტერესებისთვის სტრატეგიულადაა მიჩნეული, მაღალია დამოკიდებულება უცხოურ მიწოდების წყაროებზე. ერთ-ერთი ამგვარი კატეგორია არის ნედლეული, რომელზეც არა მხოლოდ ევროკავშირის მრეწველობაა დაფუძნებულია, არამედ მასზეა დამოკიდებული მწვანე შეთანხმებისა და ციფრული ტრანსფორმაციის უზრუნველყოფაც. ევროკავშირის სამრეწველო სექტორი ნელდელზე წვდომისათვის გლობალურ კონკურენციაში ექცევა. ზოგიერთი კრიტიკულად მნიშვნელოვანი ნედლეულის მიწოდება კონკრეტულ ქვეყნებშია კონცენტრირებული (ჩინეთი, თურქეთი, სამხრეთი აფრიკა) და მოთხოვნის ზრდის პირობებში, მათი



მიწოდება გარკვეულ საექსპორტო შეზღუდვებსაც ექვემდებარება<sup>5</sup>. ახალი სამრეწველო სტრატეგია კონკრეტულ სექტორებზეა ფოკუსირებული. ასეთებია ფარმაცევტული პროდუქტები, ლითიუმის ელემენტები წარმოება, ნახევარგამტარების წარმოება და ქლაუდ სისტემები.

ფარმაცევტული პროდუქტების მიწოდების ჯაჭვი საკმაოდ კომპლექსურია. ის ჯანმრთელობის ეკოსისტემის ნაწილია და, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ამ სფეროში საკუთარი მძლავრი საწარმოო შესაძლებლობები აქვს, ის მნიშვნელოვანწილად შეიძლება იყოს დამოკიდებული სხვა ქვეყნების საწარმოო შესაძლებლობებზე, უცხოურ პროცესებსა და შუალედურ პროდუქტებზე. ამიტომ საჭიროა დადგინდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის თვალსაზრისით ის კრიტიკულად მნიშვნელოვანი პროდუქტები, სადაც ევროკავშირის საკმარისად ძლიერი საწარმოო შესაძლებლობები არ გააჩნია.

ლითიუმის ელემენტების, წყალბადის, ნახევარგამტარებისა წარმოებასა და ქლაუდ სისტემების განვითარებაზე დიდად არის დამოკიდებული როგორც 2050 წლისთვის მწვანე შეთანხმებებით გათვალისწინებული კლიმატის მიმართ ნეიტრალურობის მიზნის მიღწევა, ისე ციფრული ტრანსფორმაცია. ევროპის ციფრულ სივრცეებსა და ქლაუდ სისტემებში თანაინვესტირება განხორციელდება 2021-2027 წლებში „ციფრული ევროპა“ (Digital Europe), ევროპის დამაკავშირებელი ინსტრუმენტი 2 (Connecting Europe Facility 2) და ჰორიზონტი ევროპა (Horizon Europe) პროგრამების დახმარებით.


რაც შეეხება ვერტიკალურ მიდგომას სამრეწველო პოლიტიკაში, ის უმთავრესად დამოკიდებულია სახელმწიფოს მხარდაჭერაზე კონკრეტული სექტორებისათვის. დახმარება, რომელიც მიზნად ისახავს საერთო ევროპული მნიშვნელობის პროექტების დანერგვას ან გამოიზნულია წევრი ქვეყნის ეკონომიკის სერიოზული პრობლემების აღმოსაფხვრელად, ევროპის ერთიანი ბაზარის პრინციპებთან თავსებადად განიხილება.

2022 წელს ევროკავშირში გაცემული მთლიანი სახელმწიფო დახმარება 228 მლრდ ევროს შეადგენდა, რაც მსპ-ს 1.43% იყო. მიზნობრივი მიმართულებების მიხედვით, საერთო ევროპული მნიშვნელობის პროექტებზე, ექსპორტისა და ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერაზე, სამეცნიერო კვლევებსა და ინოვაციებზე, სექტორულ განვითარებასა და მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერაზე 2022 წელს 27.4 მლრდ ევრო დაიხარჯა, რაც ევროკავშირის მსპ-ს 0.17% უტოლდება. ამ დანახარჯების განაწილება წევრი ქვეყნების მიხედვით ასეთია:

<sup>5</sup> [https://commission.europa.eu/strategy-and-policy/priorities-2019-2024/europe-fit-digital-age/european-industrial-strategy/depth-reviews-strategic-areas-europes-interests\\_en](https://commission.europa.eu/strategy-and-policy/priorities-2019-2024/europe-fit-digital-age/european-industrial-strategy/depth-reviews-strategic-areas-europes-interests_en)

დიაგრამა 1

ევროკავშირის ქვეყნებში გაცემული სახელმწიფო დახმარება, 2022 წ. (მლრდ ევრო)



წყარო: European Commission. Scoreboard State Aid Data. [https://competition-policy.ec.europa.eu/state-aid/scoreboard/scoreboard-state-aid-data\\_en](https://competition-policy.ec.europa.eu/state-aid/scoreboard/scoreboard-state-aid-data_en)

დიაგრამაზე დაჯგუფებულია ახალი და თავდაპირველი წევრი ქვეყნები. თვალსაჩინოა, რომ თავდაპირველ წევრ ქვეყნებში სახელმწიფო მხარდაჭერა ბევრად აღემატება ახალი წევრების მიერ გაცემულ თანხებს. დაფინანსება მიემართება უშუალოდ იმ საწარმოებისკენ, რომელთა საქმიანობა ორმაგი გარდაქმნის (twin transition) პრიორიტეტებს შეესაბამება. მაგალითად, 2023 ევროკომისიამ დაამტკიცა 1.5 მლრდ ევროს ღირებულების სახელმწიფო დახმარება საფრანგეთში კომპანია ProLogium-სთვის, რომელიც ელექტროავტომობილებისთვის ახალი თაობის ელემენტების წარმოებას ავითარებს მყარი ელექტროლიტების საფუძველზე. კიდევ ერთმა კომპანიამ, Verkor-მა, მიიღო 650 მლნ ევროს ოდენობის დახმარება, სამეცნიერო კვლევითი პროექტისათვის, რომელიც, ასევე, ელექტრომანქანების ელემენტებს ეხება<sup>6</sup>.

ამდენად, იმისათვის, რომ კანდიდატმა ქვეყნებმა ევროკავშირის სამრეწველო სტრატეგიასთან თავსებადი ღონისძიებები გაატარონ, უნდა იზრუნონ ღირებულების ჯაჭვში ტექნოლოგიურ აღმასვლაზე, ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოების გაძლიერებაზე, ასევე, ციფრული ტრანსფორმაციისა და მწვანე ტრანსფორმაციის თანდათანობით მიღწევის ღონისძიებებზე. ერთ-ერთი აუცილებელი მიმართულება სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დაფინანსების გაზრდაა, რათა ისინი ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს დაუახლოვდნენ (მსკ-ს 2.28 %). დინამიკაში მზარდია სერბეთის დანახარჯები (0.9%-დან 1%-მდე გაზარდა 2012-2022 წლებში). თურქეთში ის 1.4%-ს უტოლდება და ასევე, მზარდია. გაუარესება აქვს ჩრ. მაკედონიას (0.5%-დან 0.2%-მდე), საქართველოს (0.3%-დან 0.2%-მდე 2015-2022 წლებში) და უკრაინას (0.8%-დან 0.3%-მდე).

<sup>6</sup> European Commission (2023), State Aid Scoreboard. [https://competition-policy.ec.europa.eu/document/download/0b2037c5-c43f-4917-b654-f48f74444015\\_en?filename=state\\_aid\\_scoreboard\\_note\\_2023.pdf](https://competition-policy.ec.europa.eu/document/download/0b2037c5-c43f-4917-b654-f48f74444015_en?filename=state_aid_scoreboard_note_2023.pdf)

**სამრეწველო სექტორი ევროკავშირისა და წევრობის კანდიდატი ქვეყნების ეკონომიკების სტრუქტურაში**

ეკონომიკური განვითარების პროცესში მიმდინარეობს სტრუქტურული ტრანსფორმაცია, რაც, ტრადიციულად, მთლიან გამოშვებაში სოფლის მეურნეობის კლებადი, მრეწველობის თავდაპირველად მზარდი, ხოლო მოგვიანებით კლებადი და მომსახურების მზარდი წილით ხასიათდება. ევროკავშირის სოფლის მეურნეობის და მრეწველობისა წილები მის მსკ-ში საშუალოდ, 1.7% და 23.7%-ია, ხოლო მთლიან დასაქმებაში, შესაბამისად, 4% და 25%-ს შეადგენს. ქვემოთ მოცემულია ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნებისა და კანდიდატი ქვეყნების ეკონომიკების სტრუქტურული მახასიათებლები 2023 წელს.

ცხრილი 2

**ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურული მახასიათებლები, 2023**

ქვეყანა	სოფლის მეურნეობის წილი % მსკ	მრეწველობის წილი % მსკ	მომსახურების წილი % მსკ	სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია წილი %	მრეწველობაში დასაქმებულია წილი %
ბულგარეთი	3.0	25.4	59.3	6	30
ჩეხეთი	1.6	30.2	59.8	3	36
ხორვატია	3.0	18.8	61.2	6	28
კვიპროსი	1.6	12.2	74.0	2	17
ესტონეთი	2.2	22.2	63.8	3	29
უნგრეთი	4.7	24.3	57.6	4	31
ლატვია	4.2	20.9	63.1	7	24
ლიეტუვა	3.0	24.1	63.1	5	26
პოლონეთი	2.9	28.7	58.8	8	31
რუმინეთი	3.9	27.6	59.8	18	33
სლოვაკეთი	2.0	32.7	56.5	3	36
სლოვენია	1.9	29.1	57.8	4	30
ალბანეთი	18.3	21.2	48.0	35	21
ბოსნია და ჰერცეგოვინა	5.4	23.3	56.4	17	33
თურქეთი	6.2	28.3	54.0	17	28
მოლდოვა	7.6	17.4	61.1	55	13
მონტენეგრო	6.9	11.9	62.4	7	18
ჩრ. მაკედონია	7.0	21.4	58.2	10	30
სერბეთი	5.2	26.4	51.2	14	29
საქართველო	7.3	19.0	61.7	40	14
უკრაინა	7.4	18.8	61.3	15	24


წყარო: World Development Indicators. World Bank

მონაცემები მოწმობს, რომ კანდიდატი ქვეყნები ევროკავშირის წევრი ქვეყნებისგან განსხვავებულ სტრუქტურული ტრანსფორმაციის ეტაპზე იმყოფებიან, კერძოდ, სოფლის მეურნეობიდან სამრეწველო სექტორებში სამუშაო ძალის განაწილების უფრო ნელი ტემპით ხასიათდებიან. ეს ტემპი განსაკუთრებით დაბალია მოლდოვაში, საქართველოსა და ალბანეთში. მრეწველობაში დასაქმებულთა წილის მაჩვენებლით ევროკავშირის ქვეყნებთან ახლოს დგანან ბოსნია, ჩრ. მაკედონია, თურქეთი და სერბეთი.

ახალ წევრ ქვეყნებში მრეწველობა გაცილებით მნიშვნელოვანია მათსავე მსკ-ში წილის მიხედვით, ხოლო მთლიანად ევროკავშირის სამრეწველო გამოშვებაში თავდაპირველი წევრი ქვეყნები ლიდრობენ, როგორც ეს მე-2 დიაგრამაზეა ნაჩვენები.

დიაგრამა 2

ევროკავშირის მრეწველობის ათი მთავარი კონტრიბუტორი ქვეყანა




წყარო: ავტორის გაანგარიშებები Eurostat-ის მონაცემების მიხედვით

ამავდროულად, ახალ წევრი ქვეყნების მიერ მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულების წილი სტაბილურად მზარდია (დიაგრამა 3).

დიაგრამა 3

ახალი წევრი ქვეყნების მრეწველობის წილი ევროკავშირის 27 ქვეყნის მიმართ



წყარო: ავტორის გაანგარიშებები Eurostat-ის მონაცემების მიხედვით

2008-2009 წლების ეკონომიკური კრიზისის შემდეგ ევროკავშირის მრეწველობის ზრდის ტემპი უარყოფითი იყო, დადებით ზრდას ის მხოლოდ 2014 წლიდან დაუბრუნდა, რაც 2019 წლამდე გაგრძელდა. შემდეგ სამრეწველო ზრდა და სამრეწველო გამოშვება ევროკავშირში ისევ შემცირდა, რასაც კოვიდ პანდემიით გამოწვეული კრიზისი მოჰყვა და ეს სამრეწველო გამოშვების უარყოფითი ზრდით გამოვლინდა. პანდემიის შემდგომი გამოცოცხლების პირობებში უკვე მაღალი ზრდის ტემპი დაფიქსირდა (9.1% ევროკავშირში, ხოლო 8.9% ევროს ზონაში). ბელგიას, ლიეტუვასა და ირლანდიას 15%-ზე მეტი ზრდა ჰქონდათ 2022 წელს. ასევე, მაღალი იყო ზრდის ტემპი ბულგარეთსა (12.8%) და პოლონეთში (11%)<sup>7</sup>.

მრეწველობის დარგებს შორის, რომელიც NACE ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორის მიხედვით, აერთიანებს სამთომომპოვებელ (B), გადამამუშავებელ (C), ელექტროენერჯის, გაზის და კონდიციონერების სერვისს(D), წყლის და სადრენაჟე სისტემას, ნარჩენების მართვასა და გარემოზე ზრუნვის (E) ქვედარგებს, გადამამუშავებელი მრეწველობა მთლიან დამატებულ ღირებულებაში მისი წილის მიხედვით უდიდესია და, საშუალოდ, მთლიანი მრეწველობის 80%-ს შეადგენს. რაც შეეხება მის წილს მსკ-ში, Eurostat-ის მონაცემების მიხედვით, განხილული ათწლიანი პერიოდის მანძილზე ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2016 წელს, 15.4% დაფიქსირდა. ის იკლებდა 2016-2020 წლებში, შემცირდა 14.7%-მდე, ხოლო 2021 წლიდან კვლავ იყო ზრდა და 2023 წელს 15%-ს მიაღწია<sup>8</sup>.

ცალკეული ქვეყნის მონაცემები მოწმობს, რომ გადამამუშავებელი მრეწველობის დამატებული ღირებულების წილი მსკ-ში განსაკუთრებით მაღალია ირლანდიაში, სადაც 2022 წელს ის 38%-ს შეადგენდა. შემდეგ მოდიან ჩეხეთი (21%), სლოვაკეთი (20%) და სლოვენია (19.9%). გერმანიას უჭირავს 18%-იანი წილი. ასევე, მაღალია პოლონეთისა და უნგრეთის მაჩვენებელი, შესაბამისად, 17.5% და 17.2%.

გადამამუშავებელი მრეწველობის წვლილი ახალი წევრი ქვეყნების ეკონომიკებში EU 27-ის მაჩვენებელზე მაღალია. ეს შეიძლება აიხსნას მათი ამჟამინდელი სტრუქტურული ტრანსფორმაციის სტადიით, ასევე, მათი სამრეწველო წარმოების ისტორიული გამოცდილებითა და სამუშაო ძალის ბაზრის უპირატესობებით (დაბალი დანახარჯები, კვალიფიკაცია და სხვა). რაც შეეხება კანდიდატ ქვეყნებს, თურქეთი არის სათავეში 22%-იანი წილით, რომელიც 2014 წლის შედგომ უმჯობესდებოდა და გაზრდილია 5%-ით. მას მოჰყვებიან ბოსნია, ჩრდილოეთ მაკედონია, და სერბეთი, შესაბამისად, 14-14% და 13%-იანი წილებით. უკრაინის წილი მნიშვნელოვნად შემცირდა ომის გავლენით და 2022 წელს 7%-ს გაუტოლდა. საქართველოსა და მოლდოვას მსკ-ში გადამამუშავებელი მრეწველობის წილი, შესაბამისად, 10% და 9%-ია, ხოლო ბოლო ადგილებს ალბანეთი (7%) და მონეტენეგრო (5%) იკავებენ.

გადამამუშავებელი მრეწველობის სტრუქტურის ანალიზი ცხადყოფს, რომ საშუალო და მაღალტექნოლოგიური წარმოების დამატებული ღირებულების წილით კანდიდატ ქვეყნებს შორის თურქეთი (34%) და ჩრ. მაკედონია (33%) ლიდე-

<sup>7</sup> [https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Industrial\\_production\\_\(volume\)\\_index\\_overview#Development\\_of\\_main\\_industrial\\_groupings\\_and\\_individual\\_industries](https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Industrial_production_(volume)_index_overview#Development_of_main_industrial_groupings_and_individual_industries)

<sup>8</sup> [https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/nama\\_10\\_a10\\_custom\\_10313759/default/table?lang=en](https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/nama_10_a10_custom_10313759/default/table?lang=en)

რობენ. საქართველოში ეს მაჩვენებელი 14%-ია, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ალბანეთს (6%) აქვს. თვალსაჩინოა არსებული განსხვავებები, რადგან ევროკავშირის თავდაპირველ 15 წევრ ქვეყანაში ის, საშუალოდ, 45%-ს უტოლდება, ხოლო ახალ წევრ ქვეყნებში 37%-ს შედგენს.

რესურსების გადანაწილების ეფექტიანობაზე, სამრეწველო სექტორის ტექნოლოგიურ უპირატესობასა და კონკურენტუნარიანობაზე შესაძლებელია შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლებით ვიმსჯელოთ. მრეწველობის ერთ მუშაკზე დამატებული ღირებულება 2015 წლის დოლარით გამოსახული, ევროკავშირში 68 566 დოლარს შეადგენს, კანდიდატ ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თურქეთს აქვს (35 523 დოლარი), ხოლო ყველაზე დაბალი – უკრაინას (4800 დოლარი, 2021 წლის მონაცემებით). საქართველოში ის 18 153 დოლარს უტოლდება და 2010 წლიდან ხასიათდება მზარდი ტენდენციით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს ზრდა არასაკმარისია, რადგან ევროკავშირთან არსებული სხვაობა არ შემცირებულა (მცირედით გაიზარდა კიდევ).

სამრეწველო სექტორების ფუნქციონირების შედარებითი ეფექტიანობის შესაფასებლად განვიხილავთ გადამამუშავებელი მრეწველობის ექსპორტის დინამიკას უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებსა და კანდიდატ ქვეყნებში. ახალ წევრ ქვეყნები შერჩეული არიან იმ მოსაზრებით, რომ მათ სტრუქტურული ტრანსფორმაციისა და საბაზრო რეფორმების უფრო გვიანდელი გამოცდილება აქვთ, რასაც ამჟამად გადიან კანდიდატი ქვეყნები. საზომად გამოვიყენებთ პანელის ინდექსის მნიშვნელობებს, რომლის ასაგებად ვიხელმძღვანელებთ Karagoz (2015) მიერ შემოთავაზებული მეთოდით. გვაქვს ათწლიანი პერიოდი 2014-დან 2023 წლის ჩათვლით ( $t=1,2,\dots,T$ ) და 20 ქვეყნის გადამამუშავებელი მრეწველობის საქონლის ექსპორტის ღირებულების პანელური მონაცემები ( $i=1,2,\dots,N$ ). განსაზღვრულია კუმულაციური ექსპორტი როგორც წლების, ისე ქვეყნების მიხედვით. მის საფუძველზე გამოვთვალეთ ექსპორტის მოსალოდნელი მნიშვნელობები თითოეული ქვეყნისთვის, ყოველ მოცემულ წელს:

$$E_{it} = (EX_i \times EX_t) / EX \quad (1)$$

სადაც  $EX$  არის მთლიანი კუმულაციური ექსპორტი.

პანელის ინდექსის მნიშვნელობები გამოთვლილია, როგორც:

$$P_{ij} = EX_{ij} / E_{ij} \times 100 \quad (2)$$

ცხრილი 3

**გადამამუშავებელი მრეწველობის საქონლის ექსპორტის პანელის ინდექსის მნიშვნელობები, 2014-2023**

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
ბულგარეთი	90.46	92.63	97.68	99.50	98.53	99.11	100.28	102.71	108.08	103.86
ჩეხეთი	100.90	102.28	103.16	103.00	102.34	101.67	100.17	94.85	96.52	98.90
ხორვატია	87.81	96.90	101.79	103.98	99.42	100.02	100.12	100.17	100.77	105.52
კვიპროსი	143.86	165.16	120.04	87.70	105.69	90.53	91.05	85.60	87.62	63.36

ესტონეთი	106.69	95.09	99.57	94.81	104.29	100.22	104.78	109.85	98.83	87.28
უნგრეთი	100.44	103.08	105.29	103.18	100.64	100.92	100.50	95.21	95.17	99.89
ლატვია	95.57	96.54	95.48	98.01	100.41	95.60	103.80	105.52	104.41	100.05
ლიეტუვა	102.75	92.47	92.07	98.91	97.70	99.37	105.49	106.61	106.28	94.31
პოლონეთი	92.06	95.02	95.40	96.92	97.40	99.13	103.70	105.02	103.72	104.87
რუმინეთი	100.99	100.79	104.07	104.20	106.90	103.20	97.78	94.71	95.30	96.70
სლოვაკეთი	107.20	106.57	106.68	101.80	102.27	98.70	98.03	94.57	92.89	98.51
სლოვენია	86.63	86.96	87.67	90.87	92.49	95.26	100.05	102.61	116.98	121.24
ალბანეთი	77.80	115.88	143.50	123.64	115.64	120.18	124.55	111.84	105.82	0.00
ბოსნია და ჰერცეგოვინა	89.66	89.23	90.86	100.26	101.73	99.10	96.75	104.53	110.08	106.66
თურქეთი	102.63	102.32	98.47	97.76	96.77	98.56	94.30	101.28	106.10	100.27
მოლდოვა	94.28	89.65	87.90	100.09	113.15	126.65	108.77	79.15	95.62	103.36
მონტენეგრო	68.75	93.94	92.25	105.21	105.60	110.15	106.63	89.85	111.33	106.89
ზრ. მაკედონია	83.94	88.33	90.38	94.79	104.87	109.26	103.71	104.42	105.70	103.85
საქართველო	125.34	87.34	63.94	89.95	99.89	101.15	72.78	97.76	127.55	115.18
უკრაინა	165.52	119.75	104.26	108.01	109.84	105.21	101.47	121.38	61.38	41.20

ცხრილში 3 წარმოდგენილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ ევროკავშირის ქვეყნებს შორის სამრეწველო ექსპორტში გამორჩეულად კარგი ფუნქციონირების მაჩვენებელი აქვს სლოვენიას (121.24), კანდიდატ ქვეყნებს შორის საქართველოს პოზიციები სუსტად გამოიყურებოდა 2015-2021 წლებში, ხოლო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ის სამრეწველო ექსპორტის გაუმჯობესების ტენდენციას ავლენს. როგორც ჩანს, გადამამუშავებელი მრეწველობის წარმოების მაჩვენებლებთან შედარებით, ექსპორტი უკეთ ფუნქციონირებს. ეს შეიძლება უკავშირდებოდეს რე-ექსპორტს (ავტომანქანები 2023 წელს მთლიანი ექსპორტის ყველაზე დიდი კატეგორია იყო 32.5%-ით) და არა ადგილობრივი წარმოების განვითარებას. საჭიროა უფრო ხანგრძლივ პერიოდზე დაკვირვება, რომ შევაფასოთ ეს რამდენად მდგრადი ტენდენციაა.

### დასკვნა

ევროკავშირის სამრეწველო სტრატეგია სამრეწველო სექტორსა და მისი ცალკეული ქვედარგის განვითარებას საერთაშორისო შედარებით კონტექსტში, მსოფლიო ბაზრისა და მსოფლიო ეკონომიკის ტენდენციების გათვალისწინებით განიხილავს და, შესაბამისად, ევროკავშირის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას ემსახურება, მეორე მხრივ, კი მისი მიზანია ევროკავშირის შიგნით კონვერგენციისა და ინტეგრაციის ხელშეწყობა. იმისათვის, რომ კანდიდატმა ქვეყნებმა ევროკავშირის სამრეწველო სტრატეგიასთან თავსებადი ღონისძიებები გაატარონ, უნდა იზრუნონ ღირებულების ჯაჭვში ტექნოლოგიურ აღმასვლაზე, ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოების გაძლიერებაზე, ასევე, ციფრული ტრანსფორმაციისა და მწვანე ტრანსფორმაციის თანდათანობით მიღწევის ღონისძიებებზე. ერთ-ერთი აუცილებელი მიმართულება სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დაფინანსების გაზრდაა, რათა ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან არსებული სხვაობა შეამცირონ.

კანდიდატ ქვეყნებში სტრუქტურული ტრანსფორმაციის ტემპი შედარებით ნელა მიმდინარეობს, ამიტომ მათ ეკონომიკებში, წევრ ქვეყნებთან შედარებით, ჯერ კიდევ დაბალია სამრეწველო სექტორის წილი. კანდიდატი ქვეყნები, ასევე, ჩამორჩებიან სამრეწველო შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლებით. ამდენად, მათ მრეწველობაში ზრდის რეზერვის გამოყენებისთვის და ევროკავშირის მაჩვენებლებთან დაახლოებისთვის სტრუქტურული რეფორმების გაგრძელება საჭიროდება.

ახალი წევრი ქვეყნებისა და კანდიდატი ქვეყნების გადამამუშავებელი მრეწველობის ექსპორტის პანელის ინდექსის მაჩვენებლები 2014-2023 წლებში ავლენს ცალკეული ქვეყნის პოზიციას როგორც სხვა ქვეყნებთან, ისე განსახილველ წლებთან მიმართებით. გამორჩეულად მაღალი ფუნქციონირების მაჩვენებელი აქვს სლოვენიას. კანდიდატ ქვეყნებს შორის საქართველოს პოზიციები სუსტად გამოიყურებოდა 2015-2021 წლებში, ხოლო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ის გაუმჯობესების ტენდენციას ავლენს. როგორც ჩანს, გადამამუშავებელი მრეწველობის წარმოების მაჩვენებლებთან შედარებით, ექსპორტი უკეთ ფუნქციონირებს. განსახილველ პერიოდში ეს შეიძლება უკავშირდებოდეს რეექსპორტს და არა ადგილობრივი წარმოების ზრდას. ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს მრეწველობის წილი მსპ-ს სტრუქტურასა და დასაქმებაში კვლავ დაბალია, ასევე, დაბალია საშუალო და მაღალტექნოლოგიური სამრეწველო ექსპორტის მაჩვენებლები. ამიტომ სტრუქტურული და სამრეწველო პოლიტიკის სამიზნე მაღალი დამატებული ღირებულების მქონე სამრეწველო დარგები უნდა გახდეს.

#### გამოყენებული ლიტერატურა

- Ambroziak, A. (2017). *The New Industrial Policy of the European Union*. Springer
- Bartlett, W. (2014). Shut out? South East Europe and the EU's New Industrial Policy. LEQS Paper No. 84 [https://eprints.lse.ac.uk/117490/1/Bartlett\\_shut\\_out\\_published.pdf](https://eprints.lse.ac.uk/117490/1/Bartlett_shut_out_published.pdf)
- European Commission. (2011). *Communication Industrial Policy: Reinforcing competitiveness*. Brussels. [https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/ro/MEMO\\_11\\_701](https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/ro/MEMO_11_701)
- European Commission. (2012). *Communication A Stronger European Industry for Growth and Economic Recovery*. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A52012DC0582>
- European Commission. (2014). *Communication for a European Industrial Renaissance*. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A52014DC0014>
- European Commission. (2021). *Updating the 2020 New Industrial Strategy*, COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT, Brussels, [https://commission.europa.eu/document/download/0a5bdf82-400d-4c9c-ad54-51766e508969\\_en?filename=swd-strategic-dependencies-capacities\\_en.pdf](https://commission.europa.eu/document/download/0a5bdf82-400d-4c9c-ad54-51766e508969_en?filename=swd-strategic-dependencies-capacities_en.pdf)
- EU State Aid Scoreboard. [https://competition-policy.ec.europa.eu/state-aid/scoreboard/scoreboard-state-aid-data\\_en](https://competition-policy.ec.europa.eu/state-aid/scoreboard/scoreboard-state-aid-data_en)
- Jamagidze, L. (2023). Structural Transformation, Trade and Development: Georgia in Comparative Perspective. *Centre for European Studies (CES) Working Papers*, 15(3).



Karagoz, M. (2015). Comparative performances of EU-15 and Turkey: a PIN analysis. *Applied Economics Letters*, 23(1), 19–22.  
<https://doi.org/10.1080/13504851.2015.1047081>

Lisbon European Council. (2000). Presidency Conclusions.  
[https://www.europarl.europa.eu/summits/lis1\\_en.htm](https://www.europarl.europa.eu/summits/lis1_en.htm)

World Bank. (2023). World Development Indicators

**Lela Jamagidze**

*Doctor of Economics, Associate Professor  
Faculty of Economics and Business, Tbilisi State University*

## DEVELOPMENT OF THE INDUSTRIAL SECTOR IN THE EU AND THE CANDIDATE COUNTRIES

### Expanded Summary

Industrial sector affects economic development in multiple directions. Although currently services take the largest share of the employment and GDP in developed economies, their growing interest towards industrialization and industrial policy issues is obvious. Industrialization is also present in the development global agenda, as it is included in Sustainable Development Goals. Because of its close connections with other sectors of the economy, industry and especially manufacturing makes a positive influence on productivity, employment and economic growth. Many innovations and technologies emerge in industrial sectors and have spillover effects on other branches of the economy, including services. Another advantage of industrial development is related to diversification, which makes an economy more resilient against internal or external shocks.

In the EU industry accounts approximately 20% of the economy and creates 53 million jobs. The goal of the present paper is to analyze the state of the industrial sector in the EU and the candidate countries. It aims to study further approximation and integration prospects. The research is focused on the contribution of industrial sector development in fulfilling the economic criterion of accession, namely, in enhancing the capacity to cope with competitive pressure and market forces within the Union. Simultaneously it can contribute to the enhancement of international competitiveness of the candidate countries.

The industrial strategy of the EU comprises both horizontal and vertical measures. They aim at supporting more sustainable, resilient, green and globally competitive economy. The industrial strategy is designed to enhance single market, support EU strategic autonomy and ensure twin transition through green and digital transformation.

Candidate countries need actions that are compatible with the EU industrial strategy. Step by step they have to support technology upgrading within industrial value chains, enhance innovative small and medium businesses and carry out structural reforms for the green and digital transformation. One of the essential steps is to narrow the existing gap with the average EU R&D funding.

In order to make a comparative analysis of the industrial sector in the EU and the candidate countries we rely on industrial value added, labor productivity and manufacturing export data. Comparative performance of the industrial sector is assessed by using panel index numbers, which reveal the position of the individual countries towards each other as well as through 2014-2023 years. The data are obtained from Eurostat, World Development Indicators and national statistics offices of the respective countries.

Compared to the EU, the pace of structural transformation has been slower in the candidate countries, therefore they have lower share of industrial sector in their economies. Candidate countries also lag behind the EU by industrial labor productivity. Thus they need to continue structural reforms in order to make use of the industrial growth potential and narrow the gap with the EU industrial development.

According to the panel index numbers of manufacturing exports, Georgia had weak positions during 2015-2021. However for the last two years manufacturing exports has improved. Better performance of exports compared to industrial production indicators can possibly be explained by re-export, rather than the development of the local production. Because the share of industry in Georgia's GDP and employment is still low, also medium and high technology goods are weakly represented in manufacturing exports, Georgia's structural and industrial policies should target high value-added industrial sub-sectors.

**Keywords:** *Industry, Industrial strategy, the EU, the Candidate countries*

საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკა – ECONOMY OF FOREIGN COUNTRIES

გიორგი კეპულაძე

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
თამილა არნანია-კეპულაძე  
პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იაპონიის ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში: ისტორიულ-ეკონომიკური კონტექსტი

**ანოტაცია:** მოცემული სტატია მიმართულია მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში იაპონიის ეკონომიკაში მომხდარი პროცესებისა და მათი გამომწვევი ფაქტორების გააზრებაზე. ნაშრომში ისტორიულ კონტექსტში განხილულია იაპონიის ეკონომიკის აღდგენის თავისებურებანი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში და შესწავლილია ეკონომიკის განვითარების სპეციფიკა 1970-ან, 1980-ან და 1990-ან წლებში, განსაზღვრულია ეკონომიკური წინსვლის ხელისშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში იაპონიის ეკონომიკის აღმავლობის გზა იყო რთული და არაერთგვაროვანი. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მთავრობის მხარდაჭერას, ექსპორტზე ორიენტირებულ სტრატეგიას და იაპონური საზოგადოების კულტურულ თავისებურებებს, რომლებიც წარმატებით იქნა ინტეგრირებული ეკონომიკური განვითარების უნიკალურ მოდელში და საშუალება მისცა ქვეყანას გარდაქმნილიყო მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვან ეკონომიკად.

**საკვანძო სიტყვები:** იაპონიის ეკონომიკა; „ეკონომიკური ბუმტი“; ეკონომიკური განვითარება, ეკონომიკური სასწაული; სახელმწიფოს შეღმეფეობა

შესავალი

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი იყო მნიშვნელოვანი ეტაპი იაპონური ეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბებაში. ამ პერიოდში იაპონიის ეკონომიკამ სწრაფი ნახტომი განახორციელა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განადგურებული ქვეყნიდან მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ეკონომიკად გადაიქცა.

იაპონიის ეკონომიკის ასეთი სწრაფი ზრდა აიხსნებოდა ეკონომიკური „სასწაულით“, რომელიც დაიწყო 1950-იან წლებში და აერთიანებდა კაპიტალიზმის ელემენტებსა და ფირმების თუ სახელმწიფოს მართვისადმი ტრადიციულ აღმოსავლურ მიდგომებს.

ამ პერიოდის განმავლობაში ძლიერი ინდუსტრიალიზაციის, კაპიტალის დაგროვების მაღალი დონისა და ექსპორტზე ორიენტირებული სამთავრობო პოლიტიკის წყალობით, ქვეყნის ეკონომიკა წელიწადში საშუალოდ 10%-ით იზრდებოდა. ზრდის მთავარი ფაქტორად აღიარდა კერძო კორპორაციებისა და სახელმწიფოს მჭიდრო ურთიერთქმედება, რომელიც უზრუნველყოფდა საჭირო რესურსებს მობილიზებას და საგარეო კონკურენციისგან შიდა ბაზრის დაცვას.

იაპონიის ეკონომიკა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ: მოკლე ისტორიული მიმოხილვა

მეორე მსოფლიო ომი იაპონიისთვის დასრულდა ინფრასტრუქტურის განადგურებით, მაღალი ინფლაციითა და ეკონომიკური კოლაფსით. ამერიკული ჯარის

ოკუპაციას მოჰყვა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რესტრუქტურისა, რაც გამოწვეული იყო ისეთი რეფორმებით, როგორცაა მსხვილი ფინანსური და სამრეწველო კონცერნების (Zaibatsu) ლიკვიდაცია, მიწის რეფორმა, დემოკრატიული ინსტიტუტების შემოღება და გარკვეული სავალუტო სტაბილურობის უზრუნველყოფა (Johnson, 1982). ასეთ ვითარებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად გადაიქცა მომავალი ინდუსტრიული ზრდისა და ტექნოლოგიური განვითარების საფუძვლების შექმნა.

1945 წლის შემდეგ იაპონიის საკვანძო ეკონომიკური პარამეტრები, როგორცაა წარმოების მოცულობა და სტრუქტურა, ინვესტიციების განაწილება წარმოების სფეროებს შორის და სხვ., განისაზღვრებოდა არა იმდენად ბაზრით, რამდენადაც მთავრობის მიერ. სახელმწიფო განსაზღვრავდა წარმოების განვითარების მიმართულებებს და ხელს უწყობდა მათ წინსვლას, ახორციელებდა პროტექციონისტულ პოლიტიკას უცხოური კონკურენციისაგან ეროვნული მწარმოებლების დასაცავად და ა.შ.

1945–1952 წლებში იაპონიის სახელმწიფო ფინანსური ინსტიტუტები წამყვან როლს ასრულებდნენ და ფინანსურ შუამავლობას ახორციელებდნენ ეკონომიკის აღდგენაში. 1952–1955 წლებში სახელმწიფო დაფინანსების წილმა არასაფინანსო კორპორაციების დაკრედიტებაში მიაღწია 32.1%-ს, ხოლო პრიორიტეტული სექტორების დაფინანსებაში – 38.9%-ს. შემდგომ წლებში დაიწყო სახელმწიფო დაფინანსების წილის თანდათანობითი შემცირება, თუმცა სხვა ქვეყნებთან შედარებით მაინც საკმაოდ მაღალი რჩებოდა: სახელმწიფო საბანკო ინსტიტუტების აქტივების წილი იაპონიის საბანკო სისტემის მთლიან აქტივებში შეადგენდა 20-22%-ს (Hamada Koichi, Horiuchi Akiyoshi, 1999).

საბოლოო ჯამში, ომისშემდგომ პერიოდში იაპონიაში წარმოიშვა ბიზნეს-საქმიანობის ორგანიზების განსაკუთრებული ფორმა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირება და სახელმწიფო საკუთრების მაღალი დონის არსებობა, სახელმწიფოს უშუალო ზემოქმედება ეკონომიკაზე საბაზრო მექანიზმების მეშვეობით. ასეთ პირობებში ბიზნეს სექტორში იქმნებოდნენ სახელმწიფო ძალაუფლებას დაქვემდებარებული ადმინისტრაციული სამსახურები, რომელთა მეშვეობით სახელმწიფო ზემოქმედებდა დარგში/ბიზნესში არსებულ ვითარებაზე და ამგვარად უშუალოდ ერეოდა კორპორაციების ეკონომიკურ საქმიანობაში. კორპორაციების მართვისა და ორგანიზაციული სტრუქტურის შერწყმა სახელმწიფო ადმინისტრაციულ აპარატთან გახდა ბაზარზე სახელმწიფო კონტროლის საფუძველი და იაპონური ბაზრის მნიშვნელოვანი მახასიათებელი.

#### **იაპონიის ეკონომიკა 1970-ან წლებში**

1970-იან წლებში იაპონიის ეკონომიკა განაგრძობდა განვითარებას და ამერიკის შეერთებულ შტატებს შემდეგ, დაიკავა მეორე ადგილი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობის მიხედვით. 1950-60-იან წლებში შემუშავებული გრძელვადიანი სამრეწველო სტრატეგიების შედეგად, იაპონიის ეკონომიკას მიეცა ბიძგი სამრეწველო წარმოებისა და ექსპორტის წარმატებული განვითარებისთვის (Johnson, 1982). თუმცა, 1960-იანი წლების ბოლოს თავი იჩინა მთელმა რიგმა სტრუქტურულმა პრობლემამ. კერძოდ, შეიმჩნეოდა მშპ-ს ზრდის ტემპების შემცირება და იმპორტირებულ ნედლეულზე დამოკიდებულების ზრდა, დაიწყო შიდა ბაზრის მოთხოვნის სტრუქტურული დარღვევები და სხვ. ეს პრობლემები კიდევ უფრო გართულდა 1973 წელს გლობალური ენერგეტიკული კრიზისის პირობებში. ამ კრიზისმა დიდი

გავლენა იქონია იაპონიის ეკონომიკაზე, ვინაიდან ქვეყანა საკუთარი ენერგეტიკული საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის თითქმის მთლიანად იყო დამოკიდებული ნავთობის იმპორტზე. მსოფლიო ბაზარზე ნავთობზე ფასების ზრდამ გამოიწვია იაპონიაში წარმოების ხარჯების მნიშვნელოვანი გადიდება, ინფლაციის ზრდა და ეკონომიკური ზრდის შენელება. ამ პერიოდში იაპონიის ეკონომიკა განიცდიდა სტაგფლაციას, რომლის დროსაც მაღალი ინფლაციას თან ახლდა ეკონომიკური ზრდა შენელებული ტემპებით (Noland, 2005).

70-იანი წლების იაპონიის ეკონომიკის კრიზისმა გამოაშკარავა მნიშვნელოვანი პრობლემა - ახალი საჭიროებებისადმი უფრო ადაპტირებული ეროვნული ეკონომიკის მართვისა და ორგანიზების ახალი მოდელის შემუშავების აუცილებლობა.

მთავრობამ აღიარა იაპონიის ეკონომიკის მოწყვლადობა იმპორტირებულ ნავთობზე დამოკიდებულების გამო და მიიღო ზომები ენერგეტიკული დამოკიდებულების შესამცირებლად. ამ მიზნის მისაღწევად ორიენტაცია იყო აღებული ენერგოეფექტური ტექნოლოგიების განვითარება-დანერგვის ხელშეწყობაზე, ალტერნატიული, და პირველ რიგში ბირთვული, ენერჯის წყაროების აქტიურ ათვისებაზე. ამ ზომებმა იაპონიას მისცა საშუალება სხვა ინდუსტრიულ ქვეყნებთან შედარებით უფრო სწრაფად შეეგუებოდა ახალ ენერგეტიკულ რეალობას (Hughes, 1984).

თუ 1960-ან წლებში იაპონიის ეკონომიკა ძირითადად ეფუძნებოდა მძიმე მრეწველობას, მეტალურგიას, გემთმშენებლობას, ქიმიურ მრეწველობას, რამაც საშუალება მისცა ქვეყანას მიეღწია სამრეწველო წარმოების სწრაფი ზრდისთვის, 1970-ან წლებში ენერგეტიკული კრიზისისა და გლობალური ეკონომიკური პირობების ცვლილებების პირობებში, ამ ინდუსტრიების ზრდა შენელდა (Samuels, 1987) და გეზი იყო აღებული მრეწველობის რესტრუქტურირებაზე. ეს პროცესი იყო დაკავშირებული დიდი ინვესტიციების განხორციელებასთან კვლევასა და განვითარებაში (R&D), რამაც იაპონიას საშუალება მისცა გადასულიყო მაღალტექნოლოგიური, მაღალი დამატებული ღირებულების მქონე საქონლის წარმოებაზე. ისეთი კომპანიები, როგორცაა Toyota, Sony და Panasonic, გახდნენ იაპონიის ინოვაციური მიდგომის სიმბოლოები, რომლებიც იყვნენ ორიენტირებულნი მაღალ ხარისხსა და მაღალ მწარმოებულობაზე.

სწორედ 1970-ან წლებში დაიწყო იაპონიის ეკონომიკის გადასვლა მძიმე მრეწველობიდან მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიაზე, როგორცაა ელექტრონიკა, მანქანამშენებლობა და ავტომობილმშენებლობა და სხვ.

1960-იან წლებში წარმატებით გამოყენებული ექსპორტზე ორიენტირებული განვითარების (EOI) სტრატეგიის ფარგლებში, იაპონიამ 1970-იან წლებშიც განაგრძო საქსპორტო ეკონომიკის აქტიური განვითარება, რამაც ქვეყანას გაუხსნა სავალუტო შემოსავლის წყაროები და მისცა საშუალება აენაზღაურებინა ნედლეულის, კერძოდ კი ნავთობის, იმპორტზე ფასების ზრდა (Balassa, 1971).

იაპონიის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა დასავლეთის, და უწინარეს ყოვლისა აშშ-სა და ევროპის, ბაზრებზე საკუთარი ადგილის დამკვიდრება. საკმაოდ მოკლე პერიოდში იაპონური კომპანიების პროდუქცია, როგორცაა ავტომობილები და საყოფაცხოვრებო ტექნიკა, მათი მაღალი ხარისხისა და კონკურენტული ფასების გამო მოთხოვნადი გახდა ევროპისა და ამერიკის ბაზრებზე. ამავდროულად იაპონურმა კომპანიებმა დაიწყეს აქტიური ინვესტირება უცხოურ წარმოების ობიექტებში (Vogel, 1979). ყოველივე

ამას ჰქონდა ძლიერი მხარდაჭერა სახელმწიფოსა და უშუალოდ საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს (MITI) მხრიდან.

სახელმწიფოს მიერ მიღებულმა ზომებმა ხელი შეუწყო ქვეყანას ენერგეტიკული კრიზისით გამოწვეული შოკების შერბილებას და უზრუნველყო იაპონიის ეკონომიკის შემდგომი გრძელვადიანი მდგრადი განვითარება.

### **იაპონიის ეკონომიკა 1980-ან წლებში**

მიუხედავად იმისა, რომ იაპონიის ეკონომიკური ზრდის ტემპი 1980-იანი წლებში ნელ-ნელა მცირდებოდა, იაპონიის ეკონომიკა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი რჩებოდა და იაპონური კომპანიები განაგრძობდნენ დომინირებას ელექტრონიკაში, ავტომობილმშენებლობაში და მძიმე მრეწველობაში.

1980-იან წლებში იაპონიის ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი იყო მისი გადასვლა მაღალტექნოლოგიური პროდუქტების წარმოებაზე. კომპანიები, როგორცაა Sony, Panasonic, Toshiba, Toyota და Honda, გახდნენ ტექნოლოგიური ლიდერობისა და ხარისხის სიმბოლოები. იაპონური კომპანიები დაიკავეს პირველობა რობოტებისა და წარმოების ავტომატიზაციის სფეროში, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მწარმოებულობა და შეამცირა ხარჯები (Cusumano, 1985).

1980-იანი წლების დასაწყისისთვის იაპონია გახდა ერთ-ერთი უდიდესი ექსპორტიორი მსოფლიოში, რამაც გააძვირა იაპონიისა და აშშ-ს სავაჭრო კონფლიქტების. ამ კონფლიქტების შედეგად არაერთხელ იყო შემოდებული შეზღუდვები იაპონური საქონლის იმპორტზე. ამ პერიოდის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა იყო 1985 წელს მიღებული პლაზა აკორდები (Plaza Accord) ანუ შეთანხმება საფრანგეთს, გერმანიას, შეერთებულ შტატებს, გაერთიანებულ სამეფოსა და იაპონიას შორის, რომელიც ითვალისწინებდა ვალუტის გაცვლითი კურსით მანიპულირებას იაპონური იენისა და გერმანული მარკასთან შედარებით აშშ დოლარის კურსის შემცირების მეშვეობით. ამ ხელშეკრულებამ შეამცირა იაპონური ექსპორტის კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე. სამაგიეროდ, მიღებული ზომების წყალობით, იაპონიაში გაააქტიურდა შიდა მოთხოვნა, რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკურ ზრდას მოკლევადიან პერსპექტივაში (Frankel, 1994). ამის შედეგად, 1980-იანი წლების მეორე ნახევარში იაპონიამ განიცადა შიდა მოთხოვნის ძლიერი ზრდა. ამას ხელი შეუწყო ქვეყანაში დამკვიდრებული დაბალი საპროცენტო განაკვეთები და მთავრობის მასტიმულირებელი საკრედიტო პოლიტიკა. კრედიტზე მარტივმა ხელმისაწვდომობამ გამოიწვია ინვესტიციების ზრდა უძრავ ქონებასა და საფონდო ბირჟაზე. ეს კი, თავის მხრივ, ხელი შეუწყო “ეკონომიკური ბუშტის” (economic bubble) ჩამოყალიბებას, როდესაც აქტივების (მიწა და აქციები) ფასებმა დაიწყო მათი რეალური ღირებულების შეუსაბამოდ სწრაფი ზრდა (Hoshi & Kashyap, 2000).

1980-იანი წლების ბოლო იყო იაპონიის ეკონომიკის „ოქროს ხანა“, რომელიც ხასიათდებოდა ინვესტიციების მაღალი დონით და მოხმარების ზრდით. თუმცა, უკვე ისმოდა ხმა ზოგიერთი მეცნიერ-ეკონომისტისა, რომლებიც გამოთქვამდნენ შეშფოთებას იაპონური ეკონომიკის „გადახურების“ გამო (Hoshi & Kashyap, 2000).

### **იაპონიის ეკონომიკა 1990-ან წლებში**

წარმატებული ათწლეულების განმავლობაში უწყვეტი ეკონომიკური ზრდის შემდეგ, 1990-იან წლებში იაპონიამ განიცადა მძიმე ეკონომიკური სირთულეები და “ეკონომიკური ბუშტის” კრაში, რამაც გამოიწვია ხანგრძლივი რეცესია, რომელიც ცნობილია სახელწოდებით “დაკარგული ათწლეული” („Lost Decade“).

მას შემდეგ, რაც 1991 წელს “ეკონომიკური ბუშტი” გასკდა, დაიწყო უძრავი ქონების ფასების მკვეთრი შემცირება, საფონდო ბირჟის ვარდნა, რამაც მრავალი კომპანიისა და ბანკის გაკოტრება გამოიწვია. კრიზისი შეეხო იაპონიის ეკონომიკის ყველა ასპექტს: ფინანსურ სექტორს, სამრეწველო სექტორს და ა.შ. შედეგად, იაპონიის ეკონომიკა შევიდა ხანგრძლივი სტაგნაციის პერიოდში, დაბალი ზრდის ტემპებით და მაღალი უმუშევრობის დონით (Ito, 1992).

1990-ან წლებში იაპონიის ეკონომიკა დაუპირისპირდა ისეთ პრობლემებს, როგორცაა (Koo, 2003; Lincoln, 2001; Auer, Cazes, 2000; Gordon, 2003):

- ეკონომიკის სტრუქტურის პრობლემა, გამოწვეული იმით, რომ ამ პერიოდის იაპონიის ეკონომიკა ძლიერ იყო დამოკიდებული მსხვილ სამრეწველო სექტორზე და ექსპორტზე, ხოლო შიდა მოთხოვნა შედარებით სუსტი რჩებოდა;

- კორპორატიული სექტორის „სტაგნაციური“ ქცევა ანუ იაპონური კომპანიების მოუმზადებლობა რესტრუქტურირებისა და ხარჯების შემცირებისადმი შეუგუებლობა;

- შრომის ბაზრის კრიზისი, რაც გამოიხატებოდა უმუშევრობის დონის რეკორდულად მაღალ მაჩვენებლებში. ეს დიდწილად იყო გამოწვეული კრიზისის პირობებში კომპანიების მხრიდან ე.წ. „მთელი ცხოვრების მანძილზე დასაქმების“ პოლიტიკის მნიშვნელოვანი გადასინჯვით.

- სოციალური სფეროს კრიზისი, რაც გამოხატული იყო უთანაბრობის ზრდაში და სიღარიბის გამწვავებაში.

- სამთავრობო პოლიტიკისადმი და იაპონიის ტრადიციული ეკონომიკური მოდელის მიმართ უნდობლობა, რაც იყო შედეგი იმ პროცესებისა, რომლებიც 1990-ან წლებში გამოვლინდნენ იაპონიის ეკონომიკურ რეალობაში. ამ ვითარებამ აიძულა იაპონიის მთავრობა გადაეხედა სოციალური გარანტიებისა და სოციალური უსაფრთხოებისთვის.

შედეგად, მთავრობამ გაამძიერა ძალისხმევა ეკონომიკის სტრუქტურული პრობლემების მოსაგვარებლად, მიიღო ზომები ფინანსური სექტორის გასაუმჯობესებლად, მათ შორის გადახდისუნარო ბანკების ლიკვიდაციისა და საბანკო აქტივების კონსოლიდაციის გზით, რამაც ხელი შეუწყო ფინანსური სისტემისადმი ნდობის აღდგენას და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის პირობების შექმნას (Pempel, 1998). ამგვარად, 1990-იანი წლების ბოლოს იაპონიის ეკონომიკაში გამოჩნდა აღდგენის ნიშნები.

### დასკვნა

ომისშემდგომ პერიოდში იაპონიაში წარმოიშვა ბიზნეს-საქმიანობის ორგანიზების განსაკუთრებული ფორმა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირება და სახელმწიფო საკუთრების მაღალი დონის არსებობა, სახელმწიფოს უშუალო ზემოქმედება ეკონომიკაზე საბაზრო მექანიზმების მეშვეობით.

1970-იანი წლები იაპონიისთვის სერიოზული ეკონომიკური გამოწვევებისა და გარდაქმნების პერიოდი გახდა. 1973 წლის ენერგეტიკულმა კრიზისმა გამოავლინა იაპონიის ეკონომიკის სუსტი მხარეები და აიძულა ქვეყანა შეემუშავა უფრო მოქნილი ეკონომიკური სტრატეგიები, რომლებშიც მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების შემცირებასა და ინდუსტრიული რესტრუქტურირებას. ამ პროცესების კოორდინაციაში წამყვანი როლი სახელმწიფოს ეკუთვნოდა.

1980-იან წლებში, მიუხედავად გლობალური გამოწვევებისა და შიდა პრობლემებისა, იაპონიის ეკონომიკა განაგრძობდა დინამიურ განვითარებას. მაღალტექნოლოგიურმა წარმოებამ, ექსპორტმა და ინდუსტრიაში ინოვაციებმა ქვეყანას საშუალება მისცა შეენარჩუნებინა ლიდერის პოზიცია მსოფლიო ბაზარზე.

1990-იანი წლები რთული პერიოდი იყო იაპონიის ეკონომიკისთვის. „ეკონომიკური ბუშტი“ კრაზმა გამოიწვია ღრმა ეკონომიკური კრიზისი, რასაც თან ახლდა ფინანსური არასტაბილურობა, ინვესტიციების შემცირება და უმუშევრობის ზრდა. მთავრობის მიერ ეკონომიკის სტაბილიზაციისთვის მიღებულმა ზომებმა მცისიერი შედეგი ვერ გამოიღო და ქვეყანა გაჭიანურებული რეცესიის წინაშე აღმოჩნდა. თუმცა, ათწლეულის ბოლოს შეიმჩნეოდა გამოჯანმრთელების ნიშნები, რაც დაკავშირებული იყო შიდა რეფორმებთან და საერთაშორისო ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებასთან.

### გამოყენებული ლიტერატურა

- Auer, P., Cazes, S. (2000). *The Resilience of the Long-term Employment Relationship: Evidence from the Industrialized Countries*. International Labour Organization.
- Balassa, B. (1971). *The Structure of Protection in Developing Countries*. Johns Hopkins University Press.
- Hughes, L. (1984). *Energy Policy in Japan: From Oil to Nuclear Power*. Cambridge University Press.
- Ito, T. (1992). *The Japanese Economy*. MIT Press.
- Johnson, C. (1982). *MITI and the Japanese Miracle: The Growth of Industrial Policy, 1925–1975*. Stanford University Press.
- Koo, R. C. (2003). *Balance Sheet Recession: Japan's Struggle with Uncharted Economics and Its Global Implications*. Wiley.
- Lincoln, E. J. (2001). *Arthritic Japan: The Slow Pace of Economic Reform*. Brookings Institution Press.
- Noland, M. (2005). *The Industrial Policy of Japan: Theory and Practice*. Peterson Institute for International Economics.
- Pempel, T. J. (1998). *Regime Shift: Comparative Dynamics of the Japanese Political Economy*. Cornell University Press.
- Samuels, R. (1987). *The Business of the Japanese State: Energy Markets in Comparative and Historical Perspective*. Cornell University Press.
- Vogel, E. (1979). *Japan as Number One: Lessons for America*. Harvard University Press.
- Cusumano, M. (1985). *The Japanese Automobile Industry: Technology and Management at Nissan and Toyota*. Harvard University Press.
- Hoshi, T., & Kashyap, A. (2000). *Corporate Financing and Governance in Japan: The Road to the Future*. MIT Press.



*Giorgi Kepuladze*

*University of Business and Technology, Associate Professor*

*Tamila Arnania-Kepuladze*

*Professor, Akaki Tsereteli State University*

## THE PARTICULARITIES OF JAPAN'S ECONOMIC DEVELOPMENT IN THE SECOND HALF OF THE 20TH CENTURY: HISTORICAL-ECONOMIC CONTEXT

### Expanded Summary

This article aims to consider the processes, that occurred in the Japanese economy in the second half of the 20th century and the factors that caused them. In the historical context, the paper discusses the peculiarities of the recovery of the Japanese economy after the Second World War, studies the specifics of the economic development in the 1970s, 1980s and 1990s, and identifies the factors that facilitate and restrain economic progress.

The path of the Japanese economy's recovery in the second half of the 20th century was difficult and ambiguous but government support, an export-oriented strategy and the cultural particularities of Japanese society, which have been successfully integrated into Japan's unique economic model, allowed the country to become one of the world's leading economies. In the post-war period, a special form of business organisation emerged in Japan. This form of business organization was characterized by state-monopoly regulation, the presence of a high level of state ownership, and direct state influence on the economy through market mechanisms.

The 1970s became a period of serious economic challenges and transformations for Japan. The 1973 energy crisis exposed the weaknesses of the Japanese economy and forced the country to develop more flexible economic strategies that focused on reducing dependence on imported energy resources and industrial restructuring. The leading role in the coordination of these processes belonged to the state.

In the 1980s, despite global challenges and domestic problems, the Japanese economy continued its development. High-tech production, exports and industrial innovations allowed the country to maintain its leading position in the world market.

The 1990s were a difficult period for the Japanese economy. The collapse of the “economic bubble” led to a deep economic crisis, accompanied by financial instability, falling investment, and rising unemployment. The measures taken by the government to stabilize the economy did not produce immediate results, and the country faced a protracted recession. However, by the end of the decade, signs of recovery emerged, associated with domestic reforms and improving international economic conditions.

**Keywords.** Japanese economy; "Economic bubble"; Economic development, Economic miracle; State assistance

დოქტორანტიზისა და მაგისტრანტიზის სამეცნიერო ნაშრომები  
PAPERS OF DOCTORAL AND MASTER STUDENTS

სოფიო მაჩხაშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

კოვიდ 19-ის პანდემიის გავლენა კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე  
საქართველოში

**ანოტაცია.** უკანასკნელ წლებში საქართველოში შეინიშნება ბიზნესის გააქტიურება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) მიმართულებით. კომპანიათა ნაწილი უსისტემო CSR-დან გადადის სტრატეგიულ CSR-ზე. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია პანდემიამდე და პანდემიის დროს ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლენილ სტატისტიკურ მონაცემებზე, რომლის ანალიზის საფუძველზეც, გამოიკვეთა პროგრესი ბიზნესის მიდგომებში CSR საკითხებთან დაკავშირებით, რაც მეტყველებს კოვიდ 19-ის პანდემიაზე, როგორც მნიშვნელოვან ფაქტორზე, რომელმაც გავლენა იქონია ბიზნესის მიერ CSR-ის სტრატეგიულ ინსტრუმენტად გააზრებაზე კომპანიის მიზნების მისაღწევად.

**საკვანძო სიტყვები:** კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR), კოვიდ 19-ის პანდემია, საზოგადოება, დაინტერესებული მხარეები, ბიზნეს სტრატეგია.

შესავალი

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) კონცეფციამ განვითარების გრძელი გზა განვლო და თავდაცვითი CSR-დან ტრანსფორმაციულ CSR-ს მიაღწია, რომლის დროსაც კომპანიები ორიენტირებულნი არიან არამდგრადობის მიზეზების იდენტიფიცირებაზე და მათი დამლევის ინოვაციური მოდელების შემუშავებაზე [Visser, 2011: 23]. დღესდღეობით კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა გლობალური მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს და გარდა იმისა, რომ სტრატეგიული CSR კომპანიებისათვის კონკურენტული უპირატესობის მოპოვების ქმედით ინსტრუმენტია, მისი როლი მდგრადი განვითარების პროცესში ფართოდაა წარმოდგენილი. არაერთ ქვეყანაში სწორედ CSR-ზე კეთდება აქცენტი, როგორც კომპანიების სამოქმედო გეგმაზე მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად [Yang, 2021: 1]. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) „გლობალური შეთანხმების ათი პრინციპი“, რომელიც მოიცავს ოთხ სფეროს: ადამიანის უფლებებს, შრომის უფლებებს, გარემოს დაცვას და ანტიკორუფციულ საკითხებს [United Nations Global Compact, 2000], წარმოგვიდგება CSR-ის საბაზისო სტანდარტად და მისი რეალიზება ხელს უწყობს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.

საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა განვითარების ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზეა, თუმცა ბოლო წლებში ბიზნესის მიერ მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული სტრატეგიული CSR-ის მიმართულებით, რაც შეიძლება მოვიაზროთ კოვიდ 19-ის პანდემიის გავლენად, რომლის დროსაც ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების გათვალისწინების და „გლობალური შეთანხმების ათი პრინციპის“ რეალიზების აუცილებლობა მეტად თვალსაჩინო გახდა. პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა ნათლად წარმოაჩინა ბიზნეს სექტორის

როლი საზოგადოების კეთილდღეობაში და პასუხისმგებლიანი წარმოების მნიშვნელობა.

წინამდებარე სტატიაში კვლევის მიზანს წარმოადგენს კოვიდ 19-ის პანდემიის გავლენის შეფასება კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე საქართველოში. კვლევის მეთოდად გამოყენებულია ლიტერატურის მიმოხილვა. კვლევისას, გავლენის ანალიზისთვის ვეყრდნობით თვისებრივ და რაოდენობრივ მეორად მონაცემებს, რომლებიც ასახულია არსებული კვლევის ანგარიშებში, ხოლო ანალიზის მეთოდებად ვირჩევთ სტატისტიკური და თემატური ანალიზის მეთოდებს.

### ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

ათწლეულების განმავლობაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განმარტებასთან დაკავშირებით სამეცნიერო წრეებში ფართო დისკუსია მიმდინარეობდა [Hagberg, 2015: 1]. საზოგადოებისა კომპანიების მიერ ხშირად ხდება CSR-ის გაიგივება ქველმოქმედებასთან, თუმცა ეს ორი სხვადასხვა ცნებაა და შეიძლება ითქვას, რომ ქველმოქმედება CSR-ის მხოლოდ მცირე ნაწილია. ევროკომისია CSR-ს განმარტავს, როგორც „კონცეფციას რომლის მიხედვითაც კომპანიები აერთიანებენ სოციალურ და ეკოლოგიურ საკითხებს თავიანთ ბიზეს საქმიანობასა და დაინტერესებულ მხარეებთან, ურთიერთქმედებაში ნებაყოფლობითობის საფუძველზე“ [European Commission, 2011]. ა. ქეროლი, რომელიც CSR-ს წარმოგვიდგენს პირამიდის სახით, მას ყოფს ოთხ ძირითად კატეგორიად: ეკონომიკური, იურიდიული, ეთიკური და დისკრეციულ პასუხისმგებლობად. პირამიდის საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური პასუხისმგებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანია უპირველესად უნდა კონცენტრირდეს მომგებიან ფუნქციონირებაზე, ხოლო მისი საქმიანობა საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში რომ უნდა განხორციელდეს. ეს სწორედ იურიდიული პასუხისმგებლობის ნაწილია და პირამიდის მეორე საფეხურზე მოიაზრება. რაც შეეხება ეთიკურ პასუხისმგებლობას, კომპანიის მიერ საზოგადოებაში არსებული ეთიკური ნორმების გათვალისწინებით მოქმედებას გულისხმობს, ხოლო დისკრეციული პასუხისმგებლობა ფილანტროპულ და საქველმოქმედო საქმიანობაში რეალიზდება [Carroll, 1979: 500]. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ქეროლის CSR პირამიდა ერთი მთლიანი სისტემაა, რაც ნათლად წარმოაჩენს ფილანტროპიას და ქველმოქმედებას CSR-ის მხოლოდ მცირე ნაწილად, რომელიც დისკრეციულ პასუხისმგებლობაში ვლინდება.

1990-იან წლებში ჯონ ელინგტონის მიერ ჩამოყალიბებული იქნა კონცეფცია, რომელიც „სამმაგი ბალანსის“ (Triple Bottom Line) სახელითაა ცნობილი [Hagberg, 2015: 5] და ის ხშირად გამოიყენება როგორც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის, ისე მდგრადი განვითარების სფეროში კომპანიების მიერ ბიზნესის გავლენის შესაფასებლად და ანგარიშგებისთვის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრად [Shnayder, 2015: 13]. აღნიშნული კონცეფციის თანახმად კომპანიებმა ფოკუსირება ისევე უნდა მოახდინონ სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებზე, როგორც მოგებაზე.

ჯ. ლანტოსის მიერ CSR-ის კატეგორიზება ხდება ეთიკურ, ალტრუისტულ და სტრატეგიულ CSR-ად. იგი ეთიკურ პასუხისმგებლობას სავალდებულო ნორმად მიიჩნევს, თუმცა ალტრუისტული პასუხისმგებლობის არალეგიტიმურობას უსვამს ხაზს და სტრატეგიული მიზნების ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების გათვალისწინებით მიღწევის საუკეთესო შესაძლებლობად სტრატეგიულ CSR-ს მოიაზრებს [Lantos, 2001: 2].

CSR კონცეფცია საზოგადოების მოთხოვნილებების ცვლილების კვალდაკვალ იცვლებოდა და იხვეწებოდა წლების განმავლობაში. კონცეფციის აღმოცენებისას თუ იგი ერთჯერადი ხასიათის მატარებელი იყო და ძირითადად დაკავშირებული იყო ქველმოქმედებასთან, თანდათანობით დაიწყო მისი ინტეგრირება კომპანიის ძირითად სტრატეგიასთან და სისტემური ხასიათის მატარებელი გახდა, რაც CSR კონტექსტში იმ პროცესებზე ორიენტაციას გულისხმობს, რომლის საშუალებითაც ხდება მოგების გენერირება. როგორც გალბრათი განმარტავს, CSR არა კომპანიის დამატებითი საქმიანობა ან მარკეტინგული ქმედება, არამედ ბიზნესის წარმოების ხედვაა, რომლის თანახმადაც წარმოების პროცესში ბიზნეს სტრატეგიის დონეზე უნდა იქნეს გათვალისწინებული ის საკითხები რომელთაც CSR მოიცავს [Galbreath, 2009: 113]. თანამედროვე ეტაპზე შეიძლება გამოვყოთ CSR-ის ექვსი ძირითადი განზომილება. ესენია: საზოგადოება, მრავალფეროვნება, თანამშრომელთა ურთიერთობა, გარემო, ადამიანის უფლებები და პროდუქტის მახასიათებლები [El Ghouli, 2011: 3]. CSR სტრატეგიული ინსტრუმენტია მდგრადი ღირებულების შესაქმნელად, რისი შენარჩუნებაც ხანგრძლივად შეუძლია კომპანიას ისე, რომ მომავალი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ორგანიზაციულ შესაძლებლობებზე ალტერნატიული გავლენა არ იქნეს გამოყენებული [Nwaneri, 2015: 3]. სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობებში ინვესტირებას და შესაბამისი საკითხების გამჟღავნებას აქვს მნიშვნელოვანი შედეგები თანამშრომლების, როგორც ფუნდამენტური არამატერიალური რესურსების შექმნაზე ან ამოწურვაზე [Branco, 2006: 1]. საქართველოში სოციალურ პასუხისმგებლობას კომპანიები უმეტეს შემთხვევაში ხარჯებად აღიქვამენ და არა ინვესტიციებად [Kharitonashvili, 2022: 58], 2023 წელს გამოქვეყნებული კვლევის შედეგების თანახმად, მცირე და საშუალო ბიზნესი სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ერთ-ერთ ძირითად ბარიერად ასახელებს მის უარყოფით გავლენას მოგებაზე [Kharaisvili, 2023: 11].

### **კვლევა და დისკუსია**

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში შეინიშნება პროგრესი სოციალურ პასუხისმგებლობის კონცეფციის გააზრების პროცესში. კომპანიათა ნაწილი, უმეტესად კი მსხვილი ბიზნესი, დგას სტრატეგიული CSR-ის გზაზე, რაც გარკვეულწილად შეიძლება მოვიაზროთ კოვიდ 19-ის პანდემიის გავლენად, რადგან კომპანიების ქმედებისას კრიტიკულად მნიშვნელოვანი გახდა დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების გათვალისწინება, რამაც ბიზნესი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა, თუმცა, ამავე დროს, უზრუნველყო შესაძლებლობა CSR-ის ახლებურად გააზრებით სოციალური და ეკონომიკური სარგებლის შექმნისთვის [Kasradze, 2022: 46].

კოვიდ 19-ის პანდემიამ უდიდესი გამოწვევების წინაშე დააყენა როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნები. გარდა იმ გავლენისა, რაც პანდემიამ იქონია ჯანდაცვის სისტემებზე, სოციალური დისტანციის უარყოფითმა ეკონომიკურმა შედეგებმა ფართო მასშტაბებს მიაღწია და სოციალური უთანასწორობის კიდევ უფრო გაღრმავება გამოიწვია, რამაც თავის მხრივ, შეაფერხა მსოფლიო მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის გზაზე.

ა. ქეროლის მიერ შემოთავაზებული CSR კონცეფცია მეტად რელევანტურია პანდემიის პირობებში კომპანიათა ქვეყნის ანალიზისთვის CSR კონტექსტში, რადგან კრიზისის ფონზე ეკონომიკური პასუხისმგებლობა მართლაც წარმოგვიდგება უპირველეს მოვალეობად. ეკონომიკური კრიზისის პირობებში საზოგადოება, პირ-

ველ რიგში, მიწოდების ჯაჭვის უწყვეტობის უზრუნველყოფას მოელის ბიზნესისგან რათა წარმოებისა და მომსახურების უწყვეტობის პირობებში შენარჩუნებულ იქნას სამუშაო ადგილები. ყოველივე ზემოთ ნათქვამის უზრუნველყოფა კი მომგებიან ფუნქციონირებას მოითხოვს. ა. ქეროლის მიდგომით, მოგების მიღება, როგორც ეკონომიკური პასუხისმგებლობა ღირსეული მიზანია, თუმცა პანდემიის პირობებში ფინანსური მდგრადობა პირდაპირ კავშირშია საქონლის, მომსახურების და სამუშაო ადგილების მიწოდების გაგრძელებასთან [Carroll, 2021].

იურიდიულმა პასუხისმგებლობამ არაერთი ასპექტით შეიძინა აქტუალურობა პანდემიის პირობებში. გარდა იმისა, რომ რიგი რეგულაციების დაცვა გახდა კრიტიკულად მნიშვნელოვანი, შრომითი და ადამიანის უფლებების დაცვა მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა კომპანიებისთვის. როგორც ქეროლი განმარტავს, დისტანციური სამუშაოს ფენომენი უამრავ სამართლებრივ პასუხისმგებლობას წარმოშობს, რადგან მომუშავეები თავიანთ სახლებს აქცევენ სამუშაო სივრცედ, რაც კონფლიქტების წარმოშობის საფუძველს ქმნის სამუშაოს და პირადი პასუხისმგებლობის დაბალანსების პროცესში. [Carroll, 2021].

ა. ქეროლის მოსაზრებით ეთიკური პასუხისმგებლობა თან ახლავს ეკონომიკურ, იურიდიულ და ფილანტროპულ პასუხისმგებლობას, რომელიც კომპანიას გააჩნია დაინტერესებულ მხარეთა მიმართ. კოვიდ 19-ის პანდემიის პირობებში ყველაზე მეტად თანამშრომლები და მომხმარებლები მოიაზრებიან იმ დაინტერესებულ მხარეებად, რომლებზეც პანდემია ახდენს დიდ გავლენას. თანამშრომლების შემთხვევაში კომპანიები ეთიკურად უნდა მიუდგნენ ისეთი საკითხების რეგულირებას, როგორცაა, შვებულებები, დისტანციური სამუშაო გარემო, გენდერული უთანასწორობა და ქალის როლი სამუშაო ადგილზე. ასევე, პანდემიით გამოწვეულ მენტალური ჯანმრთელობის პრობლემებს. რაც შეეხება მომხმარებლებს, პროდუქტისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ინოვაციური მეწარმეობრივი აზროვნება გახდა მათ მიმართ ეთიკური ვალდებულება. ფილანტროპული პასუხისმგებლობა კი პანდემიის პირობებში მოიცავს გადაუდებელი დაფინანსებისთვის ფონდების შექმნას და რესურსების მიმართვას კრიზისის დასამლევად.

მეხიკოში ჩატარებული კვლევის შედეგად, გამოვლინდა, რომ კოვიდ 19-ის შიდა გავრცელების კვალდაკვალ CSR ინიციატივების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. კომპანიების ინიციატივები დივერსიფიცირებული იყო სხვადასხვა მიმართულებით, ღარიბი ადამიანების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებიდან, იმ ადამიანთა დახმარებამდე, რომელთაც ეკონომიკური გააქტიურება სჭირდებოდათ [Díaz-Pichardo, 2021: 50].

საქართველოსა და მთელ მსოფლიოში კოვიდ 19-ის პანდემიამ კრიზისი გამოიწვია არამხოლოდ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში, არამედ ყველა სექტორში. პანდემიამ თვალნათლივ დაგვანახა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თითოეული ინდივიდის ჩართულობა და პასუხისმგებლობა სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით გამოწვევებთან გასამკლავებლად. ასეთ დროს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ბიზნესის რეაგირება CSR ინიციატივების მხარდასაჭერად.

საქართველოში CSR მიმართულებით ბიზნეს სექტორის პასიური პოზიციის მიუხედავად შეიძლება ითქვას, რომ კოვიდ 19-ის პანდემიამ, გავლენა იქონია ორგანიზაციების CSR-ზე. ამ მხრივ საინტერესოა გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის (Global Compact Network Georgia) დაკვეთით ბიზნესის საკონსულ-

ტაციო კომპანია „ინოვას“ მიერ მსგავსი კვლევის დიზაინით 2019 და 2020 წლებში ჩატარებული კვლევის შედეგების შედარება. თუ 2019 წელს CSR-ის მიმართულებით გაწერილი დოკუმენტი გამოკითხული ორგანიზაციების 14%-ს გააჩნდა, ეს მაჩვენებელი 2020 წელს 21%-მდე გაიზარდა. პროგრესი მნიშვნელოვანია, როგორც მსხვილი (26%-დან 42%-მდე) ისე საშუალო (18 %-დან 25%-მდე) და მცირე (2%-დან 8%-მდე) ბიზნესის შემთხვევაში [ბიზნესის საკონსულტაციო კომპანია "ინოვა", 2020: 13]. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ გაზრდილია CSR-ის ინტეგრირების ხარისხი ორგანიზაციის სტრუქტურასა და საქმიანობაში. თუ 2019 წელს გამოკითხული ორგანიზაციების 55% პასუხობდა, რომ CSR არ იყო ინტეგრირებული ორგანიზაციის სტრუქტურასა და საქმიანობაში, აღნიშნული მაჩვენებელი 2020 წელს 44%-მდე არის შემცირებული [ბიზნესის საკონსულტაციო კომპანია "ინოვა", 2020: 17].

ძირითად სტრატეგიასთან CSR-ის ინტეგრირების ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად, კომპანიების მხრიდან სტრატეგიული CSR-ისკენ გადადგმულ ნაბიჯებზე მეტყველებს მისი მონიტორინგის და ეფექტიანობის შეფასების მიმართულებით მოქმედებების გააქტიურება. 2019 წელს გამოკითხული ორგანიზაციებიდან 56% არ ახდენდა CSR-ის მონიტორინგს, 2020 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით კი ეს მაჩვენებელი 45%-მდე არის შემცირებული [ბიზნესის საკონსულტაციო კომპანია "ინოვა", 2020: 32]. რაც შეეხება ეფექტიანობის შეფასებას, თუ 2019 წელს კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების 58% არ აფასებდა CSR-ის ეფექტიანობას, 2020 წელს ეს მაჩვენებელიც შემცირებულია და 48%-ს უტოლდება [ბიზნესის საკონსულტაციო კომპანია "ინოვა", 2020: 33].

საქართველოში მოქმედი კომპანიების CSR-ზე კოვიდ 19-ის პანდემიის გავლენის ა. ქეროლის მიდგომით განხილვისას, თავს იჩენს მნიშვნელოვანი გამოწვევები და შესაძლებლობები. პანდემიის პირობებში სამუშაო ადგილების მიწოდება ეკონომიკური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. ბიზნესის საკონსულტაციო კომპანია „ინოვას“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხული ორგანიზაციების 14% ადასტურებს, რომ პანდემიის მიზეზით მოუხდა თანამშრომლების გათავისუფლება, ხოლო 21%-მა კი თანამშრომლები, დროებით, უხელფასო შვებულებაში გაუშვა [ბიზნესის საკონსულტაციო კომპანია "ინოვა", 2020: 77], რაც იმაზე მეტყველებს, რომ პანდემიის პირობებში, ბიზნესმა ეკონომიკური პასუხისმგებლობის ნაწილში ვერ უზრუნველყო სამუშაო ადგილების მოწოდების გაგრძელება და იურიდიული პასუხისმგებლობის ნაწილში - ხელფასების და სხვა მომსახურების სტაბილური ანაზღაურება.

იურიდიული პასუხისმგებლობის შესრულებისას გამოვლენილი გამოწვევები ასევე უკავშირდება პანდემიის სამართავად დაწესებული რეგულაციების სათანადოდ შესრულებას. ამ მიმართულებით შეიძლება ვიმსჯელოთ დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადასვლის მაჩვენებელზე, რომელიც მსხვილი ბიზნესის შემთხვევაში უფრო მაღალია ვიდრე საშუალო და მცირე ბიზნესის შემთხვევაში. მსხვილმა ბიზნესმა უფრო მეტად შეძლო ინოვაციური მიდგომების გამოყენება დისტანციურ ან ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმში საქმიანობის გასაგრძელებლად [ბიზნესის საკონსულტაციო კომპანია "ინოვა" , 2020: 78], თუმცა ჩვენი შეხედულება იურიდიული პასუხისმგებლობის შესრულებასთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაში ცალსახა ვერ იქნება, რადგან გასათვალისწინებელია საქმიანობის სპეციფიკაცია.

გამოკითხულ კომპანიათა უმრავლესობა არასამთავრობო ორგანიზაციასთან პარტნიორობის პროექტებში ჩართვის განმაპირობებელ მოტივად ბიზნესის განვითარების ახალ შესაძლებლობებზე აკეთებს აქცენტს. 2020 წელს არასამთავრობო ორგანიზაციასთან პარტნიორობის პროექტებში ჩართვის სურვილს გამოთქვამს გამოკითხულ ორგანიზაციათა 40% მაშინ, როდესაც იგივე მაჩვენებელი 2019 წელს მხოლოდ 25%-ს შეადგენდა. კიდევ უფრო თვალსაჩინო პროგრესი იკვეთება მსხვილი ბიზნესის ჭრილში, რომლის შემთხვევაშიც მაჩვენებელი გაზრდილია 26%-დან 56%-მდე [ბიზნესის საკონსულტაციო კომპანია "ინოვა", 2020: 71]. ვინაიდან კოვიდ 19-ის პანდემიის პირობებში ეთიკური პასუხისმგებლობა მომხმარებლის, როგორც დაინტერესებული მხარის მიმართ ასახვას ჰპოვებს ინოვაციურ მეწარმეობრივ აზროვნებაში, მათთვის პროდუქტისა და მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად, ბიზნეს შესაძლებლობების გაფართოების მოტივით არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობისთვის მზადყოფნა კომპანიათა მხრიდან ეთიკური პასუხისმგებლობის გამოვლინებად შეიძლება მოვიაზროთ. ამავე კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ ბიზნესის მიერ ინოვაციური მიდგომების გამოყენება დისტანციურ ან ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმში საქმიანობის გაგრძელებით მომხმარებლისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად.

რაც შეეხება ფილანტროპულ პასუხისმგებლობას, გარდა იმისა, რომ ქართული კომპანიებისთვის გადაუდებელი დაფინანსებისთვის ფონდების შექმნაში წვლილის შეტანა უცხო არ არის, შეიძლება ვთქვათ, რომ კოვიდ 19-ის პანდემიამ კომპანიები უფრო მგრძობიარენი გახადა ქველმოქმედების მიმართ, 2019 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულ ორგანიზაციათა 43% აცხადებდა, რომ კორპორაციული პასუხისმგებლობის გარედან შემოსულ პროექტებზე გადაწყვეტილების მისაღებად არც კი განიხილებოდა ასეთი პროექტები. პანდემიის პირობებში კი იგივე მაჩვენებელი შემცირებულია 30%-მდე, რაც გარედან შემოსული კორპორაციული პასუხისმგებლობის პროექტების მიმართ კომპანიების ინტერესის ზრდაზე მიუთითებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი პროექტები ძირითადად საქველმოქმედო ხასიათისაა, რასაც გამოკითხულ ორგანიზაციათა 25%-იც ადასტურებს [ბიზნესის საკონსულტაციო კომპანია "ინოვა", 2020: 20].

### დასკვნა

როგორც ვხედავთ CSR არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი კომპანიის მიზნების მისაღწევად და ის ბევრად უფრო ფართე ცნებაა ვიდრე ფილანტროპია. CSR-ის სტრატეგიულ ინსტრუმენტად გამოყენება მოითხოვს მის ინტეგრირებას კომპანიის ბიზნეს სტრატეგიასთან, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს გრძელვადიანი სარგებლის მიღების და მდგრადი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების გათვალისწინებით.

პანდემიამდე და პანდემიის პირობებში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლენილი სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ ქართულ ბიზნეს სექტორში შეინიშნება პროგრესი CSR-ის კონცეფციის გააზრების პროცესში და კომპანიათა ნაწილი, უმეტესად კი მსხვილი ბიზნესი, დგას სტრატეგიული CSR-ის გზაზე. კოვიდ 19-ის პანდემიამ ეკონომიკური კრიზისის, სოციალური უთანასწორობის გაღრმავების და მდგრადი განვითარების შეფერხების ფონზე CSR-ის მნიშვნელობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა. პანდემიის პირობებში კომპანიის დაინტერესებული მხარეები განიცდიდნენ მრავალმხრივ გავლენას, რაც კომპანიებისათვის ერთდროულად წარმოადგენდა როგორც გამოწვევას, ისე შესაძლებლობას. შესაბამისად,

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა გავლენა იქონია კომპანიების მიერ CSR-ის სტრატეგიულ იარაღად გააზრებაზე და უზიძგა მათ დამდგარიყვნენ სისტემური CSR-ს გზაზე.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიზნესის საკონსულტაციო კომპანია "ინოვა". (2020). კოვიდ 19-ის გავლენა კორპორაციულ პასუხისმგებლობაზე საქართველოში. თბილისი: გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი
2. Branco, M. C., & Rodrigues, L. L. (2006). Corporate social responsibility and resource-based perspectives. *Journal of business Ethics*, 69, pp. 111-132. doi:10.1007/s10551-006-9071-z
3. Carroll, A. B. (1979). A three-dimensional conceptual model of corporate performance. *Academy of management review*, 4(4), pp. 497-505.
4. Carroll, A. B. (2021). Corporate social responsibility (CSR) and the COVID-19 pandemic: Organizational and managerial implications. *Journal of Strategy and Management.*, 14(3), pp. 315-330.
5. Díaz-Pichardo, R., & Sánchez-Medina, P. S. (2021). Corporate Social Responsibility Response During the COVID-19 Crisis in Mexico. In *Corporate Responsibility and Sustainability during the Coronavirus Crisis: International Case Studies*, pp. 37-56. Cham: Springer International Publishing.
6. El Ghouli, S. G. (2011). Does corporate social responsibility affect the cost of capital? *Journal of Banking & Finance*, 35(9), pp. 2388-2406.
7. European Commission. (2011, octobre 25). A renewed EU strategy 2011-14 for Corporate Social Responsibility. Brussels.
8. Friede, G. B. (2015). ESG and financial performance: aggregated evidence from more than 2000 empirical studies. *Journal of sustainable finance & investment*, 5(4), pp. 210-233.
9. Galbreath, J. (2009, European business review.). Building corporate social responsibility into strategy. *European business review*.
10. Hagberg, C. J. (2015). The relationship between CSR and financial performance: A quantitative study examining Swedish publicly traded companies.
11. Kasradze, T., & Machkhashvili, S. (2022). corporate Social Responsibility - Business Opportunity or Obligation for Georgian Companies. *European Journal of Marketing and Economics*, 6(1), pp. 39-48. Retrieved from <https://revistia.org/index.php/ejme/article/view/6019>
12. Kharashvili, E., & Lobzhanidze, N. (2023). Challenges and Opportunities for Promoting Sustainable Development in Small and Medium-Sized Enterprises (Case of Georgia). *Medicon Agriculture & Environmental Sciences*, 5, pp. 7-15. doi:10.55162/MCAES.04.110
13. Kharitonashvili, T. (2022). Social responsibility of the banking business: challenges and prospects. *European science review*(3-4), pp. 55-60. doi:<https://doi.org/10.29013/ESR-21-1.2-55-60>
14. Lantos, G. P. (2001). The boundaries of strategic corporate social responsibility. *Journal of consumer marketing*, 18(7), pp. 595-630.



15. Nwaneri, C. (2015). The impact of corporate social responsibility (CSR) on organization profitability. *International Journal of Business and Management*, 10(9), pp. 60-67
16. Shnayder, L. V. (2015). Putting your money where your mouth is: Why sustainability reporting based on the triple bottom line can be misleading. *PloS one*, 10(3). <https://doi.org/10.1371/journal.pone.0119036>
17. The Ten Principles of the United Nations Global Compact. (2000). Retrieved September 2024, from United Nations Global Compact Web Site: <https://www.unglobalcompact.org/what-is-gc/mission/principles>
18. Visser, W. (2011). CSR 2.0: Transforming the role of business in society. *Social Space*, pp. 26-35.
19. Zhenzhen Yang, H. S. (2021). Can strategic corporate social responsibility drive corporate innovation? *South African Journal of Business Management*, 52(1), pp. 1-12.

*Sopio Machkhashvili*

*Business Administration Ph.D. Program Student*

*Caucasus International University*

## **THE IMPACT OF THE COVID-19 PANDEMIC ON CORPORATE SOCIAL RESPONSIBILITY IN GEORGIA**

### **Expanded Summary**

At the current stage, corporate social responsibility (CSR) is a globally important and relevant issue. Strategic CSR is not only an effective tool for gaining a competitive advantage for companies, but its role is also widely recognized in sustainable development. The "Ten Principles of the UN Global Compact" serve as a fundamental standard for CSR. In Georgia, corporate social responsibility is still in the early stages of development; however, significant steps have been taken by businesses toward strategic CSR in recent years, which can be seen as a response to the COVID-19 pandemic. The pandemic has highlighted the necessity of considering the interests of all stakeholders and fulfilling the "Ten Principles of the UN Global Compact." This crisis has demonstrated the business sector's role in the welfare of society and the importance of responsible production.

The article focuses on the statistical data from research conducted before and during the pandemic. Based on this analysis, progress in business approaches to CSR issues has been highlighted. The study revealed that many companies, especially large businesses, are transitioning from unsystematic CSR to strategic CSR. This shift is evidenced by a significant increase in the number of organizations with documented CSR strategies, as well as a greater degree of integration of CSR into their structures and activities. Additionally, a positive trend in monitoring and evaluating the effectiveness of CSR initiatives has been identified. It is also noteworthy that there is increased interest among companies in external corporate responsibility projects and a desire to engage in partnership projects with non-governmental organizations.

In the article, we analyze the behavior of companies in the context of CSR using the concept proposed by A. B. Carroll which was relevant during the pandemic, as the importance of the

economic responsibilities of companies have become increasingly apparent amid the crisis. Statistical data indicate that businesses have struggled to maintain job creation as part of their economic responsibilities and to ensure stable salaries in terms of legal obligations. Protecting labor and human rights has also emerged as a significant challenge for companies. During the COVID-19 pandemic, ethical responsibility towards customers has been reflected in innovative entrepreneurial thinking aimed at ensuring the supply of products and services. Companies' willingness to collaborate with the non-governmental sector to expand business opportunities can be seen as a manifestation of ethical responsibility. Additionally, the pandemic has heightened companies' sensitivity to philanthropic responsibilities.

Considering all of the above, it is clear that the COVID-19 pandemic has highlighted the importance of CSR against the backdrop of economic crisis, deepening social inequality, and disruption of sustainable development. During the pandemic, stakeholders were affected in various ways, presenting both, challenges and opportunities for companies. Accordingly, in Georgia, the COVID-19 pandemic is a significant factor that has influenced businesses' understanding of CSR as a strategic tool for achieving company goals.

**Keywords:** *Corporate Social Responsibility (CSR), Covid-19 Pandemic, Society, Stakeholders, Business Strategy.*

**გიგი ელიზბარაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
დოქტორანტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, თეორიული ეკონომიკის  
კათედრა.*

**საქართველოს სამომხმარებლო კალათა და სამწუხარო რეალობა**

**ანოტაცია.** ქვეყანაში მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი ამავე ქვეყნის განვითარებისა და ეკონომიკის სიჯანსაღის დონის ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია. მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკური საზომი სამომხმარებლო კალათაა. ეს უკანასკნელი ყველა იმ საქონლისა და მომსახურების საერთო ნაკრებია, რომელიც აუცილებელია ადამიანის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მრავალფეროვანი სამომხმარებლო კალათა მიგვანიშნებს ერის სიმდიდრეზე, ხოლო სამომხმარებლო კალათა მწირი საქონლისა და მომსახურების შემადგენლობით მოსახლეობის ცხოვრების დაბალ დონეს გულისხმობს.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკის სიჯანსაღე, COICOP, ეკონომიკის პარალიზება.

**შესავალი**

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე და მის კონკურენტუნარიანობაზე მსჯელობა შეუძლებელია მისი სამომხმარებლო კალათის ანალიზის გარეშე. კონკურენტუნარიანობა ქვეყანას უპირატესობას ანიჭებს საქონლისა და მომსახურების წარმოების და შემდგომ მისი საერთაშორისო ბაზარზე რეალიზაციის პროცესში. ეს უკანასკნელი კი საბოლოო ჯამში მოსახლეობის რეალური შემოსავლის მდგრადობასა და მის ზრდას უწყობს ხელს (Shaban, Al-Attar, Hawatmah, Ali, 2019, p. 17). განვითარებადი ქვეყნების სამომხმარებლო კალათაში ყველაზე დიდი წილი სურსათს უჭირავს, რომელსაც ადამიანისთვის სხვა მნიშვნელოვანი პროდუქტი თუ მომსახურება მოსდევს. ქვეყანა რაც რაც უფრო ეკონომიკურად მდგრადი და პროდუქტიულობის ზრდაზე ორიენტირებულია, მით უფრო მაღალია მასში მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონე (Madgavkar, et al., 2023), რომელთა სამომხმარებლო ხარჯების დიდი ნაწილიც გართობაზე, დასვენებასა და კვების ობიექტებში სტუმრობაზე ნაწილდება. რასაც ვერ ვიტყვით ღარიბ და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებზე. IMF-ის კვლევის მიხედვით განვითარებადი ქვეყნების სამომხმარებლო კალათაში შემავალი საკვების მედიანური წილი არის 31%, ხოლო განვითარებული ქვეყნების - 17% [IMF, 2011].

**საქართველოს სამომხმარებლო კალათის წონები**

საქართველოს სამომხმარებლო კალათის ანალიზისთვის სტატიაში მოყვანილია ამ უკანასკნელში შემავალი თითოეული კატეგორიის პროდუქციის წილების ამსახველი ცხრილი (იხ. ცხრილი 1) [საქსტატი, 2024ა].

საქართველოს სამომხმარებლო კალათის წონები

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	საშუალო
1 სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	30,3%	30,7%	30,2%	30,7%	31,1%	30,1%	30,3%	30,8%	31,3%	32,2%	33,1%	33,7%	33,4%	31,4%
2 ტრანსპორტი	12,8%	12,7%	11,8%	11,8%	12,1%	13,1%	12,6%	12,1%	12,1%	13,0%	11,8%	12,3%	12,0%	12,3%
3 ჯანმრთელობის დაცვა	7,5%	9,0%	10,1%	9,5%	9,8%	8,4%	8,6%	8,0%	7,8%	7,8%	9,5%	9,4%	9,4%	8,8%
4 საცხოვრებელი სახლი, კომუნალურები	8,2%	8,8%	8,4%	8,5%	8,2%	8,4%	8,5%	8,8%	9,0%	9,0%	9,0%	9,0%	8,7%	8,7%
5 ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	5,5%	5,4%	5,1%	5,2%	6,0%	6,4%	6,7%	6,6%	6,4%	6,4%	6,7%	6,9%	6,8%	6,2%
6 ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5,1%	4,8%	6,2%	6,4%	6,4%	6,6%	6,4%	6,4%	5,9%	5,3%	5,2%	5,2%	5,5%	5,8%
7 დასვენება, გართობა და კულტურა	6,8%	6,7%	6,6%	7,1%	6,2%	6,4%	5,8%	5,7%	3,8%	3,7%	3,0%	3,1%	3,3%	5,2%
8 სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5,0%	5,1%	4,7%	4,5%	4,8%	4,9%	5,1%	5,3%	5,5%	5,3%	5,3%	5,3%	5,2%	5,1%
9 განათლება	6,1%	4,9%	5,4%	5,0%	5,0%	4,7%	4,6%	5,0%	5,0%	4,6%	4,9%	4,4%	4,6%	4,9%
10 სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	4,4%	5,2%	5,0%	4,8%	4,0%	4,1%	4,0%	4,0%	5,4%	5,4%	3,9%	3,1%	3,3%	4,4%
11 კავშირგაბმულობა	5,6%	4,1%	3,6%	3,6%	3,2%	3,7%	3,9%	3,6%	3,8%	3,6%	3,8%	3,6%	3,7%	3,8%
12 ტანსაცმელი/ფეხსაცმელი	2,6%	2,6%	2,9%	2,9%	3,1%	3,4%	3,6%	3,7%	3,9%	3,8%	3,9%	4,0%	4,0%	3,4%

ცხრილში მოცემულია საქართველოს სამომხმარებლო კალათაში შემავალი თითოეული კატეგორიის პროდუქტისა და მომსახურების წილების დინამიკა 2012 წლიდან დღემდე. აღნიშნული კატეგორიები დალაგებულია მათი საშუალო მაჩვენებლების კლების მიხედვით, რომელიც ნათლად ჩანს ცხრილის ბოლო სვეტში. როგორც ვხედავთ ბოლო 13 წლის განმავლობაში მოხმარების უდიდესი წილი (61,2%), ისეთ საქონელსა და მომსახურებაზე ნაწილდება, რომლის გარეშეც დღეისათვის ცივილიზებული ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია. ესენია: სურსათი (31,4%), ტრანსპორტი (12,3%), ჯანმრთელობის დაცვა (8,8%), საცხოვრებელი (8,7%). სამომხმარებლო კალათაში აღნიშნული კომპონენტების ლიდერობა განვითარებადი ქვეყნისთვის მართალია სამწუხაროა, თუმცა არ არის გასაკვირი. უფრო სავალალო მდგომარეობა კი ისაა, რომ ცხოვრებისათვის აუცილებელი პროდუქციისა და მომსახურების მოხმარების შემდეგ სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებს შორის ლიდერობს ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს მოხმარება (6,2%), ხოლო განათლება, რომელიც ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების საფუძველია და ყველაზე დიდი ყურადღება უნდა ექცეოდეს, იკავებს მე-9 ადგილს და ჩამორჩება ისეთ კომპონენტებს როგორებიცაა: დასვენება, გართობა, კეთილმოწყობა, სხვადასხვა საქონელი და მომსახურება. ეს ყოველივე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაბალ დონეს უსვამს ხაზს და უფრო უარესიც, აფერხებს მის განვითარებას. განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების სამომხმარებლო კალათებს შორის განსხვავების საჩვენებლად, საკმარისია მაგალითად მოვიყვანოთ ევროკავშირის წევრი სა-


ხელმწიფოების საერთო სამომხმარებლო კალათა, რომელშიც ზემოთხსენებული სიცოცხლისათვის აუცილებელი 4 კატეგორიის პროდუქტი/მომსახურება 2023 წლის მონაცემებით მხოლოდ 41,7%-ს იკავებს, რაც ამავე პერიოდის საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს ჩამორჩება 21,4%-ით. აქვე აღსანიშნავია რომ მათ სამომხმარებლო კალათაში ჯანდაცვა 1,88-ჯერ, ხოლო განათლება 4,6-ჯერ ნაკლებ ადგილს იკავებს [ECB, 2023]. ეს იმით აიხსნება, რომ აღნიშნულ მომსახურებებს ევროკავშირის მოსახლეობა უფასოდ ან მიზერული თანხის სანაცვლოდ იღებს.

**საქართველოს სამომხმარებლო კალათის პროდუქტების წარმომავლობა**

2009 წლიდან მოყოლებული დღემდე, საქართველოს იმპორტის წილი მთლიან სავაჭრო ბალანსში განუწყვეტლივ იზრდება და იგი არცერთი წლის მონაცემებით არ ფიქსირდება 70%-ზე ნაკლები. ამასთანავე განუწყვეტლივ მცირდება საგარეო სავაჭრო სალდოც (იხ. ცხრილი 2; დიაგრამა 1) [საქსტატი, 2024გ].

ცხრილი 2

დიაგრამა 1



საქართველოს ეკონომიკის მომხმარებლური ხასიათიდან გამომდინარე სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების დიდი ნაწილი იმპორტულია, რაც ეკონომიკის განვითარების პარალიზებას იწვევს. საქართველოს სამომხმარებლო კალათაში შემავალი პროდუქციის/მომსახურების წარმომავლობის ანალიზისთვის სტატიაში ცხრილი 3-ის სახით წარმოდგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან გამოთხოვილი ოფიციალური მონაცემები [საქსტატი 2024ბ].

საქართველოს სამომხმარებლო კალათის პროდუქტები წარმომავლობის მიხედვით

		2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	საშუალო	
1.	სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	ადგილობრივი	61.5	58.8	59.8	57.8	57.5	56.9	56.4	57.6	56.5	57.1	56.8	57.9
	იმპორტული	4.8	4.9	4.9	6.5	5.9	7.0	6.9	6.6	6.2	6.6	6.9	6.1	
	შერეული	33.8	36.3	35.3	35.7	36.6	36.1	36.7	35.8	37.3	36.4	36.3	36.0	
2.	ტრანსპორტი	ადგილობრივი	27.8	28.4	31.8	30.2	29.8	29.7	30.3	31.9	26.9	25.9	26.2	29.0
	იმპორტული	69.8	69.6	65.7	67.1	65.4	65.8	65.4	64.2	69.2	70.1	69.3	67.4	
	შერეული	2.4	2.0	2.5	2.7	4.8	4.5	4.3	3.8	3.9	4.0	4.4	3.6	
3.	ჯანმრთელობის დაცვა	ადგილობრივი	76.4	73.6	73.5	66.3	65.1	60.2	56.3	54.0	39.3	34.6	34.9	57.7
	იმპორტული	1.3	1.0	1.0	1.1	1.0	1.4	1.4	1.8	1.2	1.4	1.5	1.3	
	შერეული	22.3	25.4	25.5	32.6	33.9	38.4	42.3	44.2	59.5	64.0	63.6	41.1	
4.	საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერჯია, აირი და სათბობის სხვა სახეები	ადგილობრივი	66.7	67.3	65.6	64.9	62.6	40.9	42.9	47.3	41.9	41.0	40.8	52.9
	იმპორტული	31.7	31.8	33.3	34.3	36.5	34.9	33.6	30.7	34.1	34.6	34.5	33.6	
	შერეული	1.6	0.9	1.1	0.8	0.8	24.2	23.5	21.9	24.0	24.4	24.6	13.4	
5.	ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	ადგილობრივი	59.7	57.5	59.3	60.8	61.4	47.2	37.4	33.8	30.9	30.8	30.6	46.3
	იმპორტული	30.2	31.4	26.3	25.4	27.4	35.4	44.6	48.5	49.3	48.7	48.7	37.8	
	შერეული	10.2	11.1	14.4	13.8	11.2	17.4	18.0	17.7	19.8	20.4	20.7	15.9	
6.	ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთ.	ადგილობრივი	3.4	3.0	2.7	2.6	2.7	2.7	3.7	3.4	4.1	4.3	3.9	3.3
	იმპორტული	54.8	78.8	80.3	79.0	80.7	77.5	75.3	76.6	78.0	79.5	79.7	76.4	
	შერეული	41.8	18.2	16.9	18.5	16.6	19.8	21.0	20.0	18.0	16.1	16.4	20.3	
7.	დასვენება, გართობა და კულტურა	ადგილობრივი	78.8	82.0	70.7	63.6	60.7	78.4	42.0	40.2	45.4	49.2	47.7	59.9
	იმპორტული	13.0	14.5	23.8	28.5	31.9	17.0	23.0	25.3	33.1	32.8	35.2	25.3	
	შერეული	8.2	3.5	5.4	7.9	7.4	4.6	35.0	34.5	21.5	18.0	17.1	14.8	
8.	სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	ადგილობრივი	71.3	69.9	70.3	69.1	63.6	65.6	67.9	63.6	62.6	63.5	58.6	66.0
	იმპორტული	28.7	30.1	29.7	29.8	29.8	28.6	26.1	29.6	29.7	28.3	32.1	29.3	
	შერეული	0	0	0	1	7	6	6.0	6.7	7.7	8.2	9.3	4.7	
9.	განათლება	ადგილობრივი	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	
	იმპორტული	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	
	შერეული	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	
10.	სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	ადგილობრივი	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	
	იმპორტული	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0.0	
	შერეული	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0.0	
11.	კავშირგაბმულობა	ადგილობრივი	99	78	99	83	81	81	78	80	82	81	82	84.2
	იმპორტული	1	22	1	17	19	19	20	19	17	18	17	15.4	
	შერეული	0	0	0	0	0	0	1	1	1	1	1	0.4	
12.	ტანსაცემი და ფხსაცემი	ადგილობრივი	1.2	1.2	1.3	1.6	1.5	2.1	2.1	1.7	1.3	1.3	1.5	
	იმპორტული	2.4	4.4	5.6	3.4	3.6	3.0	2.6	2.9	3.1	3.1	5.9	3.6	
	შერეული	96	94	93	95.0	94.9	94.9	95.3	95.4	95.6	95.6	92.8	94.8	
სულ:	მთლიანი	ადგილობრივი	61.0	58.9	58.8	55.7	55.0	52.7	51.0	51.3	48.3	47.1	47.0	53.3
	იმპორტული	19.7	22.5	22.2	24.5	24.4	23.9	23.7	23.8	24.1	24.9	25.2	23.5	
	შერეული	19.3	18.6	19.1	19.7	20.6	23.4	25.3	24.9	27.6	28.1	27.8	23.1	

ცხრილ 3-ში მოყვანილია საქართველოს სამომხმარებლო კალათის წონები COICOP-ის (Classification of Individual Consumption According to Purpose) ჯგუფებისა და პროდუქტების წარმომავლობის მიხედვით. ადგილობრივ წარმოებასა და იმპორტთან ერთად მოცემულია მესამე კომპონენტი ე.წ. „შერეული“, რომელიც მოიცავს გაუმიჯნავ პროდუქციას/მომსახურებას და ამახინჯებს სტატისტიკურ მონაცემებს. (ცხრილ 2-ზე წარმოდგენილ საქართველოს საგარეო ვაჭრობის მონაცემებისა და დიაგრამა 1-ზე წარმოდგენილ საგარეო სავაჭრო სალდოს ბოლო 15 წლის მონაცემების ანალიზიდან გამომდინარე კომპონენტ „შერეულში“ უდიდესი ნაწილი იმპორტს უკავია). ცხრილი 3-ის პირველ სვეტში მოყვანილია ზემოთხსენებული 12 კატეგორიად დალაგებული პროდუქტიდან/მომსახურებიდან თითოეულის შესატყვისი კომპონენტების (ადგილობრივი წარმოება, იმპორტი, „შერეული“) წილების დინამიკის ამსახველი მონაცემები, რომლებიც გვიჩვენებს თითოეული წლის მდგომარეობას, ბოლო სვეტი გვიჩვენებს თითოეული კატეგორიის პროდუქციასა და მომსახურებაში საშუალოდ რა წილი უკავია ადგილობრივ წარმოებას, იმპორტსა და შერეულ კომპონენტს, ხოლო ცხრილის ბოლო სტრიქონზე ნაჩვენებია მთლიანი სა-

მომხმარებლო კალათის წარმომავლობის საშუალო მაჩვენებლები, როგორც ცალკეული წლების ჭრილში, ასევე ერთიანად. ცხრილის ემპირიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სამომხმარებლო კალათა არასახარბიელო მდგომარეობაშია, რასაც მოწმობს ადგილობრივი წარმოების პროცენტული წილის დინამიკის (როგორც ცალკეული კატეგორიის პროდუქციისა/მომსახურების, ასევე ჯამურად) ამსახველი მონაცემები. ეს უკანასკნელი არცერთ ჩამოთვლილ კატეგორიაში არ იზრდება, გარდა იმ შემთხვევებისა რომელი კატეგორიის იმპორტიც საერთოდ არ ხორციელდება და მხოლოდ ადგილობრივი წარმოება გვაქვს, როგორცაა: განათლება და სასტუმროების, კაფეების, რესტორნების მომსახურება. ამასთანავე იმპორტის წილები წლების განმავლობაში არცერთ კატეგორიაში არ მცირდება და ასევე არ მცირდება „შერეული“ პროდუქციაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ უკანასკნელის უდიდესი ნაწილი სწორედ იმპორტზე მოდის და გვართმევს რეალური სურათის აღქმის საშუალებას. რაც შეეხება მთლიანი სამომხმარებლო კალათის ჯამურ მაჩვენებლებს, უნდა აღინიშნოს, რომ იგი უფრო უარესი მდგომარეობის გამომხატველია ვიდრე ცალკეული კატეგორიების შემთხვევაში. აქ, ადგილობრივი წარმოების წილი 2014 წლიდან დღემდე მცირდება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივი წარმოება მცირდება. იმპორტის პროცენტული წილი დროთა განმავლობაში იზრდება ან სტაბილურია. ხოლო „შერეული“ პროდუქციის წილი (რომლის დიფერენციაციის შემთხვევაშიც უფრო უარესი სურათი გვექნებოდა) საკმაოდ სტაბილურია.

### დასკვნა

წინამდებარე სტატიაში გამოიკვეთა საქართველოს სამომხმარებლო კალათის რამოდენიმე ნაკლოვანება, რომლებიც აფერხებს საქართველოს ეკონომიკის განვითარებას და რომელთა აღმოფხვრაც შესაძლებელია მთავრობისა და მოსახლეობის ერთიანი მიზანმიმართული ნაბიჯებით. ბუნებრივია, ის ფაქტი, რომ სამომხმარებლო კალათის უდიდესი ნაწილი სიცოცხლისათვის აუცილებელ კომპონენტებს უკავია, თუმცა, ქვეყნისთვის მტკივნეულია, რომ სასურსათო კალათაში საშუალო მონაცემების მიხედვით ნახსენებ თორმეტ კატეგორიის პროდუქტსა და მომსახურებას შორის განათლება თითქმის უკანასკნელ, მე-9 ადგილზეა, რომელსაც ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებელი პროდუქციისა და მომსახურების მაჩვენებლების გარდა სამწუხაროდ უსწრებს ისეთი პროდუქცია და მომსახურებები, როგორებიცაა: გართობა, დასვენება, ალკოჰოლი, თამბაქო, მორთულობა-მოკაზმულობა და სხვ. აქ უკვე ცხადია თუ რაოდენ მწვავე პრობლემას ვაწყდებით და თუ როგორ „ეხმარება“ ქვეყანას მოსახლეობა მისი განვითარების შეფერხებაში. ამასთანავე ბუნებრივია, ის ფაქტი, რომ საქართველოს, როგორც იმპორტდამოკიდებული ქვეყნის სამომხმარებლო კალათის ძირითადი შემავსებელი წყაროა იმპორტი, გულდასაწყვეტი კი ისაა, რომ წლების განმავლობაში არ მცირდება ეს ტენდენცია და სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე არ იკვეთება საქართველოს სამომხმარებლო კალათაში ადგილობრივი წარმოების წილის ზრდის პერსპექტივა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქსტატი, 2024ა. „სამომხმარებლო კალათის წონები“. *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*, <<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/26/samomkhmareblo-fasebis-indeksi-inflatsia>>.

2. საქსტატი, 2024ბ. „სამომხმარებლო კალათის წონები COICOP-ის ჯგუფებისა და პროდუქტების წარმომავლობის მიხედვით“. *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*.
3. საქსტატი, 2024გ. „საქონლითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობა“. *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*, <<https://ex-trade.geostat.ge/ka>>.
4. ECB, 2023. “Inflation in Euro Area.” *Euro Area Statistics, European Central bank*, September, 2023, <<https://www.euro-area-statistics.org/digital-publication/statistics-insights-inflation/bloc-2a.html>>.
5. IMF, 2011. *World Economic Outlook, Slowing Growth, Rising Risks*. International Monetary Fund, 240 p., September 20, <<https://www.elibrary.imf.org/display/book/9781616351199/ch003.xml>>.
6. Madgavkar A., Smit S., Krishnan M., Russell K., Anderson R. J., Woetzel L., Ellingrud K., Francis T., 2023. “What would it take to raise minimum living standards and get on a net-zero path in this decade? Our research explores twin ambitions for people and the planet.” *From poverty to empowerment: Raising the bar for sustainable and inclusive growth*. McKinsey Global Institute, September, 18, <<https://www.mckinsey.com/mgi/our-research/from-poverty-to-empowerment-raising-the-bar-for-sustainable-and-inclusive-growth>>.
7. Shaban, O. S., Al-Attar M., Al-hawatmah Z., Ali N. N., 2019. “Consumer Price Index (CPI) as a Competitiveness Inflation Measure: Evidence from Jordan.” *Journal of Governance and Regulation*, Vol. 8, No, 2, pp. 17-22, <[https://www.virtusinterpress.org/IMG/pdf/jgr\\_v8\\_i2\\_p2.pdf](https://www.virtusinterpress.org/IMG/pdf/jgr_v8_i2_p2.pdf)>.

**Gigi Elizbarashvili**

*Ph.D. candidate in Economics,*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

## **GEORGIA’S CONSUMER BASKET AND THE HARSH REALITY**

### **Expanded Summary**

The standard of living of a population is measured by the consumer basket. Without analyzing this measure, it is impossible to discuss the level of economic development of a country. Food accounts for the largest share of the consumer basket of developing countries, followed by other important products and services. The more economically sustainable a country is, the larger portion of its population’s consumer spending is directed toward entertainment, recreation, and dining out. According to IMF research, the median share of food in the consumer basket of developing countries is 31%, compared to 17% in developed countries.

The purpose of this article is to analyze the consumer basket of Georgia. Tables indicating the shares and origins of products in each category are provided. Empirical analysis of these tables shows that, over the last 13 years, the largest share of consumption has been allocated to goods and services essential for modern life, including food, transport, healthcare, and housing. A concerning issue is that, after meeting essential needs, the consumption of alcoholic beverages and tobacco is a leading category, while education, which is crucial for the development of the real sector of the economy and should receive the greatest attention, ranks ninth. It falls behind



categories such as recreation, entertainment, amenities, and various goods and services. This highlights the low level of economic development in the country and hinders its progress. In comparison, the common consumer basket of EU member states allocates 21.4% less to these four essential categories as of 2023, compared to Georgia. Additionally, healthcare occupies 1.88 times and education 4.6 times less space in the EU's consumer basket, which is explained by the fact that EU citizens receive these services either for free or at a very low cost.

Due to the consumer-oriented nature of Georgia's economy, the share of local production does not increase in any category, except for those where imports are nonexistent, such as education and services provided by hotels, cafes, and restaurants. Moreover, the share of imports has not decreased in any category over the years. Regarding the overall indicators for the entire consumer basket, the situation is even worse than in individual categories.

The article identifies several shortcomings in Georgia's consumer basket that hinder the development of the country's economy. These issues can be addressed through coordinated and purposeful efforts by both the government and the population. While it is understandable that essential goods and services dominate the consumer basket, it is troubling that education is ranked last, in ninth place, behind categories such as entertainment, recreation, alcohol, tobacco, and amenities. This situation illustrates the severity of the problems facing the country and how the population's consumption patterns may contribute to hindering its development. Furthermore, as an import-dependent country, Georgia's consumer basket relies heavily on imports, and unfortunately, this trend has not decreased over the years. Based on statistical data, there is little prospect of increasing the share of local production in Georgia's consumer basket.

ნათია ლავია  
დოქტორანტი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### მწვანე ბანკინგის განვითარების პერსპექტივები საქართველოში - რეგულაციები და ადგილობრივი ლანდშაფტი

**ანოტაცია.** რამდენიმე ათწლეულია ფინანსური სისტემის მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობების გათვალისწინება აქტუალურად განიხილება სამეცნიერო ლიტერატურაში. კლიმატის ცვლილებები, რომლებიც საფრთხეს უქმნის მდგრადი ცხოვრების წესს უზიძვებს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს სწრაფად და ეფექტურად გადადგან ქმედითი ნაბიჯები, მწვანე ფინანსები კი პრობლემის გადაჭრის გზად გვევლინება, ვინაიდან მდგრადი დაფინანსების უპირველესი მიზანი ისეთი აქტივობების მხარდაჭერაა, რომლებიც ხელს უწყობს გარემოს დაცვას, ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას და სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობას. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ბევრმა განვითარებადმა ქვეყანამ დანერგა მწვანე საბანკო პრაქტიკა, რომელიც ეხმარება ეკოლოგიური აქტივობების განხორციელებას და პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა ინდიკატორებზე. გლობალიზაციის პროცესებმა და ეკონომიკურმა კრიზისებმა განვითარებად ქვეყნებს აგრძობინა რომ საჭირო იყო ფინანსური სისტემის მოდერნიზება, ამისთვის კი მწვანე საბანკო პრაქტიკის დანერგვა ერთ-ერთი საუკეთესო გამოსავალი იყო. ნაშრომში მიმოიხილავს მწვანე ბანკინგის პერსპექტივებს საქართველოში, განსაზღვრავს იმ სარგებელს რომელიც შეიძლება მიიღოს ქვეყნის კონომიკამ მდგრადი ფინანსების წახალისებით.

**საკვანძო სიტყვები:** მწვანე ბანკინგი, მდგრადი განვითარების მიზნები, კომერციული ბანკები, მწვანე დაკრედიტება, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები.

### შესავალი

ტერმინი მწვანე ბანკინგი (GB), ასევე ცნობილი როგორც სოციალურად პასუხისმგებელი ბანკინგი, მდგრადი ბანკინგი და ეთიკური ბანკინგი, ფართოდ დამკვიდრდა აკადემიურ და ბიზნეს ლიტერატურაში და აქვს სხვადასხვა მნიშვნელობა. მწვანე ბანკინგის მიზანს ფინანსური რესურსების (საინვესტიციო კაპიტალი) მიწოდება წარმოადგენს იმ პროექტებზე, ბიზნესა თუ ინიციატივებზე, რომლებსაც აქვთ დადებითი გავლენა გარემოზე/სოციუმზე. ვინაიდან სექტორი დომინანტ დაფინანსების წყაროს წარმოადგენს იმ ქვეყნებში სადაც კაპიტალის ბაზარი სუსტია, მისი ჩართულობა მწვანე აქტივობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან სწორედ საბანკო სფერო შეიძლება იყოს შუამავალი ეკონომიკურ ზრდასა და გარემოს დაცვას შორის, რითაც ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად და სოციალურად პასუხისმგებელ ინვესტიციებს.

2017 წლიდან ეროვნული ბანკი მხარს უჭერს ქვეყნის მდგრად განვითარებაში ფინანსური სექტორის როლის გაძლიერებას, ამ მიზნით მწვანე, სოციალური და მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს ავითარებს, რომელიც ოთხ ძირითად მიზანს მოიცავს, მათ შორის კი ერთ-ერთი ფინანსური ინსტიტუტების ჩართულობის გაზრდა და მწვანე ინვესტიციების ზრდის ხელშეწყობაა.

განვითარებად ქვეყნებში მათ შორის საქართველოში მწვანე საბანკო პრაქტიკის დანერგვას მრავალი დაბრკოლება ახლავსთან. მსოფლიოს ფინანსურმა კორპორაციამ (IFC ) გამოიკვლია 25 განვითარებადი ქვეყანა რათა გაეგო ის ძირითადი ფაქტორები რომლებიც გავლენას ახდენს ამ ქვეყნებში დანერგონ ეკო მეგობრული საბანკო პრაქტიკა, კვლევამ აჩვენა რომ მიზეზები ერთგვაროვანი არ არის და ამის მთავარ ფაქტორს განსხვავებული სოციალურ კულტურული და ეკონომიკური მდგომარეობა განაპირობებს. ერთ-ერთ მიზეზად კი შეიძლება დასახელდეს ინფორმირებულობის ნაკლებობა მწვანე საბანკო პრაქტიკის შესახებ დაინტერესებულ მხარეებს შორის. ასევე განვითარებად ქვეყნებში ვხვდებით ისეთ სისუსტეებს როგორცაა: მთავრობის მხარდაჭერის ნაკლებობა, ტიპური სექტორებისთვის დაკრედიტების პრობლემა, ზოგიერთი მწვანე საბანკო ინიციატივის მაღალი ღირებულება და ნაკლები სარგებელი კერძო სექტორისთვის (მწვანე მშენებლობა, მწვანე ტექნოლოგიები და სხვა).

დამატებით კვლევების სიმწირე განვითარებად ქვეყნებში განაპირობებს მწვანე საბანკო პრაქტიკის დანერგვის ნაკლებ ინტერესს. ვინაიდან მწვანე ბანკინგის კონცეფციის თეორიული ასპექტები ნაკლებად შესწავლილია, ხშირ შემთხვევაში არ არსებობს კონტროლი და მარეგულირებელი მექანიზმი, რაც საბოლოო ჯამში მეტად ამცირებს ინტერესს [Masukujjaman, 2022]. ამ კონტექსტში, წარმოდგენილი ნაშრომი სწავლობს მწვანე ბანკინგის სტრატეგიების გამოყენებას საქართველოში, აქცენტი გაკეთებულია მცირე და საშუალო საწარმოების (SMEs) გაძლიერებაზე მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით. გლობალური კონკურენტუნარიანობისა და გარემოსდაცვითი მეთვალყურეობის გამოწვევებთან მიმართებით, მცირე და საშუალო საწარმოების როლი გადამწყვეტი ხდება. მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ საქართველოს ეკონომიკის ხერხემალს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დასაქმებაში, ინოვაციების დანერგვასა და ეკონომიკის დივერსიფიკაციაში. თუმცა, მათი პოტენციალი მდგრადი განვითარების წარმართვისთვის ძირითადად გამოუყენებელი რჩება. ამ ფონზე, ნაშრომში შესწავლილია, თუ როგორ შეიძლება მწვანე ბანკინგის სტრატეგიების გამოყენება საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად. [Agrawal, 2014]. ასევე ხაზს უსვამენ ბიზნესის მწვანე ეკონომიკის პოპულარიზაციის პროცესში. ისინი აღნიშნავენ, რომ თუ ეკონომიკური განვითარება ადრე ფოკუსირებული იყო სიღარიბის, უთანასწორობისა და უმუშევრობის შემცირებაზე, კონცეფცია გადავიდა მდგრად განვითარებაზე, რაც გულისხმობს დღევანდელი საჭიროებების დაკმაყოფილებას მომავალი თაობების საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილების უნარზე ზიანის მიყენების გარეშე. [Rugilè, 2014]. ჩაატარეს ემპირიული გამოკითხვა 2012 წელს, რათა გამოეცლინათ, განსხვავდებოდნენ და შეედარებინათ მწვანე ბიზნესის ტენდენციები ლიტვაში და ირლანდიაში, ანუ ახლად წარმოქმნილი და კარგად ჩამოყალიბებული საბაზრო ეკონომიკა. კითხვარი რომელსაც იყენებდნენ

შედგობდა სამი ნაწილისგან: კომპანია (სამოქმედო სფერო, ზომა, ბრუნვა და ა.შ.) მეორე ნაწილი ეხებოდა მწვანედ გახდომის მიზეზებს სადაც უთითებდნენ „მწვანე“ პრაქტიკას, რომელიც გამოიყენება როგორც მიკროგარემო (კომპანიის შიგნით) და მაკრო დონეზე. მესამე ნაწილი დაეთმო არამწვანე კომპანიებს, მცდელობით დაადგინონ მიზეზები, თუ რატომ არ მიჰყვებიან მწვანე ტენდენციას. თითოეულ ქვეყანაში გამოკითხა 100 კომპანიის წარმომადგენელი. ორივე ქვეყანაში გა-

მოვლინდა შემდგი სახის კორელაცია, კომპანიები რომლებიც მწვანე პრაქტიკას ნერგავდნენ, წლიური შემოსავალი და ბრუნვა უფრო მეტი ქონდათ მათთან შედარებით ვინც მწვანე პრაქტიკაზე ამბობდა უარს. დამატებით თანამშრომელთა კმაყოფილების დონეც მაღალი იყო. თუმცა ამ ორი ქვეყნის მწვანე პრაქტიკას შორის ძირითადი სხვაობა განპირობებული იყო მათი კულტურული და ეკონომიკური ხედვებით, ლიტერული კომპანიები ხარჯის მინიმიზაციის ფონზე ცდილობდნენ მწვანე ბიზნესის პოპულარიზაციას და საჯარო იმიჯის შექმნას, ხოლო ირლანდიური კომპანიები ძირითადად გარემოსდაცვითი პროექტების ფინანსური მხარდაჭერით.

ქართულ რეალობაზე ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევები არ არსებობს, თუმცა 2017 წლიდან პოლიტიკის დონეზე მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა აქტიურად განიხილება. ამის მაგალითი ეროვნული ბანკის მიერ მიღებული არაერთი რეგულაცია, მათ შორის მდგრადი განვითარების ტაქსონომიის გზამკვლევი, კანონი მწვანე ობლიგაციის შესახებ, მდგრადი დაფინანსების ანგარიში საქართველოში 2021-2023, ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოცემული სტრატეგია საქართველო 2016-2020 და 2021-2025 სადაც მკაფიო არის განსაზღვრული მწვანე პრაქტიკის დანერგვის მნიშვნელობა და მათი გავლენა ეკონომიკის სხვადასხვა ინდიკატორებზე თუმცა ჯერ კიდევ ბევრი აქტუალური საკითხია რომელიც ჯერჯერობით კვლევის ობიექტის მიღმაა [ეროვნული ბანკი, 2022].

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომი მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი მდგრადობის პრინციპების საბანკო პრაქტიკაში ინტეგრირების კონტექსტში გამოავლინოს მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობები ფინანსურ რესურსებზე წვდომის, მწვანე ტექნოლოგიების დანერგვისა და ეკოლოგიურად სუფთა ბიზნეს პრაქტიკის დანერგვის მიზნით. უფრო მეტიც, წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს მიმოიხილოს საკანონმდებლო ჩარჩო, ინსტიტუციური და ბაზრის დინამიკა, რომელიც აყალიბებს მწვანე ბანკინგის ლანდშაფტს საქართველოში, რითაც უზრუნველყოფს ხედვას პოლიტიკის ინტერვენციებისა და ინდუსტრიის თანამშრომლობის შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ მდგრად ზრდას. საუკეთესო პრაქტიკას, ინოვაციური მიდგომების და პოტენციური ბარიერების კვლევა აღჭურავს პოლიტიკის შემქმნელებს, ფინანსურ ინსტიტუტების და თავად მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს ცოდნითა და მექანიზმებით, რომლებიც აუცილებელია უფრო მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური პარადიგმის დასამკვიდრებლად.

### **ეროვნული ბანკის, როგორც ავტორიტეტული და სანდო ინსტიტუტის როლი მწვანე საბანკო პრაქტიკის ფორმირების პროცესში საქართველოში**

ევროკავშირის კომისიის მიხედვით „მდგრადი განვითარება“ ორ მნიშვნელოვან კომპონენტს აერთიანებს: 1) დაფინანსების წყაროების ისეთ პროექტებისკენ მიმართვას რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკის მდგრად და ინკლუზიურ ზრდას; და (2) საინვეტიციო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფინანსური სტაბილურობის გაუმჯობესება სოციალური, მმართველობითი და გარემოსდაცვითი (ESG) ფაქტორების გათვალისწინებით. მდგრადი დაფინანსება მოიცავს კლიმატის ცვლილების, მწვანე და სოციალური აქტივობებისკენ მიმართულ ფინანსებს, რომელიც, ერთი მხრივ განაპირობებს ორგანიზაციების გრძელვადიან ეკონომიკურ მდგრადობას, ხოლო მეორე მხრივ, ფინანსური სექტორის სტაბილურობას და ამ მიმართულებით მათი როლის ზრდას ემსახურება. საერთაშორისო ლიტერატურაში აქტიურად განიხილება საკითხი იმის შესახებ, რომ მდგრადობასთან დაკავ-

შირეული პრობლემები ფინანსური რისკების წყარო შეიძლება გახდეს. ეს რისკები ორი სახის არის: კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ფიზიკური ზარალი; და დაბალი ემისიის ეკონომიკაზე გადასვლისთვის საჭირო სტრუქტურული ცვლილებები. ფიზიკური და გარდამავლობის რისკები გავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ გარემოზე და შესაძლოა მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგები გამოიწვიოს. ფიზიკური რისკი - კლიმატთან და გარემოსთან დაკავშირებული მოვლენის გამოწვეული რისკია, რომლის პირდაპირი შედეგი საკუთრების დაზიანება ან პროდუქტიულობის ვარდნაა. თუმცა იგი ასევე შეიძლება იყოს არაპირდაპირი შედეგი ისეთი თანმდევი მოვლენების, როგორც არის მიწოდების ჯაჭვის რღვევა. გარდამავლობის რისკი შეიძლება წარმოიშვას დაბალი ემისიის ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, ტექნოლოგიების, ბაზრის განწყობის ცვლილების და გარემოსდაცვითი პოლიტიკის შედეგად, ასევე შეიძლება გადაფასდეს ისეთი აქტივები, როგორცაა აქციები, ობლიგაციები, დერივატივები და ეკონომიკაში არსებული კაპიტალის სხვა ფორმები შესაბამისად ამან შესაძლოა დიდი გავლენა მოახდინოს ფინანსურ სტაბილურობაზე და ფინანსური ინსტიტუტების მდგრადობაზე. [ეროვნული ბანკი, 2019].

დამატებით რომ განვმარტოთ დაბალი ემისიის ეკონომიკა გულისხმობს ეკონომიკურ სისტემას, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს სათბურის აირების გამოყოფას, განსაკუთრებით ნახშირორჟანგს (CO2) და სხვა დამაბინძურებლებს, ამავდროულად ხელს უწყობს მდგრად ზრდას და განვითარებას. დაბალი ემისიის ეკონომიკაში, ბიზნესები, ინდუსტრიები, მთავრობები და ინდივიდები ცდილობენ მინიმუმამდე დაიყვანონ ნახშირბადის კვალი სხვადასხვა სექტორში უფრო სუფთა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების, პრაქტიკისა და ქცევის დანერგვით. დაბალი ემისიის ეკონომიკის ძირითადი მახასიათებლებია:

- განახლება ენერჯიზე გადასვლა, რაც გულისხმობს, გაზრდილი დამოკიდებულებას განახლებადი ენერჯის წყაროებზე, როგორცაა მზის, ქარი, ჰიდროელექტრო და გეოთერმული ენერჯია და სხვა.

- მწვანე ინფრასტრუქტურა: ინვესტიცია მწვანე ინფრასტრუქტურულ პროექტებში, როგორცაა მდგრადი შენობები, მწვანე სატრანსპორტო ქსელები და სხვა.

- ინოვაცია და კვლევა: ინოვაციების, კვლევისა და განვითარების წახალისება სუფთა ენერჯის ტექნოლოგიებში, მდგრადი პრაქტიკისა და კლიმატის მდგრადობის გადაწყვეტილებებში ტექნოლოგიური წინსვლისა და ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად.

- საერთაშორისო თანამშრომლობა: გლობალურ დონეზე ქვეყნებს, ორგანიზაციებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობა კლიმატის ცვლილების, ემისიების შესამცირებლად და კოლექტიური მიზნების მისაღწევად.

ფინანსური გარემოს სტაბილურობის უზრუნველყოფასა და მდგრადი განვითარების ხელშესაწყობაში ეროვნული ბანკის როლი ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ 2017 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და მხარდაჭერით მდგრადი განვითარების ჩარჩოს და საქმედო გეგმას ავითარებს. 2017 წლიდან ეროვნული ბანკი მდგრადი საბანკო და საფინანსო ქსელის (SBFN), ხოლო 2020 წლიდან კი Network for Greening the Financial System (NGFS)-ის წევრია. ეს საერთაშორისო ვალდებულებები თავსებადია ქვეყნის ეროვნულ პოლიტიკასთან და სოციალურ ეკონომიკურ განვითარების სტრატეგიასთან. ამ მიმართულებით საქართველოს მდგრადი და ინკლუ-

ზიური ეკონომიკური ზრდა სამ ასპექტს მოიცავს:

1. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა - რაც ეკონომიკის განვითარების ისეთ ფორმას გულისხმობს რომელიც სარგებელს მოუტანს საზოგადოების ყველა სემენტს. უზრუნველყოფს სარგებლის თანასწორად განაწილებას და ეკონომიკაში მონაწილეობის შესაძლებლობებს ყველასთვის. ინკლუზიურ ეკონომიკაში, ყურადღება გამახვილებულია არა მხოლოდ მთლიანი შიდა პროდუქტზე ან ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის გაზრდაზე, არამედ სიღარიბის, სოციალური უთანასწორობის შემცირებაზე.

2. სწრაფი და ეფექტური ეკონომიკური ზრდა: რაც გულისხმობს გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ გაფართოებას, რომელიც მიიღწევა პროდუქტიულობის, ინოვაციების და რესურსების გამოყენების მაღალი დონით, არაეფექტურობისა და უარყოფითი გარეგანი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებით. ამ ტიპის ზრდა ჩვეულებრივ იწვევს მთლიან შიდა პროდუქტის (შშპ), შემოსავლის დონის და ცხოვრების დონეს სწრაფ ცვლილებას შედარებით მოკლე პერიოდში.

3. ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებით გარემოს უსაფრთხოებისა და მდგრადობის ხელშეწყობა - მოიცავს ისეთი პრაქტიკის ხელშეწყობას, რომელიც ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას და მხარს უჭერს ეკოლოგიურ ბალანსს, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებას, რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობისა და განაწილების პროცესში რაც ხელს უწყობს გრძელვადიან გარემოსდაცვით, ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობას [ეროვნული ბანკი, 2021].

### **ESG რისკების მართვა და ეროვნული ბანკი**


ESG რისკის მართვა გულისხმობს კომერციული ან სხვა ფინანსური ინსტიტუტების მიერ ისეთი სესხების გაცემას რომელიც გაითვალისწინებს და შეამცირებს გარემოზე მიყენებულ ზიანს. ეს არის ღირებულება რომელიც ბანკებს საშუალებას აძლევს შექმნა ოპტიმალური გრძელვადიანი შესაძლებლობები რისკების გათვალისწინებით. 2017 წლიდან ეროვნული ბანკი ცდილობს დაწეროს ESG ღირებულებები კორპორაციული მართვის კოდექსის მიხედვით რათა ის იყოს კომპანიების სტრატეგიის ნაწილი, აღნიშნული ხედვა დამატებით ითვალისწინებს სხვადასხვა ანგარიშგებების გამჟღავნებას, „შეასრულე ან განმარტე“ ეს არის პრინციპი რომლითაც ეროვნული ბანკი ავალდებულებს კომერციულ ბანკებს ESG საკითხებზე ინფორმაციის განჟღავნებას.

### **მდგრადი განვითარების მიზნები და კომერციული ბანკები საქართველოში**

საქართველოს ფინანსური სექტორის ძირითად მონაწილეებს კომერციული ბანკები წარმოადგენენ. ბოლო მონაცემებით ქვეყანაში 17 კომერციული ბანკია, რომლებიც ფინანსური აქტივების 91% ზე მეტს ფლობს. ქვეყანაში მაღალია კონცენტრაციის დონე რაც ნიშნავს რომ არსებობს ორი დიდი ბანკი რომელიც მთლიანი საბანკო აქტივების 77% -ს, ხოლო მთლიანი ფინანსური სექტორის აქტივების 70%-ს ფლობს. ქვეყანაში არსებული საპენსიო ფონდის წილი ფინანსურ სექტორში 2022 წლის ბოლოსთვის დაახლოებით 4% შეადგენდა და მზარდი ტენდენციით ხასიათდება. მიუხედავად იმისა რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წილი ზემოთ აღნიშნულ მონაცემებში მცირეა ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მცირე და საშუალო საწარმოების ასევე სასოფლო სამეურნეო საქმიანობების დაფინანსების პროცესში, რაც შეეხება სადაზღვეო ბაზარს მიუხედავად მათი ზრდისა ბოლო წლების განმავლობაში, ფინანსური სექტორის მთლიან აქტივებში მათი წილი ჯერ

კიდევ დაბალია. სწორედ ამიტომ ეროვნული ბანკის ძირითადი აქცენტი მდგრადი განვითარების ნაწილში მიმართულია კომერციულ ბანკებზე. 2022 წელს 13 კომერციული ბანკიდან მხოლოდ შვიდმა წარმოადგინა ინფორმაცია მწვანე სესხების შესახებ. 2022 წელს აღრიცხული მწვანე სესხების მოცულობამ 468 მლნ ლარი შეადგინა, რაც 16%-ით მეტია 2021 წლის მონაცემებზე. 2022 წელს გაცემული სესხების დიდი ნაწილი 74% დოლარშია ნომინირებული, 14% ლარში, ხოლო 12% ევროში. 2022 წელს გაცემული მწვანე სესხების წილი მთლიან სესხებში 1.2%-ს შეადგენდა რაც 2021 წლის მონაცემებს 0.2% ით აღემატება. იმ ბანკებში კი რომლებმაც ინფორმაცია 2022 წელს გაამჟღავნეს მწვანე სესხების წილი მთლიან სესხებში 7%-ს შეადგენს. რაც შეეხება 2022 წლის ბოლოსთვის არსებული მწვანე სესხების მთლიან მოცულობას 1.4 მლრდ ლარს შეადგენდა და შეიძლება ითქვას რომ თუ გაცვლითი კურსის ეფექტს გამოვრიცხავთ გაცემული მწვანე სესხების რაოდენობა 15% ით არის გაზრდილი. (სეზ, კომერციული ბანკების ყოველწლიური ანგარიში, 2024) ხოლო მთლიანი სესხების მთლიანი პორთფელის წილი 3.2%-ია, აღნიშნული მაჩვენებელი 2021 წელს 2.9%, ხოლო 2020 წელს კი 2.2%-ს შეადგენდა. ხოლო ბანკების დონეზე 6% დან 17%- მდე მერყეობს. აღსანიშნავია ის რომ კომერციულ ბანკები განმარტებების არ ქონის გამო ვერ ახდენენ მწვანე სესხების კლასიფიცირებას და მათ მიერ წარმოდგენილი მწვანე სესხების ანგარიში ეფუძნება მხოლოდ ენერგო ეფექტურ პროექტებზე გაცემულ თანხებს. შესაბამისად ბევრი კომერციული ბანკი ვერ ახერხებს ინფორმაციის წარმოდგენას ბოლომდე ჩამოყალიბებული ტაქსონომიის გამო.

დიაგრამა N1




წყარო: ეროვნული ბანკი (<https://nbg.gov.ge/>)

მწვანე დაკრედიტების ხელშეწყობის ნაწილში, ჯამში სამი ბანკი ლიდერობს, თბს რომელსაც მწვანე პორთფელის ყველაზე დიდი წილი უჭირავს და ბაზრის 45%-ს ფლობს. საქართველოს ბანკი რომელიც 35%-ს ფლობს და მესამე ადგილზე პროკრედიტ ბანკია 13%. მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიასთან ერთად ერვზულმა

ბანკმა სესხების კლასიფიკაციის და ანგარიშგების რეგულაცია დაამტკიცა, რომელიც კომერციულ ბანკებს ავალდებულებს რიგი მოთხოვნების მიხედვით მოახდინონ სესხების კლასიფიცირება როგორც მწვანე, გარდა ამისა მათ აქვთ ვალდებულება ყოველთვიური ანგარიშგება მოახდინონ, ანგარიშგების შესაბამისი ფორმით.

დიაგრამა N2

ტაქსონომიის შესაბამისი მწვანე სესხების მოცულობა 2023 წლის სექტემბერში




წყარო: ეროვნული ბანკი <https://nbg.gov.ge/>

ტაქსონომიის შესაბამისი მწვანე სესხების მოცულობამ 2023 წლის სექტემბერში 412 მილიონი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი საკრედიტო პორტფელის 1%-ზე ნაკლებს წარმოადგენს. ასეთი დაბალი მაჩვენებლის მთავარ მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი რომ ტაქსონომიის დანერგვის პროცესი ზოგიერთ ბანკში ჯერ საერთოდ არ დაწყებული ან საწყის ეტაპზეა მხოლოდ. საბანკო სექტორის ზოგადი ანალიზითაც ნათელია რომ საქართველოში მწვანე საბანკო პრაქტიკა ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა, რეალურად ბანკები მხოლოდ არსებული პროდუქტებით ახდენენ ანგარიშგებების წარდგენას, ბოლომდე ჩამოყალიბებული არაა რიგი განმარტებები რაც მათ ერთი შეხედვით ურთულესს გამჭვირვალე და რეალური ანგარიშგებების წარდგენის პროცესს, რაც საბოლოო შედეგებზე ახდენს გავლენას, თუმცა ის რომ ქართულ მწვანე საბანკო პრაქტიკას პერსპექტივა აქვს ამაზე არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია საუბრობს.

### მდგრადი განვითარება და მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში

ევროპის ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება განიხილება როგორც ქვეყნის ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის საშუალებად. ევროკავშირში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობა 26 მილიონს აღემატება და მშპ-ს 2/3-ს ქმნის. საქართველოში მოქმედი საწარმოების 95% და მეტი მცირე და საშუალო საწარმოებს წარადგენს, რაც ნათლად წარმოაჩენს მათ ეკონომიკურ და სოციალურ მნიშვნელობას. “მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა ადმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში“ არის ევროკავშირის პროექტი, რომლის მიზანს მწვანე ეკონომიკის განვითარება წარმოადგენს პარტნიორ ქვეყნებში მათ შორის საქართველოში. ეს გულისხმობს ისეთი აქტივობების განხორციელებას რომელიც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო საწარმოებში ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვას, ასევე ბიზნეს სექტორსა და სახელმწიფოს შორის დიალოგს მდგრადი წარმოების განვითარების ნაწილში. 2020 წელს საქართველ მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსში 12 დან 9 კომპონენტში უმაღლესი ქულებით შეფასდა მათ შორის იყო მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია, მცირე და საშუალო ბიზნესის როლი მწვანე ეკონომიკის განვითარებაში, და ინოვაცია მეწარმეობაში იხ. დიაგრამა N3





წყარო: ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო [www.economy.ge](http://www.economy.ge)

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა მთავრების გაცხადებული პოლიტიკაა რომელიც კარგად გამოჩნდა როგორც 2016-2020 ის ასევე 2021-2025 ის სტრატეგიაში, რომლის პრიორიტეტულ მიმართულებებსაც წარმოადგენს: მცირე და საშუალო ბიზნესის სამწარმოო კულტურის ამაღლება, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა; ინოვაციების კვლევებისა და განვითარების ხელშეწყობა მცირე და საშუალო საწარმოებისთვის; ასევე მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა. უკანასკნელი წლების განმავლობაში მდგრადი, გარემოსადმი მეგობრული ქმედებების დანერგვამ მეტი აქტუალობა შეიძინა, რაც ერთის მხრივ ასოციირების შეთანხმებითაც არის განპირობებული რომლის 301-ე მუხლი პირდაპირ ავალდებულებს მხარეებს ხელი შეუწყონ მდგრად განვითარებას და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიან განვითარებას, ხოლო მეორეს მხრივ მწვანე ზრდის პოტენციალი გააჩნია ეკონომიკის რამდენიმე მიმართულებას სადაც მცირე და საშუალო საწარმოები საქმიანობენ, მათ შორის არის სოფლისმეურნეობის მიმართულება ეკოტურიზმი და სხვა. ზოგადად მცირე და საშუალო საწარმოებს შეუძლიათ შექმნან მნიშვნელოვანი ღირებულება მწვანე ეკონომიკის განვითარების და გარემოსდაცვითი ღონისძიებების აღსრულების ნაწილში თუმცა ამ პროცესს რამდენიმე ფაქტორი აფერხებს. პირველი და უმთავრესი ფაქტორი არის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა. გრძელვადიან ფინანსურ რესურსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა ხელს უშლის მცირე და საშუალო საწარმოებს განახორციელონ ინვესტიციები ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებში და განავითარონ მწვანე ბიზნესი. კომერციული ბანკების მიერ გაცემული მწვანე სესხები საკმაოდ შეზღუდულია და ისინი ძირითადად მოიცავს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გაცემულ მწვანე ფინანსებს, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჯამში 400 მლნ ლარი გამოიყო 8 კომერციული ბანკისთვის რომელმაც რა თქმა უნდა ვერ აღმოფხვრა ზემოთ ხსენებული ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა. აღსანიშნავია რომ ზემოთ ნახსენები რესურსების ძირითადი წილი მიდის განახლებად ენერჯიკებზე სადაც მსხვილი საწარმოები ოპერირებენ. მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს ისეთ სექტორებში ვხვდებით ძირითადად რომლებიც დაბალ დამატებულ ღირებულებას ქმნიან, აღნიშნულ პირობებში კი შესაძლებლობა არ აქვთ წვლილი შეიტანონ მწვანე ეკონომიკის განვითარების ნაწილში. დამატებით აღნიშნულ საწარმოებში დაბალია ცნობიერება მწვანე ეკონომიკისა და მისი სარგებლის შესახებ. არსებული სტრატეგია მცირე და საშუალო ბიზნესის მწვანე ეკონომიკაში ჩართულობის შესახებ, განსაზღვრავს მწვანე ეკონომიკაში ჩარევის მიმართულებებს (მრეწველობა; სოფლისმეურნეობა; ტექნოლოგიები, მშენებლობა და

სხვა). საერთაშორისო პრაქტიკიდანაც ცხადია რომ ბიზნესის აქტიური ჩართულობა მნიშვნელოვანია მწვანე ეკონომიკის განვითარებაში, თუმცა ამისთვის რიგი ქმედითი ნაბიჯებია გადასადგმელი: პირველი ეს არის კვლევა, რომლითაც განისაზღვრება ის ძირითადი სექტორები, სადაც მცირე და საშუალო ბიზნესები საქმიანობენ, დამატებით მოხდება იმ სცენარების განსაზღვრა რომლითაც მცირე და საშუალო ბიზნესი უმტკივნეულოდ შეძლებს წარმოების მომსახურების მწვანე მეთოდზე გადასვლას. აღნიშნული საკითხი საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას ვინაიდან მნიშვნელოვანია ყველა მხარის თანაბარი ჩართულობა იგულისხმება სახელმწიფო რეგულაციების ნაწილში, ფინანსური სექტორი, როგორც დაფინანსების წყარო და მცირე და საშუალო ბიზნესი. აღნიშნულიდან შესაძლო სარგებელიც მაღალია ყველა მხარისთვის, ვინაიდან სახელმწიფოსთვის მსგავსი პრაქტიკა პრესტიჟის საგანს წარმოადგენს, ფინანსური სექტორისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გამოყოფილ რესურსებს, და ბიზნესისათვის კი ხელმისაწვდომ ფინანსურ რესურსებს.

### დასკვნა

ევროპის ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება განიხილება როგორც ქვეყნის ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის საშუალება. მწვანე ფინანსები დიდ გავლენას ახდენს მცირე და საშუალო ბიზნესებზე (SMEs), რითაც გვთავაზობს მდგრადი პრაქტიკის ხელშეწყობისა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირების შესაძლებლობებს. მწვანე დაფინანსების არჩევით, მცირე და საშუალო ბიზნესს შეუძლია შეამციროს გარემოსდაცვითი რისკები, გაზარდოს ხარისხი და შეაღწიოს ახალ ბაზრებზე. ფინანსურ არჩევანში გარემო ფაქტორების გათვალისწინება არა მხოლოდ ბიზნესს ხდის უფრო ელასტიურს და კონკურენტუნარიანს, არამედ ხელს უწყობს მათ წარმატებულ ინტეგრაციას დღევანდელ გლობალურ ეკონომიკაში. ამ პარტნიორობას მწვანე ფინანსებსა და მცირე და საშუალო ბიზნესს შორის აქვს პოტენციური წინ წამოწიოს როგორც გარემოსდაცვითი მდგრადობა, ასევე ეკონომიკური კეთილდღეობა. ქართული პრაქტიკა მწვანე ბიზნესის შესახებ ჯერ კიდევ ძალიან ახალია და ბევრ გამოწვევაზე საჭიროებს პასუხის გაცემას. რაც თავისმხრივ კვლევების ჩატარებას მოითხოვს არაერთი მიმართულებით, რათა მოხდეს ყველა მხარის მზაობის შეფასება, ასევე საჭიროებების იდენტიფიცირება. თუმცა ფაქტია ისიც რომ მწვანე გზა მცირე და საშუალო საწარმოებს ახალ შესაძლებლობებს და უფრო დიდ ბაზარს სთავაზობს. დასასრულს, მწვანე საბანკო პრაქტიკის ინტეგრაცია საქართველოს ფინანსურ სექტორში წარმოადგენს პერსპექტიულ გზას ქვეყნის ეკონომიკაში მდგრადობისა და მდგრადობის გასაძლიერებლად. მცირე და საშუალო საწარმოების (SMEs) წახალისებითა და მხარდაჭერით, მიიღონ ეკოლოგიურად სუფთა ინიციატივები, როგორცაა განახლებადი ენერჯის ინვესტიციები და სხვა. მწვანე ფინანსების ინტეგრაციით ქვეყანას შეუძლია არა მხოლოდ შეამსუბუქოს გარემოსდაცვითი რისკები, არამედ ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას. საფინანსო ინსტიტუტებს, სამთავრობო ორგანოებსა და მცირე და საშუალო ბიზნესს შორის თანამშრომლობით, საქართველოს აქვს შესაძლებლობა გახდეს ლიდერი მწვანე ბანკინგის სფეროში, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება გავლენა გარემოზე და ამავდროულად ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებასა და საზოგადოების კეთილდღეობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეროვნული ბანკი (2022), მდგრადი განვითარების ტაქსონომია. მოპოვებული <https://nbg.gov.ge/page/> \_ დან.
2. საქართველოს ეროვნული ბანკი (2021), მდგრადი დაფინანსების ანგარიში 2020. მოპოვებული <https://nbg.gov.ge/page/%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98> \_დან
3. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო (2016), მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია 2016-2021. მოპოვებული <https://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=45> \_ დან.
4. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო (2022), მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია 2021-2025. მოპოვებული <https://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=45> \_ დან.
5. Anteneh, D., Hof, A., & van Soest, H. (2021). *CLIMATE CHANGE MEASURES AND SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS*. The Hague: PBL Netherlands Environmental Assessment Agenc.
6. Change, M. o. (2014). *Framework for Implementation of Climate Change Policy 2014-2030*. GlobalChange Impact Studies Centre.
7. Chen, C., Siddik, B., Guang, O., & Masukujjaman, M. (2022). The Effect of Green Banking Practices on Banks' Environmental Performance and Green Financing: An Empirical Study. *Applied Sciences*,6.
8. Chowdhury, T. U., Datta, R., & Mohajan, H. K. (2013). Green finance is essential for economicdevelopment and sustainability. *Research Gate*, 12-16.
9. Commission, E. (2018). *proposal for the EU's next long-term budget*. EU heads of state or governmentreached a political agreement on the package.
9. COMMISSION, T. E. (2022). *COMMISSION DELEGATED REGULATION*. Official Journal of the EuropeanUnion.
10. Greitens, J. (2023). Sustainable Finance and Small and Medium Enterprises. *Intereconomics*, 9-11.
11. Grover, S., & Kaur, H. (2019). Green banking: A strategic response to environmental turbulence. *Journalof Management Research and Analysis*, Research Gate.
12. Hossen, M. M., & Zhixia, C. (2018). Green Banking for Environmental Sustainability- Present Status andFuture Agenda: Experience from Bangladesh. *ResearchGate*, 8-9.
13. Ingram, J., & Hamilton, C. (2013). *PLANNING FOR CLIMATE CHANGE*. UNON, Publishing Services Section,Nairob.
14. Mazars, t. i. (2019). *Tackling climate change: The role of banking regulation and supervision*. OMFIF .
15. Michaud, G., & Purwandani, J. A. (2021). *What are the drivers and barriers for green business practiceadoption for SMEs? EconPapers*, 20-24.
16. Nath, V., & Nayak, N. (2014). *Green Banking Practices – A Review*. *SSRN*, 3-5.

**Natia Lakia**

*Doctoral student*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

## **PROSPECTS FOR GREEN BANKING DEVELOPMENT IN GEORGIA: REGULATIONS AND LOCAL LANDSCAPE**

### **Expanded Summary**

For several decades, the financial system's consideration of environmental and social responsibilities has been a prominent topic in scientific literature. Climate changes threaten a sustainable way of life and prompt both developed and developing countries to take effective and rapid action. Green finance appears to be a solution, as the primary goal of sustainable financing is to support activities that contribute to environmental protection, the rational use of natural resources, and the promotion of social responsibility. Over the last decade, many developing countries have introduced green banking practices that facilitate the implementation of eco-friendly activities and positively impact various economic indicators. The financial crisis of 2008 highlighted the need for developing countries to modernize their financial systems. Introducing green banking practices emerged as one of the best solutions for achieving this modernization.

The term "green banking" (GB), also known as socially responsible banking, sustainable banking, and ethical banking, is widely established in academic and business literature and carries various meanings. The purpose of green banking is to provide financial resources (investment capital) to projects, companies, or initiatives that have a positive impact on the environment and society. The banking sector is a dominant source of financing, especially in countries with weak capital markets. Therefore, the involvement of the banking sector in green activities is of particular importance. The banking sector can act as an intermediary between economic growth and environmental protection, promoting environmentally and socially responsible investments.

Since 2017, the National Bank has supported strengthening the financial sector's role in the country's sustainable development. To this end, it is developing a green, social, and sustainable financing framework with four main goals, one of which is to increase the involvement of financial institutions and promote the growth of green investments. The implementation of green banking practices in developing countries, including Georgia, faces many obstacles. The International Finance Corporation (IFC) investigated 25 developing countries to understand the main factors influencing the adoption of eco-friendly banking practices. The research showed that these factors are not uniform, with the primary influences being the varying social, cultural, and economic conditions. One of the reasons for the slow adoption of green banking practices is the lack of awareness among stakeholders. Developing countries also face several weaknesses, such as insufficient government support, credit problems for typical sectors, the high cost of some green banking initiatives, and limited benefits for the private sector, such as in green construction and green technologies. Additionally, the lack of research in developing countries results in less interest in implementing green banking practices. The theoretical aspects of the concept are underexplored, and in many cases, there are no control or regulatory mechanisms, ultimately leading to a lack of interest.

In this context, this paper examines the application of green banking strategies in Georgia, with a focus on empowering small and medium enterprises (SMEs) to promote sustainable economic growth. Given the challenges of global competitiveness and environmental stewardship, the role of small and medium enterprises (SMEs) becomes crucial. SMEs are the backbone of the Georgian economy, making significant contributions to employment, innovation, and economic diversification. However, their potential to drive sustainable development re-

mains largely untapped. Against this backdrop, the paper explores how green banking strategies can be employed to enhance the sustainability and competitiveness of small and medium-sized businesses in Georgia. The paper aims to identify opportunities for small and medium-sized businesses to access financial resources, adopt green technologies, and implement environmentally friendly business practices within the framework of integrating environmental sustainability principles into banking practices. Moreover, the study aims to review the legislative framework, and institutional, and market dynamics that shape the green banking landscape in Georgia. It provides insights into policy interventions and industry collaborations that promote sustainable growth. By highlighting best practices, innovative approaches, and potential barriers, the study aims to equip policymakers, financial institutions, and SMEs with the knowledge and tools needed to establish a more sustainable and inclusive economic paradigm.

**ლევან ხვედელიძე**  
თსუ დოქტორანტი  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

### საბიუჯეტო პოლიტიკის თანამედროვე ასპექტები

**ანოტაცია.** გარდამავალი ეკონომიკის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საბიუჯეტო პოლიტიკის სრულყოფას. სწორი საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავება და მისი რეალიზაცია, ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების ერთერთი უმთავრესი წინაპირობაა.

სწორედ საბიუჯეტო პოლიტიკას ეხება წინამდებარე სტატია, სადაც განხილულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებები, ტენდენციები, თანამედროვე მდგომარეობა, არსებული პრობლემები, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების და სტაბილური ეკონომიკური განვითარების ასპექტები, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით მაქსიმალურად სრულყოფილი ფისკალური-საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების მნიშვნელობა.

**საკვანძო სიტყვები:** ბიუჯეტი, საბიუჯეტო პოლიტიკა, ფისკალურ-საბიუჯეტო პოლიტიკა.

### შესავალი

წინამდებარე სტატიაში განხილულია სახელმწიფო საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, საბიუჯეტო პროცესის თითოეული ეტაპი, საბიუჯეტო პოლიტიკის პრობლემები და მათი დაძლევის გზები.

სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებები, ტენდენციები, თანამედროვე მდგომარეობა, არსებული პრობლემები, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების და სტაბილური ეკონომიკური განვითარების ასპექტები, მაქსიმალურად სრულყოფილი საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების მნიშვნელობა.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მაქსიმალურად სრულყოფილ საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავებას, ფორმირებას და მის რეალიზაციას. გამონაკლისი ამ მხრივ არც საქართველოა. მაქსიმალურად სრულყოფილი საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავება და გამოყენება პრაქტიკაში, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთერთი უმთავრესი წინაპირობაა.

სტატიაში განხილულია სახელმწიფო ბიუჯეტი, დასახულია კონკრეტული ღონისძიებები მისი სრულყოფის მიზნით.

### საბიუჯეტო პოლიტიკის თანამედროვე ასპექტები

სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელობიდან გამომდინარე აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს სახელმწიფო ფინანსების მართვის სტრატეგია, სწორი ფისკალური პოლიტიკა და გამართული საბიუჯეტო სისტემა, რომელსაც არეგულირებს საქართველოს კანონმდებლობა.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად გადასახადები სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს შორის პროცენტულად შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. ცხრილი N1):

№	შემოსულობების დასახელება	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი	აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტები	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტები
1	2	3	4	5
1	საშემოსავლო გადასახადი:			
1.1	საშემოსავლო გადასახადი, გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე რეგისტრირებული დასაბეგრი ობიექტების მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადისა	100		
1.2	ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე რეგისტრირებული დასაბეგრი ობიექტების მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი		100	
2	მოგების გადასახადი	100		
3	ქონების გადასახადი			100
4	დამატებული ღირებულების გადასახადი	81		19
5	აქციზი	100		
6	იმპორტის გადასახადი	100		

ფისკალური ჩარჩო შეიძლება განისაზღვროს, როგორც ინსტიტუციური პოლიტიკის შექმნა, რომელიც აყალიბებს ფისკალურ პოლიტიკას ეროვნულ დონეზე. იგი აერთიანებს გარკვეულ ღონისძიებებს, პროცედურებს და საბიუჯეტო პოლიტიკის დაგეგმვისა და დანერგვაზე პასუხისმგებელ ინსტიტუტებს.

სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს ქვეყნის მთავარ, ძირითად, უმნიშვნელოვანეს ფინანსურ დოკუმენტს. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი ეს არის საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახადებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა.

სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას მნიშვნელოვანია პროცესის გამჭვირვალობა, რომლის დროსაც საქართველოს მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები აღწევენ ერთგვარ შეთანხმებას სახელმწიფო რესურსების განაწილებაზე სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვით. საბიუჯეტო პროცესის დახვეწისა და ფორმულირების გაუმჯობესების ეტაპზე მნიშვნელოვანია აღნიშნული პროცესი მოექცეს დადგენილ ფისკალურ ჩარჩოში და მოხდეს რესურსების ეფექტური განაწილება სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვით, რათა მიღწეულ იქნეს დასახული მიზნები.

ქვეყნის ფისკალური სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი პარამეტრია ბიუჯეტის დეფიციტის/პროფიციტის მაჩვენებელი. ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა არის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო, ხოლო ბიუჯეტის საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტეების ცვლილებას შორის სხვაობა ბიუჯეტის მთლიანი სალდო. დადებითი მთლიანი სალდო არის ბიუჯეტის პროფიციტი, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო ბიუჯეტის პროფიციტი.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა:

- ა) შემოსავლები;

ბ) არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები);

გ) ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, ნაშთის გამოყენების გარდა);

დ) ვალდებულებები (ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრები).

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით ბიუჯეტის გადასახდელგზის საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა:

ა) ხარჯები;

ბ) არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები);

გ) ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები, ნაშთის დაგროვების გარდა);

დ) ვალდებულებები (ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისათვის მიმართული სახსრები).

როგორც ჩატარებული კვლევიდან ჩანს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაზე გასაწევი ხარჯი შეადგენს 1,468,863.6 ათასს ლარს, ხოლო აღნიშნული მაჩვენებელი 2024 წლის (გეგმა) მონაცემებით გაიზარდა 2,577,281.4 ათას ლარამდე (2019-2024 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მომუშავეთა რიცხოვნობა 112143 ერთეულიდან 115339 ერთეულამდე გაიზარდა). საჯარო სექტორში მომუშავეთა შრომის ანაზღაურება ხშირ შემთხვევებში 10-15-20 ჯერ და მეტჯერ აღემატება საშუალო პენსიის ოდენობას. 2019 წლის მონაცემებით 1,246,432.1 ათასი ლარი იხარჯებოდა საქონელი და მომსახურებების შეძენაზე, ხოლო 2024 წლის (გეგმა) მონაცემებით აღნიშნულ მუხლი 2,577,281.4 ათასი ლარია. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მონაცემებით 2022 წელს პრემია-დანამატებზე დახარჯულია 392,5 მილიონი ლარი, ხოლო 2023 წელს დახარჯულია 413.6 მილიონი ლარი. ეს მაშინ, როდესაც სახელმწიფო ვალის ოდენობა თითქმის 32 მილიარდ ლარს აჭარბებს. მათ შორის: საგარეო ვალი - 23,956,573.1 ათასი ლარი; საშინაო ვალი - 8,524,560.6 ათასი ლარი. როგორც კვლევის მასალებიდან ირკვევა არცერთი ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა არ ცდილობს უმუშევრობის პრობლემა საბიუჯეტო სექტორში მომუშავეთა რიცხოვნობის გაზრდით აღმოფხვრას, პირიქით სახელმწიფოები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სამუშაო ძალა ჩართონ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია შესაბამისი ოდენობის საბიუჯეტო თანხის დაზოგვა, დაზოგილი თანხით პენსიის ოდენობის გაზრდა, ასევე სახელმწიფო ვალის შემცირება და ისეთი დარგების განვითარება, როგორცაა მრეწველობა, ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა და სხვა მიმართულებები, რომლებიც წარმოადგენენ მოსახლეობის დასაქმების ძირითად კერას. აქედან გამომდინარე საჭიროა ხელისუფლებამ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები პროტექციონიზმის, ჩრდილოვანი ეკონომიკის და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას და უზრუნველყოფს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. ხელისუფლების მიერ დროზე უნდა გადაიდგას ისეთი ქმედითი ნაბიჯები, რომელიც უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების რაციონა-



ლურად, სამართლიანად, სახელმწიფოსა და ქვეყნის მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად განაწილებას.

სახელმწიფო ვალის მომსახურებას წინა წლების ტენდენციების გათვალისწინებით ხანგრძლივი დრო დასჭირდება და თუ მდგომარეობა არ შეიცვალა ეკონომიკური ზრდის, ფისკალური პოლიტიკის, სახელმწიფო ვალის და სხვა მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროცესების სრულყოფის მხრივ, შესაძლოა ქვეყანა ისევ აღმოჩნდეს იმ მძიმე ეკონომიკური და ფინანსური პრობლემების წინაშე, რომელიც მას გასულ წლებში აქვს გამოვლილი.

სტატისტიკური მონაცემების, არსებული ტენდენციებისა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების გათვალისწინებით სახელმწიფომ სულ, რომ აღარ აიღოს ვალი, უკვე არსებული ვალის დასაფარად ხანგრძლივი დრო დასჭირდება. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის მონაცემებით, სახელმწიფო ვალის ოდენობა 32,481,133.7 ათას ლარს შეადგენდა, ხოლო საშუალოდ ბოლო 7 წლის მონაცემებით სახელმწიფო ვალის მომსახურებაზე მილიარდ 150 მილიონი ლარი იხარჯება ყოველწლიურად (იხ. ცხრილი N2).

ცხრილი N2

სახელმწიფო ვალის მომსახურებაზე გაწეული ხარჯი - ათასი ლარი						
2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
515,387.70	753,199.30	959,158.50	944,048.30	2,742,265.60	1,018,984.10	1,118,513.00

აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საგადასახადო ნაწილი და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები ხშირ შემთხვევაში არაპროპორციულ დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან (იხ. ცხრილი N3).

ცხრილი N3

**ეკონომიკური და სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ზრდის ურთიერთდამოკიდებულება**

	2018	2019	2020	2021	2022	2023
ნომინალური ეკონომიკური ზრდა (მილიარდი ლარი)	44.6	49.3	49.3	60	72.3	80
სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ზრდა (ათასი ლარი)	9,695,962.20	9,665,567.60	9,364,779.40	11,439,488.60	14,976,686.10	16,710,350.00
ნომინალური ეკონომიკური ზრდის პროცენტული მაჩვენებელი	9.42	10.54	0.00	21.70	20.50	10.65
სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ზრდის პროცენტული მაჩვენებელი	7.84	-0.31	-3.11	22.15	30.92	11.58

კვლევის მასალების ანალიზიდან გამომდინარე ყურადღებას იქცევს ისიც, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2023 წელს ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელი 16.4 პროცენტს შეადგენს, ხოლო თითქმის ერთი მილიონი ადამიანი სოციალურ უზრუნველყოფაზე დამოკიდებული. აღსანიშ-

ნავია ისიც, რომ ქვეყანას აქვს უარყოფითი ბუნებრივი მატების მაჩვენებელი (ზედი-ზედ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში). რაც შეეხება მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე, ის შეადგენს 2023 წლის მფგომარეობით შეადგენდა 6676,3 აშშ დოლარს, მაშინ როდესაც აღნიშნული მაჩვენებელი განვითარებულ ქვეყნებში 22-25 ათასი აშშ დოლარიდან 135 ათასს აშშ დოლარამდე მერყეობს.

კვლევის მასალებიდან ირკვევა, აგრეთვე რომ 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, კერძოდ ეკონომიკური ზრდა დაგეგმილია 5.2 %-ის ფარგლებში (პროგნოზი).

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თანახმად იზრდება საგადასახადო შემოსავლები 2.404 მილიარდი ლარის ოდენობით, კერძოდ: საშემოსავლო გადასახადი იზრდება 858 მილიონი ლარით, მოგების გადასახადი იზრდება 690 მილიონი ლარით, დამატებული ღირებულების გადასახადი იზრდება 584 მილიონი ლარით, აქციზის გადასახადი იზრდება 155 მილიონი ლარით. სხვა გადასახადი იზრდება 116 მილიონი ლარით.

კვლევის მასალებიდან ირკვევა, რომ 2024 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები იზრდება 14,39 %-ით, მაშინ როდესაც 3%-იანი ინფლაციის (მიზნობრივი ინფლაცია) ფონზე დაგეგმილია 5.2% რეალური ეკონომიკური ზრდა (ნომინალური ეკონომიკური ზრდა მოსალოდნელია 8.4 %-ის ფარგლებში). შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი საგადასახადო შემოსავლების მოცულობა არაპროპორციულ დამოკიდებულებაშია დაგეგმილ ეკონომიკურ ზრდასთან. ყოველივე აღნიშნული გარკვეულ კითხვებს ბადებს ბიუჯეტის დაგეგმვასთან დაკავშირებით.

### **დასკვნა და რეკომენდაციები**

სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას მნიშვნელოვანია დაცული იქნეს გამჭვირვალობა, რომლის დროსაც საქართველოს მთავრობისა და მხარჯავი დაწესებულებების მიერ უნდა განხორციელდეს სახელმწიფო რესურსების განაწილება სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვით. საბიუჯეტო პროცესის დახვეწისა და ფორმულირების გაუმჯობესების ეტაპზე მნიშვნელოვანია აღნიშნული პროცესი მოექცეს დადგენილ ფისკალურ ჩარჩოში და მოხდეს რესურსების ეფექტიანი განაწილება, რათა მიღწეულ იქნეს დასახული მიზნები.

სახელმწიფოს მიერ სტაბილური ეკონომიკური განვითარების მიღწევისათვის, საჭიროა მაქსიმალურად სრულყოფილი საბიუჯეტო პოლიტიკის ოპერატიული შემუშავება და განხორციელება.

საბიუჯეტო სახსრების განაწილებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკის მდგრადი განვითარების დარგებს (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ინფრასტრუქტურა, ტურიზმი და სხვა მიმართულებები), რომლებიც წარმოადგენენ დასაქმების ძირითად კერას.

საქართველოს ხელისუფლებამ: დროულად უნდა გაატაროს ოპერატიული ღონისძიებები სწრაფი და ჯანსაღი ეკონომიკური ზრდის, აუცილებელი წინაპირობის-სტაბილური ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფისათვის.

უნდა შეძლოს ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის აღმოფხვრა, სახელმწიფო ხარჯების სტრუქტურის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის ამაღლების გზით, რაც დადებითად უნდა აისახოს ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკაზე.

გადამჭრელი ღონისძიებები უნდა განახორციელოს სახელმწიფო ვალის მართვის სრულყოფის, როგორც ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის ერთ-ერთი გადამწყვეტი ამოცანის გადაჭრისათვის.

სახელმწიფომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები, რაც უზრუნველყოფს ქვეყანაში ჯანსაღი, მაქსიმალურად სრულყოფილი ფისკალური პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი., ერქომაიშვილი გ., ლეკაშვილი ე., ხურცია ლ., გაფრინდაშვილი გ., „ეკონომიკური პოლიტიკა“, უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 2021 წელი;
2. კლუში რ., „ეკონომიკური პოლიტიკა“, თსუ-ს გამომცემლობა, 2014 წელი;
3. საქართველოს ფისკალური პოლიტიკა და მართვა და მისი თავსებადობა ევროკავშირის პრაქტიკასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2016 წელი;
4. საქართველოს კანონი, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, თბ. 18 დეკემბერი 2009 წელი, №2440-III;
5. საქართველოს კანონი საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ;
6. საქართველოს კანონი საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ;
7. საქართველოს კანონი საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ;
8. საქართველოს კანონი საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ;
11. საქართველოს კანონი საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ;
10. საქართველოს კანონი საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ;
12. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის №99 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
13. <http://www.mof.ge> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 30.01.2024;
14. <http://www.geostat.ge> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.03.2024;
15. <https://www.matsne.gov.ge> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21.03.2024;
16. <https://www.nbg.gov.ge> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.02.2024;
17. <https://sao.ge/ka/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.03.2024.
18. [https://en.wikipedia.org/wiki/List\\_of\\_countries\\_by\\_GDP\\_\(nominal\)\\_per\\_capita](https://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_GDP_(nominal)_per_capita) უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.12.2024

*Levan Khvedelidze*  
*TSU Faculty of Economics and Business*  
*PhD student*

#### MODERN ASPECTS OF BUDGETARY POLICY Expanded Summary

The previous article discusses the main directions of the state budget policy, the location of the budget process on the ground, the problems of the budget policy and ways to overcome them.

The main directions, trends, modern situation, problems, aspects of the country's economic improvement and technological economic development, the importance of individual budget policy development and implementation are analyzed.

In the economic development of any country, the formation of former budget policy. Georgia is not an exception in this regard. Development and application of social personnel budget policy in practice is one of the main prerequisites for the country's economic development.

In the article, the state budget is discussed, specific measures and the structure of its completion are set.

When drawing up the state budget, it is important to maintain transparency, during which the government of Georgia and spending institutions should allocate state resources according to strategic priorities. At the stage of refining and improving the formulation of the budget process, it is important that the said process falls within the established fiscal framework and that resources are allocated effectively in order to achieve the set goals.

In order to achieve stable economic development by the state, it is necessary to develop and implement the most comprehensive budgetary policy.

During the distribution of budget funds, special attention should be paid to the sectors of sustainable development of the economy (industry, agriculture, infrastructure, tourism and other directions), which are the main focus of employment.

The government of Georgia: should take timely operational measures for rapid and healthy economic growth, a necessary prerequisite for perfecting a stable economic policy.

It should be able to eliminate the chronic deficit of the budget, by improving the structure of state expenditures and increasing efficiency, which should have a positive impact on the country's monetary policy.

Decisive measures should be taken to improve the management of public debt as one of the crucial tasks of the country's fiscal policy.

The state should take effective steps that ensure the development and implementation of a healthy, maximally complete fiscal policy in the country, in accordance with national-state interests.

ნათია ქლენტი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

დოქტორანტი

### ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების გარემოსდაცვითი პოლიტიკის შედეგები და ახალი გამოწვევები

**ანოტაცია.** ნაშრომში განხილულია თუ რა უარყოფითი შედეგების მოტანა შეუძლია გარემოს დაბინძურებას, როგორც საქართველოსთვის, ასევე მსოფლიოსთვის. გამოკვეთილია გარემოსდაცვითი პრობლემები. აღნიშნულია თუ რა როლს უნდა ასრულებდეს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლება გარემოსდაცვითი პრობლემების გამოსასწორებლად და შესამსუბუქებლად. ხაზგასმულია ევროპის ქვეყნების მიერ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები გარემოსდაცვითი პრობლემების აღმოსაფხვრელად, რომელიც ჩადებულია (ასახულია) თავიანთი ქვეყნის კონსტიტუციაში.

**საკვანძო სიტყვები:** გარემოსდაცვითი პოლიტიკა, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები, გარემოს დაცვის უფლება, განაშენიანების პოლიტიკა, კლიმატის ცვლილებები, გარემოს დაბინძურება, ნარჩენების მართვა.

#### შესავალი

გლობალური დათბობის, ბიომრავალფეროვნების დაკარგვისა და გარემოს დაბინძურების მიმდინარე უარყოფითი შედეგები სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის ძირითადი უფლებებით სარგებლობას მთელს მსოფლიოში, როგორცაა სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ხარისხიანი პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებები. ყოველივე ამან გამოიწვია კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის პოტენციალის აღიარება. ჯანსაღი გარემოს უფლების ძირითად უფლებად აღიარების იდეა სულ უფრო და უფრო ძლიერდება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დაიცვან მოქალაქეების უფლება ყოველდღიურ ცხოვრებასთან სიახლოვისა და ადგილობრივ დონეზე გარემოსდაცვით გამოწვევებზე რეაგირების პასუხისმგებლობის გამო. აღნიშნული გულისხმობს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილების გაძლიერებას, იმისთვის, რომ კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში უფრო აქტიური როლი ითამაშონ, და მათთვის უფრო მეტი მხარდაჭერის უზრუნველყოფას მისი შედეგების აღმოფხვრისას.

კლიმატის ცვლილებით გამოწვეული საფრთხეებისა და გამოწვევების შესახებ ცნობიერება მკვეთრად გაიზარდა. კლიმატის ცვლილება სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობის, სიცოცხლის, საკვებისა და ცხოვრების შესაბამისი სტანდარტის ძირითად უფლებებს საზოგადოებებში მთელს მსოფლიოში. საერთაშორისო საზოგადოება შეთანხმდა კლიმატის ცვლილების გამოწვევის გადაჭრის ჩარჩოსა და წესებზე (გაეროს ჩარჩო კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ, 1992 წ.; კიოტოს ოქმი. 1997წ.; პარიზის შეთანხმება, 2015 წ.) მსოფლიოს ბევრი ქვეყანის ხელისუფლების ორგანოებმა მიიღეს გეგმები, კანონები და რეგულაციები კლიმატის ცვლილების შერბილების ან მის შედეგებთან ადაპტაციის მიზნით. ევროკავშირის 27 წევრმა სახელმწიფომ აიღო ვალდებულებები კლიმატის ცვლილების შერბილებასთან დაკავშირებით (ნახშირბადის ნეიტრალიტეტი 2050 წლისთვის), ასევე სავალდებულო რეგულაციები და დირექტივები. მიუხედავად კლიმატის ცვლილებების

გამოწვევებზე მრავალშრიანი პოლიტიკური თუ ნორმატიული პასუხია, მზარდი შერბილებაა, რომ საჭიროა უფრო გადაუდებელი მოქმედება.

კლიმატის კრიზისთან ბრძოლაში ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში, რადგან ისინი ყველაზე ახლოს არიან მოქალაქეებთან და უკეთ შეუძლიათ ადგილობრივ საკითხებზე რეაგირება. სახელმწიფო ხელისუფლების მსგავსად, მათაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა, გარემოს დაცვისა და ადამიანის უფლებების სამართლის შესაბამისად შესრულონ გარემოსდაცვითი ვალდებულებები. კლიმატის კრიზისიდან გამოსავლის პოვნა და კლიმატის მდგრადობის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ წარმატებული ადგილობრივი და რეგიონული მდგრადობის და მწვანე გარდამავალი ინიციატივების მეშვეობით, მოქალაქეების აქტიური მონაწილეობით.

ევროპული საბჭო მოუწოდებს ეროვნულ მთავრობებს, აამაღლონ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ცნობიერება გარემოს დაცვაში მათი როლის შესახებ. ის ახალისებს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, დაიცვან ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვის სფეროში არსებული ვალდებულებები კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი მართვის, ასევე თავიანთ თემებსა და რეგიონებში გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის მიმართულებით ადგილობრივი სტრატეგიების შემუშავების გზით.

ადგილობრივი და სხვა სუბნაციონალური ხელისუფლების ორგანოები გარემოს დაცვასა და კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ. მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქალაქებში ცხოვრობს, გარემოსდაცვით პრობლემებს რომლებსაც ადამიანების უმეტესობა აწყდება, როგორცაა ჰაერის დაბინძურება, ხმაური, საცობები, საყოფაცხოვრებო ნარჩენები, აქვს საქალაქო განზომილება. გარემოსდაცვითი პრობლემების უმეტესობას აშკარა კავშირი აქვს საქალაქო დასახლებებთან. განსაკუთრებით ძლიერია ატმოსფერული დაბინძურება ქალაქებში ვიდრე სოფლად, რომლებიც წარმოიქმნება რიგი ფაქტორების გამო: მანქანების მიმოქცევა და სტრანსპორტო გადატვირთულობა, სამრეწველო დაწესებულებები და ა.შ. სწორედ ქალაქებში წარმოიქმნება ყველაზე მეტი ნარჩენები, რომლის განთავსება და გადამუშავება სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივი ადმინისტრაციისთვის. საქალაქო ჩამდინარე წყლები წყლის დაბინძურების ერთ-ერთი მთავარი წყაროა.

ეფექტიანი მრავალდონიანი მმართველობა, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების მიმართ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის მიღება და მდგრადი ეკოსისტემების უზრუნველყოფა ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული ხელისუფლების ორგანოების, პარლამენტების და მთავრობების ერთობლივი პასუხისმგებლობაა მომავალი თაობებისთვის. მსოფლიოში მოქალაქეები და არასამთავრობო ორგანიზაციები ყველა დონის მთავრობისგან ითხოვენ კლიმატის ცვლილების შერბილების უფრო ამბიციური ზომებისა და პოლიტიკის განხორციელებას ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებების შესაბამისად. უსაფრთხო და მდგრადი გარემოს უფლების ადამიანის უფლებად აღიარება სულ უფრო მეტად ვლინდება საერთაშორისო და ეროვნულ კანონმდებლობაში. ბევრმა სახელმწიფომ აღიარა და მიიღო ვალდებულება, უზრუნველყოს ჯანსაღი გარემოს უფლება თავის კანონმდებლობაში. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ ადგენს ჯანსაღი გარემოს უფლებას, თავისი გარემოსდაცვითი პრეცედენტული სამართლის შემუშავებისას ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასა-

მართლომ კონვენცია „მწვანე“ ან გარემოსდაცვით ჭრილში განმარტა. ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებს აქვთ მკაფიო უფლებამოსილება გადადგან კონკრეტული ნაბიჯები და მიიღონ კონკრეტული ზომები კლიმატის კრიზისთან საბრძოლველად და მდგრად განვითარებაში წვლილის შესატანად. მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობის თავიანთი წილი სახელმწიფოების ვალდებულებებისა და მოვალეობების შესრულებაზე ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვის შესახებ მრავალმხრივი ინსტრუმენტებისა და შეთანხმებების შესაბამისად.

### გარემოსდაცვითი პოლიტიკის შედეგები

ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფალთა კონგრესი მინისტრთა კომიტეტს მოუწოდებს, შესთავაზოს ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნების ეროვნული ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს:

ა) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების ჩართვის მიზნით გააძლიერონ ძალისხმევა ეფექტური კონსულტაციების გზით, რათა უზრუნველყონ კოორდინირებული, სასწრაფო რეაგირება კლიმატის გლობალურ კრიზისებზე;

ბ) აამაღლონ ცნობიერება კლიმატის ცვლილების დონისძიებების ადგილობრივ პოლიტიკაში ინტეგრირების აუცილებლობის შესახებ და გააძლიერონ ადგილობრივი და რეგიონული ინსტიტუციური შესაძლებლობები, რათა შეიმუშაონ და განახორციელონ კლიმატის ცვლილების შერბილების, ზემოქმედების შემცირების ეფექტური სტრატეგიები და პოლიტიკა მდგრადი განვითარების მოდელების საფუძველზე;

გ) მიიღონ ყველა საჭირო ზომა სუბნაციონალური ხელისუფლების ორგანოების მხარდასაჭერად მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებებიდან გამომდინარე ვალდებულებების განხორციელებაში და საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული მდგრადი განვითარების მიზნებისკენ წინსვლაში. მიიღონ მიზანმიმართული ზომები იმ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების მხარდასაჭერად, რომლებიც ყველაზე დაუცველია დაბინძურების, გარემოს დეგრადაციისა და კატასტროფების მიმართ;

დ) ხელი მოაწერონ და რატიფიცირება მოახდინონ ადგილობრივი თვითმმართველობის საქმეებში მონაწილეობის შესახებ ოქმს იმ ქვეყნებმა, რომლებსაც ეს ჯერ არ გაუკეთებიათ, რათა დაიცვან და ხელი შეუწყონ მოქალაქეების მონაწილეობით მიიღონ გარემოსა და მდგრადი განვითარების საკითხებში გადაწყვეტილებები და ა.შ.

ეკოლოგიური პრობლემები სულ უფრო აქტუალური ხდება ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში. გარემოსდაცვითი ცნობიერება 1970-იანი წლებიდან სტაბილურად ვითარდება და კლიმატის კრიზისის უეცარმა გამწვავებამ გააძლიერა მოწოდებები გადაუდებელი და ეფექტიანი გარემოსდაცვითი პოლიტიკის ქმედებებისკენ. ასობით გარემოსდაცვითი დებულება, ხელშეკრულება და დეკლარაცია იქნა მიღებული მთელ მსოფლიოში, უამრავი საერთაშორისო ორგანიზაცია იქმნება ყველაზე მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად.

საერთაშორისო ხელშეკრულებების შესწავლისას შეიძლება დავასკვნათ, რომ გლობალურ საერთაშორისო გარემოსდაცვით ხელშეკრულებაში არ არსებობს ზოგადი და უნივერსალური დეკლარაცია გარემოს დაცვის ადამიანის ან ძირითადი უფლების შესახებ. არ არსებობს ასეთი გლობალური ან ზოგადი საერთაშორისო

გარემოსდაცვითი ხელშეკრულება, თუმცა არსებობს ასობით ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს საკითხთა ფართო სპექტრს, დაწყებული ოზონის შრის დაცვიდან ნარჩენების საერთაშორისო ტრანსპორტირების რეგულირებამდე, რომ აღარაფერი ვთქვათ კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაზე.

მიუხედავად მრავალი საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულების ფრაგმენტული ბუნების გადასაჭრელად ექსპერტთა და იურისტთა მრავალეროვნული გუნდი 2017 წლიდან მუშაობს საერთო საერთაშორისო ხელშეკრულების „გარემოს დაცვის გლობალური პაქტის“ შემუშავებაზე, თუმცა მათ ძალისხმევას ჯერ არ მოჰყოლია საბოლოო სავალდებულო ხელშეკრულება. რა თქმა უნდა არსებობს გარემოს შესახებ საერთაშორისო, გლობალური დეკლარაციები, მაგრამ აღნიშნული დოკუმენტები წარმოადგენს არა იურიდიულად სავალდებულო ინსტრუმენტებს, არამედ რბილი სამართლის წყაროებსა და დიპლომატიურ განცხადებებს. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ როგორც საცნობარო დოკუმენტები. ეს არის რბილი სამართლის ინსტრუმენტები: 1972 წლის სტოკჰოლმის დეკლარაცია და 1992 წლი რიოს დეკლარაცია.

გარემოს დაცვის სფეროში ევროკავშირმა კანონების შთამბეჭდავი კრებული მიიღო, 300-ზე მეტი სამართლებრივი ინსტრუმენტი (რეგულაციები და დირექტივები), რომელიც გარემოს დაცვის ყველა შესაძლო სფეროს მოიცავს. სამართლებრივი ინსტრუმენტების უმეტესობა მიმართულია წევრ ქვეყნებზე, უწესებს მათ ვალდებულებებს და არ ქმნის ძირითად უფლებებს მის მოქალაქეთა სამართლებრივ სფეროში.

ევროკავშირის კანონმდებლობის ზოგად მიმოხილვას გარემოს დაცვის სფეროში ან ადამიანთა უფლებათა სფეროში მიეყვრათ დასკვნამდე, რომ ევროკავშირს ჯერ არ გამოუქვეყნებია სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც აღიარებს გარემოს დაცვის ადამიანის უფლებას. ეს არ ნიშნავს, რომ ევროკავშირის მიერ ბოლო 50 წლის განმავლობაში შემუშავებული გარემოსდაცვითი სამართლის შთამბეჭდავი კრებულს საერთოდ არ აქვს „ადამიანის უფლებების“ განზომილება. ევროკავშირმა მოახდინა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის“ (ორჰუსის კონვენცია) რატიფიკაცია.

ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ, რომელსაც აქვს კონსტიტუცია, შემოიღო გარემოს დაცვის ძირითადი ან ადამიანის უფლება. იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი N1

ცხრილი N1\*

ქვეყანა	წელი
საფრანგეთი	1958 წლის საფრანგეთი კონსტიტუციას თანდართული გარემოს დაცვის ქარტია (შესწორებული) რომლის 1-ლი მუხლი აცხადებს დაბალანსებულ გარემოში ცხოვრების უფლებას
გერმანია	1949 წლის გერმანიის კონსტიტუცია 21-ე მუხლი (შესწორებული), რომელიც ითვალისწინებს სიცოცხლისა და ცხოველების ბუნებრივი საფუძვლების დაცვას (როგორც სახელმწიფოს მოვალეობა და არა „ძირითადი“ უფლება)
პორტუგალია	1976 წლის პორტუგალიის კონსტიტუციის 66.1.-ე მუხლი



	(შესწორებული)
მონტენეგრო	2007 წლის მონტენეგროს კონსტიტუციის 27-ე მუხლი
უნგრეთი	უნგრეთის კონსტიტუციის მე-18 მუხლი (1989 წლის შესწორება)
შვედეთი	1974 წლის შვედეთის კონსტიტუციის მე-2 მუხლი (შესწორებული)
ავსტრია	ავსტრიის პარლამენტმა გარემოს დაცვის შესახებ საკონსტიტუციო კანონი 1984 წელს მიიღო
მოლდოვა	1994 წლის მოლდოვის კონსტიტუციის 37-ე მუხლი აღიარებს ჯანსაღ გარემოში ცხოვრების ძირითად უფლებას
საქართველო	2016 წელს საქართველოს შესწორებული კონსტიტუციის II თავის 29-ე მუხლი „ადამიანის ძირითადი უფლებები“, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებას აღიარებს ადამიანის უფლებად ან ძირითად უფლებად

\* ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ

არის ისეთი ქვეყნებიც, რომელთა კონსტიტუციაში არ არის ნახსენები გარემოს დაცვა და არც რაიმე გარემოსდაცვითი უფლება. საუკეთესო მაგალითია ისლანდია რომლის კონსტიტუცია არც გარემოს დაცვას მოიხსენიებს და არც ცნობს გარემოს დაცვის ადამიანის ან ძირითად უფლებას.

არსებობს ევროპული ქვეყნები, რომელთა ეროვნულ კონსტიტუციაში აღნიშნულია გარემოს დაცვის უფლება, რომელიც არ განიხილება საბაზისო, ადამიანის ან ძირითად უფლებად ტექნიკური თუ მკაცრი გაგებით. მაგალითად ესპანეთის კონსტიტუციის 45.1-ე მუხლი აცხადებს, რომ „ყველას აქვს უფლება, ისარგებლოს პიროვნების განვითარებისთვის შესაბამისი გარემოთი და ასევე ვალდებულია შეინარჩუნოს ის“.

მნიშვნელოვანი „საჯარო საქმე“ რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ხელშია და მათ უნდა გადაჭრან, არის ადგილობრივი სივრცითი დაგეგმარება და განაშენიანება. განაშენიანებას აქვს ძალიან მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე არა მხოლოდ ქალაქში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ასეთია მაგალითად: საქალაქო ნარჩენების უკანონო გადაყრით გამოწვეული ბუნების დაზიანება; მდინარეებისა და სანაპირო წყლების დაზინძურება საქალაქო ჩამდინარე წყლების გაფილტვრის გარეშე ჩაშვების გამო და ა.შ. ქალაქებში ძირითადად ადგილობრივ დონეზეა მიღებული განაშენიანების გეგმები და პოლიტიკის შედეგები, ჩვენ მიერ არჩეული ადგილობრივი მერებისა და მრჩეველების მიერ გადაწყვეტილებების მიღების შედეგი. ისეთ ქალაქებში ცხოვრება სადაც არის პარკები და მწვანე სივრცეები, სპორტული და კულტურული დასასვენებელი ობიექტები, დაბალი ემისიის და ეფექტიანი საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელები, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ყველა ეს ელემენტი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების და სივრცითი გეგმების შედეგია. გარემოს დაცვის უფლებას „ქალაქში“ განსაზღვრავს განაშენიანების პოლიტიკა და სტრატეგიები, რომლებიც ძირითადად ადგილობრივ დონეზეა ჩამოყალიბებული.

**გარემოსდაცვით პოლიტიკის სამომავლო ამოცანები**

გარემოსდაცვითი პრობლემების ხასიათისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ძირითადი როლის გათვალისწინებით, გარემოს დაცვის უფლების

ეფექტიანობის უზრუნველყოფაში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს უნდა ჰქონდეს კომპენტეციების ფართო სპექტრი გარემოს დაცვის სფეროში. ასეა ევროპის უმეტეს ქვეყნებში, განსაკუთრებით შემდეგი მიმართებით:

- სუფთა სასმელი და სამრეწველო წყლის მიწოდება;
- ნარჩენების გატანა, შეგროვება, ტრანსპორტირება და შენახვა;
- საქალაქო ჩამდინარე წყლების გასუფთავება;
- გადაჭარბებულ ხმაურთან ბრძოლა;
- ჰაერის ხარისხის მონიტორინგი და გაუმჯობესება;
- გარემოსდაცვითი საგანგებო სიტუაციების მართვა (მაგ. წყალდიდობა, სამრეწველო ნარჩენები);
- ხანძრის პრევენცია;
- ქუჩების, საზოგადოებრივი პარკებისა და რეკრეაციული სივრცეების დასუფთავება და მოვლა;
- ყველა სახის გარემოსდაცვითი ობიექტების მშენებლობა და მუშაობა, როგორცაა სანაყაროები, ნაგვის გადამამუშავებელი ნაგებობები, ნარჩენების განმაცალკევებელი და გადამამუშავებელი ნაგებობები, საქალაქო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები, ატმოსფერული დაბინძურების მონიტორინგისა და სინჯების აღების მუნიციპალური სადგურები, გარემოსდაცვითი ლაბორატორიები;
- გამწვანებული სივრცეების, საზოგადოებრივი პარკებისა და ბაღების, ზოოპარკების, ცხოველთა თავშესაფრების მშენებლობა და მოვლა;
- სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტის რეგულირება და კონტროლი.<sup>9</sup>

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს მთელი რიგი გარემოსდაცვითი მარეგულირებელი და სამართლებრივი უფლებამოსილებები აქვთ, როგორცაა:

- გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემის უფლებამოსილება;
- გარემოსდაცვითი გადასახადების დაწესებისა და აღსრულების შესაძლებლობა (ხმაურიანის კომერციული ობიექტების შესახებ ან ქუჩების დაბინძურების);
- ატმოსფერული დაბინძურებისა და ხმაურის კონტროლისა და რეგულირების უფლებამოსილება, სატრანსპორტო საშუალებებისა და მრეწველობის შესაბამისობის მონიტორინგი ჰაერის დაბინძურების შესახებ კანონებითა და რეგულაციებით დადგენილ ემისიების ლიმიტებთან, დამნაშავეთათვის ჯარიმისა და სანქციების დაწესება;
- ადგილობრივი რეგულაციების დამტკიცების შესაძლებლობა სხვადასხვა გარემოსდაცვით ასპექტებზე, როგორც არის საზოგადოებრივი სივრცეების სისუფთავე, ნარჩენების შეგროვება, ცხოველთა კეთილდღეობა, გადაჭარბებული ხმაური;
- გარემოსდაცვითი შემოწმების ჩატარებამდე მიწის განაშენიანების გეგმების დამტკიცების უფლებამოსილება, სამშენებლო და მიწის განვითარების სამუშაოების ზედამხედველობის უფლებამოსილება.<sup>10</sup>

<sup>9</sup> CONGRESS OF LOCAL AND REGIONAL AUTHORITIES, 2022

<sup>10</sup> CONGRESS OF LOCAL AND REGIONAL AUTHORITIES, 2022

ეროვნულმა ხელისუფლებამ შეიძლება დააწესოს სტანდარტები და წესები ჩამდინარე წყლების გაწმენდისთვის, მაგრამ ადგილობრივ მთავრობას შეუძლია უზრუნველყოს ადგილობრივი ჩამდინარე წყლების გაწმენდა; ეროვნულმა ხელისუფლებამ შეიძლება დაადგინოს რეგულაციები და კანონები გადაჭარბებული ხმაურის შესახებ, თუმცა მერია საუკეთესოდ არის აღჭურვილი იმისთვის, რომ უზრუნველყოს ახლომდებარე დამის კლუბის შესაბამისობა ამ სტანდარტებთან.

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში მოითხოვონ საკუთარი შესაბამისი ფინანსური რესურსები, რომელთაც თავისუფლად განკარგავენ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში. მათი ფინანსური რესურსები უნდა შეესაბამებოდეს მათ კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობებს. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა მიიღონ შესაბამისი დაფინანსება ხარისხიანი გარემოსდაცვითი მომსახურებების მისაღებად, რომ მათ ჰქონდეთ უფლებამოსილება საჭიროების შემთხვევაში გაზარდონ გარემოსდაცვითი გადასახადები.

საქართველომ 2021 წლის 2 მარტს მიიღო კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2022 წლის 1 ივლისს. კანონი ისეთ საკითხებს ეხება, როგორცაა გარემოსდაცვითი ზიანის პრევენცია ამგვარი ზიანის გარდაუვალი საფრთხის შემთხვევაში, ზიანის შერბილება, გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსწორება და გარემოსდაცვითი ზიანის ფულადი კომპენსაცია. გარემოსდაცვითი კანონის შესრულებაზე პასუხისმგებელი გარემოს ეროვნული სააგენტოა და გარემოს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგის სისტემა კარგად არის განვითარებული. ბოლო წლებში გაიზარდა გარემოს მდგომარეობის მონიტორინგის სადგურების რაოდენობა. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ლაბორატორია უზრუნველყოფს ნიმუშების აღებას და მათ საბაზისო ანალიზს, ხოლო გარემოს ეროვნული სააგენტო უფრო სიღრმისეულად ახორციელებს სინჯების აღებას და ანალიზს, შემდეგ კი აქვეყნებს გარემოსდაცვით ინფორმაციას. თუმცა მონიტორინგის სადგურების რაოდენობა კვლავ არასაკმარია, განსაკუთრებით მიწისქვეშა წყლებისთვის.

საქართველოში ხორციელდება სხვადასხვა რეაგირება გარემოსდაცვითი ნორმების შეუსრულებლობაზე, როგორცაა: მითითება დარღვევის აღმოფხვრაზე, საქმიანობის შეჩერება, ჯარიმები, ნებართვის ჩამორთმევა და საქმის სასამართლოზე გადაცემა. ყველაზე ხშირად გამოყენებული სასჯელია ჯარიმები, თუმცა ასეთი ჯარიმები საკმარის შემაკავებელ ფაქტორს არ წარმოადგენს, რადგან დაბალია ჯარიმის ოდენობა და არ ხდება მისი ინდექსირება ინფლაციის მიხედვით.

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების გამართულ სისტემას დიდი სარგებელი მოაქვს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობისთვის. ის ეხმარება ქვეყნებს უკეთესი გარემოსდაცვითი შედეგების მიღწევაში, რათა განახორციელონ გარემოსდაცვითი პოლიტიკა უფრო დაბალი ხარჯებით, რომელიც მიიღწევა მწირი რესურსების იქ მიმართვით სადაც ისინი ყველაზე მეტად საჭიროა და სადაც მათ ყველაზე მეტი ეფექტი მოაქვთ.

საქართველოში მაღალია შენობებშია და გარე ჰაერის დაბინძურების დონე, ფართოდ არის გავრცელებული უკანონოდ ხე-ტყის ჭრა და ბუნებრივი რესურსებით

სარგებლობაზე არასაკმარისი კონტროლი შეიმჩნევა (World Bank, 2018). უხვი წყლის რესურსები ბინძურდება გაუწმენდავი ჩამდინარე წყლების ჩაშვებით. გარემოს დაბინძურების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მუნიციპალური ნაგავსაყრელები და ქვეყანაში დაგროვებული სახიფათო ნარჩენები. როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ პარლამენტში სამინისტროს მიერ 2023 წლის შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარდგენის დროს განაცხადა, ქვეყანაში მოქმედებს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) სისტემა ოთხი სპეციფიკური ნარჩენის: 1. საბურავების, 2. ზეთების, 3. ბატარეებისა და აკუმულატორების, 4. ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების მართვასთან დაკავშირებით. ავტორიზებულია ოთხი მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაცია, რომლებიც ახორციელებენ ამ ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებას და დამუშავებას. 2024 წლის 29 მაისის მდგომარეობით რეგისტრირებულია 12 800 მწარმოებელი; მგვ-ის როგანიზაციების მიერ 2023 წლის განმავლობაში შეგროვდა და დამუშავდა 11,200 ტონაზე მეტი სპეციფიკური ნარჩენები. მინისტრის თქმით იგეგმება სპეციფიკური ნარჩენების ჩამონათვალის გაფართოება.<sup>11</sup> საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია გარემოსდაცვითი პოლიტიკის ჩარჩოს შემუშავების მხრივ. ქვეყნის გარემოსდაცვითი პოლიტიკის წარმმართველი ყოვლისმომცველი დოკუმენტია 2022-2026 წლებისათვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა.

2022 წელს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა 9,484 დარღვევა გამოავლინა, მათ შორის 9.080 ადმინისტრაციული, ხოლო 404 - სისხლისსამართლებრივი ხასიათის. ყველაზე მეტად დარღვევები ეხებოდა ნარჩენების მართვის კოდექსს (24%), ატმოსფერული ჰაერის კანონმდებლობას (16%), სატყეო კანონმდებლობას (13%) ხე-ტყის ტრანსპორტირებას (10%), თევზჭერისა და ნადირობის წესებს (9%) (კორკოტაძე, 2022). 2022 წელს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა 84 რეგულირების ობიექტს გაუგზავნა შეტყობინება საქმიანობის სრულად ან ნაწილობრივ შეზღუდვის მოთხოვნით (კორკოტაძე, 2022).

### დასკვნა

მართალია, საქართველოში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა გარემოსდაცვითი კუთხით, კვლავ მნიშვნელოვანი ცვლილებებია გასატარებელი. იმისათვის, რომ ვებრძოლოთ საქართველოში არსებულ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევებს, აუცილებელია გაუმჯობესდეს ქვეყანაში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემის სხვადასხვა ასპექტები.

საჭიროა გაუმჯობესდეს ცოდნა გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ კანონის და მისი აღსრულების შესაძლებლობების შესახებ. საქართველოში უნდა გადაიდგას ნაბიჯები გარემოსდაცვითი ზიანის ფინანსური უზრუნველყოფის შემოღების მიზნით. უნდა გაიზარდოს ინსპექტირების რაოდენობა და გაუმჯობესდეს მონიტორინგის ლაბორატორიების შესაძლებლობები. ადმინისტრაციული ჯარიმების გარდა, საქართველოში საკმარისად არ ხდება სხვა სასჯელის გამოყენება. გარდა ამისა ჯარიმები დაბალია და არ არის ინდექსირებული ინფლაციის გათვალისწინებით.

<sup>11</sup> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/21717> ლინკი გახსნილია 17.07.2024

### ლიტერატურა

1. Congress of Local and Regional Authorities, CG(2022)43-15prov;
2. EU4Environment, 2023;
3. კორკოტაძე ნ. (2022), სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი - გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგი - შემოწმების შედეგები, 5 დეკემბერი, პრეზენტაცია EU4Environment-ის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების რეგიონულ სემინარზე თემაზე: „უკეთესი გარემოსდაცვითი ინსპექტირება უფრო ძლიერი გარემოსადმი მდგრადობისთვის“;
4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 17 ივლისი, 2024, <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/21717>
5. საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ, 2021;
6. Air Pollution Control in Georgia: Existing Policies and Needs, South Caucasus Regional Office of the Heinrich Böll Foundation, 2022;
7. The World Bank, საქართველო: გზა მწვანე და მედეგი განვითარებისკენ, 2020

*Natia Zhghenti*

*TSU Faculty of Economics and Business*

*PhD student*

## **RESULT AND NEW CHALLENGES OF ENVIRONMENTAL POLICY OF LOCAL AND REGIONAL AUTHORITIES**

### **Expanded Summary**

Effective multi-level governance, adopting a human rights-based approach to environmental protection and sustainable development, and ensuring that sustainable ecosystems are shared responsibilities of local, regional, and national authorities, parliaments, and governments for future generations. Citizens and NGOs around the world are demanding that governments at all levels implement more ambitious climate change mitigation measures and policies consistent with their human rights obligations. The recognition of the right to a safe and sustainable environment as a human right is increasingly reflected in international and national legislation. Many states have recognized and committed to ensuring the right to a healthy environment in their legislation.

Environmental problems are becoming increasingly relevant in all spheres of economic, social, and political life. Environmental awareness has been steadily developing since the 1970s, and the sudden escalation of the climate crisis has intensified calls for urgent and effective environmental policy action. Hundreds of environmental regulations, treaties, and declarations have been adopted around the world, and numerous international organizations are being formed to address the most critical environmental issues.

When studying international agreements, we can conclude that there is no general and universal declaration on environmental protection, human rights, or basic rights in global international environmental agreements. There is no such global or general international environmental treaty, although there are hundreds of treaties covering a wide range of issues, from protecting the ozone layer to regulating the international transport of waste, not to mention combating climate change.

An important "public matter" that is in the hands of local authorities and has to be solved by them is local spatial planning and development. Development has a very significant impact on the environment, not only in the city but also outside of it. For example, this includes damage to nature caused by illegal dumping of urban waste; pollution of rivers and coastal waters due to unfiltered discharge of urban wastewater, etc. In cities, development

plans and policy outcomes are mostly made at the local level, as a result of decisions made by elected local mayors and councilors. Living in cities with parks and green spaces, sports and cultural leisure facilities, low-emission and efficient public transport networks—all these elements of our daily life are the result of decisions and spatial plans made by local authorities. The right to environmental protection in the "city" is defined by development policies and strategies, which are mainly established at the local level.

Considering the nature of environmental problems and the main role of local government bodies in ensuring the effectiveness of the right to environmental protection, local government bodies should have a wide range of competencies in the field of environmental protection. This is true in most European countries, especially with regard to:

- Clean drinking and industrial water supply;
- Disposal, collection, transportation, and storage of waste;
- Purification of city wastewater;
- Fight against excessive noise;
- Air quality monitoring and improvement;
- Environmental emergency management (e.g., floods, industrial waste);
- Fire prevention;
- Cleaning and maintenance of streets, public parks, and recreational spaces
- Construction and operation of all kinds of environmental facilities, such as landfills, garbage processing facilities, waste separation and processing facilities, city wastewater treatment facilities, municipal stations for monitoring and sampling atmospheric pollution, and environmental laboratories;
- Construction and maintenance of green spaces, public parks and gardens, zoos, and animal shelters;
- Regulation and control of vehicle transit.

National governments may set standards and regulations for wastewater treatment, but local governments may provide for local wastewater treatment. National authorities may set regulations and laws regarding excessive noise, but the town hall is best equipped to ensure that a nearby nightclub complies with these standards.

Local government bodies can request their own relevant financial resources within the framework of national economic policy, which they can dispose of freely within their powers. Their financial resources must correspond to their responsibilities under the Constitution and the law. The state should ensure that local authorities receive adequate funding to provide quality environmental services and have the power to increase environmental charges if necessary.

In Georgia, the monitoring system for compliance with the requirements of environmental legislation is well developed. In recent years, the number of environmental monitoring stations has increased. The Department of Environmental Supervision's laboratory provides sampling and basic analysis, while the National Environment Agency conducts more in-depth sampling and analysis and then publishes environmental information. However, the number of monitoring stations is still insufficient, especially for groundwater.

In Georgia, there are various responses to non-compliance with environmental norms, such as instructions to eliminate the violation, suspension of activities, fines, confiscation of permits, and transfer of the case to court. Fines are the most commonly used punishment, but such fines are not a sufficient deterrent because the amount of the fine is low and not indexed to inflation.

A well-functioning system of environmental law enforcement is of great benefit to the economic and social well-being of a country. It helps countries achieve better environmental outcomes by implementing environmental policies at lower costs, which are achieved by directing scarce resources where they are most needed and where they have the greatest impact.

მარიამ ხორავა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

### საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობით განპირობებული ეკონომიკური პროცესების განვითარების პერსპექტივები

**ანოტაცია.** სტატიაში განხილულია საქართველოს ევროპული ინტეგრაციისა და ეკონომიკური განვითარების გზა, გაანალიზებულია მიმდინარე პროცესები და პერსპექტივები. დასაწყისში, ყურადღება გამახვილებულია ქვეყნის მტკიცე ევროპულ მისწრაფებებზე, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციაშიც არის დაფიქსირებული. ეს მისწრაფებები მხარდაჭერილია მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობით, რაც ქვეყანას სძენს ძლიერ სტიმულს ევროკავშირის წევრობისკენ წინსვლისთვის.

სტატიაში მოცემულია საქართველოს მიერ 2022 წელს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად განხორციელებული ღონისძიებები. აქ განსაკუთრებით გამოკვეთილია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და დეოლიგარქიზაციის გეგმა, როგორც საქართველოს მდგრადი და ინკლუზიური განვითარების აუცილებელი ელემენტები.

გეოპოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, სტატია ასახავს საქართველოს სტრატეგიულ ურთიერთობებს მეზობელ ქვეყნებთან და რეგიონულ თანამშრომლობის პლატფორმებში აქტიურ მონაწილეობას. ასევე, თუ როგორ აისახება ეს თანამშრომლობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე და საერთაშორისო პოზიციების გაძლიერებაზე.

ეკონომიკური პერსპექტივების ნაწილში, სტატიაში გამოყოფილია ქვეყნის რეგიონალურ ჰაზად ქვეყნის პოტენციალი და ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის საკითხი, როგორც მნიშვნელოვანი კომპონენტები მდგრადი ეკონომიკური სისტემისათვის.

საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სტრატეგიული ურთიერთობების გაღრმავება და საერთაშორისო მოლაპარაკებებში აქტიური ჩართულობა. ევროპული ღირებულებებისა და სტანდარტების დაცვა საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად რჩება, რაც გულისხმობს დემოკრატიული ტრადიციების, ადამიანის უფლებების და ევროპული სტილის საბაზრო ეკონომიკის განვითარებისკენ სწრაფვას.

**საკვანძო სიტყვები:** გეოპოლიტიკა, ევროინტეგრაცია, სტრატეგიული მოლაპარაკებები, ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკური განვითარება.

### შესავალი

საქართველომ მკაფიოდ გამოხატა თავისი ევროპული მისწრაფებები ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე. ეს კი ცხადად არის დადასტურებული საქართველოს კონსტიტუციაში, მეტიც, საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვაც აღნიშნულს ცხადყოფს: დაახლოებით 83% საქართველოს მოსახლეობისა ღიად უჭერს მხარს საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას.<sup>12</sup>

<sup>12</sup> [https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia\\_GGF%20poll\\_October\\_2023\\_Eng\\_VF.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_GGF%20poll_October_2023_Eng_VF.pdf)

საქართველო არის ევროპული სახელმწიფო, რომელიც მზად არის პატივი სცეს და გააძლიეროს ის ღირებულებები, რომლებზეც დაფუძნებულია ევროკავშირი. ამიტომ 2022 წელს, კომისიამ რეკომენდაცია გაუწია საბჭოს, რომ საქართველოს მისცემოდა პერსპექტივა გამხდარიყო ევროკავშირის წევრი. მოგვიანებით, 2023 წლის ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესახებ მოხსენებით ყურადღება კიდევ უფრო გამახვილდა 9 პრიორიტეტზე, რომელიც ქვეყნის ევროპულ განვითარებას კიდევ უფრო მეტად შეუწყობდა ხელს.

საქართველოს პარლამენტმა 2022 წლის ივლისში მოამზადა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტრატეგია. მთავრობის მხარდაჭერით სტრატეგიის განსახორციელებლად შეიქმნა საპარლამენტო კომიტეტები და სპეციალური სამუშაო ჯგუფები. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები ასევე მონაწილეობდნენ რეფორმების ფორმულირებისა და განხორციელების პოლიტიკის პროცესში.

საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში და აქვს გარკვეული მომზადების დონე. დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესაბამისად, შეიქმნა ანტიკორუფციული ბიურო, რომელიც აერთიანებს რამდენიმე ანტიკორუფციულ ფუნქციას ერთ ორგანოში. ანტიკორუფციული ბიუროს შესახებ კანონმდებლობა ვენეციის კომისიას 2023 წლის სექტემბერში გაეგზავნა.

საქართველომ ასევე მხარი დაუჭირა დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმას 14 სექტემბერს და სამოქმედო გეგმა გაუგზავნა ვენეციის კომისიას დასაფიქრებლად 2023 წლის სექტემბერში. მათ შორის კონკურენციის პოლიტიკის, მედიის მრავალფეროვნებისა და პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წესების გაძლიერებით. სამოქმედო გეგმა გადაიხედა ოქტომბერში კოორდინაციის გაძლიერებისა და ქმედებების უფრო მკაფიო ვადების დადგენის მიზნით.

ევროკავშირის ანგარიშების მიხედვით, საქართველო ზომიერად არის მზად მოქმედი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისთვის. 2022 წელს ქვეყანამ განაგრძო ძლიერი აღდგენა 2020 წლის პანდემიით გამოწვეული რეცესიიდან. მსპ-ს რეალურმა ზრდამ ზედიზედ მეორე წელიწადს გადააჭარბა 10%-ს. საქართველოს საგარეო პოზიცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა 2022 წელს, წინა წლების მაღალი დეფიციტის შემდეგ.

კეთილმეზობლური ურთიერთობებისა და რეგიონული თანამშრომლობის კუთხით, საქართველო მზადაა გააუმჯობესოს ორმხრივი ურთიერთობები კანდიდატ ქვეყნებთან, პოტენციურ კანდიდატებთან და ევროკავშირის მეზობელ წევრ ქვეყნებთან.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველომ გაატარა ამბიციური რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავს მისი ეკონომიკური მმართველობისა და ბიზნესკლიმატის გაუმჯობესებას. იმავდროულად, ევროკომისიის ანგარიშების მიხედვით, ხაზგასმულია, რომ საქართველოში მიმდინარე რეფორმები პოლიტიკური დამაბულობისა და პოლარიზაციის ფონზე შეფერხებებით მიმდინარეობდა. ლოგიკურია, რომ კონსენსუსის არარსებობა მნიშვნელოვნად იწვევს ღრმა პოლარიზაციას და ერთგვარ გამოწვევადაცაა ქცეული.

შესაბამისად, კომისიის რეკომენდაციის მიხედვით, საქართველომ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს სამართლიანი და თავისუფალი საარჩევნო პროცესი,



შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ამომრჩეველთა შესაბამისი წარმომადგენლობის არსებობა (მე-2 პრიორიტეტი).

ევროკავშირში გაწევრიანება სტრატეგიული არჩევანია. პარტნიორებმა მტკიცედ და ცალსახად უნდა აითვისონ და ხელი შეუწყონ ევროკავშირის ღირებულებებს. ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან შესაბამისობა უფრო მნიშვნელოვანი სიგნალია, ვიდრე ოდესმე, საერთო ღირებულებებისა და სტრატეგიული ორიენტაციის შესახებ ახალ გეოპოლიტიკურ კონტექსტში.

### **არსებული მდგომარეობა და რეგიონული თანამშრომლობა**

საქართველომ ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ განაცხადი 2022 წლის მარტში უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიული ომის კონტექსტში წარადგინა.<sup>13</sup> წევრობის კანდიდატის სტატუსი კი მიიღო 2023 წლის დეკემბერში, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო გადადგამდა შესაბამის ნაბიჯებს, როგორც ეს მითითებულია კომისიის რეკომენდაციაში (12 რეკომენდაცია).

მოგვიანებით, 2023 წლის ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესახებ მოხსენებით ყურადღება კიდევ უფრო გამახვილდა 9 შესასრულებელ პრიორიტეტზე, რომელიც ქვეყნის ევროპულ განვითარებას კიდევ უფრო მეტად შეუწყობდა ხელს. ევროკომისიის მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციისათვის სამოქმედო გეგმა, რომელშიც შედის განსახორციელებელი აქტივობები, მოსალოდნელი შედეგები, ვადები და დაფინანსების წყაროები.<sup>14</sup>

